ფაქტი

№31(477) 30/VII-5/VIII 2010
ფასი 1 ლარი

4 ჟურნალისტის საბედისწერო ღამე

„დაოჯახებული არც ერთი არ იყო...“

„კომპლიმენტს რომ მეუბნებიან, მეუღლეს სიამოვნებს და ამით ამაყობს“

ვისთან ერთად გაატარა დრო სამშობლოში ექვსი დღით ჩამოსულმა ქეთა თოფურიამ

რატომ არის ვანიკო თარხნიშვილის გმირი გვარად ბურჯანაძე

ნიკა არაბიძე შვილის დაბადების შემდეგ საქინებელი სიდედრს დაუთმო

სამების ზარების შექმნის საიდუმლო

სერგეი შამბა: „ნუ დაგვტოვებთ რუსეთთან მარტო“

მაგთი ფიქსი
magti fix

დაიბრუნე ქსელში ჩართვის საფასური!

ჩაერთეთ მაგთი ფიქსის ქსელში და ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვე თქვენ მიერ მითითებულ მაგთის ან ბალის ნომერზე დაირიცხება 15 წუთი საჩუქრად.

რატომ მაგთი ფიქსი?

- ყველაზე დაბალი ტარიფი მთელ საქართველოში;
- არავითარი საბონენტო;
- ინტერნეტი უფასო ჩართვით: **ულიმიტო, თვეში 15 ლარად** ან 1 წუთი 1 თეთრად;
- აქცია „ჩემი ოჯახი და მეგობრები", უფასოდ ჩაერთვებით აქციაში, აირჩევთ მაგთისა და ბალის 5 ნომერს, მათ დაუკავშირდებით 5 თეთრად და **ისინიც 5 თეთრად დაგირეკავენ;** ასევე შესაძლებელია მაგთის და ბალის ნებისმიერ აბონენტთან საუბარი მხოლოდ **5 თეთრად** (ნაცვლად სტანდარტული 15 თეთრისა), თუ წინასწარ შეიძენთ 200 წუთს 10 ლარად;
- მაგთი ფიქსიდან მაგთი ფიქსზე საუბარი – 2 თეთრი წუთში – საქართველოს ნებისმიერ წერტილში;
- ყველაზე იაფი საერთაშორისო ტარიფები: დსთ – **წუთი 10 თეთრიდან,** ევროპა, აზია, ამერიკა – **15 თეთრიდან;**
- SMS – **3 თეთრი;**
- ანგარიშის შევსება მარტივად – მონო-ბარათით ან გადარიცხვით;

მომსახურების პირობებში სიახლე!

- გამავალი ზარი არ გაგეთიშებათ ბოლო გადახდიდან 1 წლის განმავლობაში, თანხის ამოწურვამდე! ასევე, 1 წლის განმავლობაში გარანტირებული გექნებათ შემომავალი ზარი.

ქსელში ჩართვის ღირებულებაა 60 ლარი, აქედან 10 ლარი დაბრუნდებათ ანგარიშზე.

დაინტერესდით?
მოგრძანდით მაგთიქოფის მომსახურების ნებისმიერ ოფისში ან

დაგვიკავშირდით 890 500 500-ზე

და მაგთი ფიქსის ტელეფონს ადგილზე მოგართვეთ!

www.magtifix.ge

№31 (477)
30 ივლისი –
5 აგვისტო, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები
ათიანში გავარტყი და... „მომეწიეთ ყველა უკან!“ 5
■ ქვეყანა
იმედისმომცემი ვიზიტი, ოპონენტების ორაზროვანი მოგზაურობა რეგიონებში და ქუთაისის საპარლამენტო პერსპექტივა 6
■ კულისები
„ვიცე-პრეზიდენტმა ხალხური სიმღერის მრავალფეროვნება ბოლომდე ვერ შეიგრძნო“ 8
■ ტრაგედია
ავტოკატასტროფა, რომელმაც ოთხი ჟურნალისტის სიცოცხლე შეიწირა 10
■ სეპარატიზმი
სერგეი შამბა: „ნუ დაგვტოვებთ რუსეთთან მარტო“... 12
■ გვიმრავლოს!
ნიკა არაბიძე შვილმა და სიდედრმა საძინებლიდან „გამოაგდეს“ 14
■ ასპარეზი
კახა კალაძის დიდი სიხარული და ნურსულთან ნაზარბაევის ბიზნესპარტნიორის განუხორციელებელი გეგმა 15
■ ვარსკვლავის მეგობარი
ვისთან ერთად გაატარა დრო სამშობლოში ეკვსი დღით ჩამოსულმა ქეთა თოფურიამ 16
■ დაიჯესტი 18
■ ფსიქოპორტრეტი
შორენა ბეგაშვილი: „ზოგიერთი იმიტომ ვერ მიტანს, მისი ქმარი ან შეყვარებული რომ მიყურებს ტელევიზორში“... 19
■ ანტიდეპრესანტი 20
■ მსანიობი
რას უწუნებს ვანიკო თარხნიშვილი ნიკოლ კიდმანს 22
■ არდადეგები
ნინო ჩხეიძე დეპრესიას პარიზში იქარვებს 24
■ პოეზი
„ბავშვობიდან ფიქრებში 4 შვილი მყავდა“... 26

ახლობლისთვის მოწყობილი ოინი

ფეხაქნილები

მე ყარგი ხელოვანი მაქვს. მღერის, მაგრამ ყარგი!

მინიროლანი

39

რას უწუნებს ვანიკო თარხნიშვილი ნიკოლ კიდმანს

— შენი გმირი ვვარად ბურჯანაძე რატომ არის?

— უბრალოდ, ასეთი ვვარი აქვს. ცნობისათვის, ნინო ბურჯანაძეს არ ვბაძავ. მაყურებელმა შეიძლება, დოდო მას მიამსგავსოს, მაგრამ მერწმუნეთ, ქალბატონი ნინოს პაროდიას ნამდვილად არ ვაკეთებ.

22

„მარტოობა იმდენად მომწონს, ძეუნია, არ შემიყვარდეს“



„წყალი მიყვარს ძალიან. აჭარაში აუცილებლად წავალ, მაგრამ ბათუმში — არა. ახლა მთელი თბილისი იქ არის, მე წყნარად დასვენება მჭირდება“.

28

— რა, რამე იცი? — შეეიქრიანდა ნოდარი.

— არა, მაგრამ ვსვდები! ახლა ყოველი ახალი ნაბიჯი, კიდევ რაიმე სვოდკის აღებაც კი ძალიან აპასნია...

ნოდარი დაბაბული მისჩერებოდა. გადმოქაჩულ თვალებში ძლიერი შეშფოთება და უკვე შიშიც გამოჩნდა.

— რა, შენ ფიქრობ...

გივიმ გააწყვეტინა:

— მე არაფერსაც არ ვფიქრობ! ახლა შენ იფიქრე! კარგად მოხარშე! ფიქრამდე და მოხარშვამდე კი ეგრევე დაამუსრუჭე! თითი აღარ გაატოკო!

74

■ ერუდიტი
„მარტოობა იმდენად მომწონს, მეშინია, არ შემიყვარდეს“ 28
■ შეჩერებული წამი
თოვლისგან მომზადებული კოქტეილი და დაუვიწყარი ნახტომი 30
■ მეომარი
„ომში ბრძოლა ქალიან უმადური საქმეა...“ 31
■ ნამდვილი ამბავი
ყავა — ქვიშაზე, მკითხაობა — აჭარულად 33
■ მოზაიკა 34
■ ჯანმრთელობა
✓ ვაქცინაცია (ასრეები) ეგზოტიკურ ქვეყნებში სამოგზაუროდ წასვლის წინ 36
✓ როგორ გავიშროთ სწორად თმა 37
■ ქურნალი ქურნალში
✓ ცხოვრება 39
✓ გზავნილები 55
■ მოგზაურის დღიური
რეპორტაჟი „სამშობლოს წარსულიდან“ 71
■ რომანი
ვაჟა გიგაშვილი. ერთი ვინმე ყაფლანიშვილი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ 10 მიზეზი, რომლის გამოც მამაკაცები ტოვებენ ქალებს 80
✓ ისწავლეთ სიხარულის განცდა 81
■ სასიყვარულო რომანი
სვეტა კვარაცხელია. წითელი ფეხსაცმელი (გაგრძელება) 82
■ საგანძური
გვირგვინოსანი ექიმები 86
■ ვარსკვლავები 88
■ შემოქმედი
კომპოზიტორის პირველი წარმატება, „დიდი ჯარიმა“ და სამების ზარების შექმნის საიდუმლო 90
■ თინეიჯერული პონტები
✓ მზე, ზღვა, მაგარი „ზაგარი“ და ჩაწოლილი „ტავარი“ 92
✓ აზარტული თამაში, მოგებული ლარები და „მოტეხილი“ ფული 93
■ ბელადი
შეხვედრები სტალინთან 99
■ ტაძარი
ქართული ეკლესია სულიერებით ათონის მთიდან საზრდოობდა 98
■ უშიშროების არქივიდან
დოქში დამალული ბომბი და გასული საუკუნის არშემდგარი ტერაქტი 100
■ ავტო 103
■ სპანფორდი 104
■ ასტროლოგია 105
■ პროექტი
კიდევ ერთი ლამაზი საღამო — ოცდაათ წელს გადაცილებული წარმატებული ლამაზმანებისთვის 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

პოეტი ქალის პარადოქსებით სავსე ცხოვრება

„ყველას მადლობას ვუხდი, ვინც პატივი დამდო, რომ მათი სიმღერებისთვის ლექსები დამეწერა. მეცინება ხოლმე, როცა „კამათობენ“ — ყველაზე მეტი სიმღერა ჩემთან გაქვს „ტაკეთებულიო“. თითოეულ მათგანს ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს“.

26

„ზოგიერთი იმიტომ ვერ მიტანს, მისი ქმარი ან შეყვარებული რომ მიყურებს ტელევიზორში“

„ჰგონიათ, ისეთი ცხოვრებით ვცხოვრობ, როგორითაც „კუკი“. არადა, ეს სახელი საშინლად მაღიზიანებს და არც მისი ცხოვრებით ვცხოვრობ“.

19

სამების ზარების შექმნის საიდუმლო

„ზარი შეიძლება, 12 ტონამდე იწონიდეს. სამების ზარებიდან ყველაზე დიდი, 8 ტონა და 25 კილოგრამია. ტაძარში ჩემი ტექნოლოგიით ჩამოსხმული 9 ზარი ჩამოიკიდა, რადგან სამგალობლო ჰარმონია 9 ბგერისგან შედგება“.

90

წითელი ფეხსაცმელი

— მინდა, აქედან ჩემთან წავიდეთ. რაღაცაზე უნდა მოვილაპარაკოთ.

ნიამ შუბლი შეჭმუხნა და გრძელი, თხელი თითებით მკერდი შეისწორა, ზედმეტად რომ ამობურცოდა კაბის ჭრილიდან.

— რაზე უნდა მოვილაპარაკოთ?

— აქ შესაფერისი არც დროა და არც ადგილი, — მის ხმაში შებოჭილობა იგრძნობოდა.

82

ათიანში გავარტყი და... „მომეწიეთ ყველა უკან!"

შესავლის ნაცვლად ათიანში გავარტყი — წინა „პროვოკაციაში" ვწერდი, ჩვენი ხელისუფლება აშკარად აზრზეა მოსული და, ბუშისგან განსხვავებით, ბაიდენს „კინტაურს" არ უცეკვებს-მეთქი. ასე აგისრულდეთ ყველაფერი კარგი — ბაიდენმა კონცერტის მსვლელობისას ერთი-ორი „ცივილიზებული" ტაში დაუკრა და არც კონცერტის მერე დაუწყია ბუშივით კურტუმოს ქნევა (ხომ გახსოვთ, ცოლმა ძლივს რომ გაიყვანა სცენიდან). სამაგიეროდ, პარლამენტში შეხვედრისას უქნია, ოღონდ — თითი და ოღონდ — რუსეთს: ამათ თავი დაანებე, ჩვენი ძმაკაცები არიანო!.. თუმცა ის აღარ უთქვამს, თუ არ დაგვიჯერებთ, ამას და ამას ვიზამთო. კიდევ, ოპოზიციას დაუტოვა „მესიჯი" — ეს ბიჭი გვჭირდება და სანამ ჩვენ არ გეტყვით, ბუზსაც ვერ აუფრენთო.

ისე, ეს „მესიჯი" მაგრად შემოვიდა ჩვენს არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ყოველდღიურ ლექსიკონშიც და, მე როგორც ვიცი, „შეტყობინებას", „დანაბარებს" ნიშნავს. ე.ი. რადგან ზემოთქმული სიტყვები ბაიდენმა პრეზიდენტის დედასა და ბებიას უთხრა, და თუ ეს იყო „დანაბარები" ოპოზიციისთვის (როგორც ამას სიხარულისგან აჭყლოპინებული ხელისუფლების მეხოტბე პრესა წერდა), მაშინ ასე უნდა წარმოვიდგინოთ: პრეზიდენტის დედა ან ბებია ურეკავს, მაგალითად — შალვა ნათელაშვილს და ეუბნება: „იმ კაცმა დაიბარა, 2013 წლამდე ხელი არ ახლოთ ჩემს ბიჭს, თორემ მიწაში ჩაგდებთ! რა არის, ბოლოს და ბოლოს, სად გაიზარდეთ, თქვენი შიშით ბავშვი ეზოში ვერ უნდა გავუშვა?! თქვენ ჩემი შვილი უპატრონო ხომ არ გგონიათ?! იცოდე, უკანასკნელად გაფრთხილებ, თორემ დავურეკავ შენს პატრონს მოსკოვში და ყველაფერს მოვახსენებ!"

არადა, ის პატიოსანი კაცი ოპოზიციის ლიდერებსაც შეხვდა და, როგორც ეს უკანასკნელნი ირწმუნებიან, მსგავსი არაფერი წამოსცდენია, მაგრამ — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო — იმ შეხვედრის შემდეგ ხელისუფლების კრიტიკამაც იკლო და დასასვენებლად წასვლაც და „რეგიონებში გასვლაც" მთელ ოპოზიციას ერთად მოუნდა...

დასვენებაზე გამახსენდა — ქობულეთში გახლდით ორი დღის წინ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენნაირი ქვეყანა და მათ შორის, საზღვაო კურორტები, მსოფლიოში არსად არის: „კოიკა" სამჯერ ძვირი ღირს, ვიდრე სასტუმროს ნომერი თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა კურორტზე და ორჯერ ძვირი, ვიდრე ბულგარეთის „ოქროს ქვიშებზე"; ყავის სომხური სუროგატისგან დამზადებული ერთი ფინჯანი სასმელიც — ორჯერ ძვირი და მოხარშულ სიმინდს ხომ საერთოდ ვერ იშოვი საქართველოს ფარგლებს გარეთ! ჰო, კიდევ, სომხები არიან ბევრნი, ოღონდ უკვე არა ტურისტები, არამედ ბოლო ორი წლის მანძილზე „გაჩვენებურებულები", ხოლო მათი სახლების ყოფილი პატრონები მოჯამაგირეებად ჰყავთ...

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტმა ისე შეავსო მთელი ქართული საინფორმაციო სივრცე, რომ „წვრილწვრილი" ამბები თითქმის შეუმჩნეველი დარჩა საზოგადოებას. მაგალითად, „უდროოდ წავიდა" თანამდებობიდან პირველი არხის შეფი, პირდაპირ რომ ვთქვათ — გაიპარა! ახლა დიდი ამბავია ატეხილი ახალი სამეურვეო საბჭოსა (გაორმაგებული რაოდენობით) და ახალი დირექტორის დანიშვნაზე, მაგრამ ძველზე ხმას არ იღებენ, ვითომ არც ყოფილა — გადადგა თუ გადააყენეს, იჭერენ თუ აჯილდოებენ, ნერვიულობს თუ კიდია... რამე ხომ უნდა ითქვას?! თქვენც არ მომიკვდეთ — ისეთი ფაციფუცია ატეხილი, ვითომ ახლა იქმნება „საზოგადოებრივი არხი"... არადა, რაღაცა უნდა ეშველოს ამ ჩვენს ტელესივრცეს, რამეს ხომ უნდა ვუყუროთ საღამოობით?!

ეს „უცნობიც" რომ ჩარჩა იმ კარლოვი-ვარში?!. ალბათ მაგარი „პონტი ააგდო"... მის „კარცერ-ლუქსში" კი ვისაც არ ეზარება, მიდის და ათას სისულელეს ლაპარაკობს; ხანდახან ავიწყდებათ, რომელი მხარის „მოედანზე" არიან და ოპოზიციის „ბოსტანშიც ისვრიან ქვას", არა — პატარა კენჭს; მაგრამ მაშინვე აწკრიალდება ხოლმე ზარი და იქვე, პირდაპირ ეთერში, „ფაქტობრივად არჩეული პრეზიდენტი" ისევ „სწორ" კალაპოტში დააბრუნებს ხოლმე დარცხვენილ, ახალგამომცხვარ „წამყვანებს" და თანაც ჰპირდება, — ჩემი ძმა მალე ჩამოვაო...

მეც მაგის იმედი მაქვს, ჩამოვა და დაიკავებს თავის ადგილს; ჯანზე უნდა იყოს, რადგან მაგის „გაფუფლოების" ვარიანტი არ არსებობს და რადგან „ამათ" წასვლამდე აპირებს ჯდომას, ისეთი პირი უჩანს, კარგა ხანს მოუწევს...

P.S. პირველი არხის „უსტაბაშის" „ბოლო სიტყვის" უთქმელად წასვლაზე (თუ გაშვებაზე თუ გაპარვაზე) ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა:

გურული დასახვრეტად გაჰყავთ (ხომ გითხარით, ძველი ანეკდოტია-მეთქი: სიკვდილით დასჯა გაუქმებულია) და ეკითხებიან, ბოლო სურვილი რა გექნებაო? არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

— მომეწიეთ ყველა უკან!

პროვოკატორი

იმედისმომცემი ვიზიტი, ოპონენტების ორაზროვანი მოგზაურობა რეგიონებში და ქუთაისის საპარლამენტო პერსპექტივა

გასული კვირის განმავლობაში ოპოზიციური პარტიისა და სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებმა საზაფხულო სეზონისთვის უჩვეულო აქტიურობით გამოიჩინეს თავი. ხელისუფლებამ ახალი ინიციატივებით, ოპოზიციამ კი გადახალისებული გეგმებით მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ქართველებს არც აფხაზეთში სეპარატისტებსა და რუს ოკუპანტებს შორის მომხდარი ინციდენტები გამოგვრჩენია და არც დმიტრი მედვედევის ცხინვალში სტუმრობა. და მაინც, მოქალაქეთა უმრავლესობისთვის, კვირის უმნიშვნელოვანეს მოვლენად, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი აღმოჩნდა.

ხელისუფლებამ უფრო კარგად განსაზღვრა, თუ როგორ წარიმართებოდა პროცესები

ხათუნა ბახტურიძე

ანა ნამჩევაძე:

— ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ბაიდენის საქართველოში ჩამოსვლა იყო. მან ოპოზიციას მიანიშნა, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ რევოლუცია არ უნდა მოაწყონ, მაგრამ მიშასაც მიუთითა, რომ უფრო კარგი პრეზიდენტი უნდა გახდეს. ჩემთვის ისიც ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანა გადაწყდა. როგორც ქუთაისელს, ეს ამბავი ძალიან გამიხარდა, იმიტომ, რომ ჩემი ქალაქი გამოცოცხლდება და მეტი ხალხი დასაქმდება.

ეკა ასათიანი:

— კვირის კი არა, ალბათ თვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაც, ჯონ ბაიდენის ვიზიტი იყო. დიდი სიმპათიებით განვეწყვე ამ ადამიანის მიმართ. ძალიან საინტერესო და ტკივილით სავსე ცხოვრება ჰქონია განვლილი; ალბათ ამიტომაც გაიზიარა ქართველი დევნილი ბავშვების ტკივილი... გარდა ამისა, მან უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური განცხადებები გააკეთა. ჩემთვის ყველაზე გამორჩეული, მის მიერ მედიასთან და დემოკრატიულ პროცესებთან დაკავშირებული მინიშნებები იყო. ასევე დიდი იმედი მომცა იმ ფაქტმა, რომ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა არაორაზროვნად დაუჭირა მხარი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. როგორც ჩანს, ამ ამბავმა ძალიან შეაშფოთა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება, თუმცა ვფიქრობ, ბაიდენისადმი წერილის მიწერა, მათ მოსკოვმა აიძულა.

გია ვაჯაჯანიძე:

— ყველაზე მნიშვნელოვანი, ჯო ბაიდენის ვიზიტი იყო. გამიჩნდა იმედი, რომ რაღაც გვეშველება. რატომღაც მგონია, რომ ამ ვიზიტის სასიკეთო შედეგს სექტემბრის ბოლომდე ვიხილავთ.

მაია ბარათაშვილი:

— როგორც მუსიკოსისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ის იყო, რომ ბათუმში ძალიან კარგი, საინტერესო ჯაზფესტივალი ჩატარდა. როგორც მოქალაქე, ჩვენს ქვეყანაში ბაიდენის ჩამოსვლამ გამახარა.

ნინა წკრიალაშვილი:

— ბაიდენის ჩამოსვლაზე მნიშვნელოვანი რა უნდა ყოფილიყო?! ახლა ზუსტად ვიცი, რომ ომი აღარ იქნება და ქვეყანა წინ წავა.

ზალიკო ბერგერი:

— მნიშვნელოვანი იყო ბაიდენის ვიზიტი. მივხვდი, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენს სასარგებლოდ რაღაც შეიცვალა. ისე, ისიც მნიშვნელოვანი იყო, რომ გასულ კვირას ჟურნალისტებისთვის მოდების ჩვენება მოვაწყვე.

მაკა შალიკაშვილი:

— ჯო ბაიდენის ჩამოსვლა ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ვფიქრობ, ეს ფაქტი სასიკეთოდ წაგვადგება და ქვეყანაში სიტუაცია დაწყნარდება. აქამდე ომის გამუდმებული შიში მქონდა, ახლა მშვიდად ვარ.

გიორგი არველაძე:

— ვფიქრობ, ბაიდენის მიერ საქართველოსადმი გამოხატული მხარდაჭერა ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავია. მან რუსებს აშკარად მიანიშნა, რომ ჩვენგან თავი შორს უნდა დაიჭირონ.

დათო კაცაძე:

— ძალიან გამიხარდა, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია რეგიონებში ერთად გავიდნენ. კახა შარტავასა და კუბლაშვილის ერთად დანახვამ ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი. როგორც ჩანს, „ეროვნულმა ფორუმმა“ თავისი სახე გამოაჩინა.

ირაკლი ცირეკიძე:

— ყველაზე მეტად იმან გამახარა, რომ პარლამენტს ქუთაისში გადაიტანენ. ალბათ ახლა, გზებსაც გააკეთებენ და ქალაქსაც გაალამაზებენ.

ბეჟა ჭოლოკავა:

— ძალიან გამაოცა ხელისუფლებისა და ოპოზიციის რეგიონებში ერთად გასვლის ფაქტმა. ახლაც იტყვიან, ერთმანეთთან „შეკრულები“ არ ვართო?..

გოგი ბასილაშვილი:

— ვფიქრობ, მედვედევის ცხინვალში სტუმრობა სახუმარო ამბავი არ არის...

თამარ ლოგუანიძე:

— შეშფოთებული ვარ იმით, რაც აფხაზეთში ხდება. მართალია, აფხაზები ძალიან ცუდად მოგვექცნენ, მაგრამ მაინც ვწუხვარ იმის გამო, რომ ახლა მათ რუსები ავიწროებენ და საკუთარ მიწაზე ადამიანურ უფლებებს ულახავენ.

მომხდარი ფაქტებისა და საზოგადოების მიერ გამოთქმული აზრების შეფასება ექსპერტ-პოლიტოლოგ ***ანდრო ბარნოვს*** *ვთხოვეთ.*

— ბატონო ანდრო, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ქართველების იმედიანი მოლოდინი, რომელიც მათ ბაიდენის ვიზიტს შემდეგ გაუჩნდათ?

— სრულიად გამართლებულად მიმაჩნია და მეც ვფიქრობ, რომ ბაიდენის ვიზიტი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამ ვიზიტით, ბევრ კითხვაზე პასუხი მარტო ჩვენ კი არა, რუსეთმაც მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ბარაკ ობამამ მოსკოვში ვიზიტის დროს სამჯერ ახსენა საქართველო და მასთან დაკავშირებული პრობლემა, რუსებს მაინც ჰქონდათ იმედი, რომ ვაშინგტონი საქართველოს გამო მათთან ურთიერთობას არ გაიფუჭებდა. ახლა ყველასთვის ცხადია, რომ აშშ თავის სტრატეგიულ პარტნიორებს მარტო არ ტოვებს. ხალხს ახალი ომის შიში გაუქრა და იმედი მიეცა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძლიერი ქვეყანა არსებული პრობლემების დაძლევაში დაგვეხმარება. მართალია, ჯერ-ჯერობით კონკრეტული გეგმებისა და პროექტების შესახებ არაფერი ვიცით, მა-

გრამ დარწმუნებული ვარ, ამერიკასთან თანამშრომლობის კონკრეტულ შედეგებს უახლოეს მომავალში ვიხილავთ. ჩემი აზრით, ეს აისახება არა მარტო ქვეყნის უსაფრთხოებაზე, არამედ ეკონომიკაზეც. შეგახსენებთ, რომ ბაიდენმა ხაზგასმით განაცხადა: ეკონომიკური განვითარება სწორედ ის გასაღებია, რომლის საშუალებითაც სხვა პრობლემებიც მოგვარდებაო.

— ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბაიდენის ვიზიტი დადებითად შეაფასეს. გარდა ამისა, ორივე მხარემ მიიჩნია, რომ ვიცე-პრეზიდენტმა მათი მხარდამჭერი განცხადებები გააკეთა. ეს ფაქტი ბაიდენის დიპლომატიური ნიჭითაა განპირობებული თუ საქართველოში პოლიტიკური ღირებულებების გადაფასება მოხდა?

— ვერ გეტყვით, ვინ რამდენად გულწრფელი იყო, როდესაც ბაიდენის განცხადებებს საკუთარ მხარდაჭერად ასაღებდა, მაგრამ წესით, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის მიერ საქართველოში გამოთქმული შეხედულებები ხელისუფლებისა და ოპოზიციისთვის ერთნაირად მისაღები უნდა იყოს. ორივე მხარემ უნდა გაითვალისწინოს მისი რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმებში კონკრეტული კორექტივები შეიტანოს. ბაიდენის განცხადებებში აშკარად გამოიკვეთა ის, რომ ვაშინგტონი ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლას მხარს არ დაუჭერს (რაც, ჩემი აზრით, ძალიან კარგია), მაგრამ ამავე დროს, აუცილებლობად მიიჩნევს დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებას. ჩემი აზრით, ამ ვიზიტის შედეგი, სხვა თუ არაფერი, ის მაინც იქნება, რომ ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი გაცილებით თანამიმდევრული გახდება და მხარეები ეცდებიან, უფრო ჯანსაღი კონკურენციის პირობებში იმოქმედონ.

— თქვენი აზრით, ხელისუფლება და ოპოზიცია რეალურად, შეძლებენ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებას?

— ჩემი აზრით, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ხელისუფლებამ უფრო კარგად განსაზღვრა, თუ როგორ წარიმართებოდა პროცესები, როგორი იქნებოდა ამერიკის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში და წინასწარვე შეძლო, სწორი არჩევანის გაკეთება. შეგახსენებთ, რომ ხელისუფლებამ ბაიდენის ვიზიტამდე რამდენიმე ხნით ადრე შესთავაზა ოპოზიციას გარკვეული წინადადებები...

— მაშინ ოპოზიციამ განაცხადა, რომ ხელისუფლება დიალოგზე მხოლოდ ფორმალურად მოდიოდა და რეალურად არაფერს აკეთებდა...

— ოპოზიციის ეს პრეტენზიები აბსოლუტურად გასაგები და ობიექტური იყო, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები ხედავდნენ, რომ ხელისუფლება პოლიტიკური პროცესების ნორმალურად წარმართვისთვის რაღაცას მაინც აკეთებდა. ვფიქრობ, ახლა ის იძულებული გახდება, შემოთავაზებულ ინიციატივებს კონკრეტული ნაბიჯებიც მოაყოლოს. ისე, მე თუ მკითხავთ, ამ მხრივ ძალიან ბევრი რამ ოპოზიციონერ ლიდერებზეც არის დამოკიდებული. მათ შეუძლიათ, თანამიმდევრული და აზრიანი პოლიტიკით, ხელისუფლებას კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა აიძულონ. ქუჩაში მოწყობილი, სრულიად უმიზნო საპროტესტო აქციებითა და არაადეკვატური მოთხოვნით — გადადგეს საკაშვილი! — საკუთარი თავის დისკრედიტაციის გარდა, ვერაფერს მიაღწევენ. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო დროს ოპოზიციამ გარკვეულწილად შეცვალა ბრძოლის მეთოდები და უფრო კონკრეტული და ლოგიკური მოთხოვნების წამოყენება დაიწყო. იმედია, წარსულში დაშვებულ შეცდომებს კარგად გააანალიზებენ და ადგილობრივი არჩევნებისთვის უფრო კარგად მოემზადებიან.

— თქვენი აზრით, ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვების შანსი რომელ პოლიტიკურ ძალას აქვს?

— ბოლო თვეებში მომხდარი მოვლენებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი ალასანიას გუნდი ყველაზე კონსტრუქციული და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებით არის დაკომპლექტებული.

— მაგრამ ალასანია საზოგადოების ფართო წრეებში არცთუ ისე პოპულარულია...

— ეს იმიტომ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გაურკვევლობაში იმყოფება. მართალია, ჩვენ ვცდილობთ, ტოტალიტარული წარსულიდან გამოვიდეთ და ახალ, ცივილიზებულ სამყაროში შევაბიჯოთ, მაგრამ ჯერჯერობით კარგად არ გვაქვს გაცნობიერებული, ეს როგორ უნდა მოვახერხოთ. რატომღაც გვგონია, რომ მიზნის მიღწევა დედის გინებით, ჩხუბითა და პროვოკაციებით უფრო ადვილია. ვიდრე საზოგადოება არ მივა იმ დასკვნამდე, რომ აგრესიული მოქმედებებიდან ცივილიზებულ მეთოდებსა და რეალური მიზნებისთვის გამართულ დისკუსიებზე უნდა გადავიდეთ, პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ. ამაზე გასული 3 თვეც ნათლად მეტყველებს. იმედი მაქვს, ხალხი მიხვდება, რომ უმიზნო და უმისამართო აგრესია პოლიტიკურ პროცესებში არაფრის მომტანია და იმ პოლიტიკურ გაერთიანებას გაჰყვება, რომელიც ხალხის ძალის გამოყენებას კონკრეტული, ქვეყნისთვის სასიკეთო მიზნებისთვის შეძლებს.

— საზოგადოების ერთ ნაწილს თვალში ძალიან ცუდად მოხვდა რეგიონებში „ეროვნული ფორუმისა“ და სახელისუფლებო გუნდის წევრთა ერთობლივად გასვლა. ამ ფაქტს თქვენ როგორ შეაფასებთ?

— სხვათა შორის, სულ მავიწყდება იმის აღნიშვნა, რომ ალასანიას გუნდთან ერთად, „ეროვნული ფორუმი“ ერთ-ერთი ყველაზე რეალისტური, მოქმედი ჯგუფია და ოპოზიციის დიდი ნაწილისგან მკვეთრად გამოირჩევა. საეჭვოს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ „ფორუმელები“ რეგიონებში სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებთან ერთად გავიდნენ. პირიქით — ვფიქრობ, მათი ეს ნაბიჯი ხალხს კონკრეტულ, სასიკეთო ცვლილებებს მოუტანს.

— გასული კვირის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად, ქუთაისში პარლამენტის გადატანა მოგვევლინა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ იდეის განხორციელება, მით უმეტეს, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, გაუმართლებელია?

— რა თქმა უნდა, ამ იდეის განხორციელება საკმაოდ დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ პრობლემა მარტო ეს არ არის. ჩემი აზრით, პარლამენტი უნდა მუშაობდეს იქ, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის მეტი საშუალება ექნება, იმიტომ, რომ ამ ორგანოს მაკონტროლებელი ფუნქცია აქვს. მესმის, რომ ქუთაისი უნდა განვითარდეს და ერთ-ერთ დიდ ცენტრად იქცეს, მაგრამ აჯობებდა, ამ ქალაქისთვის ცოტა სხვაგვარი ფუნქცია გამოენახათ.

■

ბოლო დროს ოპოზიციამ გარკვეულწილად შეცვალა ბრძოლის მეთოდები

„ვიცე-პრეზიდენტმა ხალხური სიმღერის მრავალფეროვნება ბოლომდე ვერ შეიგრძნო“

საქართველოში ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის — ჯოზეფ ბაიდენის პატივსაცემად გამართული ემოციური კონცერტის შემდეგ, ერთ-ერთ მონაწილეს, ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელს და საქართველოს ფოლკლორული ცენტრის დირექტორს — გიორგი უშიკიშვილს ვესაუბრეთ. გიორგი ამერიკიდან მოვლენილი სტუმრების „სტაჟიანი მასპინძელი“ გახლავთ: ის რამდენიმე წლის წინ, ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტისას გამართულ კონცერტშიც მონაწილეობდა.

ეთო ყორღანაშვილი

— ანსამბლი „ლაშარი“ 12 წევრისგან შედგება, მაგრამ 4 მათგანი თბილისში არ იმყოფებოდა. ამიტომაც, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის პატივსაცემად გამართულ კონცერტზე 8-კაციანი შემადგენლობით ვიმღერეთ. ეს სავსებით ნორმალურია, რადგან ასეთი შემადგენლობით უცხოეთშიც ხშირად ვმოგზაურობთ — ფინანსების ნაკლებობის გამო.

— თქვენთვის ამ კონცერტში მონაწილეობა რამდენად საპასუხისმგებლო იყო?

— საერთოდ, ჩვენთვის სიმღერა ყოველთვის საპასუხისმგებლოა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ღირსეულ სტუმარს ქართული ხალხური სიმღერის უნიკალური ნიმუშები — კახური და მეგრული სიმღერები წარვუდგინეთ. ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის თვალსაზრისით, სამწუხაროდ, ვიცე-პრეზიდენტმა ქართული ხალხური სიმღერის მრავალფეროვნება ბოლომდე ვერ შეიგრძნო.

— ამის გამო გული დაგწყდათ?

— პირიქით, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ორგანიზატორები შეეცადნენ, რომ იმ ნახევარ საათში მაქსიმუმი მოგვესწრო. კონცერტი ჟანრობრივად მრავალფეროვანი იყო და ჯოზეფ ბაიდენს საქართველოზე გარკვეული წარმოდგენა აუცილებლად შეექმნებოდა, რა თქმა უნდა — დადებითი. მისი აღფრთოვანებული სახე არასოდეს დამავიწყდება... აშკარაა, ბატონი ჯოზეფი ჩვენი ქვეყნის მიმართ დადებითადაა განწყობილი, ხოლო კონცერტის წყალობით საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქართველო ძირძველი კულტურის მქონე ქვეყანაა, სადაც ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს.

— ამერიკის ვიცე-პრეზიდენტს პირადად თუ ესაუბრეთ?

— კონცერტში ბევრი შემოქმედი მონაწილეობდა. ის, ძირითადად, ბავშვებს ესაუბრა. ჩვენ, ცოტა არ იყოს, შორს ვიყავით და მასთან გასაუბრება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ისიც დიდ პატივად მიგვაჩნია, რომ მან ჩვენს სიმღერას მოუსმინა.

— ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის სასახლეზე რისი თქმა შეგიძლიათ?

— ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტს ასეთი კარგი რეზიდენცია ჰქონდეს. მთავარი ისაა, რომ ქვეყანაში მხოლოდ რეზიდენცია არ შენდება, საქართველო განვითარების გზით მიდის... სიმართლე გითხრათ, სასახლის შენობაში არ შევსულვარ — ეზოში ვიყავი.

— თქვენი აზრით, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტს საქართველოსთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა?

— პოლიტიკური განცხადება არასოდეს გამიკეთებია, მაგრამ როგორც მოქალაქე, აღვნიშნავ: მგონი, ის ნეგატიური ვარაუდი, რომ თითქოს, ამერიკამ საქართველო მიატოვა, გაქრა. ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტმა და მისმა გულწრფელობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პარლამენტის სხდომათა დარბაზში ბაიდენის გამოსვლას თვალყურს ვადევნებდი და სიმართლე გითხრათ, მისი დადებითი ემოცია ჩემზეც გადმოვიდა. უცხოეთიდან მეგობრები მირეკავდნენ, რომლებიც უბრალოდ, ტიროდნენ. იცით, როგორ სიტუაციაში ვართ? — ვცდილობთ, სახლში კოკით წყალი მივიტანოთ, მაგრამ გზაზე მეზობელი გვხვდება, ქვებს გვესვრის და კოკას გვიმსხვრევს — წყალს გვაღვრევინებს.... სამწუხაროდ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ქართველი ხალხის ფსიქოლოგიურად გატეხას და საინფორმაციო ომის საშუალებით საზოგადოების მოტყუებას ცდილობს, მაგრამ ჩვენი ერი მრავალი საუკუნის მანძილზე მოდის, ბევრი ბრძოლა გადაგვიტანია, უამრავ სირთულეს შევჭიდებივართ, დღეს კი ქართული ლექსი თუ სიმღერა ისევ არსებობს და რაც მთავარია, ჩვენი ქართველობით ვამაყობთ. ასეთ მძიმე პერიოდში ჩვენი ერისთვის ბაიდენის სტუმრობა სერიოზული გამხნევებაა. გარკვეულწილად, საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო.

— რამდენიმე წლის წინ, ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშის საქართველოში სტუმრობისას, მის პატივსაცემად გამართულ კონცერტშიც მონაწილეობდით. მაშინაც ასე დადებითად იყავით განწყობილი?

— მაშინ ლიზა ბაგრატიონთან ერთად, დუეტში შევასრულე სიმღერა და კონცერტზე ასევე, ჩემი ანსამბლიც იყო. ასეთი დონის სტუმრებისთვის სიმღერა და მათთვის ქართული კულტურის წარდგენა დიდი პატივია. განწყობილება-შეხედულებებს რაც შეეხება, ხშირად არ მეცვლება. ოპტიმისტი ვარ და ცვლილებების მიმართ — დადებითად განწყობილი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ხალხური შემოქმედების სასიკეთოდ, ბევრი კარგი რაღაც გაკეთდა. პრეზიდენტს და ხელისუფლებას ჭორებს რომ უგონებდნენ, ეს რა გასაკვირია?! მოწინააღმდეგეები ჩვენც კი გვყავს: მაგალითად, ხმის ჩამწერი მოძრავი სტუდია შევიძინეთ და ვიფიქრეთ, ამაში ნეგატიურს ვერავინ ვერაფერს აღმოაჩენდა, მაგრამ „აღმოაჩინეს“ — თურმე, როცა რეგიონებში ჩავდივართ და ჩანაწერებს ვაგროვებთ, მიკროფონებით ხალხს ვაშინებთ (*იღიმება*)... მიმაჩნია, რომ ქვეყანაში ბევრი კარგი რამ გაკეთდა. ხელისუფლებისადმი ჩემს დამოკიდებულებას არ ვმალავ და საერთოდაც, ყველას აქვს უფლება, მხარი იმას დაუჭიროს, ვინც მოსწონს. მთავარია, ადამიანებს შორის სიძულვილი არ ჩამოვარდეს.

— ცოტა არ იყოს, სუბიექტური ხომ არ ხართ? ხალხური შემოქმედების სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯების გარდა, ქვეყანაში უამრავი პრობლემაც არსებობს.

— უბრალოდ, ჩემი საქმიანობა მაგალითად მოვიყვანე, თორემ სხვა მნიშვნელოვანი რაღაცებიც კეთდება. ბოლოს უკრაინაში, ექსპედიციაში ვიყავი და აღმოვაჩინე, რომ წესრიგის თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყანა ბევრად წინაა... ცუდის დანახვა იოლია, მაგრამ კარგის დანახვაც უნდა ვისწავლოთ — აქედან მოდის სიყვარული. თუ ერთმანეთს ჩავუსაფრდებით, ბევრ ცუდს რამეს აღმოვაჩენთ და ნეგატიური განწყობილება შეგვექმნება. ზოგადად, საზოგადოებას ვგულისხმობ და არა მხოლოდ ხელისუფლებას.

— წელან ჯოზეფ ბაიდენის გულწრფელობა ახსენეთ. თქვენზე განსაკუთრებულად რამ იმოქმედა?

— ყველაზე დიდ ტკივილთან — ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით მისმა მხარდაჭერამ. ■

"ალფასის" ფასდაკლებას, რეგიონიც უკვე 3 ფილიალიან ადმინისტრაციას, ჯერჯერობით მარაფლდება

ალფასის ბისნესკლუბი ჯანმრთელობაზე და ნებისმიერ სიმპტომზე!

MK

მარცხნიდან მარჯვნივ: დათო ავალიანი, გიორგი მგალობლიშვილი, ჯონი კუბლაშვილი, ნინო გიგაშვილი

26 ივლისის ღამით მომხდარმა ტრაგედიამ მთელი ქუთაისი აატირა და გააოგნა. დამოუკიდებელი ტელეკომპანია „რიონის“ ოთხი თანამშრომლის (რომელთაგან სამი თანაქალაქელებს ყოველდღიურად, ტელევიზორის ეკრანებიდან ესალმებოდა), გარდაცვალება ყველამ პირად ტრაგედიად აღიქვა: ნინო გიგაშვილი საკვირაო პროგრამის — „მთავარი იმერეთში“ და პროგრამა „პროფესიონალის“ რედაქტორი და წამყვანი იყო; ჯონი კუბლაშვილი — საინფორმაციო პროგრამების ჟურნალისტი, გიორგი მგალობლიშვილი კი საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბების“ წამყვანი გახლდათ. დავით ავალიანი მართალია, ეკრანზე არ ჩანდა, მაგრამ ტელეკომპანიის ყოველდღიურ ცხოვრებაში ისიც დიდ როლს თამაშობდა — იგი ოპერატორი იყო.

ავტოკატასტროფა, რომელმაც ოთხი ჟურნალისტის სიცოცხლე შეიწირა

ინგა ჯაყელი

ახალგაზრდებმა მძიმე სამუშაო კვირის შემდეგ რესტორანში ივახშმეს, სატელევიზიო სეზონის მშვიდობით(?!) დასრულებაც აღნიშნეს და დაახლოებით ღამის 12 საათისთვის შინ ბრუნდებოდნენ, „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომანქანით, რომლის საჭესაც ტელეკომპანიის კიდევ ერთი ჟურნალისტი — როენა კახიძე მართავდა, გვერდით კი მეუღლე, ასევე „რიონის“ თანამშრომელი ლევან მშვენიერაძე ეჯდა. როენა შედარებით მსუბუქად დაზიანდა, ლევანმა კი მძიმე ტრავმები მიიღო. თუმცა, საბედნიეროდ, ექიმების დროული ჩარევის შედეგად გადარჩა (მას ნეკნები აქვს დამსხვრეული და ასევე, თავის ქალაც — ტრავმირებული).

ისინი საკმაოდ დაბალი სიჩქარით მოძრაობდნენ და ამიტომაც, ადვილად შეამჩნიეს დიდი სიჩქარით მოძრავი BMW-ს ყველგანმავალი. სცადეს, მისთვის გზა დაეთმოთ, მაგრამ ვერ მოახერხეს. ყველაფერი წამებში მოხდა: ჯიპი შედარებით მსუბუქ მანქანას უკნიდან დაეჯახა, ჰაერში აისროლა, ოთხივე კარი გაიღო და ნინო გიგაშვილის გარდა, ყველანი გადმოცვივდნენ. ოთხივე დაღუპული გადმოვარდნამდე უკანა სავარძელზე იჯდა და ოთხივეს კისრის ფუძის მოტეხილობა აღენიშნებოდა. ნინო გიგაშვილი და დათო ავალიანი ადგილზევე გარდაიცვალნენ, გიორგი მგალობლიშვილი და ჯონი კუბლაშვილი კი — საავადმყოფოში. არც ერთი მათგანი გონზე არ მოსულა და ექიმების თქმით, ვერც მოასწრებდნენ იმის გააზრებას, თუ რა უბედურება დაატყდათ თავს.

ჯიპის მძღოლმა მანქანა მიატოვა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ის 27 ივლისს თავად ჩაჰბარდა პოლიციას — 31 წლის რევაზ ბადრის ძე ტყეშელაშვილი წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის მკვიდრია. მომხდარით თავადაც შოკირებულს, რა მიზეზიც უნდა ჰქონდეს თავის გასამართლებლად, მაინც მძიმე სასჯელი ელოდება კანონისა თუ უბრალო ადამიანური მორალის საფუძველზე.

ნინო გიგაშვილს მანქანების პანიკური შიში ჰქონდა და მარგო გზასაც არ გადაკვეთდა

გარდაცვლილთაგან არც ერთი არ იყო დაოჯახებული. მათ შორის, ყველაზე უფროსი ნინო გიგაშვილი გახლდათ (34 წლის), ჯონი კუბლაშვილი და დათო ავალიანი ტოლები იყვნენ — 30 წლისანი (დათოს 28 ივლისს უნდა შესრულებოდა 31 წელი და დაბადების დღეზე მეგობრები წინასწარ ჰყოლია დაპატიჟებული), ყველაზე უმცროსი გიორგი მგალობლიშვილი კი მხოლოდ 23 წლის იყო. იგი აფხაზეთიდან დევნილი ოჯახიდანაა. გიორგის მშობლიური კუთხე 7 წლის ასაკში დაუტოვებია და უკან დაბრუნება მისი ყველაზე დიდი ოცნება ყოფილა.

ტელეკომპანიაში მათზე ლაპარაკი

უჭირთ, ყველას ცრემლი ახრჩობს. „რიონის“ გენერალური დირექტორი — ქალბატონი **თამარ ღვინიანიძე** თითოეულს ისე დასტირის, როგორც საკუთარ შვილს: *„გამორჩეულები იყვნენ ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით. ტელეკომპანიას, არსებობის მანძილზე ბევრი მძიმე დღე ჰქონია, მაგრამ ამ სიმწარემ ყველაფერი გადაფარა. მარტო ტელეკომპანიამ კი არა, ქვეყანამ დაკარგა საუკეთესო შვილები. აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო როგორც ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოს, ასევე, დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული ცენტრის ექიმებს (განსაკუთრებით, კახა ნურალიძეს), რომლებმაც თავი არ დაზოგეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალგაზრდების გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა“.*

ხათუნა გედენიძე („რიონის“ ჟურნალისტი): *„თითოეულზე ბევრი კარგი რაღაცის თქმა შემიძლია, მაგრამ ახლა, ჯონის უცნაურობა მახსენდება: ყოველთვის მხიარული ბიჭი, ბოლო 2 თვე მოწყენილი დადიოდა და ისეთი სევდიანი თვალები ჰქონდა, ერთ კვირაში სამჯერ ვკითხე, — რამე ხომ არ გიჭირს, შენი დახმარება ხომ არ შემიძლია-მეთქი?!. უარის ნიშნად უსიტყვოდ აქნევდა თავს. ერთი თვის წინ ჭყონდიდის მამათა მონასტერში მთელი კვირა გაატარა და საოცრად ბედნიერი იყო, აღფრთოვანებულმა მითხრა, — თითქოს, აღარაფრის მეშინიაო!.. ცოტა ხნით ადრე მამაც ავარიაში დაეღუპა და მაშინ თქვა: ნახავთ, მეც იგივე თუ არ მელოდებაო! — ვეჩხუბეთ და ეს ამბავი აღარ უხსენებია“...*

მეგობრები იმასაც იხსენებენ, რომ ნინო გიგაშვილს მანქანების პანიკური შიში ჰქონდა და მარტო გზასაც არ გადაკვეთდა. ჰოდა, ახლა ამასაც წინათგრძნობას მიაწერენ. იმ ტრაგიკულ ღამეს კი თითქოს, ბედისწერამ უბიძგა სიკვდილთან შესახვედრად. საქმე ისაა, რომ რესტორნიდან წამოსულებმა ნინო პირველი მიიყვანეს შინ (ქუთაისში ის მარტო ცხოვრობდა, ოჯახის წევრები ბაღდათში ჰყავს). გადმოვიდა კიდევაც მანქანიდან, მაგრამ სადარბაზოსთან მისული მობრუნდა და ერთიანად აკანკალებული ისევ კოლეგებს შეუერთდა: შიშმა ამიტანა. ამაღამ მარტო ვერ გავჩერდები, მეგობართან დამტოვეთო! ავარია ამის შემდეგ სულ რაღაც, 15 წუთში მოხდა...

ნინო გიგაშვილი და ჯონი კუბლაშვილი კოლეგებთან ერთად

გარდაცვლილ ჟურნალისტებს შაბათს, 1-ელ აგვისტოს ქუთაისის „ხარების“ ტაძრიდან გამოასვენებენ. ყველა საეკლესიო რიტუალს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი მეუფე კალისტრატე ჩაატარებს. გარდაცვლილთა ოჯახებს მატერიალურად დაეხმარება როგორც ქუთაისის მერია, ასევე იმერეთის რეგიონის ხელმძღვანელობა.

P.S. *ქუთაისში ბოლო ათი დღეა, მზე არ გამოჩენილა — სულ წვიმდა. ახლა ამასაც სხვაგვარად ხსნიან ატირებული ქალაქელები: ახალგაზრდების ტრაგედიამ ბუნებაც აატირაო... ჟურნალ „გზისა“ და მედიასახლ „კვირის პალიტრის“ სახელით თანაგრძნობას ვუცხადებთ გარდაცვლილი კოლეგების ახლობლებს. ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს მათი სულები...*

სერგეი შამბა: „ნუ დაგვტოვებთ რუსეთთან მარტო“...

პოლიტიკაში მუდმივი მტრები და მეგობრები რომ არ არსებობენ, ამაში არაერთხელ დავრწმუნდით და ამ აზრის ჭეშმარიტებას კაცობრიობა კიდევ ბევრჯერ აღიარებს... როცა აფხაზეთის კონფლიქტის თემის მომზადებისას, კომენტარისთვის სეპარატისტული ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს მივმართავდი, ისინი რუსულ მხარეს ზეაღმატებულ ხარისხში მოიხსენიებდნენ, — რუსეთის დროული ჩარევა რომ არა, დიდი და აგრესიული საქართველო აფხაზეთს გადაყლაპავდაო... მსგავს „ჭეშმარიტებას“ წერდნენ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებშიც. როგორც ჩანს, აფხაზეთის მემატიანეებს სულ მალე უახლესი ისტორიის შეცვლა კიდევ ერთხელ მოუწევთ.

ძნელი მისახვედრი არ იყო, აფხაზეთში პოლიტიკური პროცესები ადრე თუ გვიან ასეთი სცენარით რომ განვითარდებოდა, ამას ადგილობრივი მოსახლეობაც ხვდებოდა და პირად საუბრებშიც ხშირად აღნიშნავდნენ.

ბოლო კითხვა: გადაჭრით მინდა გითხრათ, რომ ეს შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-აფხაზური ომის შემდგომ წლებში, სრულ ეკონომიკურ და მორალურ ბლოკადაში ვიყავით და ერთადერთი, რუსეთის დახმარების იმედი გვქონდა. დღეისათვის აფხაზეთში შექმნილი რეალობა ასეთია: რუსეთი, სხვა უამრავი სახის დახმარებასთან ერთად, ფინანსურად გვეხმარება, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ, როგორც ნებისმიერ სხვა პროცესს, ამასაც აქვს მეორე მხარე: აფხაზეთის ხელმძღვანელობა უამრავი სახის მნიშვნელოვან დათმობაზე მივდივართ და რუს სამხედროებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გაფართოების საშუალებასა და აქ რუსული ბიზნესის წარმოების საშუალებას ვაძლევთ, რაც მართალი გითხრათ, ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე ხდება. ამავდროულად, ჩვენ რუსებს უსასყიდლოდ გადავეცით სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. მიგვაჩნია, რომ ეს ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და პარტნიორობის განვითარების წინა პირობა იქნება. ასე რომ, არც რუსეთი დაგვხმარებია უანგაროდ; ბიზნეს-ინტერესების განხორციელების გარდა, მეზობელ რუსეთს საშუალებას ვაძლევთ, ხელმწიფოებრიობას დავიცავ“, — აცხადებს ბაღაფში უცხოურ გამოცემასთან საუბრისას და აქვე განმარტავს: „ადგილობრივი ხელმძღვანელობა რუსეთს აფხაზეთში თავის დამკვიდრებაში ხელს ვერ უშლის. ამის მიზეზი კი ის არის, რომ აფხაზეთით სხვა ქვეყნები არ არიან დაინტერესებული...“

როცა სერგეი შამბას ინტერვიუსთვის ელფოსტის მეშვეობით დავუკავ-

რის სანაცვლოდ სთავაზობდნენ სოჭის მიერთებას აფხაზეთის სეპარატისტულ ხელმძღვანელობას

ლალი პაპასკირი

„ჩვენ სხვა ქვეყნებს მივმართავთ, — ნუ დაგვტოვებთ რუსეთთან მარტო, შექმენით რამენაირი ბალანსი, მაგრამ მათ ეს არ სურთ“, — ამ სიტყვებით სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ გაზეთ „ფაინენშელ თაიმსთან“ ინტერვიუში განაცხადა. იმავე გაზეთის კორესპონდენტთან, იზაბელ გორტსისთან საუბრისას სეპარატისტული რეგიონის ე.წ. პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში ამბობს, რომ საერთაშორისო იზოლაცია რეგიონს სულ უფრო მეტად უბიძგებს რუსეთისკენ. მოგვიანებით, მსგავსი მიმართვა „უოლ სთრით ჯორნალშიც“ გამოქვეყნდა, ამჯერად ამ სიტყვებით დანარჩენ მსოფლიოს სერგეი ბაღაფში მიმართავდა.

„რუსეთი აფხაზეთში სამხედრო ბაზის განთავსებითა და ომის შემდეგ მისი საზღვრების კონტროლით, სამხრეთ კავკასიაში სტრატეგიული პლაცდარმის შექმნას ცდილობს. მას სერიოზული გავლენა აქვს აფხაზეთის ეკონომიკაზეც: აკონტროლებს მის რკინიგზას, აეროპორტს და აფხაზეთის შავ ზღვაში ნავთობის მოპოვების უფლებაც აქვს... თუმცა ჩემი ხალხის წინაშე პირობას ვდებ, რომ აფხაზეთის საშირდი, პირველი შეკითხვა, მის, ზემოთ აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით დავუსვი:

— უცხოური პრესის მეშვეობით, დახმარებისთვის დასავლეთის ქვეყნებს მიმართეთ. ეს 1990-იანი წლების შემდეგ პირველი შემთხვევაა, როცა აფხაზეთი რუსეთისგან თავის დაცვას ცდილობს. რა გახდა ამ მოწოდების გამოთქმის საფუძველი?

— ეს სიტყვები შემთხვევით არ მითქვამს: მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ და ნიკარაგუამ ჩვენი დამოუკიდებლობა აღიარეს, ხშირად გვეკითხებიან, რა შეიცვალა ამის შემდგომ აფხაზეთშიო? შესაძლოა, ეს შორიდან და ერთი შეხედვით არ ჩანდეს, მაგრამ ბევრი რამ შეიცვალა. პირველ რიგში, დამოუკიდებლობის სტატუსი საშუალებას გვაძლევს, საკუთარი ხალხის ბედი დამოუკიდებლად გადავწყვიტოთ. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა დროს, ქართველი მეფეები აფხაზ ხალხს საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდნენ; მიუხედავად ამისა, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა ასეულობით წელს ითვლის და თუნდაც ამიტომ გვაქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით არსებობის სამართლებრივი უფლება. რაც შეეხება რუსეთში აფხაზეთის ინტეგრირების სასამხრეთ კავკასიაში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზება მოახდინოს... თუმცა არც ის გვავიწყდებოდა, რომ რუსეთი დიდი ქვეყანაა და მას ყოველთვის აქვს პატარა ქვეყნების ჩაყლაპვის სურვილი; თუ პოლიტიკურ ჰორიზონტზე მისთვის ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა, ის ამ შანსს გამოიყენებს. სწორედ ამიტომ ვითხოვთ დასავლეთის ქვეყნებისგან დროულ ჩარევას... არ დავაკონკრეტებ, მაგრამ რამდენიმე რუსი პოლიტიკოსის მხრიდან იყო შემოთავაზება, რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებას ორი პირობით დავთანხმებოდით: პირველი — იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის იურისდიქცია სოჭსა და ადლერშიც გავრცელდებოდა და მეორე — თუ რუსეთის ფედერაცია მუჰაჯირების ჩამოყვანასა და ადლერსა და სოჭში მათ ჩასახლებაზე იურიდიულ ვალდებულებას საკუთარ თავზე აიღებდა. ეს შემოთავაზება შემოთავაზებად დარჩა, არც კი განგვიხილავს, რადგან აფხაზურ საზოგადოებაში თანდათან სახელმწიფოებრივი აზროვნება ჩამოყალიბდა. საბედნიეროდ, ჩვენი ხალხისთვის თავისუფლება ყველანაირ მატერიალურ ფასეულობაზე მაღლა დგას. აფხაზი ხალხი რუსეთის ამაგს აცნობიერებს, მაგრამ რუსებთან ჩვენი ასიმილაციის მცდელობაც კი სამოქალაქო*

ომამდე მიგვიყვანს.

— ბატონო სერგეი, რუსეთის ბოლოდროინდელმა ქმედებებმა მისი ზრახვები გამოააშკარავა და თქვენ საუბრებიდანაც ჩანს, თუ რა მიზანს ემსახურებოდა მისი მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ფაქტია, რომ ევროპა ცალკე აფხაზეთს არ აღიარებს. ნუთუ მოცემული რეალობა იმის ფიქრის საფუძველს არ გაძლევთ, რომ აფხაზეთის გადარჩენის ერთადერთი გამოსავალი — ქართველებთან ურთიერთობის მშვიდობიანი გზით მოგვარებაა?

— მართალია, ევროპა ჯერჯერობით ჩვენთან პირდაპირ ურთიერთობას თავს არიდებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამო აფხაზეთში ცხოვრება შეწყდება; ჩვენ ისეთ ქვეყნებთან ვამყარებთ კავშირებს, როგორებიცაა კუბა და ირანი. დასაწყისისთვის არც ეს არის ცუდი. რაც შეეხება „აფხაზეთის გადარჩენის ერთადერთ გამოსავალს“: დავიწყოთ იქიდან, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ადამიანი, რომელსაც არასტაბილურობის, სისხლისა და ომის მოთხოვნილება აქვს და მის რეჟიმთან (ამ სიტყვას შემთხვევით არ ვიყენებ) დიალოგის წარმოება ძალიან რთულია. სამწუხაროდ, სააკაშვილის რეჟიმმა ჩვენი ნდობა საბოლოოდ დაკარგა, მან აქამდე მიღწეული ყველა შეთანხმების იგნორირება მოახდინა. დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების ქმედებები ძალიან ჰგავს სტალინის დროინდელ პოლიტიკას, როცა აფხაზეთი საქართველოს შემადგენელ ნაწილად ძალის გამოყენებით აქციეს. როგორც თავის დროზე, აკადემიკოსმა სახაროვმა განაცხადა, სტალინმა საქართველოსგან მინიიმპერია ჩამოაყალიბა (და მაინც არ მესმის, რატომ არის ეს გენიალური ფიგურა ქართველი ხალხისთვის მიუღებელი). იმ პერიოდიდან მოყოლებული, საქართველო მინიიმპერიული პოლიტიკის გატარებას ცდილობს და სურს, ძალით მიერთებული ტერიტორიები ისტორიულ საკუთრებად აღიაროს, თან ცდილობს, სხვადასხვა დროს მეზობელი ხალხების წართმეული მიწების დაბრუნების პროცესი დემოკრატიულ ჩარჩოებში მოაქციოს და ამაში მთელი ცივილიზებული სამყარო ჩართოს. რაც ყველაზე ცუდია, ამას დემოკრატიული ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მხარდაჭერით აკეთებს. თუმცა არაერთი მცდელობის მიუხედავად, ამდენი წლის განმავლობაში საქართველომ იმპერიული ზრახვების სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო და „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის“ პრობლემა, საბედნიეროდ, ისევ მოუგვარებელი აქვს... ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ერთ დასკვნამდე მივდივართ — თქვენს ქვეყანაში რა მიმართულებითაც უნდა განვითარდეს მოვლენები და როგორი რეჟიმიც უნდა ჩამოყალიბდეს, იძულებული ვიქნებით, ემოციები და პირადი ინტერესები გვერდზე გადავდოთ და საქართველოს ხელმძღვანელობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკებები დავიწყოთ. აფხაზეთი არანაირად არ არის დაინტერესებული რეგიონში ვითარების შემდგომი ესკალაციით. ამის დანახვა კი ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ვინც კი მოისურვებს. ამის დასტურია ჩვენი დამოკიდებულება სახალხო დიპლომატიასთან. ქართველებსა და აფხაზებს ნათესაური ურთიერთობები აკავშირებთ, რასაც ჩვენ ანგარიშს ვუწევდით და 2003 წლამდე ჩვეულებრივ ადამიანებს შორის მიმოსვლა თითქმის თავისუფალი იყო. სააკაშვილის რეჟიმის დამყარებიდან, ეს შეწყდა. რაც შეეხება ე.წ. დევნილების დაბრუნებას: საქართველოს ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ აფხაზეთში დევნილების ფართომასშტაბიანი დაბრუნება შეუძლებელია და იმის ნაცვლად, რომ ქართულ რაიონებში ამ ადამიანების ადაპტაციას შეუწყოს ხელი, პირიქით მოქმედებს, — ცდილობს, ისინი აფხაზეთში დაბრუნების მუდმივ მოლოდინში ამყოფოს... არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ჩვენ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის დაბრუნების წინააღმდეგი არ ვართ, სიტუაციას რეალურად ვაფასებთ, მაგრამ გადაჭრით მინდა გითხრათ, რომ ეს პროცესი იმ სახით ვერ მოხდება, როგორც ეს საქართველოს ხელისუფლებას აქვს ჩაფიქრებული. იმ ადამიანებს კი, ვისაც 1990-იან წლებში საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღიათ, შეუძლიათ, აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში დაბრუნდნენ. ჩვენ ჩვეულებრივი ქართველების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს; აფხაზეთის ეკონომიკური ხერხემალი — გალის რაიონი მთლიანად ქართველებით არის დასახლებული, მაგრამ ჩვენ მათ უფლებებს შეძლებისდაგვარად ვიცავთ... ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ, დევნილთა მცირე ჯგუფები ეტაპობრივად ბრუნდებოდნენ აფხაზეთში. ეს პროცესი რომ გაგრძელებულიყო, დღეს სულ სხვა სურათს მივიღებდით, რაც პოლიტიკურ ურთიერთობებზეც აისახებოდა. მაგრამ ამ პროცესის პარალელურად, საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნების მწვავე განცხადება ისმოდა: ქართული მხარე ქართველი დევნილების აფხაზეთში დაბრუნებით მანამდე არ დაინტერესდება, ვიდრე აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია არ აღდგებაო. აფხაზეთის საკითხის ძალისმიერი გზით მოგვარების მცდელობაც კი თქვენს ხელისუფლებას კარგს არაფერს მოუტანს. ნებისმიერმა პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს, რომ ასეთი საკითხები სამხედრო ძალით არ წყდება. ამისთვის ერთადერთი რამ არის საჭირო — ადამიანთა კეთილი ნება, რომელსაც მხოლოდ დიდი მოთმინებისა და რეალურ შედეგებზე გათვლილი მუშაობით მივიღებთ... რაც შეეხება საქართველოსთან აფხაზეთის რეინტეგრაციას, — ეს თემა ყველამ უნდა დაივიწყოს, ქართველმაც და აფხაზმაც, რადგან აფხაზეთი პოსტსაბჭოთა სიტუაციას აღარასდროს დაუბრუნდება.

ვერ გეტყვით, — ჩვენ შორის იმდენად მტრული დამოკიდებულებაა, რომ ამით შესაძლოა, მესამე ძალამ ისარგებლოს-მეთქი

— როგორც ცნობილია, თქვენსა და სერგეი ბალაფშს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობაა; ადგილობრივი ოპოზიციური პარტიები ბალაფშს, სავარაუდოზე მეტად პრორუსულ ორიენტაციაში ადანაშაულებდნენ... რით შეიძლება, თქვენ შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლა დასრულდეს?

— ვერ გეტყვით, — ჩვენ შორის იმდენად მტრული დამოკიდებულებაა, რომ ამით შესაძლოა, მესამე ძალამ ისარგებლოს-მეთქი, ჩვეულებრივი, სამსახურებრივი ურთიერთობა გვაქვს. პრეზიდენტს რაღაცებში ვეთანხმები, თუმცა მისი გარკვეული ქმედებები ჩემთვის მიუღებელია. და მაინც, ჯერჯერობით ოპოზიციაში გადასვლას არ ვაპირებ; ვნახოთ, შემდეგ რა იქნება. ■

ნიკა არაბიძე შვილმა და სიდედრმა საძინებლიდან „გამოაგდეს“

ცოტა ხნის წინ ნიკა არაბიძეს ბიჭი შეეძინა და ეს სასიხარულო ამბავი არც ისე სასიამოვნო აღმოჩნდა მისთვის — დემეტრეს დაბადების შემდეგ ზედსიძედ მისული იუმორისტი საძინებლიდან გამოაგდეს და ახლა, ბალიშითა და თეთრეულით დადის ოთახიდან ოთახში, რათა სადმე თავის დასადები ადგილი ნახოს... ეს ისე, ხუმრობით, თორემ ნიკას სიდედრთან ჰარმონიული ურთიერთობა აქვს და ალბათ, როცა ის ცოლ-შვილთან ერთად საცხოვრებლად დიღომში გადავა (ნიკამ მშენებარე ბინაში შეიძინა ფართობი), ამით მეუღლის მშობლებს გულს ძალიან დასწყვეტს.

„ჩემი ბალიშითა და თეთრეულით ოთახიდან ოთახში დავდივარ“

ნინო მჭედლიშვილი

— ნიკა, შენი პატარა ვაჟკაცი ქვეყანას როდის მოევლინა?

— სულ რაღაც ერთი თვის წინ, ზუსტად 3 ივნისს. რომ გითხრა, ამით მსოფლიოსთვის გლობალური ცვლილება მოხდა-მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ დემეტრე არაბიძემ ჩემი ცხოვრება ნამდვილად შეცვალა.

— დემეტრე ბაბუის სახელია?

— არა, ბაბუის სახელი ჩემს ძმისშვილს ჰქვია და ოჯახში ყველა მისი სეხნია ხომ არ იქნებოდა? ჰოდა, ამიტომაც დავარქვი დემეტრე. პირადად მე, ეს სახელი ძალიან მომწონს, მაგრამ ჩაინიკას კარგი სახუმარო თემა მივეცი. ამ სახელის გაგონებისას, ალბათ, პირველ რიგში, ყველას დემეტრე თავდადებული გაახსენდება, ჩაინიკამ კი, ჩემი შვილის სადღეგრძელო რომ დალია, თქვა: — ნიკამ შვილს ეს ყველასთვის საყვარელი სახელი ცნობილი დემეტრე გაბადაძის პატივსაცემად დაარქვაო.

— ჩაინიკას უცნაური გვარების დასახელება არ უჭირს... დემეტრე რამდენს იწონის?

— სულ რაღაც, 3 კილომდე დაიბადა, მაგრამ ძალიან სწრაფად იზრდება — უკვე 1 კილო აქვს მომატებული. ის ცოტა არ იყოს, ღორმუცელაა, დედის რძე არ ჰყოფნის და დამატებით საკვებსაც ვაძლევთ.

— ვის ჰგავს, ნეტავ?

— რა ვიცი, ვის ჰგავს. მე რას მიყურებ, ვერ ხედავ, რომ ჩხირივით ვარ (*იცინის*)?..

— შენი მეუღლე, ია პროფესიით ვინაა?

— ია არობელიძე — ნახე, როგორ ჰგავს ჩემს გვარს. არადა, ცოლის მოყვანა გვარის მიხედვით ნამდვილად არ დამიგეგმავს... ია ექიმია, მაგრამ ჯერ მხოლოდ 25 წლისაა, ანუ სწავლა არ დაუმთავრებია. ეს ის ფაკულტეტია, რომელზეც მთელი ცხოვრება სწავლობენ. ახლა ორდინატურა თუ ასპირანტურა რომ ჰქვია, იქ სწავლობს.

— როცა სასწავლებელში მიდის, ბავშვთან ვინ რჩება?

— როცა გამოცდები ჰქონდა, ბავშვს სიდედრი უვლიდა.

— სიდედრთან ერთად ცხოვრობ?

— ამ წუთში, კი.

— ეი. მძიმე დღეები დაგიდგა, არა?

— (*იცინის*) სხვათა შორის, ძალიან ჰარმონიული ურთიერთობა გვაქვს. ძირითადად, დღის მანძილზე მხოლოდ 2 საათის განმავლობაში თუ ვნახულობთ ერთმანეთს.

— იცოდი, ბიჭი რომ გეყოლებოდათ?

— თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, სქესის წინასწარ დადგენა პრობლემას არ წარმოადგენს და ჩვენც, წინასწარ ვიცოდით, ბიჭი რომ გვეყოლებოდა. ისე, იას გოგო უფრო უნდოდა, ჩემთვის კი შვილის სქესს მნიშვნელობა არ ჰქონდა...

— რა ვიცი, მოსალოცად რომ დაგირეკე და პატარის სქესი გკითხე, ისეთი სიამაყით მითხარი, — აბა, რას მეკითხებიო, რომ...

— (*მაწყვეტინებს*) მაშინ გეხუმრე. ხომ იცი, ქართველ კაცებს ყოველთვის ბიჭი უნდათ, რომ ჰყავდეთ და გულის სიღრმეში მეც გამიხარდა, ვაჟი რომ შეგვეძინა, მაგრამ მეორეზე გეგმაზომიერად უნდა ვიმუშაოთ, რათა გოგო ვიყოლიოთ.

— ისევ ბიჭი რომ გაჩნდეს?

— ნუ, რას ვიზამ, ხომ ვერ გადავაგდებთ?! მერე მესამეზე ვიმუშავებთ, ანუ არ გავჩერდებით მანამ, ვიდრე ქალიშვილიც არ შეგვეძინება.

— დემეტრე ვის ჰგავს?

— მას მე მამსგავსებენ, მაგრამ ჩემი აზრით, ის იასაც ჰგავს. ცოტა ხანში, როცა ნაკვთები დაეხვეწება, თავად გადაწყვიტეთ, ვის უფრო ჰგავს.

— ბიჭის დაბადება როგორ აღნიშნე? ამ ამბის გამო სამსახურიდან მინიშვებულება მაინც თუ მოგცეს?

— დემეტრე სამშაბათს დაიბადა და ხუთშაბათს უკვე სამსახურში ვიყავი. ასეა, გენაცვალე, ჩაწერა იყო და აბა, რა ექნათ?!. როცა იამ იმშობიარა და გვითხრეს, რომ ღმერთის წყალობით, ბავშვიცა და დედაც კარგად იყვნენ, მანქანის კაპოტზე სუფრა გავშალეთ და შამპანური დავლიეთ, მერე კი სახლშიც ვიქეიფეთ...

— როცა ბავშვი ხელში აიყვანე, რა იგრძენი?

— სხვათა შორის, პირველ დღეებში, როცა ახალი დაბადებული იყო, მისი ხელში აყვანის ძალიან მეშინოდა, რადგანაც ის უცნაურად ატრიალებდა კისერს აქეთ-იქით. ახლა ცოტა გავთამამდი. აი, ჭამით კი ვერ ვაჭმევ, რძე არ მაქვს ჯერ (*იცინის*). სამაგიეროდ, ვაძინებ ხოლმე. ეტყობა, მამასთან ყოფნა მოსწონს — როგორც კი ავიყვან, მაშინვე ჩუმდება.

— მტირალაა?

— როცა შია, ტირის, მაგრამ ეგ არ ითვლება — რომ არ მაჭამო, მეც ვიტირებ. ცუდი ბავშვი ნამდვილად არაა. ცოტა ხნის წინ, დღე და ღამე აერია და 2 ღამე ჩვენც გვათევინა, მაგრამ ახლა ყველაფერი კარგადაა.

— დემეტრემ ცოლი რომ წაგართვა, ამ ამბავს როგორ ეგუები?

— ამას წინასწარვე შევეგუე. ცოლმა თავიდან, შვილს მეტი ყურადღება კი უნდა დაუთმოს, მაგრამ სულ რომ მშიერი ვრჩებოდე, შეიძლება, ავტირდე (*იცინის*).

— მერე „სპალნია“?

— „სპალნიაში“ სიდედრი, ცოლი და დემეტრე ერთად წვანან. მოკლედ, იქ ჩემი ადგილი აღარ არის. ოჯახში მცოცავი გრაფიკით გვძინავს — თურმე ბავშვმა იქ უნდა დაიძინოს, სადაც სიგრილეა. ჰოდა, ჩემი ბალიშითა და თეთრეულით ოთახიდან ოთახში დავდივარ.

— სიდედრ-სიმამრის ოჯახში როდემდე უნდა იცხოვრო?

— ადრე ნაქირავებში ვცხოვრობდით, მერე კი ზედსიძედ მიმიპატიჟეს. ახლა მშენებარე ბინაში ფართობი შევიძინე და მშენებლობა დასრულდება თუ არა, მაშინვე გადავალთ.

— დასასვენებლად არსად მიდიხართ?

— მინდა, დემეტრე დასავლეთში, კერძოდ კი თერჯოლაში, ჩემს სოფელში ჩავიყვანო და ხალხს დავანახვო, რომ ნამდვილად ბიჭია. ხომ გაგიგონია, — ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი ჯობიაო; მერე გურიაში, ჩემი მეუღლის ბებიასთან ჩავიყვან. ასე რომ, აგვისტოში პატარა ექსკურსია გველის. სხვათა შორის, ექიმს უკვე დავეკითხეთ და მან მგზავრობის ნება დაგვრთო. ■

ლაშა თაბაგარი

— გახარებული ვარ. რაც მთავარია, ბავშვიც და ანუკიც ჯანმრთელად არიან.

— კიდევ რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?

— იმდენ შვილს ვიყოლიებთ, რამდენსაც ღმერთი მოგვცემს.

— პატარას გარდაცვლილი ძმის პატივსაცემად ლევანი დაარქვით. როგორც ჩვენთვის ცნობილია, სამტრედიაში ლევან კალაძის სახელზე ეკლესია შენდება...

— დიახ და აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში ეკლესია გადაიხურება, შემდეგ კი შიდა სამუშაოები დაიწყება.

— დაახლოებით, 4 თვის წინ მუხლზე ოპერაცია გაგიკეთეს. ახლა თავს როგორ გრძნობთ?

— უკეთ ვარ, მაგრამ 6-7 თვე მაინც არის საჭირო იმისათვის, რომ სრულიად გამოვჯანმრთელდე. ახლა ძირითადად, ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ და დავრბივარ. თუმცა, ზოგჯერ, მოედანზე გუნდთან ერთადაც მიწევს თამაში. ამას წინათ „მილანის“ შემადგენლობაში, ამხანაგურ მატჩშიც მივიღე მონაწილეობა და მოედანზე ბოლო 15 წუთი ვიყავი.

— კარლო ანჩელოტი „მილანიდან“ წავიდა და ახლა, მთავარ მწვრთნელად ლეონარდო დაინიშნა. ამ ცვლილებაზე რას იტყვით?

— „მილანში“ ახალი ერა იწყება. ანჩელოტის გარდა, გუნდიდან კაკაც წავიდა, ხოლო პაოლო მალდინიმ კარიერა დაასრულა. ლეონარდოსთან ერთად ვთამაშობდი და ვიცი, რომ ის მაღალი დონის ფეხბურთელი, თანაც, ძალიან კარგი ადამიანია. მართალია, მას აქამდე მწვრთნელად არ უმუშავია, მაგრამ ყველანი ხელს შევუწყობთ, რომ წარმატებას მიაღწიოს.

— თქვენი აზრით, კაკას გაყიდვის შემდეგ, გუნდი იტალიის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით თამაშს შეძლებს?

— კაკა გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო, მაგრამ „მილანი“ ის კლუბი არაა, რომელიც ერთ ან ორ ფეხბურთელზეა დამოკიდებული. ამ გუნდს დროდადრო ტოვებდნენ დიდი ფეხბურთელები, მაგრამ მათ ნაცვლად არანაკლები მოთამაშეები მოდიოდნენ.

— გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კლუბის პრეზიდენტმა, სილვიო ბერლუსკონიმ საწვრთნელ ბაზაზე სტუმრობისას, რონალდინიო მაგიდაზე აიყვანა და პირობა დაადებინა, რომ მომავალი სეზონის განმავლობაში ის ბოლომდე დაიხარჯებოდა. ასეა?

— რონალდინიო ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ცოტა არ იყოს, ზარმაცობს და ამიტომაც, გასული სეზონი მისთვის მთლად წარმატებული არ იყო. მართლაც, ბერლუსკონიმ ის მთელი გუნდის წინაშე, მაგიდაზე აიყვანა და პირობა დაადებინა, რომ თავის შესაძლებლობებს ბოლომდე გამოავლენდა.

— საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანს, კახა კალაძეს 14 ივლისს ვაჟი შეეძინა, რომელსაც ტრაგიკულად დაღუპული ძმის პატივსაცემად ლევანი დაარქვა. როგორც თავად ფეხბურთელმა განაცხადა, უმცროსი ლევან კალაძე 3,8 კილოგრამი დაიბადა და როგორც ახალშობილი, ასევე, დედამისი — ანუკი არეშიძე თავს კარგად გრძნობენ.

კახა კალაძის დიდი სიხარული

და ნურსულთან ნაზარბაევის ბიზნესპარტნიორის განუხორციელებელი გეგმა

— ბოლო სეზონების განმავლობაში, როდესაც ტრავმა არ მქონდა, დაცვის ცენტრში თამაში პრაქტიკულად, ყოველთვის ნესტასთან ერთად მიწევდა. თუმცა, ნესტას გასული სეზონი წელის ტკივილის გამო გაუცდა და ფაქტობრივად, არც მე მითამაშია. სხვათა შორის, მოედანზე გამოსვლა გამაყუჩებლების ფონზე მიხდებოდა. ახლა ვცდილობ, ბოლომდე გამოვჯანმრთელდე და მხოლოდ ამის შემდეგ ვითამაშო. ჩემი აზრით, ალბათ, სრულფასოვნად თამაშს სექტემბერში შევძლებ, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მოედანს უფრო ადრეც დავუბრუნდე. საერთოდ, წარმოუდგენელია, რომ მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა, შეუცვლელად ითამაშოს. ამიტომაც, გუნდში ტიაგუ სილვა, ბონერა და ფავალიც არიან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, ჩვენს შეცვლას შეძლებენ.

— საქართველოს ნაკრების მიერ 12 აგვისტოს, მალტასთან სტუმრად გასამართავ ამხანაგურ მატჩში და 5 სექტემბერს, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში — თბილისში იტალიასთან ჩასატარებელ შეხვედრაში თუ მიიღებთ მონაწილეობას?

— ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ მოედანზე გასვლა რაც შეიძლება მალე შევძლო. ჩემი სურვილია, როგორც სანაკრებო, ასევე, საკლუბო დონეზე მაქსიმალურად ბევრ მატჩში მივიღო მონაწილეობა.

— ცოტა ხნის წინ, ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ახალი სტადიონის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდით. „კაჟიმუკანმა“ თქვენზე როგორი შთაბეჭდილება დატოვა და ასტანაში უშუალოდ ვინ მიგიწვიათ?

— მე და ანდრეი შევჩენკო ყაზახეთში ქვეყნის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის უშუალო მიწვევით ჩავედით. მის ოჯახთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა მაქვს და სხვათა შორის, ბიზნესპარტნიორებიც ვართ. რაც შეეხება სტადიონს, ის მაღალი დონისაა და უეფას ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

— როგორც ცნობილია, „კალა კაპიტალს“, რომლის დამფუძნებელიც თქვენ ხართ, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან გარკვეული პრობლემები შეექმნა. კერძოდ, პროექტ „არსენალის“ განხორციელებისთვის საჭირო საინვესტიციო თანხის გადახდის 3 წლით გადავადება მოითხოვეთ...

— იმის გამო, რომ საქართველოში ომი იყო და ამას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც დაემთხვა, ფორსმაჟორული ვითარება შეიქმნა. ამიტომაც, პროექტის განხორციელებამ ჯერჯერობით, აზრი დაკარგა. მით უმეტეს, რომ ჩვენს ქვეყანაში სამშენებლო ბიზნესი ფაქტობრივად, „მკვდარია“. ერთი კორპუსის აშენებაა პრობლემა და ახალ ქალაქზე, რასაც „კალა კაპიტალი“ აპირებდა, ლაპარაკიც ზედმეტია. ■

ვისთან ერთად გაატარა დრო სამშობლოში ექვსი დღით ჩამოსულმა ქეთა თოფურიამ

ივლისის ბოლოს, მომღერალი ქეთა თოფურია სულ რაღაც ექვსი დღით თბილისში ჩამოვიდა და თავის უახლოეს მეგობრებთან ერთად ბათუმში, ჯაზ-ფესტივალზე დასასწრებად გაემართა. იმის გამო, რომ მომღერალმა თბილისში ძალზე ცოტა ხანი დაყო, მისი მოხელთება ვერ მოვახერხეთ, სამაგიეროდ, მის უახლოეს მეგობარს დავუკავშირდით, რომელმაც მეგობარზე ბევრი საინტერესო რამ გვიამბო.

მიხარია, რომ სამაგალითო მეგობრობა გვაქვს

ლალი ფაცია

ანუკა ჟლენტი, *ტელეკომპანია „მზის“ სარეკლამო სამსახურის მენეჯერი:*

— ქეთას უკვე იმდენი ხანია ვიცნობ, რომ აღარც კი მახსოვს, პირველად როდის შევხვდი. მართალია, მასზე ცოტათი უფროსი ვარ, მაგრამ ამას ჩვენი ურთიერთობისთვის ხელი არ შეუშლია.

— როგორი მეგობარია?

— საუკეთესო. საოცარი მეგობრობა იცის. არასდროს არაფერი ეშლება. არის ერთგული, მზრუნველი, შემიძლია, ყველაფერში ვენდო, ყველაფერი მოუყვე. არ არსებობს, რომ გიღალატოს. სანამ მოსკოვში გადავიდოდა, შეიძლება ითქვას, ყოველდღე, 24 საათის განმავლობაში ერთად ვიყავით. ყველგან ერთად დავდიოდით.

— სანამ „ა-სტუდიოში“ სოლისტად მიიღებდნენ, ალბათ შენთან ამ თემაზე საუბარი ჰქონდა, არა?

— კი, ეს პერიოდი კარგად მახსოვს. ერთხელ, აუზზე ვიყავით და მითხრა: ნატო დუმბაძემ შემომთავაზა, — არ გინდა, „ა-სტუდიოს“ სოლისტი რომ გახდეო?.. მე გავიოცე... პირველად ხუმრობა მეგონა... მართლაც, მალე თბილისში, ქეთას სანახავად, ჯგუფის წევრები ჩამოვიდნენ. რომ მოუსმინეს, მოეწონათ. „ა-სტუდიოსთან“ შეხვედრის შემდეგ, მეგობრებს გვითხრა: ჯგუფის წევრებს მოვეწონე და შეიძლება, მოსკოვში წასვლამ მართლაც მომიწიოსო. ეს რომ გავიგეთ, დავიბენით და გული აგვიჩუყდა. მოსკოვში გასაშვებად არ გვემეტებოდა და ამ ამბავს ვერც ვიჯერებდით, მაგრამ ცოტა ხანში გადაწყდა ქეთას აქედან გამგზავრება. მისი წასვლა ისე განვიცადე, სიტყვებით ვერც გადმოგცემთ. მეგობრები, ვინც აეროპორტში ქეთას ვაცილებდით, ყველანი ვტიროდით, ისიც ტიროდა... სხვათა შორის, დიდხანს უჭირდა იქაურობასთან შეგუება და უკან დაბრუნება უნდოდა: დიდი ქალაქია, მოსკოვში არავის ვიცნობო, — ამბობდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ აქ ჩამოსვლა მისი კარიერისთვის საზიანო იქნებოდა, ამიტომ ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს. საკუთარ განცდებს მოერია და მოსკოვში დარჩა. საკმაოდ ძლიერი ადამიანია. რასაც იტყვის, ყოველთვის ასრულებს... ნიჭიერი გოგოა, ბევრს შრომობს და ამასთან, გაუმართლა კიდეც. დღეს ძალიან პოპულარულია. ყველას უყვარს. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს.



მოსკოვში ცოტა ხნის წინ ჩვენც ვიყავით ჩასული, მეგობრებმა ერთად მოვახერხეთ ჩასვლა

— დედამისი, ქალბატონი ნატა მოსკოვში ქეთას გამუდმებით თან ახლავს?

— კი, სულ ერთად არიან... აქვე ვიტყვი, რომ ნატა ძალიან მიყვარს, სულ რჩევებს გვაძლევს. ძალიან ვუყვარვარ. მისგან დიდ სითბოს რომ ვგრძნობ, მეც ვგიჟდები მასზე.

— ქეთა საქართველოში ჩამოსვლას წლის განმავლობაში რამდენჯერ ახერხებს?

— ხშირად ვერ ჩამოდის, რადგანაც სულ დაკავებულია და ჯგუფის წევრებს თავისუფალი დრო თითქმის არა აქვთ. კონცერტები თვეებით ადრე აქვთ დაგეგმილი. თან, დღეში რამდენიმე კონცერტი აქვთ. საოცარი გრაფიკით უწევს ცხოვრება. ძალიან დაკავებულია, ამიტომ წელიწადში ორჯერ ჩამოდის.

— და რამდენ ხანს რჩება ხოლმე?

— მაგალითად, ახლა 6 დღით იყო ჩამოსული; ზამთარში უფრო დიდხანს გაჩერდა... როცა აქაა, მთელ დროს ჩვენ, მეგობრებს გვითმობს და, რა თქმა უნდა, ნათესავებსაც.

— მისი აქაური სამეგობრო რამდენი წევრისგან შედგება?

— ყველაზე ახლო მეგობარი 4 ჰყავს.

— ახლა მისი ჩამოსვლა რას უკავშირდებოდა?

— შარშან ზაფხულში, ბათუმში პირველად ჩატარდა ჯაზ-ფესტივალი, რომელსაც დავესწარით და ძალიან მოგვწონა. მეგობრები იქიდან ქეთას მოსკოვში ვურეკავდით და ვუყვებოდით, თუ რა ხდებოდა ბათუმში ამ დროს. მასაც მოუნდა, რომ ჩვენთან ერთად ყოფილიყო და შარშანვე გადაწყვიტა, წელს ბათუმში ჯაზ-ფესტივალზე ჩამოსულიყო. ასე რომ, პირობა შეასრულა. უახლოესი მეგობრები, ყველანი ერთად ვიყავით აჭარაში, სადაც მშვენიერი დრო გავატარეთ...

— როგორც გავიგე, 13 აგვისტოს ბათუმში ჩამოსვლა ისევ უწ-

არ შეცვლილა, ზუსტად ისეთივეა, როგორიც აქედან წასვლისას იყო

ევს, რადგანაც იქ „ა-სტუდიოს“ კონცერტი აქვს დაგეგმილი.

— დიახ და ყველანი ერთად ჩამოვლენ.

— ქეთას ვარსკვლავურ ცხოვრებაზე რას გვეტყვი? რეალურად, რა ხდება მის მოსკოვურ ცხოვრებაში? მასზე, როგორც რუსულ პრესაში, ასევე ჩვენთან, ბევრი ჭორმართალი იწერება.

— რეალურად?.. ქეთა აბსოლუტურად ჩვეულებრივი ადამიანია.

— რუსულმა ბომონდმა არ შეცვალა ის? „ვარსკვლავური დაავადება“ ხომ არ შეეყარა?

— არა მგონია, მეგობრები ამას ვერ ვატყობთ. სხვები არ ვიცი, რას ამბობენ... ვფიქრობ, ის არ შეცვლილა, ზუსტად ისეთივეა, როგორიც აქედან წასვლისას იყო, — საოცრად თბილი, გულჩვილი... შეუძლია, გული ამოუჯდეს რაღაცაზე, ისე იტიროს, გაგაგიჟოს. მგრძნობიარეა და ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს. ამასთან, ძალიან ბავშვურია და მგონია, რომ ასეთი დარჩება ყოველთვის, საყვარელი.

— ქეთაზე გავრცელებულ ჭორებს თუ მივყვებით, მას ხან ვისზე ათხოვებენ, ხან — ვისზე... ხან ვისი საყვარელია, ხან — ვისი... როგორც ვიცი, თავად, ჭორებზე აღარ რეაგირებს...

— მოსკოვში მასზე ისეთი ჭორები იწერება, მაგას ყურადღება რომ მიაქციოს, გადაირევა; იმდენ სისულელეს ამბობენ, რომ... რაც შეეხება გათხოვებას, — ვიცი, რომ ჯერჯერობით არ აპირებს, ამისთვის პატარაა — 23 წლის არის. თან, არ სცალია, კარიერას უნდა მიხედოს. თაყვანისმცემელთა არმია ჰყავს, მოსკოვშიც და აქაც... ჰო, მართლა, მოსკოვში ცოტა ხნის წინ ჩვენც ვიყავით ჩასული, მეგობრებმა ერთად მოვახერხეთ ჩასვლა. კარგი დრო გავატარეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, საკუთარი თვალით ვნახეთ, თუ როგორ უყვართ რუსებს: კლუბში, რესტორანში რომ შევდიოდით, პატივისცემის ნიშნად, ყვავილებსა და საჩუქრებს უგზავნიდნენ.

— მითხარი, რომ გათხოვებას ჯერჯერობით არ აპირებს, მაგრამ შეყვარებულიც არ ჰყავს?

— 2 წელია, რაც შეყვარებულია. იმ პიროვნების სახელსა და გვარს ვერ ვიტყვი... კარგი ბიჭია, ქეთა მშვენივრად გრძნობს მასთან თავს. ჩვენც ვიცნობთ.

— ქართველია?

— არა... აშკარაა, რომ ერთმანეთი ძალიან უყვართ. ისე, ქეთას რაც ვიცნობ, სულ შეყვარებული იყო, მაგრამ ისეთი, როგორიც ახლაა, არასდროს მახსოვს...

— ქეთას იმიჯსაც შევეხოთ: ადრე ქერად ჰქონდა თმა შეღებილი. ახლა მგონი, თავისი ბუნებრივი ფერი დაიბრუნა, არა?

— კი, ასეა. დაიბრუნა თავისი ბუნებრივი ფერი, რომელიც ძალიან უხდება; ჩვენც ვურჩიეთ და თვითონაც ასე უფრო იხდენს...

— მოსკოვში რაიმე ახალი გატაცება ხომ არ გაუჩნდა?

— ბოლო დროს იოგათია გატაცებული. ისწავლა ვარჯიშები და რელაქსაციის მიზნით, მძიმე შრომის ფონზე, იოგას მეშვეობით, ემოციებისგან თავისუფლდება.

— მეგობრები რაზე კინკლაობთ ხოლმე?

— არასოდეს გვიკინკლავია. ქეთა უკონფლიქტო ადამიანია, არ მახსოვს, რამეზე უთანხმოება მოგვსვლოდეს. ისე ვუგებთ და გვესმის ერთმანეთის, რა საჭიროა კამათი?! ალბათ, ამდენი ხანი ამიტომაც ვართ ერთად.

— დღის განმავლობაში ალბათ ხშირად საუბრობთ ტელეფონით, არა?

— ზუსტად ვერც გეტყვით, დღეში რამდენჯერ ვურეკავთ ერთმანეთს. ამას კიდევ, ინტერნეტით ურთიერთობა ემატება... მაგრამ მაინც, სულ მენატრება...

— აქაურ ჭორებს და ახალ ამბებსაც უყვები ხოლმე?

— აბა, რას ვშვრები (*იცინის*)?!

— უმეტესად, რაზე ჭორაობთ?

— საჭორაო თემა გოგოებისთვის ყოველთვის მაინც, ბიჭებია (*იცინის*)...

— პოლიტიკაზე არ ჭორაობთ?

— არა. ქეთა აპოლიტიკური ადამიანია. მაგრამ ომის დროს ისეთი დაძაბული იყო, 5 წუთში ერთხელ რეკავდა. ძალიან ნერვიულობდა თავის ქვეყანასა და ხალხზე...

— მეგობარზე სულ საქებარს რომ ლაპარაკობ, ქეთას რაიმე უარყოფითი თვისება არ გახსენდება?

— მიჭირს რაიმე უარყოფითის გახსენება (*ფიქრობს*)...

— დედისერთა რომაა, ცოტათი ეგოისტი მაინც არ არის?

— არა, სხვათა შორის. გამონაკლისია ამ მხრივ თუ რა, არ ვიცი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დედისერთაა, ეგოიზმი ნულზე აქვს. ერთი, რაც შემიძლია ვთქვა, — ცოტა ჯიუტია.

— „ა-სტუდიოს“ წევრებისა და ქეთას ურთიერთობაზე რას გვეტყვი?

— ფანტასტიკური ურთიერთობა აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ასაკით ქეთაზე უფროსები არიან. მათ მეც კარგად ვიცნობ, ძალიან კარგები არიან... მოსკოვში, როგორც ვთქვი, ქეთასთან ხშირად ვყოფილვარ და ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ფანები როგორ გიჟდებიან მათზე, განსაკუთრებით — ქეთაზე. დასდევენ სურათების გადასაღებად, ავტოგრაფებისთვის... სცენაზე რომ გამოდის, ისეთი შეძახილებით, აპლოდისმენტებით ხვდებიან!.. მოკლედ, ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა, რომ ასეთი მეგობარი მყავს და მიხარია, რომ სამაგალითო მეგობრობა გვაქვს. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და იმედი მაქვს, სულ ასე იქნება....

მოსკოვში, ერთ-ერთ „ტუსოვკაზე“

სკანდალების მეფე – სილვიო ბერლუსკონი

მას შემდეგ, რაც 2009 წლის მაისში მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა სილვიო ბერლუსკონი 18 წლის მოდელ ნოემი ლეტიციასთან კავშირში ამხილეს, იტალიის პრემიერ-მინისტრის მეუღლემ განაცხადა, რომ მასთან განქორწინებას აპირებს. ვერონიკა ლარიოს განსაკუთრებული აღშფოთება იმან

გამოიწვია, რომ ბერლუსკონის ვილაში გამართულ წვეულებებს გოგონა მანამდეც არ აკლდებოდა, ვიდრე სრულწლოვანი გახდებოდა. ჰოდა, ლარიომ მაშინ განაცხადა, რომ აღარ შეუძლია იმ ადამიანთან ცხოვრება, რომელიც „არასრულწლოვნებთან ერთობა“. ამ ფაქტიდან სულ მცირე ხანში, აღნიშნული წვეულებების მეორე მონაწილემ, ყოფილმა მოდელმა პატრიცია დადარიომ განაცხადა, რომ ორმა ბიზნესმენმა მას ბერლუსკონისთან გატარებულ ერთ ღამეში 1.000 ევრო გადაუხადა. ბიზნესმენები კორუფციაში დაადანაშაულეს, ბერლუსკონიმ კი იმის მტკიცება დაიწყო: თავად ქალებისთვის სექსში ფული არასდროს გადამიხდია, ხოლო საინფორმაციო საშუალებებში ჩემ წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიაში მედიამაგნატ რუპერტ მერდოკის ხელი და ფული ურევიაო...

ცოტა ხანში იტალიურმა გაზეთმა La Repubblica ქვეყნის პრემიერ-მინისტრს სასამართლოში უჩივლა, რადგანაც ბერლუსკონიმ გაზეთის საქმიანობას, რომელიც მის ირგვლივ აგორებული სკანდალის შესახებ მასალებს აქვეყნებს, „ძირგამომთხრელი და ანტისახელმწიფოებრივი“ უწოდა. გაზეთის ჟურნალისტებმა პოლიტიკოსი იმაშიც დაადანაშაულეს, რომ ის საკუთარი სამსახურებრივი მდგომარეობით ბოროტად სარგებლობს და საინფორმაციო ბაზრის წესების დარღვევასაც არ ერიდება. კერძოდ, ივნისში ბერლუსკონიმ ბიზნესმენთა ერთ ჯგუფს მოუწოდა, რომ La Repubblica-ში რეკლამები არ განთავსებინათ. გამოცემის მფლობელი მედიაჯგუფი L'Espresso კი ირწმუნება, რომ ბერლუსკონი ამ გზით იტალიურ პრესაზე მეტი კონტროლის მოპოვებასაც ცდილობს.

იტალიის პრემიერ-მინისტრი ქვეყნის საინფორმაციო საშუალებების ისედაც დიდ ნაწილს ფლობს და როგორც ჟურნალისტები აცხადებენ, La Repubblica-ს წინააღმდეგ წამოწყებულ ომში მათი ჩართვაც არ გასჭირვებია. ასე მაგალითად, მთავრობის მეთაურის კონტროლქვეშ მყოფი გაზეთი Il Giornale 22 ივლისის გამოშვებაში წერდა, რომ La Repubblica „ჩერნობილზე შხამიანია“.

ცხადია, არც პრემიერის ადვოკატები მსხდარან გულხელდაკრეფილნი და ჯიუტ გაზეთს შემხვედრი სარჩელითაც კი დაემუქრნენ. ადვოკატებმა სარჩელს საფუძვლად გაზეთის მიერ იმ აუდიოჩანაწერების გამოქვეყნება დაუდეს, რომლებიც პატრიცია დადარიომ ბერლუსკონის რეზიდენციაში მალულად ჩაიწერა.

პრემიერი მის ირგვლივ ატეხილ სკანდალზე საჯაროდ 22 ივლისს ალაპარაკდა. კერძოდ, მან ღიმილით განაცხადა, — ყველა იტალიელმა შესანიშნავად იცის, რომ წმინდანი არ ვარო და იმის იმედიც გამოთქვა, რომ ადრე თუ გვიან, ამას La Repubblika-ს ჟურნალისტებიც მიხვდებიანო. პრემიერს არც იმის ხაზგასმა დავიწყნია, რომ აბეზარი ჟურნალისტების თავდასხმები მასზე და მის რეიტინგზე საერთოდ არ მოქმედებს. La Repubblica-ს მონაცემებით კი სკანდალის აგორების შემდეგ, ბერლუსკონის რეიტინგი მთელი 50%-ით დაეცა. თუმცა, Il Giornale მაინც ჯიუტად იმეორებს, რომ ათიდან შვიდი იტალიელი კვლავაც ბერლუსკონის უჭერს მხარს.

ამასობაში კი თავად პრემიერ-მინისტრმა სასამართლოს გზით, სარდინიაზე მდებარე ვილა „ჩერტოზეში“ ნამყოფი სტუმრების ფოტოების დაბეჭდვის აკრძალვას მიაღწია. აღნიშნულ ფოტოებს შორის არაერთია ისეთი, რომლებზეც გოგონები ბიკინით ან სრულიად შიშვლები არიან აღბეჭდილნი. ცხადია, მათ შორისაა ბერლუსკონის მეუღლის მთავარი „თავის ტკივილის“ — ნოემი ლეტიციას პიკანტური ფოტოებიც. 2007-2008 წლების განმავლობაში პაპარაცმა ანტონელო ძაპადუმ 300-მდე ასეთი ფოტო მაინც გადაიღო. ბერლუსკონის ადვოკატებმა სასამართლოში განაცხადეს, რომ ძაპადუ „სხვის პირად ცხოვრებაში უხეშად შეიჭრა“, შემდეგ კი ეს ფოტოები გაზეთებს 1,5 მილიონ ევროდ მიჰყიდა. საბოლოოდ, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, პოლიციამ პაპარაცს ფოტოების დისკი ჩამოართვა და მათი პრესაში გამოქვეყნებაც აკრძალა.

ანტონელო ძაპადუ მის მიერ გადაღებულ ფოტოებს პირობითად, 3 კატეგორიად ყოფს: პირველ კატეგორიას „ჩერტოზეს“ ის სტუმრები განეკუთვნებიან, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად არიან ცნობილნი და ამიტომაც, პაპარაციმ მათი სახეები ისე შეცვალა, რომ პრაქტიკულად, ამ ადამიანების ამოცნობა შეუძლებელია. როგორც ძაპადუ ირწმუნება, ეს „მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის გამო“ გააკეთა; მეორე კატეგორიაში შედის იმ სტუმრების ფოტოები, რომლებიც ბერლუსკონის ვილაში სამხედრო თვითმფრინავებით ჩადიან, მესამეში კი გოგონებისა და „ნიუ“-სტილის სტუმრების ფოტოებია გაერთიანებული.

თავად ბერლუსკონის თქმით, ფოტოებზე ადამიანები აღბეჭდილნი არიან „აბსოლუტურად არაინტიმურ მომენტებში, რაც კანონს არ ეწინააღმდეგება“. თუმცა, პრემიერის ადვოკატმა, ნიკოლო გედინიმ გამოცემა Corriere della Sera-ს ისიც განუცხადა, რომ ფოტოებს შორის ჩეხეთის პრემიერის, მირეკ ტოპოლანეკის ერთი შიშველი ფოტოცაა, რომელიც ანტონელო ძაპადუმ ტოპოლაკს 2008 წლის მაისში, „ჩერტოზეს“ ბაღში „გარუჯვისას“ გადაუღო.

ბერლუსკონისა და ნოემი ლეტიციას შორის სავარაუდო კავშირს, რომელზეც ახლა მთელი იტალია ლაპარაკობს, ეჭვქვეშ აყენებს გოგონას ყოფილი ბოიფრენდი — ჯინო ფლამინიოც. მეტიც, მას პრემიერისა და ლეტიციას შორის სექსუალური ურთიერთობის უბრალოდ, არ სჯერა. 2009 წლის 28 მაისს ამის თაობაზე თავად ბერლუსკონიმაც განაცხადა: შვილებს გეფიცებით, ამ გოგონასთან არანაირი რომანი არ მქონიაო. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკო ფრატინის აზრით კი უფროსი ასაკის პირებთან სექსი იტალიის კანონებით დანაშაულად საერთოდაც არ მიიჩნევა, მაგრამ ის იმასაც ვარაუდობს, რომ 72 წლის ბერლუსკონისა და 18 წლის ლეტიციას შორის რომანტიკულ ურთიერთობებზე გავრცელებული ხმები „აბსოლუტურად არასარწმუნოა“.

გაგრძელება იხ. გვ. 102

შორენა ბეგაშვილი: „მოგიერთი იმიტომ ვერ მიტანს, მისი ქმარი ან შეყვარებული რომ მიყურებს ტელევიზორში"

ოჯახში ყველაზე პატარა იყო და ყველა სურვილს უსრულებდნენ, ათამამებდნენ. პარფიუმერიის გამო ათი წლით უფროს დასთან ხელჩართული ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული. სარკეს 15 წლის ასაკში „დაუმეგობრდა" და მისი ბიჭური მანერებიც ნელ-ნელა გაქრა. ამბობს, რომ მამაკაცებმა უკეთესი მეგობრობა იციან.

ნინო მჭედლიშვილი

ჩემი რესპონდენტი მსახიობი — შორენა ბეგაშვილი გახლავთ. თამამი ნაბიჯისთვის მამაკაცების ჟურნალისთვის გაშიშვლებისთვის ის არაერთხელ გააკრიტიკეს. მერე დაიწყო სერიალი — „კაბარე 5 ვარსკვლავი". თავისი პერსონაჟის სახელს — სერიოზულად აპროტესტებდა. პროტესტი დღესაც არ გამქრალა.

— არაჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა. ბიჭური თამაშებით ვიყავი გატაცებული. მაშინდელ ფოტოებში სულ თოფი და ტანკი მიკავია ხელში. ბიჭებთან ვმეგობრობდი და ბიჭური მანერები მქონდა... ერთი და მყავს, ჩემზე 10 წლით უფროსი და ერთმანეთს „ვჭამდით". სულ მის პარფიუმერიაში ვიქექებოდი. ვთხოვდი, თავის მეგობრებთან მეც წავეყვანე. მას, რა თქმა უნდა, ამის სურვილი ნაკლებად ჰქონდა და ამის გამო იყო ერთი აურზაური.

— მშობლები რა პროფესიისანი არიან?

— დედა დიასახლისია, მამა (*რუსთავში გავიზარდე*) რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა.

— მკაცრად გზრდიდნენ?

— არა. თავადვე ვხვდებოდი, ჩემთვის რა იყო კარგი და რა — ცუდი. დედ-მამაც ყოველთვის მანებივრებდა, რადგან უმცროსი შვილი ვიყავი; ყველა სურვილს მისრულებდნენ.

— როგორ ერთობოდი?

— გოგონების წრეში ურთიერთობა არ გამომდიოდა და არც ახლა გამომდის. თითქოს შურის თვალით მიყურებდნენ გოგონები და ეს გულს მტკენდა. ამიტომ ბავშვობის მეგობრები სულ ბიჭები მყავს. ისინი ჩემ მიმართ კეთილგანწყობილები იყვნენ. ვთამაშობდით „წითელ, ყვითელ, შავს", „გაფუჭებულ ტელეფონს".

— სკოლაში როგორ სწავლობდი?

— ძალიან კარგად. ბიბლიოთეკაში ვაღამებდი. ახლა მიკვირს, იმ სიცივეში როგორ ვიჯექი ხოლმე ბიბლიოთეკაში.

— განსაკუთრებულად გიყვარდა რომელიმე საგანი, მასწავლებელი?

— ყველა მასწავლებელს ერთნაირად ვცემდი პატივს, ყველასთან ნორმალური დამოკიდებულება მქონდა. რაც შეეხება საგნებს, არც ერთი არ მიყვარდა, უბრალოდ, ვალდებული ვიყავი, რომ კარგად მესწავლა. პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, თორემ სწავლაზე არ ვგიჟდებოდი.

— ორიანი მიგიღია?

— კი. ერთხელ ძალიან მეზარებოდა დავალების დაწერა და კლასელი ბიჭისგან გადავიწერე. მეჩქარებოდა და არც დავაკვირდი, რა დავწერე. არადა, იმას იმდენი სისულელე სწერია!.. მათემატიკის მასწავლებელმა ორივეს ორიანები დაგვიწერა. სირცხვილისგან თავი

სად წამეღო, აღარ ვიცოდი. მერე ჭკუა ვისწავლე და არავისგან აღარაფერი გადამიწერია.

— შატალოზე დადიოდი?

— დავდიოდი კი არა, შატალოს ორგანიზატორი ვიყავი. ოღონდ სადმე წავსულიყავით ერთად და ყველაფერს ვიზამდი. ვიტყოდი: წავიდეთ-მეთქი და... კარგი მოსწავლე ვიყავი და ვინ არ დამიჯერებდა?! უკან მომყვებოდნენ.

— სარკის წინ ტრიალი და კეკლუცობა რა ასაკში დაიწყე?

— სარკე 15 წლისამ „გავიცანი". ვხედავდი, როგორ ვიცვლებოდი, როგორ მეცვლებოდა სხეულის ფორმები და ეს ქალაბიჭა გოგო როგორ ვნაზდებოდი. წარბები რომ გამიხშირდა, გავგიჟდი, ჩემი თავი აღარ მომწონდა.

— გახსოვს შენი პირველი ემოცია, როცა საწინააღმდეგო სქესის ყურადღება მიიქციე?

— ჩემი ემოცია ბუნებრივი იყო. მივიჩნიე, რომ ქალი იმიტომ არის ლამაზი, რომ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლის ყურადღება მიიქციოს. მსიამოვნებდა კომპლიმენტები.

— ბიჭებთან ვთამაშობდიო, — მითხარი. სურვილი თუ გიჩნდებოდა, მათივე სქესის წარმომადგენელი ყოფილიყავი?

— არა, არა! სასიამოვნოა, რომ ქალი ვარ და მეორედაც რომ მეცხოვრა, ისევ ამ სქესს ავირჩევდი. ვგიჟდები საკუთარ თავზე! არ ვიცი, რატომ უნდა მომინდეს, წვერულვაშიანი კაცი ვიყო (*იცინის*). არ მინდა!

— პირველი პაემანი გახსოვს?

— მახსოვს. აუტანელი სიცხე იყო. თავბედს ვიწყევლიდი, რისთვის მოვედი პაემანზე-მეთქი. ძალიან დიდ უაზრობად მომეჩვენა ის შეხვედრა. ვერ გამეგო, რა მეკეთებინა, შებოჭილი ვიყავი. ეს იყო შეხვედრა ჩემს მომავალ, აწ უკვე განქორწინებულ მეუღლესთან.

— უფრო დეტალურად მომიყევი ამ შეხვედრის შესახებ.

— მოკლე ქვედაბო-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ორჩხომელი მოზრდილი ნავია.

2. ივანე მრისხანე 11 წლის ასაკში გამეფდა.

3. ვიეტნამის ომში 58 ათასი ამერიკელი და 3 მილიონი ვიეტნამელი დაიღუპა.

4. ციფრი ნული ინდოელმა მათემატიკოსებმა სიცარიელის აღსანიშნავად შემოიღეს.

5. დიდმა რუსმა მომღერალმა, ფეოდორ შალიაპინმა პროფესიული მოღვაწეობა თბილისის ოპერის სცენაზე დაიწყო.

6. თავისი პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“ მიხეილ ჯავახიშვილმა 1903 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოაქვეყნა.

7. „არწივობა მერგო წილად, ვერ გავყვავდები“, — ღიმილით ამბობდა ინტერვიუში თემურ წიკლაური.

8. „სჩასტიე, კოგდა ტებე ზავიდუიუტ, ა ნაგადიტ ნე მოგუტ“, — ორი სიტყვით ასე აყალიბებენ ბედნიერების ფორმულას რუსები.

9. „კვეთი“, „დვრიტა“ და „მაჭიკი“ სინონიმებია. ასე ჰქვია საყველედ რძის შესადედებელ მასალას, რომელსაც ჩვილი, მცოხნავი საქონლის კუჭიდან იღებენ.

10. ფაბერჟეს უკანასკნელი ნამუშევარი, „რენესანსის კვერცხი“ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ს 4.750 მანეთი დაუჯდა. მან იგი საკუთარ მეუღლეს, მარია ფიოდოროვნას აჩუქა.

11. 1883-1884 წლებში ვაჟა-ფშაველა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი იყო. ეს უმაღლესი სასწავლებელი მან ხელმოკლეობის გამო დატოვა.

12. სიდნი პუატიე პირველი შავკანიანი მსახიობი იყო, რომელიც „ოსკარით“ დაჯილდოეს. მას პრიზი გადაეცა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში „მინდვრის შროშანები“.

13. მარჯვენა ფეხით რვიანის შემოხაზვისას ადამიანს არ შეუძლია, იმავდროულად მარჯვენა ხელით ექვსიანი შემოხაზოს, რადგან ადამიანის ცალი მხარის კიდურების მოძრაობას ტვინის ერთი და იგივე ნაწილი აკონტროლებს.

14. „ნენავიჟუ სვოიუ გრიმიორნუიუ ი კოსმეტიკუ. ეტო ნე ტუალეტნი სტოლიკ, ა რესტავრაციონნაია ლაბორატორია!“ — ხელებს ასავსავებდა საკუთარ საიუბილეო საღამოზე კლარა ნოვიკოვა.

15. რაგბის მოყვარულები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას ეკვატორს დაბლა მობინადრე სამ ვეშაპს ეძახიან. ვისაც ამ ქვეყნების ეროვნულ ნაკრებთა თამაში უნახავს, ნამდვილად არ იკითხავს — რატომო?

16. მსახიობი ბრონისლავ ბრონდუკ-

ჰგონიათ, ისეთი ცხოვრებით ვცხოვრობ, როგორითაც „კუკი“. არადა, ეს სახელი საშინლად მაღიზიანებს

ლო და თეთრი მაისური მეცვა. ცხელოდა და პარკში გავისეირნეთ, წვენი დავლიეთ. ისეთი მომაბეზრებელი იყო, რომ აღშფოთებული და განრისხებული მოვედი სახლში — რა სისულელე ჩავიდინე და რა დრო დავკარგე-მეთქი.

— მტირალა ხარ?

— მარტო როცა ვარ, კი, მაგრამ ხალხთან არ ვტირი. მეგობრებთანაც კი ვიკავებ თავს. ვცდილობ, სხვას არ დავანახვო ჩემი ცრემლები.

— რაზე შეიძლება, იტიროს შორენამ?

— უამრავ რამეზე: ფილმის სევდიან ფინალზე, მულტფილმზე, პატარა გულისტკენაზეც კი...

— ალბათ არაერთი მამაკაცი ყოფილა შენზე ცალმხრივად შეყვარებული.

— ჩემზე არა, ისინი იმ შორენაზე არიან შეყვარებულნი, რომელსაც ეკრანსა ან ჟურნალებში ხედავენ. ისინი ხომ რეალურად არ მიცნობენ? რომ გამიცნონ, შეიძლება, ისიც თქვან, — ეს რამ შემაყვარაო.

— რატომ? შეგიძლია, საკუთარ ნაკლზე გულახდილად ილაპარაკო?

— (*ფიქრობს*) მაგალითად, არ ვიცი კერძების მომზადება. არ მეზარება, უბრალოდ, არ გამომდის.

— აბა როგორ კვებავდი შენს ყოფილ მეუღლეს?

— (*იცინის*) ის მკვებავდა. 8 წელი ვიცხოვრეთ ერთად და თავად ამზადებდა კერძებს.

— და ასეთი მამაკაცი მიატოვე?!

— რა მექნა?!. სხვა ნაკლი ვუპოვე ისეთი, რომ ჯობდა, კერძები მე მეკეთებინა.

— რა ნაკლი?!

— არ მინდა ძველი ტკივილის გახსენება..

— ნანობ, რომ გათხოვდი?

— არა, ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალოს. ჩემს ცხოვრებაში ასეა. როცა მგონია, რომ ღმერთმა მიმატოვა, აღარავის ვჭირდები, სწორედ მაშინ იცვლება ყველაფერი ჩემს სასიკეთოდ. ამან ძალიან მომთმენი გამხადა და როცა მძიმე დღეები მაქვს, თავს ამ სიტყვებით ვიმხნევებ, — ესეც გაივლის...

— რამდენდღიანია შენი დეპრესია?

— ქმარს რომ დავცილდი, თვეების განმავლობაში სახლიდან არ გავდიოდი, ადამიანების დანახვა არ მინდოდა. მაგრამ ახლა ჩემი შვილით ვცხოვრობ. ბედნიერი ვარ, თუ მას რამით ვახარებ.

— როგორი დედა ხარ?

— ძალიან ლმობიერი. შვილისთვის არასდროს დამიყვირია და მით უმეტეს, არ დამირტყამს. როცა სხვა დედები შვილებს სცემენ, ძალიან ვბრაზდები. ჩემი 7 წლის ევა დამჯერია, პატარა მეგობარივით მყავს; ცდილობს, არ მანერვიულოს, გამიფრთხილდეს. გასაოცარი ურთიერთობა გვაქვს.

— ყველაზე უცნაურ თაყვანისმცემელზე მიამბე...

— ალბათ გამიჭირდება. თუმცა ჩემს გაოგნებას მართლაც ახერხებენ. ყველას ჰგონია, რომ ძალიან თამამი ვარ, ამიტომ როცა მე რესტორანში ან კაფებარში მხედავენ, თავს უფლებას აძლევენ, მიმტანს სთხოვონ, ჩემთან მოვიდეს და ტელეფონის ნომერი გამომართვას. ეს ძალიან მაღიზიანებს, ჰგონიათ, ისეთი ცხოვრებით ვცხოვრობ, როგორითაც „კუკი“. არადა, ეს სახელი საშინლად მაღიზიანებს და არც მისი ცხოვრებით ვცხოვრობ. ასე რომ, ქართველო მამაკაცებო, გაიგეთ, ერთხელ და სამუდამოდ, შორენა „კუკი“ არ არის!!!

— რა მოგიტანა პოპულარობამ?

— ყველა საქმე ადვილად გამომდის. მცნობენ, მიღიმიან, არ მალოდინებენ, მეხმარებიან, მესალმებიან. მეც გავთამამდი და ყველას, ვიცნობ თუ

არა, თავს ვუქნევ მადლიერების ნიშნად (*იცინის*).

— როგორ იღებ კრიტიკას?

— თუ ვხვდები, რომ სამართლიანი კრიტიკაა, ვიღებ და ვითვალისწინებ კიდეც. მაგრამ თუ უსამართლოა და მხოლოდ იმისთვის მაკრიტიკებენ, რომ ვიღაცას ვეზიზღები, რა თქმა უნდა, ვბრაზდები.

— რატომ უნდა ეზიზღებოდე ვიღაცას?

— იმიტომ, რომ მისი ქმარი ან შეყვარებული მიყურებს ტელევიზორში. ასეთი მართლა ბევრია. ამის გამო ამომიღეს თვალში და მაკრიტიკებენ.

— დაბადების დღეზე ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა ძვირად ღირებული მანქანა რომ გისახსოვროს, მიიღებ საჩუქარს?

— ეს საჩუქარი რომ მივიღო, ის ადამიანი ჩემი თაყვანისმცემელი აღარ იქნება, ჩვენს ურთიერთობას სხვა სახე მიეცემა და სხვა სახელიც დაერქმევა. ამიტომ ჯერ კარგად უნდა დავფიქრდე, მინდა კი ეს მანქანა თავისი მძღოლიანად (*იცინის*)? თუ მარტო მანქანა მინდა, ჯობია, თავად შევაგროვო ფული და ვიყიდო.

— რა არ მოგწონს ქართული ტრადიციებიდან?

— უსასრულო სუფრები არ მიყვარს. ზოგადად, ჭამა არ მიყვარს, ამდენად, დიდხანს სუფრასთან ვერ ვჩერდები. კიდევ არ მომწონს, როცა დედები და მამები ზრდასრული შვილის საქმეში ერევიან, 50 წლისაც რომ იყოს, მაინც უკონტროლებენ, სად წავიდეს და სად — არა; ვისთან შექმნას ოჯახი და ვისთან — არა. შვილს დამოუკიდებლად ვზრდი. ვერ შევურიგდები იმ ფაქტს, რომ მე, 27 წლის ასაკში მშობლების ხარჯზე ვიცხოვრო.

— რა არ მოგწონს ქართველ მამაკაცებში?

— უიმე, ჯანდაბა მაგათ (*ხარხარებს*)! არაფერიც არ მომწონს.

— მაშ, დარჩენილხარ გასათხოვარი. მე კი ვვარაუდობდი, კერძების მომზადებაში ვარჯიშობს მომავალი ოჯახის შესაქმნელად-მეთქი.

— არა. ნამდვილად არ ვვარჯიშობ. სულ ავიღე ხელი კულინარიაზე. როცა ხელფასს ვიღებ, თანხას გადავინახავ ხოლმე იმისთვის, რომ როცა მოგვინდება, მე და ჩემი შვილი რესტორანში შევიდეთ. რა მკითხე მამაკაცებზე?

— რა არ მოგწონს-მეთქი მამაკაცებში?

— ისე, კარგად არ ვიცნობ ქართველ მამაკაცებს. ერთი-ორი წელი მაცადე და როცა კარგად გავერკვევი, მერე ჩავწეროთ ინტერვიუ ამ თემაზე (*იცინის*). ■

ქმარს რომ დავცილდი, თვეების განმავლობაში სახლიდან არ გავდიოდი, ადამიანების დანახვა არ მინდოდა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ოვი სასცენო მსახიობობას არ სჯერდებოდა. გრიმს იკეთებდა, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ადიოდა და თავს კონტროლიორად ასაღებდა. „ჭირსაც წაუღია მთავარი როლები, მომეცით ეპიზოდი და მე მას განუმეორებლად ვაქცევ!“ — გაიძახოდა იგი და არც ტყუოდა. მაყურებელს კარგად ახსოვს მისი ეპიზოდური როლები: ფედოლი — ფილმში „აფონია“, ახალდაქორწინებული მამაკაცი — ფილმში „გარაჟი“, ბუჩა — ფილმში „ბოშათა ბანაკი ზეცას მიემგზავრება“, ინსპექტორი ლესტრეიდი ფილმში — „შერლოკ ჰოლმსისა და ექიმ ვატსონის თავგადასავალი“. უკრაინული აქცენტის გამო (მსახიობს ბებია თათარი ჰყავდა, დედა — პოლონელი, თავად უკრაინელი გახლდათ) სკოტლანდიარდელი ინსპექტორის როლის შემსრულებელი ბრონისლავ ბრონდუკოვი ფილმში სხვა მსახიობმა გაახმოვანა. ბრონდუკოვმა თავად მოძებნა ის ადამიანი, ვისი ხმითაც მის პერსონაჟს უნდა ელაპარაკა. P.S. 60 წელს გადაცილებულ მსახიობს მოულოდნელად დამბლა დაეცა, სიცოცხლის უკანასკნელი წლები ლოგინს მიჯაჭვულმა გაატარა; 66 წლის ასაკში გარდაიცვალა.

17. „ეს ჩემი შაშხანაა! მის გარეშე არაფერს წარმოვადგენ! ჩემ გარეშე არც ამ შაშხანას აქვს რაიმე ფასი! ამქვეყნად ბევრი შაშხანაა, მაგრამ ეს — ჩემია!“ — ამ სიტყვებს წვრთნების დროს ლოცვასავით იმეორებენ ამერიკელი სპეცრაზმელები.

18. ფერდინანდ პირველის მმართველობის პერიოდში ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში განუზომელი ძალაუფლებით სარგებლობდა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, იმპერიის პირველი მინისტრი მეტერნიხი. ერთხელ, როცა იმპერატორს მოახსენეს, სახელმწიფო ხაზინა თითქმის ცარიელიაო, მას წარბიც არ შეუხრია: არაფერია, მე და მეტერნიხს გვეყოფაო.

19. „შემოდგომის ტყე“, „გარყვნილი ქალი“, „გარყვნილი ქალის მენსტრუალური სისხლი“, — ასეთ კოდირებულ სახელებს არქმევდა ისააკ ნიუტონი ამა თუ იმ ქიმიურ ნივთიერებას, როცა ფარულად ალქიმიკოსობდა და მის თანამედროვე მეცნიერთა მსგავსად, ფილოსოფიურ ქვასა და უბრალო მეტალებისგან ოქროს მიღების ხერხებს ეძებდა.

20. „როცა სიყვარულის ძალაუფლება დასძლევს ძალაუფლების სიყვარულს, მსოფლიოში მშვიდობა დაისადგურებს“, — ამბობდა ჯიმი ჰენდრიქსი.

რას უწუნებს ვანიკო თარხნიშვილი ნიკოლ კიდმანს

ვანიკო თარხნიშვილი რამდენიმე კვირის წინ, შარდენის ქუჩაზე დაჭრეს და ახლა „ჩვენი ოფისის“ გადაღებებზე მისვლა „გაბინტული“ ხელით უწევს. ამჟამად, ვანიკო სერიალში ქალის როლს თამაშობს. ქალბატონმა დოდომ ზოგს ფილმი „ტუტსი“ გაახსენა, ზოგი კი მას ნინო ბურჯანაძესაც ამსგავსებს. ეს არცაა გასაკვირი. ვანიკოს ამჟამინდელი გმირი ხომ გვარად ბურჯანაძეა.

„მაღალქუსლიან ფეხსაცმელსაც შევეგუე, მკერდიც ჯარგი მაქვს და საჯდომსაც არა უშავს“

მერი კობიაშვილი

— ვანიკო, ქალის ფორმაში თავს კომფორტულად გრძნობ?

— ვერ ვიტყვი, კარგად ვარ-მეთქი. ძალიან მაწუხებს, ასეთ სიცხეში ბევრი გრიმის გაკეთება რომ მიწევს, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს — სერიალს სჭირდება და მეც მორჩილად ვასრულებ ყველაფერს.

— ალბათ, ქალის როლში ყოფნა გიჭირს, არა?

— კი, ძალიან. მე ხომ ყველაფერს „მიკეთებენ“ — მკერდს, საჯდომს და ა.შ. შენ წარმოიდგინე, ბანდაჟი და კოლჰოტებიც კი მაცვია. მოკლედ, ჩემს თავს საშინელებები ხდება.

— შენი გმირი გვარად ბურჯანაძე რატომ არის?

— უბრალოდ, ასეთი გვარი აქვს. ცნობისათვის, ნინო ბურჯანაძეს არ ვბაძავ. მაყურებელმა შეიძლება, დოდო მას მიამსგავსოს, მაგრამ მერწმუნეთ, ქალბატონი ნინოს პაროდიას ნამდვილად არ ვაკეთებ.

— როგორი რეაქცია აქვთ შენს ახლობლებს, როდესაც ეკრანზე დოდოს უყურებენ?

— იმის დრო არ მაქვს, რომ ახლობლებს ჩემი ქალური ჩაცმულობის შესახებ აზრი ვკითხო. სულ მენატრება ის პერიოდი, როცა თავისუფალი გახლდით და გართობისთვის ბევრი დრო მქონდა.

თუ უსაქმურად ვარ, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. საბედნიეროდ, ახლა ვმუშაობ

— შემთხვევით, თაყვანისმცემლებიც ხომ არ გამოგიჩნდა? ლამაზი ქალი ხარო, არავის უთქვამს?

— მეხუმრები, არა? აბა, მითხარი, რა აქვს ქალბატონ დოდოს ლამაზი?

— შენი გმირი თავადაც არ მოგწონს?

— ჩემს ნამუშევარს კრიტიკულად ვუყურებ ხოლმე. ჰოდა, ზოგჯერ მომწონს, ზოგჯერ — არა.

— ადრე თუ იფიქრებდი, რომ ოდესმე ქალის როლის შესრულება მოგიწევდა?

— თეატრალურ უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდი, არც ერთი როლის თამაში არ გამომირიცხავს, მაგრამ კონკრეტულად ქალის როლის მორგებაზე ნამდვილად არ მიოცნებია. რეჟისორი რა როლსაც მომცემს, მის კარგად შესრულებაზე ვფიქრობ ხოლმე.

— ვანიკო, მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე სიარული არ გაგიჭირდა?

— არა. მაღალქუსლიან ფეხსაცმელსაც შევეგუე, მკერდიც კარგი მაქვს და საჯდომსაც არა უშავს.

— საკუთარ თავს როგორ დაახასიათებდი — გემოვნებიანი ადამიანი ხარ?

— ამ თემაზე ლაპარაკი არ მიყვარს.

— გემოვნებაზე არასდროს გიკამათია?

— მე მშვიდობისმოყვარე ადამიანი ვარ, კამათი არ მიყვარს.

— შენი ხელის შემხედვარე, ამას ვერ ვიტყოდი...

— ასე იმიტომ არ დამმართვია, რომ ვიკამათე. უბრალოდ, გაუგებრობაში მოვყევი. თუ ვიცი, რომ სხვას აზრს მაინც ვერ შევაცვლევინებ, ჩემს სიმართლეში რაც უნდა დარწმუნებული ვიყო, მას მაინც არ შევეკამათები.

— რომელ რეჟისორთან მუშაობაზე ოცნებობ?

— ბევრ რეჟისორთან ერთად სიამოვნებით ვიმუშავებდი, მაგრამ კერპი ნამდვილად არ მყავს.

— რომელიმე ჰოლივუდელ ლამაზმანთან ერთად მუშაობაზეც არ გიოცნებია?

— განსაკუთრებულად არც ერთი არ მომწონს. მაგალითად, ნიკოლ კიდმანი ცივი გარეგნობის მქონე ქალია და მისნაირი მანდილოსნები არ მხიბლავს, მაგრამ იმდენად ნიჭიერი მსახიობია, რომ მასთან ერთად სიამოვნებით ვითამაშებდი (*იცინის*).

— რატომ გეცინება? ხომ შეიძლება, ოდესმე მსგავსი რამ მართლაც მოხდეს?..

— ამაში ეჭვი მეპარება. ჩვენ ჰოლივუდელ მსახიობებს ბევრი რამით ჩამოვრჩებით, თუნდაც პროფესიონალიზმს ვგულისხმობ. მსახიობმა საკუთარ თავზე გამუდმებით უნდა იმუშაოს, რათა ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდეს.

— საკუთარ თავზე მუშაობაში რა გიშლის ხელს?

— სიზარმაცე და მოუცლელობა. მუშაობის პარალელურად, ბევრი უნდა იკითხო და ჯანსაღი ცხოვრების წესითაც იცხოვრო. კიდევ, „ჟილკა“ უნდა გქონდეს, რათა კარგი სამსახური ეძებო და იპოვო. მე ეს ყველაფერი მეზარება.

— შენი ცხოვრების სტილი როგორია?

— თუ უსაქმურად ვარ, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. საბედნიეროდ, ახლა ვმუშაობ, საღამოობით კი ვერთობი ხოლმე. დრო გართობისთვისაც რომ არ გამოვნახო, „გადავიწვები“.

— წიგნის წასაკითხად დრო არ გრჩება?

— სამწუხაროდ, არა და არც ის მახსოვს, ბოლოს რა წავიკითხე. ჰოდა, ზოგჯერ ვგრძნობ, რომ ტვინი „გამომიცარიელდა“, ეს კი საშინელი შეგრძნებაა. ახლა დაახლოებით 6 თვის განმავლობაში ალკოჰოლს ვერ მივიღებ და გადავწყვიტე, ეს დრო წიგნების კითხვას დავუთმო.

— ანუ ზოგი ჭირი მარგებელია, არა?

— რა თქმა უნდა! საერთოდ, გადაღების მერე, განტვირთვისთვის ვსვამდი ხოლმე. თანაც, ლუდი ძალიან მიყვარს. სხვათა შორის, ჩემნაირი აღნაგობის ბევრი დამითვრია (*იცინის*).

— უპირატესობას რომელ სასმელს ანიჭებ?

— ვისკი და კონიაკი ძალიან მიყვარს.

— მთვრალი ვანიკო თარხნიშვილი როგორია?

მერწმუნეთ, ქალბატონი ნინოს პაროდიას ნამდვილად არ ვაკეთებ

— არაფერს ვამტვრევ და ვაფუჭებ. როცა მთვრალი ვარ, ცხოვრება მიხარია და ვცდილობ, ირგვლივ მყოფებიც გავამხიარულო.

— როგორი გარეგნობის გოგონები მოგწონს?

— ყველანაირი ქალი მომწონს და შემიძლია, ისიც გაგანდოთ, რომ „რიჟა“ გოგოებისკენ გამირბის თვალი.

— ვანიკო, როგორც ვიცი, მარტო ცხოვრობ...

— უკვე დიდი ხანია, ქირით ვცხოვრობ და კერძებსაც თავად ვამზადებ. მარტო ცხოვრებას თავისებური ხიბლი აქვს.

— სახლის დალაგებაც გეხერხება?

— ეს საქმე დამლაგებლისთვის მაქვს მინდობილი... სხვათა შორის, მინდა, სახლი მცხეთაში ვიყიდო, რადგანაც ეს ქალაქი ძალიან მიყვარს.

— რა მანქანა გინდა, რომ გყავდეს?

— მინდა, ახალი „ნავაროჩენი“ მანქანა მყავდეს.

— მანქანის მარკას მნიშვნელობა არა აქვს?

— „იაგუარიც“ მომწონს და „მერსედესიც“ (*ოხრავს*), მაგრამ ვინ იცის, ასეთ მანქანას როდის შევიძენ...

თუ მიგაჩნიათ,
რომ საინტერესო
ამბავი იცით და გსურთ,
ის ყველას გააგებინოთ...

მოჰყევით თქვენი ამბები

ამბები.ge-ზე

ნინო ჩხეიძე ლეპრესიას პარიზში იქარვებს...

მომღერალ ნინო ჩხეიძეს ევროპაში დასვენება ძალიან მოსწონს, თუმცა უარს არც საქართველოს კურორტებზე ამბობს: მითხრა, — სიამოვნებით დავისვენებდი ლიკანში და გამაჯანსაღებელ პროცედურებსაც ჩავიტარებდიო. ამჟამად მომღერალი თბილისში იმყოფება და თავს დედაქალაქშიც კომფორტულად გრძნობს, რადგან როგორც აღნიშნა, ზაფხულში უფრო შრომისუნარიანია. ეს რომ ნამდვილად ასეა, ფაქტია — ნინომ ახლახან თავისი ახალი მუსიკალური ალბომი გამოუშვა...

ეთო ყორღანაშვილი

— მუსიკალური ალბომის პრეზენტაციისთვის განსაკუთრებული ტორტი გამოვაცხობინეთ — უზარმაზარი დისკის ფორმა ჰქონდა. ჩვენი გრანდიოზული ტორტი ყველას მოეწონა. ხუმრობდნენ: რომელი ნაწილი „მოვაჭრათ“ ნინოსო (*იცინის*)? მოგეხსენებათ, კასეტებს დღეს ძალიან ცოტა მომხმარებელი ჰყავს, ხოლო დისკის საყიდლად, 25-30 ლარის გადახდის საშუალება ყველას არ აქვს. თანხის დაზოგვის მიზნით ან შეცდომის გამო, მომხმარებელი ხშირად „პირატულ“ დისკებს ყიდულობდა, ახლა კი ამ ფასად ორიგინალის ყიდვა შეუძლიათ. ეს ჩემი მე-5 ალბომია, თან — 5 ლარი ღირს. ამიტომ „ხუთიანი“ ჰქვია.

— ალბომში შესული ერთ-ერთი სიმღერის ავტორი თავად ხარ, არა?

— „მიყვარხარო“ — ეს უკვე ჩემი დაწერილი მეოთხე სიმღერაა. ცოტა არ იყოს, ხმამაღალი ნათქვამია, რომ მე სიმღერებს ვწერ — ძალიან მრცხვენია ხოლმე. როცა ცუდ განწყობილებაზე ვარ, პიანინოსთან ვჯდები და ვიდრე დაგროვებულ ენერგიას არ გამოვუშვებ, მანამდე ვუკრავ, თან — ტელეფონი მაქვს მომარჯვებული და ვიწერ. ეს სიმღერები განსაკუთრებულად მიყვარს — ჩემთან უფრო ახლოსაა, „ძალიან ვგრძნობ“.

— ამჟამად, ახალ სიმღერებზე კიდევ მუშაობ?

— გაგიკვირდება, მაგრამ — კი. მართალია, ალბომი ახლა გამოვუშვი, მაგრამ კიდევ ახალ ალბომზე ვმუშაობ — 3 სიმღერა უკვე ჩავწერე. მინდა, ამ ზაფხულს დავამთავრო. მუშაობა ყოველთვის ზაფხულში მირჩევნია.

— რატომ?

— ზაფხულში უფრო ენერგიული, შრომისუნარიანი ვარ, ზამთარში კი სულ მეძინება. დასასვენებლად წასვლაც ზამთარში მირჩევნია, რადგან მსურს, წელიწადის ეს დრო მალე გავიდეს, მაგრამ არ გადის ხოლმე. ახალი წლის დღესასწაული ცოტათი მშველის — ვერთობი და ერთი თვე უცებ ილევა. ზაფხული ისე მიყვარს, რომ წელიწადის ამ დროს თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. გადაღლილი საერთოდ არ ვარ. თუმცა დასასვენებლად აუცილებლად წავალ. რამდენიმე კვირის წინ დუბაიში ვიყავი — მეუღლეს საქმეზე გავყევი. არ მიყვარს დუბაი — „ჩემი“ ქალაქი არაა: ძალიან ცხელა, სულ კონდიციონერი გჭირდება. შეიძლება ითქვას, ჟანგბადი არაა, რომ ისუნთქო. საერთოდ, ზღვაზე ვერ ვისვენებ: წყალი და სიცხეში, მზის გულზე ყოფნა არ მიყვარს. ცურვაც არ ვიცი. წყლის ძალიან მეშინია. შეიძლება, ზღვაზე 2 კვირა ისე გავატარო, რომ ფეხიც არ დავისველო. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ წყალში შესულს გული გამისკდება.

— შიშის დაძლევა არ გიცდია?

— ვცადე, მაგრამ ჩემს ძალებს აღემატება!

— ასე ძალიან რატომ გეშინია — ზღვასთან დაკავშირებით, რამე ცუდი ხომ არ გადაგხდენია თავს?

— სხვათა შორის, ვიხრჩობოდი: დაახლოებით 13 წლის ვიყავი, როცა ბათუმში ვისვენებდით. მამაჩემმა მითხრა: ჩემი „ვაჟკაცი“ გოგო ხარ. შენ როგორ უნდა იტირო? წყლის ნუ გეშინია, ცურვას მე გასწავლიო. მასწავლა კიდეც: ხელი მოუსვი, ფეხი გაიქნიეო... გავთამამდი და გავცურე. უკან რომ მივიხედე, ნაპირიდან ძალიან შორს ვიყავი. შემეშინდა და წყალში ჩავიძირე, მამასაც ვძირავდი... ვიღაც მოხუცმა ქალმა ნაპირზე ძლივს გამომათრია. მას მერე, ფეხსაც არ ვისველებ (*იცინის*).

— პლაჟზე წევხარ და ირუჯები?

— ჰო, მაგრამ დიდი დოზით — არა. წარმოიდგინე, თურქეთში როცა 45-გრადუსიანი სიცხეა, როგორ შეიძლება, მზის გულზე რამდენიმე საათის განმავლობაში მშრალი იწვე? არც ის „ზაგარი“ მინდა და საერთოდ, აღარაფერი მინდა ხოლმე (*იცინის*).

— კარგად კი გარუჯულხარ...

— ეს მხოლოდ სოლარიუმის დამსახურებაა, თორემ წყალთან ვერ ვმეგობრობ, გარდა — ტანის დაბანისა.

— როცა დასასვენებლად ხარ წასული, დღის როგორი რეჟიმი გაქვს?

— წინასწარ არ ვგეგმავ. დასასვენებლად როცა მივდივარ, ძირითადად, მეგობრებთან ერთად ვერთობი, მაგრამ მაგალითად, თურქეთში, მძინავს, რადგანაც იქ, 24 საათის განმავლობაში, ან სასტუმროში მიწევს გამოკეტვა ან ექსკურსიაზე წასვლა. რაღაც მაღაზიებიც არის, მაგრამ მაღალი ფასებია და თან, მოსა-

როცა ცუდ განწყობილებაზე ვარ, პიანინოსთან ვჯდები

ზაფხულში უფრო ენერგიული, შრომისუნარიანი ვარ

წონიც არაფერია, რომ „იშოპინგო“...

— დასასვენებლად წასულს თან ბევრი ტანისამოსი მიგაქვს?

— თურქეთში — არაფერი, საქართველოში — კი, რადგან არ ვიცი, როგორ სიტუაციაში მოვხვდები, ვინ დამპატიჟებს... შესაძლოა, კონცერტზე გამოსვლამაც მომიწიოს. აი, თურქეთში ჩასულს კი ეჭვი მეპარება, რომ მიცნობენ (*იცინის*).

— სამაგიეროდ, საქართველოში ხარ პოპულარული. მეუღლე ხომ არ ეჭვიანობს ხოლმე?

— უი, არა, პირიქით: კომპლიმენტს რომ მეუბნებიან, ჩემს მეუღლეს ძალიან სიამოვნებს და ამით ამაყობს. ყველამ იცის, რომ ქმარი მყავს და საერთოდ, მშვენიერი ოჯახი მაქვს.

— ვიდრე გათხოვდებოდი, საკურორტო რომანი არ გქონია?

— არასოდეს, რადგან ძირითადად, ოჯახთან და ბევრ მეგობართან ერთად ვისვენებდი. სოლოლაკში დავიბადე და გავიზარდე. იტალიურეზოიან სახლში ვცხოვრობდი. მთელი უბანი ერთი ოჯახივით ვიყავით და დასასვენებლადაც ერთად დავდიოდით. საკურორტო რომანები ყოველთვის არასერიოზულად მიმაჩნდა.

— დასასვენებლად მშობლების გარეშე თუ წასულხარ?

— არა. ვერ ვიტყვი, რომ არ მიშვებდნენ. მარტო დასვენება თავად არ მსურდა, თორემ მშობლები არაფერში მზღუდავდნენ. ჩემს შვილსაც ასე გავზრდი, რადგან მიმაჩნია, რომ თუკი ბავშვს დესპოტური რეჟიმით აცხოვრებ, უფრო ცუდად მოიქცევა. შვილთან მეგობრული ურთიერთობა უნდა გქონდეს.

— სხვათა შორის, საიმედო წყაროდან შევიტყვე, რომ შენი პატარა გოგონა მარტოობას ძალიან განიცდის...

— უი, უი, არ იკითხოთ — გათხოვება უნდა (*იცინის*)! ამას წინათ, ჩემმა

კომპლიმენტს რომ მეუბნებიან, ჩემს მეუღლეს ძალიან სიამოვნებს

„მიყვარხარო“ — ეს უკვე ჩემი დაწერილი მეოთხე სიმღერაა

მეგობარმა ჰკითხა: — რას შვრები, მარიკო, როგორ ხარო? — ეჰ, რა ვიცი, ვარ ასე მარტოო, — უპასუხა. ძალიან განიცდის, რომ შეყვარებული „ჯერ კიდევ“ არ ჰყავს. საბავშვო ბაღში არ დადის, მაგრამ მალე მოსამზადებელ სკოლაში უნდა მივიდეს და იმედია, შეყვარებული „გვეყოლება“ (*იცინის*).

— მარიკო არ ისვენებს სადმე?

— თბილისში ბოლო დროს დაცხა, თორემ მანამდე ასეთი ამინდები არ იყო. კიკეთში აგარაკი გვაქვს და იქ წავალთ, აუცილებლად.

— ამ ზაფხულს საქართველოს ფარგლებს გარეთ დასვენებას არ გეგმავ?

— კი, ბარსელონაში წასვლა მინდა. ულამაზესი ქალაქია. დაახლოებით იგივე თანხა გვჭირდება, რაც — თურქეთში გასამგზავრებლად. საერთოდ, აქტიური დასვენება მიყვარს. ჩემში განსაკუთრებულ ინტერესს ევროპა იწვევს: ვათვალიერებ ქალაქებს, ვეცნობი კულტურას, სამზარეულოს... ძალიან მიყვარს ნაციონალური ნივთების ყიდვა. მათ ჩემს სტუდიაში ვაგროვებ. თუ მართლა გადაღლილი ვარ და დეპრესიის ნიშნებიც აღმენიშნება, პარიზში მივემგზავრები: ეს ის ქალაქია, სადაც მართლა ვისვენებ.

— მოდი, მითხარი, — განსაკუთრებულად რომელი მოგზაურობა დაგამახსოვრდა?

— განსაკუთრებულად? ახალი გათხოვილი ვიყავი. პირველი ფეხმძიმობისას მუცელი მომეშალა. შვილი ძალიან მინდოდა, მაგრამ აღარ ვორსულდებოდი. თურქეთში, ეფესში წმინდა მარიამის საფლავზე ვიყავი და ღვთისმშობელს შვილი ვთხოვე. სასწაულთმოქმედი ტაძრიდან წამოსვლის შემდეგ, 1 კვირაში დავორსულდი.

— ნინო, დასასვენებლად მეუღლის გარეშე თუ მიდიხარ?

— არა, მის გარეშე არასოდეს ვყოფილვარ. ეს ჩემს მეუღლეს არ მოსწონს და ალბათ მეც არა მაქვს მარტო დასვენების სურვილი. იცი, მე არ ვარ დამოუკიდებელი ადამიანი.

— რას გულისხმობ?

— ხომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც დამოუკიდებლად მიემგზავრებიან, ყველაფერს თვითონ აგვარებენ? მე მათ რიგს არ მივეკუთვნები. „ჩაბარებული ბავშვივით“ ვარ და ასე მგონია, მარტო რომ წავიდე, დავიკარგები. სხვათა შორის, ძალიან მინდა, რომ ერთხელ მარტომ ვცადო დასვენება: მაინტერესებს, დავიკარგები თუ — არა (*იცინის*).

— თუ რამეა, იმედია, გიპოვით.

— მეც ძალიან დიდი იმედი მაქვს. ტელეფონი ჩართული მექნება (*იცინის*)... ■

ალბომის პრეზენტაციისთვის განსაკუთრებული ტორტი გამოვაცხობინეთ — უზარმაზარი დისკის ფორმა ჰქონდა

„ბავშვობიდან ფიქრებში 4 შვილი მყავდა“ ... — პოეტი ქალის პარადოქსებით სავსე ცხოვრება

ამას წინათ, ერთი ლამაზი სიმღერის პრეზენტაცია გაიმართა, რომლის ტექსტის ავტორიც პოეტი ქალბატონი — ნანა ცინცაძე გახლავთ. პროფესიით ექიმი ყველა საქმეს შემოქმედებითად უდგება. როგორც აღნიშნა, ამჟამად მის სახლში რემონტია და ცხოვრება დროებით ბინაში უხდება. „აქაც ჩემი გარემო შევქმენი. ამის თქმა სირცხვილიცაა, მაგრამ პომადით, თვალის ფანქრით, ლაქით მოვხატე ყველაფერი, ხოლო ცალ-ცალად დარჩენილი საყურეები გადასაყრელად დამენანა და ფარდები გავაფორმე. ამ ყველაფერმა კი საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო“, — ამიხსნა ქალბატონმა ნანამ, როცა შენიშნა, რომ მის ბინაში შესულმა აღტაცება ვერ დავფარე. მოკლედ, პოეტ ქალბატონთან ინტერვიუ პოეტურ გარემოში შედგა...

ეთო ყორღანაშვილი

— წლევანდელ ზაფხულს, თბილისის მერიამ სამუზეუმო დღეები — „პოეზია მუსიკაში“ დააწესა. ახალი სიმღერის პრეზენტაცია ამ პერიოდს დავამთხვიეთ. მუსიკის ავტორი 16 წლის ნიჭიერი კომპოზიტორი — თეა ჯინორია გახლავთ. მან დაწერა საგალობელი — „გიხაროდენ, მარიამ“. 16 წლის გოგონასთვის საგალობლის შექმნა ძალიან რთულია. ლამაზი სიმღერა გამოვიდა. დათო უგრეხელიძის სტუდიაში ჩაიწერა. მეუფე თადეოსმა აკურთხა — ძალიან მომეწონა, მთელი ღამე ვუსმენდიო. შეიქმნა კლიპიც, რისთვისაც გია კაიშაურს დიდ მადლობას ვუხდი. ღმერთმა ქნას, პატარა გოგონასთვის ეს დებიუტი წარმატებული კარიერის დასაწყისი იყოს, მაგრამ თუკი „დიდი“ მომღერალი არ გახდება, მასში სიკეთის მარცვალი ხომ იქნება?

— თქვენ კიდევ უამრავი, საკმაოდ ცნობილი სიმღერის ტექსტის ავტორი ხართ...

— (*მაწყვეტინებს*) ამით ძალიან ბედნიერი ვარ! ყველას მადლობას ვუხდი, ვინც პატივი დამდო, რომ მათი სიმღერებისთვის ლექსები დამეწერა. მეცინება ხოლმე, როცა „კამათობენ“ — ყველაზე მეტი სიმღერა ჩემთან გაქვს „გაკეთებულიო“. თითოეულ მათგანს ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

— ერთია, როცა გულიდან წამოსულ ლექსებს წერთ და მეორე — როცა კომპოზიტორისა თუ მომღერლის მოთხოვნით. არ გიჭირთ ე.წ „შეკვეთილი“ ლექსების წერა?

— ყოველთვის ვამბობ, — არ მითხრათ, რა გინდათ, მხოლოდ მელოდია მომასმენინეთ-მეთქი. რა ასოციაციაც მუსიკის მოსმენისას მექმნება, თითქმის ყოველთვის მომღერლისა თუ კომპოზიტორის ნააზრევის იდენტურია. ქართული ენა ძალიან მრავალფეროვანია. ამიტომ არ მწყინს, როცა კომპოზიტორი ჩემს ლექსში რაღაც სიტყვას ან ფრაზას ცვლის, რათა სიმღერას უკეთ მოარგოს. მთავარია, ისეთი კვალი დავტოვოთ, რომ ხვალაც კარგი მოსასმენი იყოს თანამედროვეებისთვის, ვისთვისაც წარსული ჩვენ ვიქნებით.

— ალბათ, ყოფილა შემთხვევა, როცა თქვენს ლექსს მუსიკა ისე არ „მორგებია“, როგორც წარმოდგენილი გქონდათ.

— ყველა სიმღერა კარგი რომ იყოს, საკუთარი თავით მთლად „დამტკბარი“ უნდა იყო (*იცინის*). უმეტეს შემთხვევაში, სასიმღერო ლექსებს მუსიკაზე ვწერ. როცა ვიცი, როგორია სიმღერა, შემიძლია, განვსაზღვრო — რამდენ ხანს უწერია სიცოცხლე. სიმღერები, რომლებსაც უსმენენ და მოუსმენენ, სიამაყით მავსებს. მედიცინაში პაციენტია ყოველთვის მართალი, ამ შემთხვევაში კი — მომღერალი.

— საინტერესოა, რომ პოეტმა ქალბატონმა თავის დროზე, მომავალ პროფესიად ექიმობა აირჩიეთ.

— სკოლაში ყოველთვის კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ისეთი ხუთოსანი არ ვიყავი, მხოლოდ წიგნებიდან რომ იყურება: 24-ე სკოლელი გახლდით და ოცდამესამესთან ლამაზ ბიჭს რომ გაევლო, ოცდამეოთხედან აუცილებლად დავინახავდი (*იცინის*)! რადგან ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი, პროფესიის არჩევა გამიჭირდა. საბოლოოდ თითქოს არჩევანი ჟურნალისტიკაზე შევაჩერე, მაგრამ გადაწყვეტილება სპონტანურად შევცვალე და სამედიცინოზე ჩავაბარე. ექიმობა ჩემი საყვარელი პროფესიაა. საერთოდ, ჩემი ცხოვრება პარადოქსებით სავსეა: ბავშვობიდან ფიქრებში 4 შვილი „მყავდა“. მათ სახელებსაც კი ვარქმევდი. აღმოჩნდა, რომ 20 წლის ასაკში, ორსულობასთან ერთად, სიმსივნე მქონდა, რის

მედიცინაში პაციენტია ყოველთვის მართალი, ამ შემთხვევაში კი — მომღერალი

გამოც მეტი შვილის დედა ვერ გავხდებოდი. დამანგრეველი სტრესი მივიღე, რაც მძიმედ გადავიტანე. გინეკოლოგობა მინდოდა, მაგრამ ორსული ქალის დანახვა ჩემზე ფსიქოლოგიურად მოქმედებდა. ასე გავხდი თერაპევტი და არა — გინეკოლოგი. ჩემი პირველი წიგნიც მედიცინას ეხება... საერთოდ, ბავშვობიდან ვწერ. შემდეგ, ჩემს პოეზიაში კარგი ლექსები „მოვიდა“...

— ...ანუ შემოქმედებითად გაიზარდეთ და ფართო ასპარეზზე მერე გამოჩნდით?

— 24 წლის ვიყავი. მაშინ ვახტანგ ხაინდრავა „ცისკარში“ მუშაობდა. როცა ვილაპარაკეთ, მითხრა: ძალიან კარგად საუბრობთ და ასევე კარგად რომ წეროთ, არაჩვეულებრივი პროზა გამოვაო. დავინტერესდი... „მერანმა“ გამოსცა ჩემი ლექსებისა და ნოველების წიგნი — „დაუმცხრალი მთვარე“. ვახტანგმა წიგნის სათაური — „დამცხრალი მთვარე“ ნახა და მითხრა: ნანა, მაგ „დამცხრალს“ „უ“-ს თუ არ ჩაუმატებ და „დაუმცხრალს“ არ გახდი, არავინ დაიჯერებს, რომ შენი დაწერილიაო. მას შემდეგ ვახტანგი ყოველთვის აღნიშნავს, რომ „უ“ მისია (*იცინის*)... მერე ისევ პოეზიაზე გადავერთე. ვამბობ ხოლმე, — გოეთესავით ვარ-მეთქი: გოეთემ „ფაუსტი“ 70 წელს გადაცილებულმა დაწერა, მე კი სამოცდაათს ლამის 20 წელი მიკლია. ჰოდა, წარმოიდგინეთ, მე რას ვიზამ? ალბათ, მსოფლიო გადატრიალებას მოვახდენ (*იცინის*)!

— პირად საუბარში ახსენეთ — ერთ დროს სასიყვარულო პოეზია მიტაცებდა, მაგრამ მაშინ საქართველოში შექმნილი სიტუაციის გამო, გამოვეცი წიგნი — „ხვალის დღეო“. საინტერესოა, ჩვენს ქვეყანაში შექმნილ დღევანდელ სიტუაციაზე რას ფიქრობს პოეტი ქალბატონი?

— როცა ადამიანს რომელიმე ორგანოს ამოსჭრიან, ის სრულყოფილი არ არის. მაგალითად, ბრმა ნაწლავის ოპერაცია რომ მთავრდება, ვწერთ — „პრაქტიკულად ჯანმრთელი“. პრაქტიკულად ჯანმრთელი აბსოლუტურს ხომ არ ნიშნავს? ჩემი სამშობლო „ორგანოებამოჭრილია,“ რადგან საქართველოს საუკეთესო შვილები, ვისაც ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის კეთება მართლა შეეძლო, სამშობლოდან წავიდნენ. ძველი რომის ისტორიიდან ერთ მაგალითს მოვიყვან: ერთ-ერთ კეისარს ჭორი მოახსენეს: მეუღლე გღალატობთო (მართალია, რომი გარყვნილებამ დაანგრია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ცოლ-ქმარს ერთმანეთი ძალიან უყვარდა). კეისარმა პატრიცთა კრება მოიწვია, სადაც თავისი მეუღლეც დაიბარა და განუცხადა: უნდა გაგშორდე, რადგან ასეთი ჭორი მოვიდა ჩემამდეო და გაოგნებულ ქალს აუხსნა: ვიცი, რომ ჩემი ღალატი ფიქრშიც არ გაგივლია, მაგრამ არ შეიძლება, კეისრის ცოლი ეჭვმიტანილი იყოსო. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს „ეჭვმიტანილი“ მთავრობა და ოპოზიცია (რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ) როდემდე უნდა ჰყავდეს?! არ მინდა, ჩემმა შვილებმა, შვილიშვილებმა საქართველოდან წასვლაზე იოცნებონ...

მითხრა: ნანა, მაგ „დამცხრალს“ „უ“-ს თუ არ ჩაუმატებ და „დაუმცხრალს“ არ გახდი, არავინ დაიჯერებს, რომ შენი დაწერილიაო

არ მინდა, ჩემმა შვილებმა, შვილიშვილებმა საქართველოდან წასვლაზე იოცნებონ...

— ქალბატონო ნანა, ამჟამად რა თემაზე მუშაობთ? რა ან ვინ არის თქვენი მუზა?

— ვინ? „ვინ“ რომ მყავდეს მუზა, რა გითხრა, „რაზე“ ვიმუშავებდი (*იცინის*)? სიყვარული არის ღმერთი, მე თვითონ სიყვარული მიყვარს. ამბობენ, — პირველად სიტყვა იყოო. თუკი ასეა, პოეზიაში, მხატვრულ პროზაში გადმოცემული სიტყვა ხომ 100-ჯერ მეტი სითბოა? ისე, სიყვარულს ასაკი არ აქვს და იქნება, ჩემკენაც... რა იცი, რა ხდება (*იცინის*)?

საუბრის ბოლოს, ქალბატონმა ნანამ „გზის“ მკითხველისთვის თავისი ერთი პატარა ლექსიც წაიკითხა, სახელწოდებით — „ქორწილი“:

„მინდოდა, მენახა მზის სხივის ქორწილი,
ჯვარს როცა იწერდა გუბეში მთვარესთან.
იმდენ ხანს დამჭირდა, იმდენ ხანს ლოდინი,
თვალი მოღალატე ღრუბელთან გამექცა“... ■



„მარტოობა იმდენად მომწონს, მეშინია, არ შემიყვარდეს“

როცა მსახიობ ნანკა კალატოზიშვილს დავურეკე და „ერუდიტში“ „მივიპატიჟე“, მიპასუხა, ერუდირებულობაზე თავს ვერ დავდებო, მაგრამ შეხვედრაზე უარი არ უთქვამს და ინტერვიუსთვის შინ მიმიპატიჟა. მას ჩვევად აქვს, სანამ ნაწარმოების კითხვას დაიწყებს, წინასიტყვაობას გაეცნოს. წაკითხულ წიგნებს ხელმეორედ იშვიათად უბრუნდება. მიაჩნია, რომ კარგი მეხსიერება არ აქვს, სახელები და თარიღები ავიწყდება.

ძალიან უყვარს პოეზია, მისი საყვარელი პოეტი — ინდოელი თაგორია. თანამედროვე ქართულ მწერლობას კარგად არ იცნობს. თეატრალური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან ჩიკამაცუს პიესების კრებულის მოპარვის ამბავსაც ხალისით მიყვება და დასძენს: „იქ ამ წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი იდო. მხოლოდ ერთი რომ ყოფილიყო, მოპარვას არ ვიკადრებდი“.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ნანკა, შენი საყვარელი დრამატურგი ვინ არის?

— ძალიან მიყვარს შექსპირი. მაგრამ ჩემთვის ცნება — „სამაგიდო წიგნი“, არ არსებობს. ერთი პერიოდი ამოვიჩემე და სულ კაფკას ვკითხულობდი. მის ბიოგრაფიასაც გავეცანი. სიმარტოვე უყვარდა.

— შენც ასე ხარ?

— მარტოობა იმდენად მომწონს, მეშინია, არ შემიყვარდეს.

— ლექსებს როდის წერ?

— კი არ ვწერ, ჩემთვის ვჯღაბნი რაღაცებს (*იცინის*). ეს მაშინ ხდება, როცა ძალიან ცუდად ვარ, ან — ძალიან კარგად.

— დასვენების თემასაც შევეხოთ...

— (*მაწყვეტინებს*) წყალი მიყვარს ძალიან. აჭარაში აუცილებლად წავალ, მაგრამ ბათუმში — არა. ახლა მთელი თბილისი იქ არის, მე წყნარად დასვენება მჭირდება. დათო დოიაშვილი „მაკბეტს“ დგამს და აგვისტოს ბოლოს რეპეტიციები გვეწყება.

— დასასვენებლად წასვლას ვისთან ერთად აპირებ?

— მე და ჩემი მეგობარი წავალთ და წყნარად დავისვენებთ. აქამდე ყოველთვის ვამბობდი, აქტიური დასვენება მიყვარს-მეთქი. ერთხელ ზღვაზე დაქალებთან ერთად ვიყავი. ისინი ადრე იძინებდნენ, იქვე იყო ბუნგალო, სადაც მე გვიანობამდე ვრჩებოდი. ბევრი ნაცნობი იყო და ვერთობოდი. ერთხელ, თავზე ისე დამათენდა, ვერც გავიგე, დილის 7 საათზე ბუნგალო დაიკეტა; რადგან არ მეძინებოდა, ხის პატარა სკამი გავიტანე და სანაპიროზე ჩამოვჯექი, ზღვას ვუყურებდი, მსიამოვნებდა. უეცრად შორიდან სიცილის ხმა მომესმა. გავიხედე და ჩემი ძმა ძმაკაცებთან ერთად ჩემკენ მოდიოდა. მივხვდი, რაზეც იცინოდნენ: ჩემ გვერდით 2 მოდელ ბიჭს ჩახუტებულს ეძინა. ეს მთელი წელი მათი სალაპარაკო თემა იყო — ნანკა მარტო იჯდა, ზღვას გაჰყურებდა და იქვე ორ ბიჭს ჩახუტებულს ეძინაო.

— თბილისის რომელ მოედანს ერქვა ადრე ერევნის მოედანი?

— თავისუფლების მოედანს.

— რომელია არგენტინის დედაქალაქი?

— ბუენოს-აირესი. ახლა იქ სიამოვნებით გავემგზავრებოდი.

— კონსტანტინე გამსახურდიას რომელი რომანის მთავარი გმირია ვახტანგ კორინთელი?

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— „ვაზის ყვავილობის“. რომელმა მოგზაურმა გამოიგონა აკვალანგი?

— მოგზაურებიდან, ამწუთას ჟან-ივ კუსტო მახსენდება, მაგრამ მან გამოიგონა თუ არა, არ ვიცი.

— ამ კითხვაზე პასუხი ჩაგეთვალა. თანაცხოვრების რამდენი წლის შემდეგ აღნიშნავენ ოქროს ქორწილს?

— 50 წლის შემდეგ.

— რომელი მწერლის რომანია „მამა გორიო“?

— არ ვიცი.

— ბალზაკის. რამდენ სერიად არის გადაღებული „დათა თუთაშხია“?

— 7 სერიაა, არა?

— დიახ. რუსუდანი, გიორგი II, გიორგი ბრწყინვალე, თამარ მეფე — ჩამოთვალე ქრონოლოგიურად ერთიანი საქართველოს მეფეები.

— გიორგი II, შემდეგ თამარ მეფე, რუსუდანი და გიორგი ბრწყინვალე.

— რომელი მდინარე ასაზრდოებს თბილისის ზღვას?

— არ ვიცი.

— იორი. სადაური ფირმაა „სიმენსი“?

— გერმანული, არა?

— გამოიცანი. რა ჰქვია წიგნს, რომელშიც შეტანილია გადაშენების პირას მყოფ მცენარეთა და ცხოველთა სახეობები?

— ვერ გიპასუხებ.

— წითელი წიგნი.

— უი, ეგ ვიცოდი, კითხვა ვერ გავიგე.

— რა ჰქვია სოსო ჯაჭვლიანის კინოგმირს ფილმში „ნატვრის ხე?“

— გედია.

— მითხარი, რომ შექსპირი შენი საყვარელი დრამატურგია. რომელია მისი მშობლიური ქალაქი ინგლისში?

— ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვიცი.

— **სტრატფორდი. „ჩხიკვთა ქორწილში“ რა ჰქვია პატარძალს?**

— მზია.

— **ცდები, ქეთევანი ჰქვია.**

— ხომ გითხარი, სახელებს ვერ ვიმახსოვრებ-მეთქი (*იცინის*). მზია რამ მათქმევინა?!

— **ვისი სიტყვებია — „მედიცინა ჩემი კანონიერი ცოლია, ლიტერატურა კი — საყვარელი“?**

— (*ფიქრობს*).

— **მიგანიშნებ, ეს მწერალი პროფესიით ექიმი იყო.**

— ვიცი, რომ ექიმი ჩეხოვი იყო. მას ეკუთვნის?

— **დიახ. რომელ ბრძოლაში დაამარცხეს ქართველებმა რუმის სულთანი რუქნადინი?**

— არ ვიცი.

— **ბასიანის ბრძოლაში. ერთ-ერთ ლექსში რომელ თვალს შეადარა საქართველო აკაკი წერეთელმა?**

— ვერ გიპასუხებ.

— **„ლექსი „განთიადი“ გაიხსენე.**

— (*ფიქრობს*) „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“. ზურმუხტს შეადარა.

— **შემდეგ ეს სტროფი როგორ გრძელდება?**

— „... შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მგლოვიარეო!..“

— **რა ეწოდება რომელიმე პოლიტიკური ფიგურის ან პარტიის მომხრე ამომრჩევლებს?**

— არ ვიცი.

— **ელექტორატი. ვინ არიან ერთმანეთისთვის „ფორმულა 1“-ის პილოტები — მიხაელ და რალფ შუმახერები?**

— ძმები.

— **რომელ ქალაქშია ტრეტიაკოვის გალერეა?**

— მოსკოვში.

— **როგორი სახელმწიფო წყობაა ესპანეთში?**

— არ ვიცი.

— **კონსტიტუციური მონარქია. რა ჰქვია კოშკს, საიდანაც მუსლიმანებს სალოცავად მოუხმობენ?**

— არ ვიცი.

— **მინარეთი. 1872 წელს თბილისსა და ფოთს შორის რკინიგზის გახსნის შემდეგ ერთ-ერთი უბნის ტერიტორია 2 ნაწილად გაიყო. რკინიგზის გაღმა აღმოსავლეთ ნაწილში მუშახელი მიწებს უნებართვოდ იკავებდა და სახლდებოდა. რა ეწოდა ახალ უბანს?**

— ნაძალადევი, არა?

— **გამოიცანი. რომელ ზღაპართა კრებული გადმოგვცემს შაჰრიარ მეფისა და მისი ვაზირის ასულის — შაჰრაზადის ამბავს?**

— „ათას ერთი ღამე“.

— **ანდაზის მიხედვით, დედ-მამის წინ მორბენალ კვიცს რა ემართება?**

— ან მგელი შეჭამს, ან მგლისფერი ძაღლიო.

— **როდესაც კინოხელოვნება პირველ ნაბიჯებს დგამდა, ძალზე უჩვეულო ფაქტი მოხდა: ძმები ლუმიერების მიერ გადაღებული ფილმის ჩვენებისას მაყურებლები შიშისგან დარბაზიდან გარბოდნენ; რა იყო ნაჩვენები ეკრანზე?**

— ეს ცნობილი ფაქტია — სადგურზე მატარებლის შემოსვლა იყო ნაჩვენები.

— **დაასახელე კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც უცნობი წარმოშობის გიგანტური ქვის სკულპტურებია აღმოჩენილი. ამ კუნძულს ქრისტიანული დღესასწაულის სახელი ეწოდება.**

— ვერ გიპასუხებ.

— **აღდგომის. ის დიდი ხანია, ბრუნვაშია; თავიდან წითელი იყო, შემდეგ კი — მწვანე. რაზეა ლაპარაკი?**

— ვერ ვხვდები;

— **დოლარზე. „ჭინკები“, „ძაღლი“, „მონატრება“, „კორიდა“, “HELLADOS” — ვინ არის ამ მოთხრობების ავტორი?**

— ნოდარ დუმბაძე.

— **რომელ ქვეყანაში უნდა იმოგზაურო, სფინქსის ქანდაკება რომ ნახო?**

— ეგვიპტეში.

— **რა გვარია ბორის აკუნინი?**

— ჩხარტიშვილი. ეს მწერალი ძალიან მიყვარს. მისი თარგმანებიც მომწონს.

— **რა ერქვა ინდოეთის ძველ ნაწილს, რომელიც ძვირფასი ქსოვილების წარმოებით იყო ცნობილი?**

— არ ვიცი.

— **ქაშმირი. დღეს ეს სიტყვა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში პოლიციელთა მეტსახელია, ხოლო წარსულში ის მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს მეფეთა ტიტული იყო.**

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ.

— **ფარაონი. დაასახელე ერთ-ერთი ესპანელი მწერლის ერთ-ერთი რომანის გულუბრყვილო მეოცნებე გმირი, რომელიც ამაოდ იბრძვის განუხორციელებელი იდეებისთვის და ამით ხშირად სასაცილო მდგომარეობაში ვარდება.**

— დონ-კიხოტი.

— **რომელი ზღვა უერთდება ხმელთაშუა ზღვას სუეცის არხით?**

— არ ვიცი.

— **წითელი ზღვა. რომელ ქვეყანაშია კიმონო ქალისა და მამაკაცის ტრადიციული ტანსაცმელი?**

— იაპონიაში.

— **ნიუ-იორკის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, სანთლის მოვაჭრის პორტრეტი გამოფინეს; სურათი ახალ მიმართულებად მიიჩნიეს და მუზეუმს უამრავი დამთვალიერებელი მიაწყდა. ორი წლის შემდეგ გაიგეს, რომ...**

— არ ვიცი, რა უნდა გაეგოთ?

— **სურათი თავდაყირა ეკიდა. რომელი თვალი იცვლის ფერს განათების ან დღე-ღამის მონაკვეთის მიხედვით?**

— ამეთვისტო.

— **ცდები.**

— ალექსანდრიტი.

— **დიახ. დაბოლოს — დაასრულე გერმანელი ფილოსოფოსის ართურ შოპენჰაუერის ცნობილი გამონათქვამი: „ჩვენ იშვიათად ვფიქრობთ იმაზე, რაც გვაქვს, მაგრამ ყოველთვის ვწუხვართ იმაზე, რაც ...**

—„...არ გვაქვს“.

■

ერუდიტი +

ხელოვნებათმცოდნეთა აზრით, *ყველაზე მეტი ავტოპორტრეტი რემბრანდტს აქვს დახატული.*

„არსებობს ქვეყნები, *სადაც სილამაზე უპირატესობად არც მიიჩნევა, რადგან ყველა ლამაზია. მოგზაურები ამას ერთხმად ამბობენ საქართველოზე“,* — *წერდა სტრაბონი.*

1920 წელს გამოშვებულ *პირველ საბჭოთა ტანკს „თავისუფლებისთვის მებრძოლი ამხანაგი ლენინი“ ერქვა.*

„ძვირფასო დაო მარია, *მე სოფლად ცხოვრება აღარ შემიძლია, ფიზიკურმა შრომამ გამტეხა წელში, ახლაც ავად ვარ. ახლა სიმშვიდე და წამლობაა ჩემთვის საჭირო. საზოგადოებას თუ რადმე ეფასება ჩემი თავი, უნდა მიპატრონოს. იქნებ, რამე სამსახური გამომიძებნოთ. წერილს სხვებს არავის ვწერ, რადგან ვიცი, ჩემთვის თავს არავინ გაიცხელებს“,* — *წერდა 1909 წელს ვაჟა-ფშაველა.*

პირველი ტროლეიბუსი *ლონდონის ქუჩებში 1988 წელს გამოჩნდა. ის 11 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა.*

MK

თოვლისგან ამოზადებული კოქტეილი და დაუვიწყარი ნახტომი

ემა ტუხიაშვილი

მეგობრები მას თავგადასავლების მაძიებელ პატარა უფლისწულს ეძახდნენ. ბუნებით ემოციური ადამიანი, მუდამ ფათერაკს ეძებდა. ამავე დროს, გარეგნული მონაცემების გამო, პოპულარობით სარგებლობდა ქალბატონებში, თანატოლებს კი დარბაისელი კაცის სიტყვა-პასუხით ხიბლავდა. სწორედ ასეთი ახლოვთ მეგობრებს მსახიობი ლევან აბაშიძე და ფოტოებს, სადაც ერთად გატარებული, განუმეორებელი წუთებია აღბეჭდილი, სათუთად ინახავენ...

ავთო კახნიაშვილი:

— ბევრმა არც იცის, რომ ლევანს, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი მსახიობი იყო, ავტომობილების აწყობაც ეხერხებოდა. საკუთარი ხელით ააწყო „ზაპოროჟეცი“ და გუდაურში თვითნაკეთი მანქანით წამოვიდა. დაუვიწყარი დრო ვატარეთ. ლევანი თოვლში მანქანის სახურავიდან ხტებოდა და კინაღამ ფეხი მოიტეხა. გუდაურში კი გადაწყვიტა, ახალგაზრდა ქალბატონებისთვის მოეწონებინა თავი და თხილამურებით, ციცაბო ტრამპლინიდან დაეშვა. ცოტა ზედმეტი მოუვიდა და დაშვებისას ფეხი მოიტეხა. მახსოვს, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იწვა ფეხმოტეხილი საავადმყოფოში. დიდი და ნათელი პალატა ჰქონდა და ყოველთვის უამრავი მნახველით იყო სავსე. ლევანის პალატიდან საავადმყოფოს ატმოსფეროსთვის უჩვეულო ჟრიამული ისმოდა. გამოჯანმრთელებას არც დაელოდა, ყავარჯნებით წავიდა დასასვენებლად ზღვაზე.

მოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო, ხევსურეთისა და სვანეთის ჩათვლით.

მახსოვს, ბაკურიანში სასტუმროში ვისვენებდით ერთად. იმ დროს სასმელების ისეთი მრავალფეროვნება, როგორიც ახლაა, არ იყო და ჩვენ თვითონ ვამზადებდით. ვაკეთებდით კოქტეილს, რომელსაც „ბაკურიანულს“ ვეძახდით. კოქტეილის დასამზადებლად საჭირო იყო: არაყი, „პეპსი-კოლა“ და თოვლი. მიუხედავად იმისა, რომ ბაკურიანში თოვლი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო, ლევანმა ეზოში, ძირიდან კი არ აიღო, არამედ ფანჯრიდან გადაძვრა და საიდანღაც ზემოდან, ხელუხლებელი, ქათქათა თოვლი მოიტანა...

ის ერთ-ერთი პირველი იყო ჩვენი სამეგობროდან, ვინც სამშობლოს დასაცავად, აფხაზეთში წავიდა. ისევე, როგორც ცხოვრებაში არ უშინდებოდა ხიფათს, იარაღასხმულ მტერსაც არ შეუშინდა და ამ ომს შეეწირა კიდეც...

„ომში ბრძოლა ძალიან უმადური საქმეა... მაგრამ აგვისტოს ომი რომ დაიწყო, მაშინვე ყომისარიატში გამოვცხადდი“...

ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლის რისკის ფასად, სამშობლოს წინაშე პირნათლად მოიხადეს ვალი, დღეს საზოგადოებისგან გარიყულად გრძნობენ თავს. აფხაზეთის ომის ვეტერანი, სახელმწიფოსგან დავიწყებული ირაკლი მუსლაძე სამხედრო ტაქსის მძღოლად მუშაობს და მეგობრებსაც კი საგულდაგულოდ უმალავს საკუთარი წარსულის სანაქებო ეპიზოდებს_ ომის დაწყებისთანავე, მოხალისედ ჩაეწერა და შუმიანის ბატალიონთან ერთად, სოხუმისკენ გაემგზავრა. სხვა საინტერესო ამბებთან ერთად, ირაკლი იმასაც მოგვიყვა, თუ როგორ გაწირეს თავი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მისმა აზერბაიჯანელმა და რუსმა მეგობრებმა; როგორ ტიროდა დაღუპული აფხაზების გამო ნოდარ ნათაძე და რა ოცნება არ აუხდა სამამულო ომში ნაბრძოლ 10 შვილის მამას.

ხათუნა ბახტურიძე

— ირაკლი, მედალი „მხედრული მამაცობისთვის“ რისთვის მოგანიჭეს?

— სოფელ აკვასკესთან ერთ-ერთი შეტევის დროს, მარცხენა ფლანგს ვხელმძღვანელობდი. ოპერაცია სრულიად უდანაკარგოდ დავასრულეთ; არც ერთი დაღუპული და დაჭრილი არ მყოლია. აი, ამის გამო დამაჯილდოეს.

— საკუთარი წარსულის მეგობრებისთვის დამალვა რატომ გადაწყვიტეთ?

— იმიტომ, რომ დღეს მეომრებს პატივს არ გვცემენ, დაუმსახურებლად გვლანძღავენ. აფხაზეთში ომი 14 აგვისტოს დაიწყო, 24-ში უკვე ბრძოლის ველზე ვიყავი. მაშინ მხოლოდ 25 წლის გახლდით. შინ მეუღლე და ერთი წლის შვილი დავტოვე. თქვენ როგორ ფიქრობთ, საძარცვავად ომში რომ არ წავსულიყავი, თბილისში ამის გაკეთება გამიჭირდებოდა?!. იმ პერიოდში მაროდიორობა და ყაჩაღობა არც დანარჩენი საქართველოსთვის იყო უცხო ხილი. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ თბილისში ბინებს ყოველდღე ძარცვავდნენ, მანქანებს იტაცებდნენ და ქუჩაში შებინდებისას გამოსულ ქალებსაც აყაჩაღებდნენ?!. ამის გამკეთებლები „კარგი ბიჭები“ არიან, ისინი კი ვინც ტყვიას უშვერდნენ მკერდს — ყაჩაღები?! მერწმუნეთ, ომში საყაჩაღოდ არავის სცალია.

— უარყოფთ, რომ აფხაზეთის ომის დროს, ჯარისკაცები ადგილობრივ მოსახლეობას ძარცვავდნენ?

— ომს თავისი კანონები აქვს. როცა ჯარისკაცს შია, ან ძროხას დაკლავს, ან — ქათამს; თუ იარაღი არა აქვს, ან მტერს წაართმევს, ან იმას, ვისაც მისი გამოყენება არ ეხერხება. საჭმლისა და იარაღის გარდა, ოჯახიდან არაფერი გამოგვიტანია. ჯერ ერთი, ომის დროს ძვირფას ნივთებსა და ავეჯს ვინ დატოვებს?! გარდა ამისა, ზოგჯერ ისეთ მდგომარეობაში ვიყავით, საკუთარი თავისა და დაჭრილი ძმაკაცების თრევა გვიჭირდა, ნაქურდალ ნივთებს როგორღა ვატარებდით?! ყველაზე ხშირად მაროდიორობას ის ადამიანები გვაბრალებენ, ვინც ქვეყნის წინაშე ვალი ვერ მოიხადეს. სწორედ ისინი ცდილობენ, თავიანთი სიმხდალის გასამართლებლად მეომრები ტალახში ამოგვსვარონ. სხვათა შორის, ძალიან ბევრი ტყუილად იბრალებს აფხაზეთის ომის ვეტერანობას. ყოფილა შემთხვევა, რომ სუფრაზე ზოგიერთს ტრაბახი დაუწყია თავის „საგმირო საქმეებზე“; როცა მიკითხავს, — რომელ ბატალიონში იბრძოდი, შენ გვერდით ვინ იდგა ან მეთაური ვინ გყავდა-მეთქი? — ბრინჯივით დაბნეულა.

— ომის დაწყებამდე რას საქმიანობდით?

— მშენებლობაზე ვმუშაობდი, ჩემი საქმე მქონდა. როდესაც ომი დაიწყო, თავი ვალდებულად მივიჩნიე, სადაც ქვეყანას უჭირდა, მეც იქ ვყოფილიყავი. წარმოშობით ხაშურიდან ვარ, მაგრამ ჩემი მშობლები ოჩამჩირის რაიონში, სოფელ კოჩარაში იყვნენ ჩასახლებული. მეც იქ დავიბადე, მაგრამ წამოვიზარდე თუ არა, საცხოვრებლად რუსთავში გადავედი, სწავლაც იქ გავაგრძელე და ოჯახიც იქ შევქმენი. ომი რომ დაიწყო და აფხაზეთში ჩავედი, დედაჩემი კინაღამ გადაირია: ერთი შვილი მაინც მეგულებოდი სამშვიდობოს, შენ რაღას მორბოდიო?! მისი მესმოდა, მაგრამ არ შემეძლო შინ მშვიდად ძილი, როდესაც ახლობლები განსაცდელში მეგულებოდნენ. სხვათა შორის, დედას ჩემ გარდა, 9 შვილი ჰყავდა. ამის გამო, მას „გმირი დედის“ წოდება მიანიჭეს და ოქროს ვარსკვლავითაც დაჯილდოეს.

— თქვენც ხომ არ გაგიგრძელებიათ ოჯახის ეს ტრადიცია?

— სამწუხაროდ, ვერა. მხოლოდ ერთი ბიჭი მყავს.

— 9 დედმამიშვილს შორის, ალბათ ძმებიც გყავთ...

— კი, 5 ძმა და 4 და. მართალია, ისე არ გვეცვა, როგორც სხვებს, მაგრამ საჭმელი არასოდეს მოგვკლებია. მშობლებს ერთმანეთის გაზრდაში ვეხმარებოდით. ჩემს დებს რომ ჰკითხოთ, ყველა ჩემს გაზრდას იბრალებს (*იცინის*)... ერთხელ, კატეგორიულად მოვთხოვე, ეთქვათ, სინამდვილეში, რომელმა გამზარდეთ-მეთქი, მაგრამ სიმართლე მაინც ვერ დავადგინე. მრავალშვილიან ოჯახში დედმამიშვილებს განსაკუთრებულად უყვართ ერთმანეთი.

— უფროს დედმამიშვილსა და თქვენ შორის რამდენწლიანი განსხვავებაა?

— 19 ან 20 წელი. როდესაც ჩემი უფროსი ძმა სამხედრო სამსახურში მიდიოდა, მამას მისთვის უთქვამს: როცა ჩამოხვალ, კიდევ ერთ დედმამიშვილს დაგახვედრებო. დანაპირები მართლაც შეუსრულა: ის რომ დაბრუნდა, მე სულ ახალი დაბადებული ვიყავი... მამაც მეომარი კაცი იყო. პროფესიით მშენებელი გახლდათ, მაგრამ სამამულო ომში მასაც მოუწია ბრძოლამ. სავახშმოდ რომ დავსხდებოდით, სულ ომის ამბებს გვიყვებოდა. ჩვენც ინტერესით ვუსმენდით. ერთხელ გვითხრა: რაც მე მაქვს ნანახი, ის თქვენ ღმერთმა არ განახვოთ, „პულემიოტი“ რომ აკაკანდებოდა, ხალხი მოცელილი ბალახივით ცვიოდა მიწაზეო... მამაჩემს ეს ოცნება არ აუსრულდა — მე და ჩემმა დედმამიშვილებმა მაგაზე უარესი რამეებიც ვნახეთ.

— თქვენი ძმებიც იბრძოდნენ?

— რა თქმა უნდა. ჩემი ერთი ძმა სოხუმის ბატალიონში იბრძოდა. როდესაც სოხუმი დაეცა, მისი კვალი დავკარგეთ. ორი თვის განმავლობაში მკვდარი გვეგონა, სანთლებსაც კი ვუნთებდით. მერე მოსკოვიდან დაგვირეკა...

— მოსკოვში როგორ მოხვდა?

— სოხუმში ერთმა რუსმა ქალმა შეიფარა; მერე ჩეჩნები გააცნო, რომლებმაც ჩემი ძმა, რამდენიმე ათასი დოლარის საფასურად, საზღვარზე მალულად გადაიყვანეს.

— თქვენმა ძმამ რამდენიმე ათასი დოლარი სად იშოვა?

— იმ რუსმა უშოვა, რომელთანაც იმალე-

ბოდა. იმ ქალს ლარისა ერქვა. ძალიან დიდი გულისხმიერება გამოიჩინა ჩემი ძმის მიმართ.

— როდესაც აფხაზეთში წახვედით, საბრძოლო გამოცდილება გქონდათ?

— ერთადერთი ჩემი „საბრძოლო გამოცდილება“ — რუსულ ჯარში სამსახური იყო. სერჟანტი ვიყავი. სოხუმში პოზიციებზე პირველად რომ გავედი, დაჭრილი, დახოცილი და დამწვარი ადამიანების ნახვამ შემზარა, მაგრამ მერე ყველაფერს შევეგუე. ომს თავისებური აზარტიც ჰქონია: როდესაც გვერდით ძმაკაცს გიკლავენ, შენდა უნებურად, მტერთან ანგარიშსწორების დაუძლეველი სურვილი გიჩნდება და საკუთარ თავს ბრძოლის ველის დატოვების უფლებას არ აძლევ. რამდენჯერმე თბილისში მომიხდა ჩამოსვლა: ხან როტაცია განახორციელეს, ხან დაღუპული ბიჭები ჩამოვასვენეთ. მეუღლე შინ დარჩენას გამუდმებით მთხოვდა, მაგრამ ვერ დავრჩი, ბიჭებს ვერ ვუღალატე. ბრძოლის ველზე ჩემი მეგობრები თავგანწირვით იბრძოდნენ, მე რა უფლება მქონდა, ცოლშვილთან ყოფნით გამენებივრებინა თავი?!. ჩემზე განსაკუთრებით ის ფაქტი მოქმედებდა, რომ ჩემი სამშობლოს ერთიანობას ჩემმა აზერბაიჯანელმა და რუსმა მეგობრებმაც კი შესწირეს თავი.

— იქნებ, მათ შესახებ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ...

— ვოვა სემენიხინი რუსი იყო, ენვერ ისკანდიროვი კი — აზერბაიჯანელი. ორივე რუსთავში ცხოვრობდა. სოხუმში ჩემთან ერთად, მოხალისეებად წამოვიდნენ. ასაკით ჩემზე უფროსები იყვნენ. მე და ჩემს თანატოლებს გვეხვეწებოდნენ, — თქვენ ნუ წამოხვალთ, ძალიან ახალგაზრდები ხართ, თუ მტერს ჩვენ ვერ შევაკავებთ, მერე ჩვენი სისხლის აღება თქვენზე იყოსო. მართლა დაგვჭირდა მათი სისხლის აღება: ეს ბიჭები პირველსავე შეტაკებისას გმირულად დაიღუპნენ. თავგანწირვით იბრძოლეს. სხვათა შორის, ორივე გამართული ქართულით ლაპარაკობდა. გარეგნულადაც ჰგავდნენ ქართველებს. ვოვასთვის რომ შეგეხედათ, გოდერძი მახარაშვილი გეგონებოდათ... ენვერს თავის ქალა ჰქონდა ახდილი, მაგრამ მისი გული ისევ ფეთქავდა... ოჩამჩირის საავადმყოფოში გავაქანეთ, ექიმებს ვემუდარებოდით, გადაერჩინათ, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. მერე ისევ ჩვენ გვთხოვეს — ტყუილად წვალობს და იქნებ, ძმაკაცებმა მის ტანჯვას ბოლო მოუღოთო... ვერ შევძელით. არადა, ტკივილისგან საკაცეზე ხტუნავდა... გულში ჩავიკარით და ისე დალია სული... მათ დაღუპვამდე ერთი, ძალიან უცნაური რამ მოხდა. არ ვიცი, უბრალოდ დამთხვევაა თუ... ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ სამტრედიაში ვიყავით, ბიჭებმა ეკლესიაში ჯვრები ვიყიდეთ და გულზე დავიკიდეთ. მეორე დილით ვოვას „ცეპი“, რომელზეც ჯვარი ეკიდა, გაწყვეტილი იყო. არაფერი უთქვამს, მაგრამ ისეთი სევდიანი გახდა, მივხვდით, რომ განიცდიდა. როგორც შეგვეძლო, ვამშვიდებდით და ვეხუმრებოდით. ისიც გვიღიმოდა, მაგრამ — ძალიან სევდიანად. ზუსტად 3 დღეში დაიღუპა. იმ დღეს და იმ წუთებს ვერასოდეს დავივიწყებ... აფხაზეთში ძალიან ბევრი გმირობისა და თავდადების მომსწრე გავხდი. დღემდე მიკვირს, ეს ომი რომ წავაგეთ. თითქმის ყველა პოზიციას წარმატებით ვიკავებდით, ყველა სტრატეგიული ობიექტი ჩვენს ხელში იყო. თითქმის მდინარე ფსოუმდე ვიყავით მისულები. რა მოხდა, რატომ დაგვახევინეს უკან და რატომ განგვაიარაღეს, დღემდე ვერ ვხვდები.

— დღეს პოლიტიკოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ამბობს, რომ აფხაზეთის ომში იბრძოდა. თქვენ თუ გინახავთ იქ ვინმე?

— კი, ნოდარ ნათაძე. ის ჯერ კიდევ სოხუმში ჩასვლამდე, შაუმიანში გავიცანი. თავის მძღოლთან ერთად მოვიდა და გაგვამხნევა: ბიჭებო, მეც თქვენთან ერთად მოვდივარო. ეს ჩვენთვის უდიდესი სტიმული იყო. ბატონმა ნოდარმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ პატიოსანი კაცი, ქვეყნისთვის თავდადებული ქართველი და უბრალოდ, კარგი ადამიანია. თავიდან ვცდილობდით, წინა ხაზზე არ გაგვეშვა, ჭამის დროს, მისთვის მეტი

ირაკლი მულაძე (მარჯვნივ) თანამებრძოლთან ერთად

ულუფა მიგვეცა, მაგრამ ძალიან ბრაზდებოდა და უფრო თავდაუზოგავი ხდებოდა. ერთხელ, გუმისთაზე ყოფნის დროს, ტყვიაგაუმტარი ჟილეტები მოგვიტანეს. იმდენი არ იყო, რომ ყველას ჩაგვეცვა და პირველ რიგში, ბატონ ნოდარს მივაწოდეთ. ცოცხალი თავით არ ჩაიცვა: დამანახვეთ, რომ ყველას გაცვიათ და მერე ჩავიცვამო... გამუდმებით გვაძლევდა თავგანწირვის მაგალითს. მართალია, დიდი საბრძოლო გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ ყველა ბრძოლაში თან გვახლდა, გვერდიდან არ გვშორდებოდა; ვატყობდით, რომ მზად იყო, თითოეული ჩვენგანისკენ წამოსულ ტყვიას გადაჰფარებოდა. სხვათა შორის, ძალიან გულჩვილი ადამიანია. ერთხელ ჩვენმა ყუმბარმტყორცნმა ის საცხოვრებელი სახლი ააფეთქა, საიდანაც ცეცხლს გვიშენდნენ. ბატონ ნოდარს თვალები ცრემლებით აევსო. აფხაზების სიკვდილსაც ისევე განიცდიდა, როგორც ქართველებისას. გვინდოდა, პოზიციიდან გაგვეყვანა, მაგრამ როგორც ყოველთვის, არც ამჯერად დაგვიჯერა. ბოლო წუთამდე ჩვენ გვერდით იყო და გვამხნევებდა. რამდენიმე ასეთი კაცი რომ გვყავდეს ხელისუფლებაში, ჩვენი საქმე გაცილებით უკეთ იქნებოდა და არც ძველი მეომრები ვიქნებოდით ასეთ ცუდ დღეში.

— სამხედრო სამსახურის გაგრძელება არ გიცდიათ?

— არა. როდესაც სოხუმიდან დავბრუნდი, ბევრ რამეზე დავფიქრდი. ომში ბრძოლა ძალიან უმადური საქმეა: რისკზე მიდიხარ, ტყვიას წინ უდგები, ამ დროს კი ვიღაც, თბილ ოთახში ან კარგ მანქანაში მოკალათებული მშიშარა, მაროდიორობას გაბრალებს და დანარჩენი საზოგადოებაც კვერს უკრავს. დღეს გმირულად დაღუპული ბიჭების შვილები უპატრონოდ, ულუკმაპუროდ არიან დარჩენილები. ომში შეიძლება, მეც მოვმკვდარიყავი. სიკვდილის ისე არ მეშინია, როგორც იმის გაფიქრების, რომ ჩემი ცოლშვილი უნუგეშოდ, უპატრონოდ დარჩებოდა.

— თქვენმა შვილმა რომ მოინდომოს სამხედრო საქმიანობა, რას ეტყვით?

— ვერ დავუშლი. როცა ქვეყანას უჭირს, შენ კი ძალა გერჩის, შინ არ უნდა იჯდე, ვალდებული ხარ, საკუთარი ქვეყნისთვის იბრძოლო. მამაჩემიც ასე ფიქრობდა და მეც ასე ვფიქრობ. ვითომ ჩემი შვილი რა გამონაკლისი იქნება?!

— კი, მაგრამ ხომ თქვით, — ომში ბრძოლა უმადური საქმეაო...

— კი, ეს მართლაც უმადური საქმეა. რაც აფხაზეთის ომი დამთავრდა, სულ ასე ვფიქრობდი, მაგრამ აგვისტოს ომი რომ დაიწყო, მაშინვე კომისარიატში გამოვცხადდი.

— აგვისტოს ომში იბრძოდით?

— არა, არ წამიყვანეს. ჩემ გარდა, იქ სხვა ვეტერანებიც იყვნენ მოსული. გვითხრეს, — მოხალისეები არ გჭირდებიანო, — და შინ დავბრუნდით. იცით, რა?.. არ მინდა, რომ ჩემი შვილი ლაჩარი გაიზარდოს. ვერ გეტყვით, რომ ერაყსა და ავღანეთში საომრად წასვლას მოვუწონებდი, მაგრამ საქართველოსთვის აუცილებლად უნდა იბრძოლოს. მე ყველაფერი გავაკეთე ჩემი ქვეყნისთვის; ცოცხალი კი გადავრჩი, მაგრამ თავი არ დამიზოგავს. ვალი მოხდილი მაქვს და ეს დიდ შვებას მგვრის.

— ომის ვეტერანის მოწმობა ყოფითი პრობლემების მოგვარებაში თუ გეხმარებათ?

— არა. არც ვახსენებ, რომ ეს მოწმობა მაქვს. ჩემთვის ვინახავ. ისე, 22-ლარიან დახმარებას ვიღებ. მედლით — „მხედრული მამაცობისთვის“ რომ დამაჯილდოეს, მაშინ 400 ლარიც მაჩუქეს. სულ ეს იყო.

— უკმაყოფილო ხართ?

— ისე არ გამიგოთ, რომ ქვეყანას ჩემს თავს ვამადლი. არც ხელისუფლებისგან ვითხოვ ფინანსურ ან რაიმე სახის დახმარებას. ასეა თუ ისე, ომი წავაგეთ და ათასობით ლტოლვილი „გამოვირეკეთ“ წინ; რა უფლება გვაქვს, ხმა ამოვიღოთ?!. მე გული იმის გამო მწყდება, რომ მაროდიორობას გვაბრალებენ და გმირულად დაღუპული ბიჭების ოჯახებს არ ეხმარებიან. ■

ყავა – ქვიშაზე, მკითხაობა – აჭარულად

ძნელი წარმოსადგენია ბათუმი ქვიშაში მოხარშული ყავის გარეშე. მით უფრო მაშინ, როცა პოლიტიკური ტემპერატურის მატებასთან ერთად, ქვიშაშიც ინთება ზღვისპირეთის მზე, როცა ყავა ქვიშის სურნელით ძალიან გიყვარს და როცა — პოლიტიკური მომავლის წინასწარმეტყველება მხოლოდ ასტროლოგებს ან ყავაზე მკითხავებს თუ ძალუძთ... ბათუმის სანაპიროზე მეთევზეები ისევ „ოქროს თევზს“ ელიან, დამსვენებლები კი ნაცნობ შეკვეთას აუღერებენ: „თუ შეიძლება, ყავა ქვიშაში!..“ ქვიშა ცხელდება, ყავა დუღდება, არომატი ისინჯება, მერე ზოგიერთი ყავის ჭიქასაც ამოატრიალებს და ბათუმური მკითხაობაც ჩაღდება.

„ინგლისური რომ არ ვიცოდე, რაფერ ვუმკითხავო უცხოელებს?“

ჯაბა ანანიძე

— დაბესკნილი გული გქონია, ჩემო ფრიდონ! ეს რა ამბავი დუღს შენს სულში, ااا? — შუბლი შეიჭმუხნა სასაცილოდ თავწაკრულმა ქალბატონმა, რომელიც ახალგაზრდა მამაკაცის მომავლის განჭვრეტას ცდილობდა. — მოკლედ, იმდენი გზა გაქვს, რომ ნამდვილად, ოპოზიციურ ყრილობაზე მიდიხარ.

მკითხავმა მამაკაცი შეათვალიერა, იქნება და, გამოვიცნო, პოლიტიკოსი ხომ არაა, შემთხვევითო, და გარეგნულად რომ ვერ იცნო, განაგრძო:

— არ იდარდო, ყოლიფერი ისე იქნება, რაფერც ბედოვლათ ქართველებს შეეფერება; რაფერც ბათუმის ცენტრში მოგვიფრინეს არწივის ქანდაკება და ახლა გააქრეს; რაფერც ტურისტები აღარ გვიჭყიტინებენ არსაიდან, ისე აღარ იქნება შენს Future-ში (ეს სიტყვა ისეთი ინგლისური აქცენტით თქვა, რომ ახალგაზრდას გაკვირვებისგან ლამის თვალები გადმოსცვივდა) გაბლაყვება და უჩალიმობა. ხო, რა გიკვირს? ინგლისური რომ არ ვიცოდე, რაფერ ვუმკითხავო უცხოელებს? ხომ დავკარგე აი სამუშაო და დავრჩი ოპერაში წაუსვლელიც? მეზობლები კი მამასხარავებენ, — მარჩიელობის დროს იმხელას კივი, ოპერასაც გააზანზარებო, მარა იტალიური აღარ შევა აწი ჩემს გამოლაყებულ ტვინში. ამფრათ, ბატონო, ინგლისური მაინც უნდა იცოდე. აბა, ისე სად გინდა, გუდუუხტე? — ჩააცივდა კაცს მარჩიელი.

— რა ვიცი, — დაიბნა მამაკაცი, — სამსახურს ვეძებ, კაი ხანია, მარა...

— ნუ გეშინია, ხომ დაგვპირდა ვარშალომიძე, აჭარაში ყველა 100%-ით დასაქმდებაო?! აქამდე ახლობელი არ იყავი ალბათ არავისი, არც ინგლისური გცოდნია... ა, ჩახედე ჭიქას, ხომ ხედავ, რამხელა წიწინია თანამდებობიზა?!. შენც ვერ გაგირკვევია, ჩემი სიკეთისა არ იყოს, რომელ პოლიტიკოსზე შეიძლება ნდობა, მარა ღმერთი რაფერ გაგვიწყრება?! ახლა უმუშევრობასაც დარდობ, ცოლის მუუყვანლობასაც და ბაბუაშენის დანატოვარ იმ მიწაწყალსაც, რომელზეც გედავებიან — შენია, მარა შენი არააო. ვიცი, მეც მჭირდა მამფერი ზორი, მარა რომ მომადგა კომისია — წითელ ზოლში ხართ, ქალბატონოო, იმფერი ცეცხლი დუუნთე, დღემდე აღარ გამოჩენილან ისე, რაფერც დაპირებული 100-დოლარიანი პენსია და გარიხინებული სავანტყოფოები. ხომ გახსოვს, რაფერ გვპირდებოდენ? ავანტყოფობა შემეხალისა კინაღამ, მარა რომ გავხდი ავათ, ბათუმის რესპუბლიკურში ნარკოზიდან გამოსულს კატები დამაფრინდნენ გულზე. რომ ვიკივლე, რა დღეში ვარ-მეთქი?! — აქეთ მისაყვედურეს, — რა გაკივლებთ, ქალბატონო, კატები რომ არ გვყავდეს მოშენებული, ვირთხები შეგჭამდენო და აგია საქმე?! — ისე შევიდა როლში მარჩიელი, რომ ყავის ჭიქას ზედაც აღარ უყურებდა.

— ქალბატონო, მარჩიელობიზა ვარ აქ მოსული...

— ვიცი, შვილო, მარა ჩახედე, ერთი, ჭიქაში, რაფერ გამურულია ყოლიფერი... რა დევინახო და რა მოგატყვილო? ბათუმის სიბინძურისაგან გაშავებული წყლით რომ მოადუღეს ყავას, გინდა ქვიშაზე, ბატონო, და გინდა — კოცონზე, რაღას დეინახავ იმ ჭიქაში? ერთი კი ვიცი: ახლა ამ ზღვაში გადახტომა უფრო გინდა, მარა უყურე აგერ: შევდივართ ნატოში, საქართველო დგება ფეხზე, შენს მანდარინსაც აქვს გასავალი და ჩახედე, აგერ, ჭიქაში, შენ ირგვლივ რაფერ ბედნიერი სახეებით დეიარება ხალხი.

ახალგაზრდამ მართლაც დაიწყო ჭიქაში ყურება, მარჩიელი კი განაგრძობდა:

— ყიაშიც გეფუნჩხება აგერ ეს დალალთმიანი ქალი. მერე მოდიხარ ჩემთან, ბედნიერი და ვმკითხაობ ისევ ქვიშაში მოდუღებულ ყავაზე — გოგო გეყოლება თუ ბიჭი? გეუბნები, მრავალშვილიანი მამა გახდები. ჰოდა, როცა ცოლსა და თვალხატულა შვილებს ხელს ჩაკიდებ და წახვალთ ოპერაში, მერე...

— თქვენ ნასვამი ხართ, ნაღდად! — ირონიულად თქვა ახალგაზრდამ, წამოდგა, გრძელ სკამზე გაღლეტილი ორლარიანი დააგდო და მოულოდნელად, დაუმშვიდობებლად ისე წავიდა, რომ მარჩიელს მსახიობური ღიმილი სახეზე შეეყინა...

მორიგი ყავა ქვიშაზე კი ისევ დუღდებოდა...

ბათუმის სანაპიროზე ყავას ქვიშაზე უკვე მეხუთე წელია, ბათუმელი მაყვალა თურმანიძე ხარშავს:

— ყავა ბათუმში ძალიან უყვართ და შეკვეთაც ბევრია. მას ჩვეულებრივად ვამზადებ: 1 ჩ/კ ყავას ვყრი სპილენძის ჯეზვეში, შემდეგ კი შეკვეთის მიხედვით ვუმატებ შაქარს, წყალს, მერე ერთმანეთში ვურევ, — ქალბატონი მაყვალა ყავას ხარშავს და თან, მისი მომზადების ტექნიკას გვიხსნის, — ამასობაში, სპეციალურად მომზადებული ქვიშა სპირალზე ცხელდება, მასში ვდებ ჯეზვეს და ყავა რამდენიმე წამში მზადაა! — ამბობს ქალბატონი მაყვალა და ყავას დახლზე დებს, მის დაგემოვნებას მთავაზობს...

ყავა მართლაც, გემრიელია. მისი სმისას გრძნობ, როგორ იპყრობს დაღლილ სხეულს და როცა ქვიშაზე მოხარშული ყავის შავად დაკლაკნილ გზებს ჩაუკვირდები, იქნებ, მომავლის შეცნობის სურვილმაც შეგიპყროს... შორიდან ჩამესმის ხმა: აბა, კარგი მარჩიელი, მარჩიელიო!.. ყავის ჭიქა, როგორც ყოველთვის, არც ამჯერად ამოვატრიალე, რადგან მე იმ ზღვისპირელთაგანი ვარ, რომელსაც ქვიშის ყავის მხოლოდ შეუცნობელი არომატის სწამს... ■

ლიტერატურული პროტოტიპები

ოტელო

იტალიაში ცხოვრობდა და ჯარში მსახურობდა მაურიციო ოტელო. შექსპირის ნაწარმოებში შეცდომაა, რადგან სახელის შემოკლებული ვარიანტი გამოითქმის, როგორც „მაურო“, თანაც, ეს სიტყვა იტალიურ ენაზე „მავრს“ ნიშნავს. შექსპირის შეცდომა რეჟისორებმაც განავრცეს, რადგან ოტელო ზანგად „მონათლეს“. მავრები ჩრდილოელი არაბები, ფერადკანიანები, მაგრამ არა შავკანიანები იყვნენ.

გრაფი დრაკულა

ბრემ სტოკერის ლიტერატურული პროტოტიპი გრაფი ვლად ცეპენიში XV საუკუნეში ცხოვრობდა.

რობინ ჰუდი

რეალური პიროვნება იყო რობინ ჰუდიც. იგი მდიდრებს ძარცვავდა, მაგრამ ღარიბებს არ ეხმარებოდა. მისი შეყვარებული — მერილინი გლეხის გოგო გახლდათ და არა პრინცესა, თანაც რობინის თანამედროვეები ამტკიცებდნენ, რომ ყაჩაღი ჰომოსექსუალისტი იყო. მონაზონი ტუკიც რეალური პიროვნებაა, ოღონდ იგი რობინის გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ მსახურობდა.

ქალი კამელიებით

დიუმა-შვილის რომანის „ქალი კამელიებით“ გმირი — მარგარიტა გოტიე მწერლის შეყვარებული 23 წლის კურტიზანი მარი დუპლესი ტუბერკულოზით იყო დაავადებული, ვარდისა და გიაცინტის არომატი თავბრუს ახვევდა, ამიტომ კამელია მისი საყვარელი ყვავილი იყო.

როზინზონ კრუზო

1703 წელს კაპიტანთან შელაპარაკების შემდეგ, შოტლანდიელი მეზღვაური ალექსანდრ სელკირკი კუნძულ მას-ა-ტიერაზე დატოვეს. მეზღვაურმა კუნძულზე მარტოობაში 4 წელი გაატარა. მისი ისტორია დაედო საფუძვლად დანიელ დეფოს წიგნს „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“. მოგვიანებით, კუნძულ მას-ა-ტიერას რობინზონ კრუზოს სახელი ეწოდა.

ჯეიმს ბონდი

ჯეიმს ბონდის პროტოტიპი ნიდერლანდელი პრინცი ბერნარდია. იგი იან ფლემინგთან ერთად, ლონდონის საგამოძიებო ბიუროში მსახურობდა. ბარში ყოველთვის უკვეთდა „მარტინის“, ხოლო გაცნობისას ამბობდა ფრაზას: „ბერნარდი, პრინცი ბერნარდი“.

მუშკეტერები

დ’არტანიანის პროტოტიპი საფრანგეთის სამხრეთში ცხოვრობდა და შარლ დე ბაც გრაფი დე კასტელმორი ერქვა. ჯარში მსახურობდა და სირანო დე ბერჟერაკთან ერთად იბრძოდა. ათოსი — არმან დე სილეგ დ’ათოს დ’ოტვიელი მდიდარი ბურჟუას შთამომავალი იყო, პორთოსი — ისააკ დე პორტო და არამისი — ანრი დ’არამიცი სამხედრო მოსამსახურეების შვილები იყვნენ. ■

საინტერესო ფაქტები

● „პობედას“ შემქმნელებს თავდაპირველად ავტომობილისთვის „სამშობლოს“ დარქმევა სურდათ. ამის შესახებ სტალინსაც მოახსენეს, რაზეც ბელადმა ირონიულად იკითხა: „და რა ეღირება თქვენი „სამშობლო?!“ რის შემდეგაც სახელი სასწრაფოდ შეცვალეს.

● ჩარლი ჩაპლინი იმდენად პოპულარული მსახიობი იყო, რომ ამერიკაში ყოველწლიურად „ჩაპლინიადა“ ეწყობოდა. გამარჯვებული იყო ის, ვინც საუკეთესოდ განასახიერებდა მსახიობს. ერთხელ კონკურსში თავად ჩაპლინმაც მიიღო ინკოგნიტოდ მონაწილეობა, მაგრამ ჟიურის წევრებმა, უნიჭობის გამო, იგი დაიწუნეს.



● XX საუკუნის დასაწყისში ტიბეტში 2000 სახეობის სახელმწიფო გადასახადი არსებობდა. მათ შორის ქორწილი, შვილის დაბადების, ცეკვის და ა.შ. 1926 წელს ტიბეტში ჯარის შექმნა გადაწყვიტეს, რაც დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ დალაი-ლამამ გადასახადი ყურებზეც დააწესა.

● 2006 წელს „მაკდონალდსს“ ზღარბების დამცველმა ორგანიზაციამ უჩივლა. საქმე ისაა, რომ ზღარბები გადაყრილი ჭიქებიდან ნაყინის ნარჩენებს მიირთმევდნენ, ხშირად ჭიქის ნასვრეტში თავი ეჭედებოდათ და შიმშილისგან იხოცებოდნენ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანიამ ნაყინის ჭიქის ნასვრეტები დააპატარავა.

● ძველ საბერძნეთში მეძავების სანდლები მიწაზე წარწერიან კვალს ტოვებდა. „გამომყევი“ — მოუწოდებდნენ ისინი კლიენტებს.

● უინსტონ ჩერჩილს ძალიან უყვარდა სომხური კონიაკი „დვინი“ და ყოველდღიურად თითო სირჩას მიირთმევდა. ერთხელ კი სტალინს შესჩივლა, რომ სასმელს ძველებური გემო აღარ ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ კუპაჟის სპეციალისტი გაგარ სედრაკიანი ციმბირში იყო გადასახლებული. იგი სამშობლოში დააბრუნეს, პარტიაში აღადგინეს და სოციალისტური შრომის გმირის წოდებაც მიანიჭეს.

● პლაკატს, სადაც სტალინი გელი მარკიროზოვასთან ერთადაა გადაღებული, ამშვენებს წარწერა: „მადლობა ამხანაგ სტალინს ჩვენი ბედნიერი ბავშვობისთვის!“ თავად მარკიროზოვას მშობლები რეპრესირებულები იყვნენ.

● ამერიკულ დოლარებს ხშირად ამჩნევია კოკაინის კვალი. ■

ᲠᲐᲛ ᲘᲛᲡᲮᲕᲔᲠᲕᲚᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ?..

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲬᲔᲚᲗᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐᲛᲓᲔ 207 ᲬᲔᲚᲡ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘ ᲮᲠᲘᲡᲘᲞᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲘᲒᲣᲓᲐ. ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘ ᲕᲘᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲚᲔᲦᲕᲘᲡ ᲭᲐᲛᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ.

1899 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲤᲝᲠᲘ ᲡᲔᲥᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲜᲡᲣᲚᲢᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ.

1911 ᲬᲔᲚᲡ ᲯᲔᲙ ᲓᲔᲜᲘᲔᲚᲡᲘ (ᲕᲘᲡᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲔᲚᲘ) ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲛᲕᲚᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲐ ᲡᲔᲘᲤᲘᲡ ᲙᲝᲓᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲐᲓᲐᲡ ᲤᲘᲮᲘ ᲰᲙᲠᲐ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ.

1927 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲘᲡᲔᲓᲝᲠᲐ ᲓᲣᲜᲙᲐᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲑᲝᲠᲑᲐᲚᲨᲘ ᲩᲐᲮᲕᲔᲣᲚᲛᲐ ᲨᲐᲠᲤᲛᲐ ᲓᲐᲐᲮᲠᲩᲝ.

1941 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚ ᲨᲔᲠᲕᲣᲓ ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲝᲜᲛᲐ ᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲩᲘᲩᲥᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲧᲚᲐ�პᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ.

1944 ᲬᲔᲚᲡ ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲛᲘᲓᲒᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲬᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡᲐᲡ ᲓᲐᲘᲮᲠᲩᲝ.

1960 ᲬᲔᲚᲡ ᲑᲐᲠᲘᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓ ᲣᲝᲠᲔᲜᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲘᲒᲘ LA FORZA DEL DESTINO-ᲓᲐᲜ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ: MORIR? TREMENDA COSA („ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ? ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲐ“).

1981 ᲬᲔᲚᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲐᲡᲣᲚᲘ 25 ᲬᲚᲘᲡ ᲠᲔᲜᲔ ᲖᲔᲠᲢᲔᲕᲔᲚᲢᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲙᲚᲐᲡᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲓᲘᲚᲖᲔ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲭᲐᲛᲐ.

1999 ᲬᲔᲚᲡ ᲑᲠᲘᲣᲡ ᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲑᲠᲔᲜᲓᲝᲜᲘ ᲤᲘᲚᲛ „ᲧᲕᲐᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲐᲠᲐᲦᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲔᲡᲠᲝᲓᲜᲔᲜ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲢᲧᲕᲘᲔᲑᲘ ᲘᲓᲝ.

2003 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲖᲝᲝᲚᲝᲒᲘ ᲢᲘᲛᲝᲗᲘ ᲢᲠᲔᲓᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲚᲐᲡᲙᲐᲖᲔ ᲓᲐᲗᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲐᲨᲘ �მᲐᲠᲗᲝ, 13 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ, ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲗᲕᲛᲐ ᲨᲔᲭᲐᲛᲐ.

2005 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲙᲐᲤᲔᲨᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ 28 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲔᲣᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ 50 ᲡᲐᲐᲗᲘ ᲘᲗᲝᲛᲐᲨᲐ.

2006 ᲬᲔᲚᲡ ᲢᲔᲚᲔᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ, ᲜᲘᲐᲜᲒᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔ ᲡᲢᲘᲕ ᲘᲠᲕᲘᲜᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲡᲐᲡ, ᲡᲙᲐᲠᲝᲡᲘᲡ (ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲗᲔᲕᲖᲘ) ᲙᲣᲓᲘᲡ ᲩᲮᲕᲚᲔᲢᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ■

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲐ



ᲢᲘᲢᲐ — ᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ.

ᲛᲘᲮᲐᲙᲘ — ᲮᲘᲑᲚᲘ.

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲜᲔᲑᲘ — ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲨᲜᲔᲑᲔᲚᲘ.

ᲙᲐᲚᲐ — ᲦᲕᲗᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ.

ᲚᲝᲢᲝᲡᲘ — ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ.

ᲒᲘᲐᲪᲘᲜᲢᲘ — ᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲧᲐᲧᲐᲩᲝ — ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲮᲕᲐ, ᲝᲪᲜᲔᲑᲐ.

ᲒᲕᲘᲠᲘᲚᲐ — ᲡᲘᲜᲐᲖᲔ, ᲜᲐᲖᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ.

ᲘᲐ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ.

ᲛᲘᲛᲝᲖᲐ — ᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲝᲠᲥᲘᲓᲔᲐ — ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ, ᲨᲐᲠᲛᲘ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ.

ᲔᲜᲫᲔᲚᲐ — ᲘᲛᲔᲓᲘ.

ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ. ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ:

ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ — ᲔᲭᲕᲘᲐᲜᲝᲑᲐ.

ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲘᲡᲤᲔᲠᲘ — ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ — ᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ.

ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲤᲔᲠᲘ — ᲜᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲗᲔᲗᲠᲘ — ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ. ■

ᲫᲕᲘᲠᲐᲦ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲘ�გᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘ

● 1999 ᲬᲔᲚᲡ 460 ᲐᲗᲐᲡ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ ᲯᲝᲜ ᲚᲔᲜᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲝᲙᲝ ᲝᲜᲝᲡ ᲐᲚᲑᲝᲛᲘ DOUBLE FANTASY-Ი, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲝᲛᲦᲠᲔᲠᲐᲚᲛᲐ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲐᲛᲓᲔ 5 ᲡᲐᲐᲗᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘᲡ — ᲛᲐᲠᲙ ᲩᲔᲞᲛᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝ�გᲠᲐᲤᲘ ᲓᲐᲣᲠᲗᲝ.

● 2005 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲔᲚ ᲒᲘᲑᲡᲝᲜᲛᲐ 15 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ (ᲤᲘᲚᲛ „ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ“ ᲰᲝᲜᲝᲠᲐᲠᲘ) ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ ᲛᲐ�გᲝ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ.

● ᲫᲕᲘᲠᲐᲦ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ — ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲩᲘᲡ „ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘ ᲬᲧᲐᲚᲖᲔ, ᲛᲘᲬᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ“ — ᲑᲘᲚ ᲒᲔᲘᲢᲡᲛᲐ, ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ 24 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ ᲘᲧᲘᲓᲐ.

● „ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ 3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲐᲓ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲛᲐᲗᲐᲠᲐ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ. XVII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲖᲣᲠᲛᲣᲮᲢᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲗᲐᲠᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲛᲖᲐᲓᲔᲡ.

● 1987 ᲬᲔᲚᲡ 11 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ 1931 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ BUGATTI TYPE 41 ROYALE SPORTS COUPE.

● ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲕᲘᲠᲐᲦ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲑᲝᲗᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲤᲝᲠᲑᲘᲡᲘᲡ“ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲔᲠ ᲤᲝᲠᲑᲡᲛᲐ 160 ᲐᲗᲐᲡ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ. ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲑᲝᲗᲚᲡ ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ 1787 LAFITTE TH.J. ᲓᲐ ᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲯᲔᲤᲔᲠᲡᲝᲜᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ.

● 2006 ᲬᲔᲚᲡ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲠᲝᲜᲐᲚᲓ ᲚᲐᲣᲓᲔᲠᲛᲐ 135 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ 1907 ᲬᲔᲚᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ �გᲣᲡᲢᲐᲕ ᲙᲚᲘᲛᲢᲝᲜᲘᲡ ADELA BLOX-BAUER I-ᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲘᲧᲘᲓᲐ.

● ᲢᲠᲐᲜᲡᲘᲚᲕᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲒᲠᲐᲤᲘ ᲓᲠᲐᲙᲣᲚᲐᲡ (ᲒᲠᲐᲤᲘ ᲕᲚᲐᲓ ᲪᲔᲞᲘᲜᲘᲨᲘ) ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ 135 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ.

● ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜ ᲑᲝᲜᲐᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲗᲘ ᲘᲜᲙᲠᲣᲡᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲛᲐᲚᲘ 4 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ 800 ᲐᲗᲐᲡ ᲔᲕᲠᲝᲓ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ. ■



ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ვაქცინაცია (აცრები) ეგზოტიკურ ქვეყნებში სამოგზაუროდ წასვლის წინ

არსებობს უამრავი სახის აცრა, მაგრამ ყველა მათგანის გაკეთება არ არის აუცილებელი. როცა მოგზაურობას გადაწყვეტთ, სასურველია, ჰკითხოთ თქვენს მკურნალ ექიმს, თუ რომელი აცრის გაკეთებაა აუცილებელი, რათა თქვენ მიერ არჩეულ ქვეყანაში უსაფრთხოდ გაემგზავროთ.

აცრა უცხო ქვეყნებში გამგზავრებამდე, 5 დღით ადრე უნდა გაიკეთოთ, ხოლო თუ გამოუვალი სიტუაციაა, 2 კვირით ადრეც შეიძლება.

ეგზოტიკურ და განვითარებად ქვეყნებში მოგზაურობის წინ შეიძლება, დაგჭირდეთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე აცრის ჩატარება:

* ქოლერის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რომელიც ადამიანს კარგად იცავს 6 თვის განმავლობაში;

* A ჰეპატიტის (ე.წ. ბოტკინი) საწინააღმდეგო ვაქცინა. ახალი ვაქცინით ერთჯერადი აცრა 6-12 თვე დაგიცავთ;

* B ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრა. 4-6-კვირიანი ინტერვალით გაკეთებული ორი აცრა 6 თვის განმავლობაში დაგიცავთ. არსებობს A და B ჰეპატიტის საწინააღმდეგო, კომბინირებული ვაქცინაც;

* მალარიის საწინააღმდეგო აცრა. მალარიის რამდენიმე ტიპი არსებობს (სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის მალარიაა გავრცელებული), ამიტომ მისი პროფილაქტიკა იმ ქვეყნის შესაბამისი ვაქცინით (აბის სახისაა) უნდა მოხდეს, რომელშიც მიემგზავრებით. შეიძლება, გამოყენებულ იქნას მალარიის საწინააღმდეგო აბების სხვადასხვა კომბინაცია. ზოგიერთი წამლის მიღება აუცილებელია მალარიის გავრცელების რეგიონში გამგზავრებამდე, 2 კვირით ადრე; ზოგიერთი კი იქიდან ჩამობრძანების შემდეგაც ინიშნება. დოზირებაც განსხვავებულია;

* (მენინგიკოკური) მენინგიტის საწინააღმდეგო აცრა. გამგზავრებამდე 5 დღით ადრე უნდა გაკეთდეს ერთი ინიექცია;

* ტიფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. ვაქცინა კაფსულის ფორმისაა და დაავადებისგან 12 თვე იცავს. კეთდება ინიექციაც, რომლითაც 3-5-წლიანი დაცვა გარანტირებულია;

* ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო აცრა. სამოგზაუროდ წასვლამდე გაკეთებული ერთი ინიექცია 10-წლიან დაცვას იძლევა;

* იმუნოგლობულინი იმ შემთხვევაში კეთდება, თუ ადამიანი უკვე ავად იყო A ჰეპატიტით ან სხვა მძიმე დაავადებით; ან თუ აცრისთვის არა აქვს საკმარისი დრო, მაშინ იმუნოგლობულინის ერთ ინიექციას ადამიანის 6-12 კვირით დაცვა მრავალი ვირუსული ინფექციისგან შეუძლია;

* იაპონური ენცეფალიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. კეთდება 2 აცრა (2 კვირის შუალედით). ეს აცრები მხოლოდ ინდოეთის, ნეპალის, ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სოფლებში მოგზაურობის შემთხვევაში კეთდება. ყველა მოგზაურმა უნდა გაარკვიოს, აცრილია თუ არა ტეტანუსსა და პოლიომიელიტზე ან ხომ არ არის საჭირო რევაქცინაცია. ■

დავამარცხოთ „ზღვის ავადმყოფობა“ ანუ რომ არ გვარყიოს მგზავრობის დროს

არსებობენ ადამიანები, რომელთაც მგზავრობას და დასასვენებლად წასვლას პაპანაქება სიცხეში, ზაფხულში შინ ჯდომა ურჩევნიათ, რადგან მათ „ზღვის ავადმყოფობა“ აქვთ. ამ ავადმყოფობას შიგნითა ყურში მოთავსებული ვესტიბულური აპარატის გაღიზიანება იწვევს. მისი სიმპტომები, რომელთაგანაც აღსანიშნავია — სისუსტე, თავბრუსხვევა, გულისრევა, ზოგჯერ შეუკავებელი პირღებინება, მაშინ აღმოცენდება, როდესაც გარემომცველი საგნები ჩვენ თვალწინ დიდხანს მოძრაობს. „ზღვის ავადმყოფობას“ ბევრი უჩივის. რყევის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ბავშვები, უფრო კი — გოგონები. 2 წლამდე ასაკის ბიჭუნები რყევას საერთოდ ვერ გრძნობენ. ამიტომაც არის, რომ მათ ასე უყვართ საქანელები, ზოგიერთი მოზრდილისთვის კი ბზრიალა ატრაქციონის შეხედვაც საკმარისია, რომ გულ-მუცელი ამოუბრუნდეს. მგზავრობა შესაძლოა, სერიოზული პრობლემა იყოს მისთვისაც, ვისაც ნაღვლის ბუშტი აწუხებს. თუ სწორად ვიმოქმედებთ, თავიდან ავიცილებთ მგზავრობის დროს რყევას:

წესი პირველი — მგზავრობამდე რამდენიმე დღით ადრე უნდა გაავარჯიშოთ ვესტიბულური აპარატი. ამისათვის:

- გადაიხარეთ წინ და გვერდზე, თანაბრად და მსუბუქად ატრიალეთ თავი.
- საწოლზე პირქვე დაწექით, თავი ჩამოკიდეთ და შემდეგ სწრაფად ასწიეთ.
- აუზში ცურვისას საკუთარ თავს შეუქმენით „ხელოვნური რწევის“ პირობები: მკლავის ყოველი მოსმისას სხეული მიაბრუნეთ ხან ერთ, ხან — მეორე მხარეს.
- იცეკვეთ „ვალსი“.

წესი მეორე — მგზავრობის წინ მოიქეცით ასე:

- კარგად გამოიძინეთ;
- მგზავრობამდე 1-2 საათით ადრე მსუბუქად წაიხემსეთ.
- არ მოსწიოთ სიგარეტი და არ მიიღოთ ალკოჰოლი.
- არ იხმაროთ მკვეთრი არომატის მქონე პარფიუმერია — მკვეთრმა სურნელმა შესაძლოა, გულისრევის, პირღებინებისა და თავის ტკივილის შეტევის პროვოცირება გამოიწვიოს.

წესი მესამე — უშუალოდ მგზავრობისას ასე მოიქეცით:

- არ იფიქროთ უსიამოვნო შეგრძნებებზე.
- მანქანაში ჩართეთ კონდიციონერი ან გააღეთ ფანჯარა.

● სთხოვეთ თანამგზავრებს, სალონში ჭამას მოერიდონ — საჭმლის სუნმა შესაძლოა, გულისრევა გამოიწვიოს.

● თან იქონიეთ დაჭრილი ლიმონი და როგორც კი დისკომფორტს იგრძნობთ, მოწუწნეთ. ზოგიერთს შველის პიტნის კანფეტი, საღეჭი რეზინი, ორცხობილა.

● სვით ცივი წყალი. თუ ხელი მიგიწვდებათ, შესანიშნავია პირში ყინულის ნაჭრის ჩადება. მისი მაგივრობა შესაძლოა, ნაყინმაც გაგიწიოთ.

● თუ რყევას იგრძნობთ, კანის მგრძნობიარე წერტილებს თითით დააწექით. ეს წერტილები მდებარეობს ყურის ბიბილოს ქვეშ და მაჯაზე, ხელისგულიდან სამი თითის დაშორებით.

გემით მგზავრობის დროს:

● მეტი დრო გაატარეთ გემბანზე, ცენტრალურ ადგილას. გემის კიჩოსთან და ცხვირთან რწევა უფრო მეტად იგრძნობა. მზერა ჰორიზონტის ხაზზე შეაჩერეთ.

ავტობუსით და ავტომობილით მგზავრობისას:

● დაბრძანდით ისე, რომ მგზავრობის მიმართულებით იყურებოდეთ. სავარძელი რაც შეიძლება, მეტად გადასწიეთ უკან და მიიღეთ ნახევრად მწოლიარე მდგომარეობა. იყურეთ პირდაპირ. წარმოიდგინეთ, რომ საჭეს თქვენ უჭირთ — მას, ვისაც საჭე უჭირავს, არასდროს ერევა გული. არავითარ შემთხვევაში არ იკითხოთ.

თვითმფრინავში

● აფრენისას და დაფრენისას ისუნთქეთ ღრმად. მოიმარაგეთ „კარამელები“.

თუ ზემოთ აღწერილი არც ერთი მეთოდი არ გშველით, მგზავრობისთვის შეიძინეთ პრეპარატები, რომლებიც ვესტიბულური აპარატის მგრძნობელობას აქვეითებს. ეს პრეპარატებია: დრამინა, ბონინი და კინედრილი (ეს ანტიჰისტამინური პრეპარატები აფთიაქებში იყიდება, როგორც რწევის საწინააღმდეგო საშუალებები. ისინი მგზავრობამდე მინიმუმ 1 საათით ადრე უნდა მიიღოთ);

შეგიძლიათ, მიიღოთ დიმედროლი ან სუპრასტინი. ეს მედიკამენტები ალერგიის საწინააღმდეგო საშუალებებია, მაგრამ რწევის საწინააღმდეგო მოქმედებაც აქვთ. გიშველით ცერუკალიც. ■

თევზი გემრიელია და სასარგებლოც

თევზი რომ უგემრიელესი პროდუქტია, ამაში ყველა დამეთანხმება, მის სასარგებლო თვისებებზეც ალბათ ბევრი გსმენიათ. დღეს სწორედ თევზის სამკურნალო თვისებების შესახებ გესაუბრებით. თევზი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ამცირებს სისხლში ცხიმის ოდენობას, არეგულირებს წნევას, თავიდან გვაცილებს დიაბეტს, ასუსტებს თავისა და სახსრების ტკივილს. თურმე თევზის მოყვარულები გულის შეტევით 2,5-ჯერ უფრო იშვიათად იღუპებიან, ხოლო ესკიმოსებს, რომელთა ძირითადი საკვები ვეშაპისა და სელაპის ხორცია, გული საერთოდ არ აწუხებთ. საქმე ის არის, რომ ზღვის ბინადართა ხორცი ცხიმოვან მჟავეს ომეგა-3-ს შეიცავს, რომლებიც სისხლს ათხიერებს და ამით თრომბის წარმოქმნის საფუძველს სპობს. თუ ყოველდღე 1 გ ომეგა-3-ს მივიღებთ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს მთელი 40%-ით შევამცირებთ. საინტერესოა ისიც, რომ 100 გ თევზში მხოლოდ 80 მგ ქოლესტეროლია, მაშინ, როცა ამდენივე ყველი 110 მგ ამ ნივთიერებას შეიცავს, ხოლო ძეხვი, ბიფშტექსი და შემწვარი ღვიძლი — 2000 მგ-ს. თევზი ჭარბად შეიცავს კალციუმს, იოდს, ნატრიუმს, ფოსფორს, მაგნიუმს, A, B1, D, E ვიტამინებს. რაც უფრო მეტ თევზს მივირთმევთ, მით უფრო ნაკლებად დაგვემუქრება მსხვილი ნაწლავისა და სარძევე ჯირკვლის კიბო. თევზი თურმე ჩვენს ტვინს აუცილებელი ნივთიერებებით ამარაგებს, ხოლო მისი ერთ-ერთი სახეობა, ზოლიანი ქორჭილა, ანადგურებს ნაწლავის ჩხირსა და სტაფილოკოკს. თევზი აუმჯობესებს იმუნიტეტს. ის განსაკუთრებით სასარგებლოა მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობისთვის, რომელიც იოდის ნაკლებობას განიცდის. ახლა იმის შესახებ, თუ როგორ და რა სახით უნდა მივიღოთ თევზი ამა თუ იმ დაავადების დროს:

● ორგანიზმის ზოგადი გაჯანსაღებისთვის ერთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად მიიღეთ 2-4 ს/კ თევზის ქონი.

● გადაღლილობის დროს მიირთვით რამდენიმე ნაჭერი ქაშაყი.

● თუ გონებრივი დაძაბულობის გამო თავი აგტკივდათ, მიირთვით ქაშაყი.

● ცხელების, მალარიის შემთხვევაში, გაახმეთ ჭანარის ნაღვლის ბუშტი, დაფხვენით და მიიღეთ. მიაყოლეთ წყალი.

● მუნის დროს მოამზადეთ ქარიყლაპიას კონცენტრირებული ნახარში და დღეში რამდენჯერმე გაიკეთეთ ცხელი საფენები.

● რევმატოიდული ართრიტის დროს მიიღეთ დილა-საღამოს თითო სუფრის კოვზი თევზის ქონი.

● ტერფების ტკივილის (გადაღლის გამო) დროს აიღეთ ნებისმიერი სახეობის ახალი ან გაყინული თევზი, გამოაცალეთ ფხები, კარგად დასრისეთ, ჩადეთ ცელოფანის პაკეტში, ძილის წინ ამოიცვით ფეხებზე, ზემოდან კი წინდები ჩაიცვით. დილით გაიხადეთ და ფეხები ცივი წყლით დაიბანეთ, საღამოს კი ახალი კომპრესი გაიკეთეთ. სულ საჭიროა 7-10 პროცედურა.

● შარდის შეუკავებლობისას კარგად გარეცხეთ ქარიყლაპიას თავი, გაახმეთ და დაფქვით, დაასხით ერთი ჭიქა ადუღებული წყალი, ოდნავ გააგრილეთ და ერთბაშად დალიეთ. ■

როგორ გავიშროთ სწორად თმა

ყველაზე კარგი იქნება, თუ თმა თავისთავად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე გაშრება ან რბილი პირსახოცის დახმარებით შეიმშრალებთ. ძალიან ცუდია თმის მზეზე გაშრობა, და უარესი — ღუმელზე (ელექტრო ან გაზის). გახსოვდეთ, რომ სველი თმა ცუდად არის დაცული გარე გამაღიზიანებლებისგან (მაგალითად, ულტრაიისფერი სხივები). არ არის რეკომენდებული ფენით ხშირად სარგებლობა. თუ ფენს ვერ ელევით, მაშინ მისი „ცხვირიდან“ გამოსული ჰაერის ნაკადი არ უნდა იყოს ძალიან ცხელი, რადგან შეიძლება, გამოიწვიოს თმის გამოშრობა და თმის გარე, დამცველი გარსის დარღვევა. ასეთ შემთხვევაში თმა დაკარგავს ბრწყინვალებას და მტვრევადი გახდება. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲘ“

გამოცემის დასახელება	1ეგზ. ფასი	3 თვე
1. ГЕО / GEO	9.00	27.00
2. ЛИЗА	2.50	32.50
3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ	5.00	65.00
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8.00	24.00
5. СЕМЬ ДНЕЙ	2.50	32.50
6. HELLO! / ХЭЛЛОУ!	4.00	52.00
7. ОТДОХНИ!	2.00	26.00

ᲐᲑᲠᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

E-mail:elva@kvirispalitra.com

იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

ვიტამინებისა და მინერალების დეფიციტი

ჩვეულებრივი სურსათი D ვიტამინს ძალიან ცოტას შეიცავს, მაგრამ მზის სხივების ზემოქმედებით ორგანიზმი მას თავადაც გამოიმუშავებს. ასე რომ, თუ ბავშვი მზეზე საკმაო ხანს იმყოფება, ის სათანადო ოდენობის D ვიტამინს მიიღებს.

ძილის დარღვევები და მათი დიაგნოსტიკა

გამოღვიძების კატაპლექსია არის მდგომარეობა, როცა ახალგაღვიძებული, ნათელ გონებაზე მყოფი ადამიანი ირგვლივ არსებულ სიტუაციას ადეკვატურად აფასებს, მაგრამ არ შეუძლია მიზანდასახული მოქმედება.

მეც შემიძლია

პატარებს აუცილებლად უნდა ვასწავლოთ დანისა და მაკრატლის ხმარება. თუ სამი წლის ბავშვმა შემთხვევით ხელი წაავლო ამ საგნებს, სასოწარკვეთილი ნუ აყვირდებით; მშვიდად მიუახლოვდით ბავშვს და აუხსენით, როგორ უნდა დაიჭიროს დანა ან მაკრატელი, რომ ხელი არ გაიჭრას.



ROCA SINANULI MVIAN MOLIS

მარინა ბაბუნაშვილი

ძნელია, როცა ძალიან გვიან იგებ სიმართლეს და თურმე, დიდი ხნის განმავლობაში ტყუილებით გასაზრდოებდნენ... ჩემმა რესპონდენტმა, დალიმ, 28 წლის ასაკში გაიგო, რომ მამა ჰყავდა, მანამდე კი, იცოდა, რომ მამამისი ავტოკატასტროფაში დაილუპა... („როცა გულწრფელად ითხოვენ პატიებას, უნდა მიუტევო", — „კვირის პალიტრა", 2008 წლის 7 იანვარი).

ამბავი პირველი

„გამარჯობა, შვილო, მე შენი მამა ვარ"

ალბათ, არასოდეს დაავიწყდება დალის ის დღე, როცა სამსახურში სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი მივიდა და უთხრა: „გამარჯობა, შვილო, მე შენი მამა ვარ". ის კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა, იდგა და გაოცებული შესცქეროდა უცნობ მამაკაცს, რომელიც თბილად უცქეროდა და უღიმოდა.

მერე, დიდხანს, ძალიან დიდხანს უსმენდა მამას:

ამონარიდი წერილიდან: „მე და დედაშენმა სიყვარულით შევქმენით ოჯახი, მერე, პატარა ფლირტი არ მაპატია ნანამ. ბევრჯერ ვთხოვე პატიება, მაგრამ თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და არც კი უნდოდა მოსმენა. მეტიც, ერთ-ერთი უსიამოვნო ლაპარაკის დროს დამემუქრა, დალის აღარ გაგაკარებო. საბავშვო ბაღშიც კი არ დაჰყავდი იმის გამო, რომ იქ არ მივსულიყავი და არ მენახე. მოსკოვში ახლობლებმა სარფიანი საქმე გამომიძებნეს და მეც წავედი. ერთი წლის მერე რომ დავბრუნდი, დედაშენი კვლავ სალ კლდესავით დამხვდა. არც შენი თავი გამაკარა... ისევ მოსკოვში დავბრუნდი, მოგვიანებით დავოჯახდი. მინდა და-ძმა გაგაცნო!

დალი ძალიან ბედნიერი იყო იმ დღეებში, თუმცა წინდაწინ გრძნობდა, რომ დედა ამას დადებითად არ შეხვდებოდა. გამართლდა მისი წინათგრძნობა. ნანამ განაცხადა — ამ კაცმა საშინლად მატკინა გული. მთელი ცხოვრება შენ შემოგწირე, ამიტომ მის ნახვას გიკრძალავო. ისე იმოქმედა დედაზე ყოფილი ქმრის გამოჩენამ, რომ ქალი ცუდად გახდა. დალი იძულებული იყო, დედისთვის დაეთმო და უკან დაეხია. მაგრამ, როცა მამის შემოთავაზება ხელმეორედ მიიღო — მოსკოვში ჩამოდი, და-ძმა უნდა გაგაცნოო, გადაწყვიტა ეშმაკობისთვის მიემართა. დედას უთხრა, თითქოს ორ მეგობარ გოგონასთან ერთად ზღვაზე დასასვენებლად მიდიოდა. ტყუილი მაინც გასკდა და ნანას ისტერიკები დაემართა. დალიმ დედას წერილი გამოუგზავნა:

ამონარიდი წერილიდან: „ჩემო დედიკო, ვიცი, გაგაბრაზე, მაგრამ უნდა გამიგო. მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მამა ვიპოვე. იცი, რა კარგი და-ძმა მყავს? ისეთი სიყვარულით დამხვდნენ, ასე მგონია, პატარაობიდანვე ერთად ვიზრდებოდით. გადავწყვიტე, ერთის ნაცვლად ორი თვე მათთან დავრჩე ანუ აგვისტოს ბოლომდე. ტელეფონით ლაპარაკს, წერილის მოწერა ვამჯობინე. ვიცი, ჩემი ხმის გაგონება კიდევ უფრო გაგანერვიულებდა... მაპატიე, რომ ვიცრუე, მაგრამ ცუდი ხომ არაფერი გამიკეთებია?! თქვენს დავაში მე რა შუაში ვარ? მთელი 26 წელი შენც ხომ მატყუებდი, მამა გარდაგეცვალაო. მაგრამ გაპატიე, არადა გული მწყდება, ამდენი

წელი უმამოდ რომ გამატარებინე. ახლა მაინც გამიწიე ანგარიში. შენი იმედი მაქვს. გკოცნი უთვალავს. დალიკო“.

ამგავი მეორე

შვილის და-ძმა თბილად მიიღო

მართალი გამოდგა დალი. ტელეფონით ლაპარაკს წერილი იმით სჯობდა, რომ ქალი დღეში ათჯერ მაინც კითხულობდა შვილის გამოგზავნილ წერილს და ყოველ წაკითხვაზე გული ულბებოდა. ბოლოს იმაშიც დარწმუნდა, რომ დალი დედას სამართლიანად საყვედურობდა და მას შვილთან აქეთ სასაყვედურო არაფერი ჰქონდა. ნანამ ქმარს ვერ აპატია ღალატი, არადა ღალატიც არ ერქვა იმას. როგორც მოგვიანებით დალიმ მიამბო, თურმე ორ მამაკაცს ორი ქალბატონი რესტორანში დაუპატიჟებია. ეს ნანამ გაიგო და ეჭვიც აგორდა. მერე ამას ისიც დაემატა, რომ მივლინებაში თენგო (დალის მამა) და ის ქალი ერთად იყვნენ და ნანამ ყველაფერი უცებ გადაწყვიტა. როცა შვილი დაბრუნდა მოსკოვიდან, პირველად თავის სიცოცხლეში, დალის ძალიან გულწრფელად ელაპარაკა: მამაშენი ისე მიყვარდა, ღალატი ვეღარ ვაპატიე. ზოგი ამბობს, თუ გიყვარს, აპატიებო. შეიძლება, უსაზღვროდ გიყვარდეს და სწორედ, მაგიტომ არ აპატიოო. მოკლედ, დედა-შვილი შერიგდა და დალიმ შეაგუა დედა, რომ მალე და-ძმა თბილისში ჩამოაკითხავდა მას, — აბა, შენ იცი, როგორ დახვდები, მამაჩემის მეორე ცოლმა არ გაჯობოს, მან ძალიან თბილად მიმიღოო, — უთხრა ღიმილით დალიმ.

მართლაც, საახალწლოდ ჩამოსულ ყოფილი ქმრის შვილებს მშვენიერი მასპინძლობა გაუწია ნანამ... ●

18 წლის ნატაშა და 16 წლის გიორგი საოცრად კარგი ბავშვები აღმოჩნდნენ. ნანამ კი დალისთან კიდევ ერთხელ აღიარა: ვნანობ ჩემს სიფიცხეს და ჯიუტობას, თენგოსთან არ ვიყავი მართალი, უნდა მეპატიებინაო.

მკითხველის წერილები

მამა ვერ სცდება, რაც მან ქალ მასზე ნაწყენი

„მე ჩემი მშობლების სიყრმის შვილი ვარ. ისინი ძალიან ადრე დაქორწინდნენ, დედა 16-ის იყო, მამა — 18-ის. როცა წამოვიზარდე, ყველას ჩემი მშობლების და ვეგონე. განსაკუთრებით მამასთან „ვძმაკაცობდი“. მერე რა, რომ გოგო ვარ, მას ყველანაირ საიდუმლოს ვუმხელდი და არაფერს ვუმალავდი. ახლა კი, ძალიან გულნატკენი ვარ მასზე. საქმე ის გახლავთ, რომ დედა აპრილში იტალიაში გაემგზავრა. მოკლედ, ძალიან წვალობს... მამაჩემმა კი, აქაოდა თავისუფალი ვარო, საყვარელი გაიჩინა. იმ ქერა ქალთან (მგონი, დოდო ქვია) უკვე რამდენჯერმე დავინახე. პირველად ისე განვიცადე, ლამის გული გამისკდა. ის ღამე ტირილში გავატარე; დედა შემეცოდა უსაზღვროდ, მამაზე კი საშინლად გავბრაზდი. ვერაფერი ვუთხარი, თუმცა მწარე-მწარე რაღაცების თქმა კი მინდოდა. მერე, მეორედ და მესამედაც დავინახე და დარდმა ხელი დამრია. მამამ შემამჩნია და რა გჭირსო, — მკითხა. კვლავ ვერ ამოვიღე ხმა. მოგვიანებით კი ასე ავუხსენი, — დედა მენატრება-მეთქი. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ მამისგან ისეთი გულნატკენი ვიყავი, სულ ტირილი მინდოდა... იმედია, მამა მიხვდება, რომ დედა არ არის ღალატის ღირსი. თუ არ დაფიქრდება ამაზე, ავდგები და სახლიდან წავალ. ჩემი ორი მეგობრის კარი ყოველთვის ღიაა ჩემთვის.

თიკო, თბილისი“

ამას სიყვარული კი არა, მტაცებლობა ქვია

„მინდა, ჩემი მეგობრის ოჯახზე გიამბოთ, თუმცა ამას ოჯახი აღარც ჰქვია, რადგან კაცი შინიდან „გაქცეულია“. რატომ? იმიტომ, რომ თურმე თავისი „ნამდვილი სიყვარული“ იპოვა და როგორც თვითონ ამბობს, სიცრუეში აღარ სურდა ცხოვრება.

ეს ყველაფერი 3 წლის წინ დაიწყო. ნოდარის სამსახურში ახალი თანამშრომელი მივიდა, რომელიც ქმარგაცილებული იყო. მათ შორის მალევე გაჩაღდა რომანი, მაგრამ ხომ იცით, ასეთ რამეს ცოლი (ან ქმარი) ყველაზე ბოლოს იგებს. ლიამ ეს ახლახან გაიგო და საშინლად განიცადა. ვიცოდი ნოდარის რომანის შესახებ, მაგრამ როგორია, მეგობარს (ჯვრისწერისას მისი მეჯვარე და უფროსი შვილის ნათლია გახლავართ) ამისთანა რამე გავუმხილო? თანაც, ვიმედოვნებდი რომ კაცს მალე გაუვლიდა გატაცება. შევცდი, ასე არ მოხდა და მეც ვიტანჯებოდი, რადგან ლიას გულუბრყვილოდ სჯეროდა ქმრის. „საწყალი ნოდარი, კიდევ სამსახურშია“, — იტყოდა ხოლმე დანანებით, მე კი ამ დროს ლამის მეტირა. ბოლოს მეზობელმა გააგებინა ქმრის ღალატი და უსიამოვნებაც მოუვიდათ... ცოდვას ვერ ვიტყვი, ნოდარი შვილებზე გიჟდება, ისე უყვარს. როცა ლიამ განუცხადა, რომ განქორწინება სურდა, თავი მოიკლა, არც სადმე წავალ, არც განქორწინებაზე დაგთანხმდებიო, მაგრამ იმ ქალმა იმდენი გააკეთა, ტვინი გადაუბრუნა კაცს. ვერ დავიჩემებ, ჯადო გაუკეთა-მეთქი, მაგრამ აბა რა დავარქვა ნოდარის საქციელს? არაჩვეულებრივი ქმარი და მამა იყო, მერე, ბზარი გაჩნდა და თავს იკლავდა, რათა სიტუაცია როგორმე გამოესწორებინა, გავიდა 5 თვე და ცოლს გამოუცხადა, იმასთან მივდივარ, მოვალეობით ცხოვრებას ვერ ვანაცვალებ სიყვარულსო... და წავიდა კიდეც. ნაცნობებმა ამბავი მოგვიტანეს, იმ ქალს უთქვამს თურმე: რა ვქნა, მიყვარს ნოდარი და მისი მოპოვებისთვის ვიბრძოლეო. მე კი საქვეყნოდ ვაცხადებ: ამას სიყვარული კი არა, მტაცებლობა ჰქვია.

ქეთი სიმონიშვილი“ ●

30 წლის მერე გიმხელ

„ვიცი, შარშან შოკში ჩაგაგდე. ხუმრობა ხომ არ არის, მთელი ცხოვრება ძმაკაცად მთვლიდი, მეგობრად მიგაჩნდი, მე კი ამდენი ხნის მერე გაგიცრუე იმედები... გაგაწბილე, არა, ნათი? მაპატიე, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ყოფილა კაცის ეგოისტური ბუნება, 40 წელს რომ გადასცილდება, მერე ბევრს ფიქრობს წარსულის შეცდომებზე და მის გამოსწორებასაც ცდილობს. მეც ასე დამემართა. ვერ გეტყვი, რაიმე მიზანი მამოძრავებდეს, ამდენი ხნის საიდუმლო ძლივს რომ გაგიმჟღავნე — არა, ნათი, შენს თავს ვფიცავარ, მაგრამ დამიჯერე, უბრალოდ, მინდა იცოდე, ამდენი ხნის მანძილზე როგორ მიყვარდი. არაფერს არ გთხოვ, მხოლოდ მომისმინე... მაშინ (ამ ერთი წლის წინ), მობილურით მთელი ორი საათი გელაპარაკე (დამცინე კიდეც, მილიონერი გახდი ამდენს რომ მელაპარაკებიო), გაოგნებული მაწყვეტინებდი, ხომ არ გაგიჟდი, რას მეუბნებიო. ახლა ველარ გამაწყვეტინებ და მოგიწევს ამ წერილის ბოლომდე ჩაკითხვა.

პირველივე დანახვაზე, ჩვენს კლასში შემოსვლისთანავე შემიყვარდი, ნათი. ჩემს კლასელს, ვახო ახვლედიანსაც უყვარდი — და რადგან მან გაცილებით ადრე, სამი წლის წინ დაგასვა თვალი და შენს სიყვარულშიც „სტაჟიანად“ ითვლებოდა, ვერაფერი გავამხილე. გატყობდი, შენც გსიამოვნებდა მისი ყურადღება, ამაყობდი კიდეც, რომ კლასის (და ალბათ, სკოლისაც) „ყოჩი“, თვით ვახო აცხადებდა, ნათია ჩემი შეყვარებულია და არავინ აწყენინოსო. თუმცა, ჩვენს კლასელ ბიჭებს ახალი გოგონას დანახვაზე თვალები გაუბრწყინდათ. სოსომ ვერ დამალა თავისი გრძნობები და ჯერ ვახოსგან მოხვდა, მერე ჩემგან. მერე ბიჭებმა მკითხეს, შენ რაღას ერჩოდი სოსოს, რატომ დაალილავეო? რატომ და ნათიას ძმაკაცი ვარ, იმას კი არ უყვარს და რომ შეაწუხა, იმიტომაც ვცემეო-მეთქი. ის დღე იყო და, ყველამ გაიგო რომ გურამი და ნათია (ანუ მე და შენ) უახლოესი მეგობრები ვიყავით. ნეტა გენახა, ჩვენი სკოლელი ბიჭები, როგორ მთხოვდნენ ხოლმე, — მიდი რა, ნათიასთან საქმე ჩაგვიწყვეო. ვბრაზდებოდი, ნერვები მეშლებოდა, მაგრამ რა მექნა? ხომ ვერ გამოვაცხადებდი, ჩემს ნათიას ყველამ თავი დაანებეთ, მე მიყვარს-მეთქი! ოღონდ შენს სიახლოვეს ვყოფილიყავი და არ დავეძებდი, ძმაკაცის სტატუსით ვიქნებოდი თუ შეყვარებულის. მე კი მეორე მერჩივნა, მაგრამ... ჰო, ნათი, ათასი „მაგრამ“ არსებობდა. შენ გათამამებული, მაგრამ გულღია და კეთილი გოგო იყავი, მოგწონდა, ყველა უახლოეს მეგობრებად რომ გვთვლიდა. ბევრ ბიჭს მოსწონდი და ცოტა თავშიც გქონდა ავარდნილი. ცაში დაფრინავდი და იმას როგორ შეამჩნევდი, მე როგორ ვიტანჯებოდი. იცი, ნათი, რამდენჯერ მიოცნებია, ნეტავ, შემეძლოს, მოვკიდებდი ხელს და 9 მთას იქით გადავკარგავდი, სიკვდილამდე ერთად ვიქნებოდით და ცივ ნიავს არ მივაკარებდი-მეთქი... რახან ძმაკაცი მერქვა, სხვა გზა არ იყო, „გამოგტყდომოდი“ რომელი გოგო მომწონდა. ხან ნანაზე ვთქვი, ხან ნინოზე — მომწონს-მეთქი. შენ ცდილობდი, საქმე ჩაგეწყო... ახლა, 30 წლის მერე გიტყდები სიყვარულში და ნუ დამემდურები... ახლა მინდა ბევრი რამ გითხრა, რაც მაშინ არ მითქვამს... ბახვა და კობა იყვნენ ჩემს უბანში მოსულები. გარეთ ვიყავი, ჯემალთან და სხვა უბნელებთან ერთად. ჯერ ცოტა ხანს ბანქო ვითამაშეთ, მერე ბახვამ ცალკე გამიყვანა და მითხრა: თუ ნათიას ძმაკაცი ხარ, ისე მოიქეცი, როგორც ძმაკაცს შეეფერება, ხოლო თუ გიყვარს, ზედმეტებში არ გადახვიდე, ხომ იცი, ნათიას ჩემს საცოლედ მივიჩნევო. სისხლი თავში ამივარდა და ვუთხარი: მე მისი მეგობარი ვარ და ეს თუ არ მოგწონს, შენი პრობლემაა. თანაც, ნათიას ჯერ არ გადაუწყვიტავს, შენ გამოგყვება თუ არა ცოლად, ასე რომ, წინდაწინ ნუ აწყობ გეგმებს-მეთქი. მერე, უსიამოვნო ლაპარაკი და გაწევ-გამოწევა წავიდა. უბნელებმა გაგვაშველეს. ბოლოს, ასე მოვილაპარაკეთ: დრო გვაჩვენებს, რაც მოხდება, დაე, ნათიამ გადაწყვიტოს ყველაფერი, ჩემი და შენი მეგობრობა გაგრძელდა, ბახვამ კი გადაწყვიტა, რომ შენ მე მარჩიე. სკოლა რომ დავამთავრეთ, ვახო მალევე დააპატიმრეს, თითქოს შენთან მოსასვლელი გზა გახსნილი მქონდა, მაგრამ ჯარმა მომიწია. ვიფიქრე, ჩამოვალ და ყველაფერს ვეტყვი-მეთქი. ორმა წელმა ისევ შენზე ფიქრებსა და ოცნებებში გაიარა. დავბრუნდი თუ არა, რამაზს, ნინოს, მერაბს, გელას გავუარე (მარტო ვერ გნახავდი, ემოციებისგან გული გამისკდებოდა) და ვთხოვე, ნათიასთან მივიდეთ-მეთქი. მერე შენთან, სახლში დავბრუნდით და კარგა ხანს ვისაუბრეთ. შენ შენებურად ხელი ხელს შემოჰკარი და ბიჭებს გვითხარი: აბა, ბიჭუნებო, ცოლები არ მოგყავთო? ზოგმა რა თქვა, ზოგმა — რა. შენ კი, მე საქმრო მყავს და მალე ჩემს ქორწილში გაქეიფებთო... და გეფიცები, ნათი, სამყარომ მოძრაობა შეწყვიტა. აღარაფერი მესმოდა, არც თქვენი ლაპარაკი, არც სიცილი და ხუმრობა...

გულში ვთქვი: რა ვქნა, ეს მეწერა ალბათ, რომ მარადიულად მყვარებოდა ერთადერთი ქალიმეთქი. ჩემი ბრალია ყველაფერი, უნდა დამეძლია შენდამი სიყვარული, მაგრამ რა ვქნა, რომ იგი ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. ყველას თავისი ადგილი აქვს ჩემს გულში, დედ-მამას, ცოლ-შვილს, მეგობრებს, მაგრამ 30 წლის შემდეგ გიმხელ, რომ ეს გული მაინც შენ გეკუთვნის. ნათი, გმადლობ, რომ არსებობ!

გურამი“.

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com



რომანი

მარი ხაფარიძე

ჩაცვლას ვოცნებობთ

ნინომ ქმრის ღალატი გადაწყვიტა. ის ალბათ არც პირველია და არც უკანასკნელი, ვინც ამას ჩაიდენს, მაგრამ ვინაიდან მის ცხოვრებაში ასეთი რამ პირველად ხდებოდა, გრანდიოზულ თავგადასავლად მიიჩნევდა.

თუ ფორმალურად ვიმსჯელებთ, ყველაფერი მისი მეგობრის, დალის ბრალი იყო. ის 2 წლის გათხოვილი გახლდათ და „სეირნობას“ ნამდვილად არ იკლებდა. ქმარს ხშირად, იოლად და ყოველგვარი „თანმდევი მოვლენების გარეშე“ ღალატობდა. როდესაც თაყვანისმცემელი მისთვის ხაფანგის დაგებას იწყებდა, ის ხელს ჩაიქნევდა და ეტყოდა ხოლმე:

— კარგი, ნუ ორატორობ, მე თვითონ უარზე არ ვარ...

ბოლოს კი თვალებს ჭერს მიაპყრობდა და იტყოდა:

— მდაა... მგონი, ყველაფერი კარგად გამოგვივიდა, — შემდეგ დაამატებდა: — ჩემთან დარეკვა არც გაბედო!

თითოეული კავალრის შესახებ დალი დაწვრილებით და იუმორით ჰყვებოდა ხოლმე.

— წარმოგიდგენია? — ნელა და ღიმილით ჰყვებოდა დალი. — გაიხადა და მითხრა, რომ ზღაპრული ალერსით დამათრობდა, მე კი ჩავიხითხითხე და ვუთხარი, რომ ჯობდა, ჯერ წინდები გაეხადა.

დალის ნაამბობის მოსმენისას ნინოს სხვადასხვა გრძნობა აეშლებოდა ხოლმე. უკვე ბევრჯერ დადო პირობა საკუთარ თავთან, რომ აღარ მოუსმენდა ამ ბინძურ ამბებს, მაგრამ მაინც დიდი ინტერესით მიჰყვებოდა კაფეში, შორეულ კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან განმარტოვდებოდნენ და მის ამბებს ისრუტავდა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

ერთხელ კი, როგორც იქნა, გამბედაობა მოიკრიბა და ჰკითხა:

— კი, მაგრამ ამ ყველაფრის მერე სახლში როგორ ბრუნდები?

— როგორ და მშვენივრად. თუმცა, ამის შემდეგ რატომღაც ყოველთვის ბევრს ვჭამ, — მხრები აიჩეჩა დალიმ.



— მაგას არ გეკითხები, — შუბლი შეიჭმუხნა ნინომ, — შინ რომ დაბრუნდები, ქმარს რაღაც ხომ უნდა უთხრა? უნდა გაუღიმო, მიეფერო, მერე ლოგინშიც მასთან ერთად დაწვე...

— იცი, ჩვევა გიმუშავდება. როცა შინ ბრუნდები, თითქოს სინდისი გქენჯნის, მაგრამ ქმარს ხან სუნამოს ვუყიდი, ხან — პერანგს, ღამე დღესასწაულს მოვუწყობ და მერე მთელი თვე კმაყოფილია.

ნინო დაფიქრდა, მაგრამ მეგობრის ნათქვამი უაზროდ არ მოსჩვენებია.

აი, ასე... დალის ასეთი ცხოვრება აქვს... თვითონ კი 7 წელია, გათხოვილია

და აქედან 5 წელი სარეცხის მანქანასა და ღუმელს შორის დარბოდა. ზაფხულში სოფელში მიდიოდა და დედამთილის ჭკუის დარიგებებს უსმენდა. ბოლო 2 წელია, მუშაობს და შედარებით უკეთ გრძნობს თავს. თმას დღეგამოშვებით იბანს, „შმოტკაც“ შეიძინა, მეგობარიც გაიჩინა — დალი, მამაკაცები ხან ყვავილებს და ხანაც შოკოლადს ჩუქნიდნენ. მართალია, მთლად უანგაროდ არა, რადგან ის განყოფილების გამგე გახლდათ, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ ეჩვენებოდა.



რაღა თქმა უნდა, ქმარიც ჰყავდა — ჯაბა. ის პროგრამისტი გახლავთ. უკვე დიდი ხანია, რაც ერთ გენიალურ პროგრამაზე მუშაობს, რომელსაც კომპიუტერული სამყარო თავდაყირა, ოჯახის ბიუჯეტი კი კეთილდღეობის გზაზე უნდა დაეყენებინა. თავის გარშემო მყოფ ადამიანებს ზევიდან უყურებდა, რადგან თავისი არაორდინალური დანიშნულების სჯეროდა. რაც შეეხება სექსუალურ მხარეს, ჯაბა საკმაოდ აქტიური მამაკაცი იყო, მაგრამ ნინოს მაინც ჰქონდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ეჩვენებოდა, რომ ჯაბა ძაღლს ჰგავდა, რომელიც მხოლოდ მისი ხელიდან ჭამდა საჭმელს, რადგან სხვისი მიწოდებულის ჭამა აკრძალული ჰქონდა. კი ჭამს, მაგრამ თან იღრინება, რადგან იძულებულია, ასე მოიქცეს. მოკლედ, არავითარი ჰარმონია მათ შორის არ იყო.

ნინოს ინტიმურ პრობლემებზე ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ დალისთან ამ თემას გვერდს ვერ უვლიდა. ის ბევრ კითხვას უსვამდა და ეს კითხვები ისე ჟღერდა, თითქოს სექსოპათოლოგთან ჰქონდა ვიზიტი...

ასე იყო იმ გადარეულ დღესაც. დალი უჩვეულოდ ცოტას ლაპარაკობდა და ნამცხვარს დიდი მონდომებით მიირთმევდა. როგორც ყოველთვის, ნინო ინიციატივას არც ამჯერად იჩენდა. ბოლოს, დალის სიჩუმე მოჰბეზრდა და ჰკითხა:

— ქმართან სექსი გაქვს, საერთოდ?

ნინო შეკრთა და მეგობარს რაღაცნაირად შეხედა.

— ქართული არ გესმის? — გაცხარდა დალი.

— კარგი, რაა, — ამოილუღლუღა ნინომ.

— რა, არა? არ გაქვს სექსი?

— ხანდახან, იშვიათად.

— იცი, რას გეტყვი, მეგობარო? შენ სასწრაფოდ უნდა იშოვო მამაკაცი.

— რას ამბობ, გაგიჟდი?

— ჰო, კარგი კაცი გინდა...

— ამდენ ყავას ნუ სვამ, შენს გონებრივ შესაძლებლობებზე უარყოფითად მოქმედებს.

— სულხანი, — მტკიცე ხმით თქვა დალიმ, — სულხანია შენთვის ზედგამოჭრილი.

ნამდვილი ალქაჯია ეს დალი... საიდან მიხვდა, რომ ნინოს სწორედ სულხანი მოსწონს? მას ხომ არც სიტყვით და არც მზერით არ გაუმჟღავნებია?

სულხანი მათ სამსახურში ცოტა ხნის წინ გამოჩნდა. ნინოს დანახვისთანავე მოეწონა. ხიბლავდა მისი შეხსნილი პიჯაკი, ოდნავ მოშვებული ჰალსტუხი, მოსწონდა, როგორ კრებდა ნომერს ტელეფონზე, თითის მსუბუქი დაჭერით.

— არავინ გაიძულებს, ოჯახი დაანგრიო, მაგრამ ხომ იცი, როცა ქალს ნორმალური სექსი არ აქვს, ნერვიული ხდება. ჯანმრთელობაზე უნდა იზრუნო.

ნინოს ენა ჩაუვარდა. სულ ორიოდე წუთის წინ ისხდნენ მშვიდად და ყავას სვამდნენ და აი, უცებ, სულხანიო!

— ყველაფერს მე მოვაწყობ, — განაგრძობდა დალი, — დამელოდე.

დალი წავიდა, ნინო კი შიშმა აიტანა.

— აქ რას აკეთებ, პრინცესავ? — ვიღაცის ხმამ გამოარკვია.

— როგორ შემაშინეთ, — გულზე ხელი მიიდო ნინომ, — ჩემთვის ვიჯექი და ოცნებებში დავსეირნობდი.

— მიმიწვიეთ სასეირნოდ თქვენს ოცნებაში.

— გარწმუნებთ, რომ იქ

მე ყარგი ხელოვანი
ძალვა. ძალარე, ძალარ
ყარგი!

სისულელის მეტს ვერაფერს ნახავთ.

„რას ვეკეკლუცები?“ — გაიფიქრა ნინომ. სწორედ ამ დროს დალიც გამოჩნდა.

— ააა, უყურე ამათ, მე ამას ვეძებ, ეს კიდევ აქ ყოფილა. ამ გვრიტებს უყურე ერთი! რომანტიკული ურთიერთობების აწყობას ცდილობენ...

— მინდა, შამპანურზე დაგპატიჟოთ, — თქვა სულხანმა და მაგიდასთან ჩამოჯდა. მიმტანს ანიშნა, მათთან მისულიყო.

— მე უნდა წავიდე, შესვენება დამთავრდა, კაბინეტი უნდა გავაღო, — გასაღების ასხმულა შეათამაშა ხელში ნინომ.

— მე გავაღებ მაგ შენს კაბინეტს, — გასაღებები ხელიდან გამოსტაცა დალიმ.

— მოიცა, — სახელოში სწვდა ნინო და მოქაჩა.

— სულელივით ნუ იქცევი, — გამოსტაცა ხელი დალიმ და გარეთ გავიდა.

— რატომ წავიდა? — იკითხა მამაკაცმა.

— თუ გეწყინათ მისი წასვლა, დავუძახებ, — განაწყენებული ხმით ჩაილაპარაკა ნინომ.

— ასე ჯობია... შამპანური უცნაური სასმელია: ან ორმა ადამიანმა უნდა დალიოს, ან ბევრმა ერთად. სამი ადამიანისთვის არაა განკუთვნილი.

ამ სიტყვებმა ნინოს იმედი ჩაუსახა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მოკლე ჩართვა

როგორ ვებრძვი სიცხეს?

• აუუუ, ნუ იკითხავთ, როგორ ვებრძვი სიცხეს... ჩემს ადგილზე სხვა რომ იყოს, ალბათ გაგიუდებოდა. მოკლედ, მაგრად ვებრძვი სიცხეს, რა... დილის 7 საათიდან საღამოს 6 საათამდე სულ ცხელ ღუმელთან ვარ და ვტრიალებ, რადგან ჩემი ნახელავით ხალხმა ისიამოვნოს და გემრიელად მიირთვას. აი, 6 საათის მერე კი ცოტათი გრილად ვარ, თან 9 საათამდე, რათა მეორე დღისთვის სამუშაო ინვენტარი მოვამზადო და რაც მთავარია, ამას სიამოვნებით ვაკეთებ, რადგან ხალხს ჩემი ნახელავი მოსწონს, მაგრამ მე მომწონს? არა, ჩემი ნახელავი კი მომწონს, მაგრამ ამ სიცხეში ცხელ ღუმელთან? ზამთარია ჩემთვის სამოთხე. არც მცხელა, არც მცივა. აი, ასე ვებრძვი ამ სიცხეებს, მაგრამ ამას ბრძოლა ჰქვია? არაااა! მაგრამ ამ გზავნილს თუ დამიბეჭდავ, ვიბრძოლებ! კეკე

• ზღვა, ზღვა და კიდევ ზღვა! აბა მითხარით, სხვა რა გზა? პოეტი.

• სიცხეს კი არ ვებრძვი, თვითონ მებრძვის და პირველ ადგილზეა, ამ ორთაბრძოლაში! თინეიჯერი შინაბერა.

• იცით? ამ სიცხეში სიცხეები მაქვს, მახველებს და ყოველდღე წამლებს ვყლაპავ. ნაყინსა და ცივ წვენებს ხომ არავინ მაკარებს. აი, ასე საცოდავად ვუმკლავდები სიცხეს...

• იცი, როგორ ვებრძვი სიცხეს? ბუზღუნით. :) სიმართლეს ვამბობ. დავიწყებ ბუზღუნს ყოველ ზაფხულს. დავდივარ, ვბუზღუნებ, ვჭამ — ვბუზღუნებ, ძილშიც ვბუზღუნებ. ჰოოდა, იძულებული ხდებიან ჩემები, გამიშვან ზღვაზე. აბა, როგორ უნდათ? ახლა დავიწყე უკვე და მალე ზღვაზეც დავისვენებ. შოკოლადა.

• როგორ ვუმკლავდები სიცხესო? რას ვუმკლავდები, ტო, ჩემთან ისე ცხელა სოფელში, ახალდაქორწინებულებიც კი ცალ-ცალკე წვანან. ყველა მიყვარხააართ. 9717.

• ეჰ, სადაა სიცხე, რომ ვებრძოლო, თორემ დიდი სიამოვნებით გავგრილდებოდი ქობულეთის ზღვის ტალღებში. ვ დღეა, მზეს ვნატრობ. სვანის ასული.

• სიცხეს ცივი ყავით, წუწაობით ვებრძვი. თუ ქალაქში მომიწია ჩასვლა, სადაც ბევრად უფრო ცხელა, ბოთლით წყალი დამაქვს და დროდადრო ვისხამ. ზოგი რა გაკვირვებით მიყურეეებს... მე კიდევ, ვხალისობ. ;-) არადა, მართლაც კარგი საშუალებაა. სარვიეტა.

• როგორ და წყლით ვებრძვი სიცხეს. როცა თბილისში ვარ, სულ წყალში ვგდივარ, ბატივით.

• სიცხეს ვებრძვი? ჰმ, მე კი არა, ამინდი ებრძვის. ბათუმში ვარ და თითქმის სულ წვიმს. ჩუპი.

ბამოხმაურება

„14 წლის ბავშვისთვის შვილის აღზრდა მეტად რთული იქნებოდა"

„გზის" №30-ში დაიბეჭდა თეკლას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ მასზე 14 წლით უფროსი და — ანანო სინამდვილეში მისი დედა ყოფილა და ეს ამბავი ახლახან შეიტყო: „გავიგონე, საქმროს ეუბნებოდა, რომ მე მისი შვილი ვარ. თურმე, 14 წლის ასაკში შეყვარებულისგან დაორსულდა... საშინლად ვიჩხუბე, მერე ცოტაოდენი ტანსაცმელი და საჭირო ნივთები ჩავალაგე და სახლიდან წამოვედი". თეკლა ამჟამად დაქალთან ცხოვრობს და არ იცის, როგორ მოიქცეს.

„ამ ბოლო დროს თავი რომელიღაც სერიალის გმირი მგონია..."

ლიკა ქაჯაია

იკუზკები:

„ძალიან გთხოვ, დაბრუნდი სახლში და ანანოს დაელაპარაკე. ნუ განსჯი მას იმ საქციელისთვის, რის შედეგადაც, შენ ქვეყნიერებას მოევლინე. შენც ხომ მომავალი დედა ხარ და აბა, დაფიქრდი, მის ადგილას როგორ მოიქცეოდი? ალბათ, თავის დროზე ანანო დიდ წინააღმდეგობას გადააწყდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, აბორტი არ გაიკეთა და სიცოცხლე გაჩუქა. ეტყობა, შენი ბებია-ბაბუაც კარგი ხალხია. ხშირ შემთხვევაში, მშობლების მოთხოვნით, ანანოს მდგომარეობაში მყოფი შვილები იძულებულნი არიან, ახალდაბადებულები გააშვილონ, შენ კი მშობლიურ გარემოში გაიზარდე, ოჯახური სითბო არ მოგკლებია, მუდამ საკუთარ სისხლთან და ხორცთან ერთად იყავი. როცა დედა გახდები, ანანოს გულისტკივილსაც მაშინ მიხვდები და გაუგებ, როგორც დედას. ჩემს დაქალსაც ჰყავს 4 წლის შვილი, რომელიც საზოგადოების თვალში, მისი უმცროსი ძმაა. მომავალში, როცა ბავშვი წამოიზრდება და სიმართლეს გაიგებს, პირადად ვიზრუნებ, რომ მან დედას ზურგი არ შეაქციოს. ჩემმა დაქალმა ისედაც ბევრი ტანჯვა გამოიარა. მჯერა, ანანოც მისნაირად დაიტანჯებოდა... ახლა გონიერება გამოიჩინე, სახლში წადი, ნამდვილ დედას ჩაეხუტე, „დედა" დაუძახე და სთხოვე, თავისი წარსულის შესახებ ყველაფერი გიამბოს. იმედი მაქვს, ჩემს რჩევას დაუფიქრდები და გადაწყვეტილებას დედაშვილობის სასარგებლოდ მიიღებ. აუცილებლად გაგვაგებინე, თუ როგორ წარიმართება შენი ცხოვრება. იცოდე, ამქვეყნად დედის ფასი არავინაა და გაუფრთხილდი მას!"

და-კე:

„პირადად მე, ამ ცხოვრებაში შეუცდომელი არავინ მეგულება. აბა, ცოტა ხნით თავი მის ადგილას წარმოიდგინე... გირჩევ, სახლში დაბრუნდე და ყველაფერი გაარკვიო. მთავარია, მან შენზე უარი არ თქვას".

პატარა, 19 წლის:

„ოჯახში დაბრუნდი და ყველაფერი გაარკვიე. მთავარი ისაა, რომ არ მიგატოვა. მერწმუნე, მას მართლა უყვარხარ. რა იცი, ამ ამბავს რა მიზეზის გამო გიმალავდა? ის ყველაფერს აგიხსნის. ჩემო კარგო, ბედნიერების უფლება ანანოსაც აქვს. ისე, ვიდრე ამ სიახლეს შეიტყობდი, თავადაც ხომ ბედნიერი იყავი და ახლა, როცა ნამდვილი დედა გეყოლება გვერდით, უფრო ბედნიერი უნდა იყო. ნუთუ, ტელევიზორს არ უყურებ? — დედები შვილებს კლავენ ან ნაგავში ყრიან, შენ კი გაგზარდეს და არც გაგაშვილეს. ასე რომ, ჩემო კარგო, საწუწუნო არაფერი გაქვს. სახლში დაბრუნდი! იცოდე, ამქვეყნად დედის მაგივრობას ვერავინ გაგიწევს!"

ლიმონა:

„ოჰ, თეკლა, თეკლა... შენს ადგილას სახლიდან კი არ გამოვიქცეოდი, არამედ დედიკოს ფეხებს დავუკოცნიდი, იმიტომ, რომ 14 წლის გოგომ სახელის გატეხის შიშის მიუხედავად, კი არ მოგიშორა (როგორც ამას ბევრი აკეთებს), არამედ 9 თვე მუცლით გატარა. გესმის ეს შენ?! მან სიცოცხლე გაჩუქა, გაგზარდა, არაფერი მოგაკლო, შენ კი რა ქენი? — ეს ამბავი გაიგე თუ არა, სასოწარკვეთილი სახლიდან გამოიქეცი. იქნებ, დაფიქრებულიყავი მაინც, თუ რატომ გიმალავდა ამას? წარმოიდგინე, შენ გამო რამდენი რამის გადატანა მოუწევდა? ის მართლაც, გმირი დედაა და უკეთეს მოპყრობას იმსახურებს. ვიცი, ამის ერთბაშად გააზრება ძნელია, მაგრამ ჭკვიანი გოგო ჩანხარ და მჯერა, დედას ამაგს დაუფასებ და როგორც შვილი, დაუბრუნდები".

მწარე:

„ცოტა არ იყოს, შენს „ესემესში" ეჭვი შემეპარა, მაგრამ თუ ყველაფერი სიმართლეა, მაშინ დახმარება ნამდვილად გჭირდება... გირჩევ, სახლში დაბრუნდე და დედას ყველაფერი აპატიო. მიუტევე და მოგეტევება! ღმერთი იყოს თქვენკენ".

შოკოლადა:

„თავიდან ალბათ, შენს ადგილას ყველას ასეთი რეაქცია ექნებოდა, მაგრამ დროა, კარგად დაფიქრდე. დედაშენი შეცდა, მაგრამ ის ბავშვი იყო და ისე მოიქცა, როგორც მის მშობლებს სურდათ. რა იცი, იქნებ, სიმართლის გამჟღავნება ძალიან უნდოდა, მაგრამ შენს გაზრდას დამოუკიდებლად რომ ვერ შეძლებდა, ამიტომაც, პირში წყალს იგუბებდა?!. ის ერთხელ უკვე მიატოვეს (შენმა ბიოლოგიურმა მამამ მიატოვა) და შენც თუ ჰკრავ ხელს. ის ხომ შენი დედაა".

მისტერ:

„რაღა დაგიმალო და შენი მესიჯის წაკითხვის შემდეგ უმალვე ბებიაჩემის გაბრწყინებული სახე გამახსენდა, როცა სერიალებს უყურებს. რას იზამ, ცხოვრება დაუკითხავად, ათასგვარ კარგ თუ ცუდ სიურპრიზს გვთავაზობს. შენი მხრიდან ყველაზე მართებული საქციელი სახლში დაბუნება, სიტუაციის სწორად შეფასება და ოჯახის წევრებისთვის ყველაფრის პატიებაა. ხომ იცი, ლენინმა გონებაშეზღუდულებს მოუწოდა: სწავლა, სწავლა და სწავლა! ხოლო ჭკვიანებს: ოჯახი, ოჯახი და ოჯახი :)). იმედს ვიტოვებ, რომ ჭკვიანი გოგო ხარ".

სვანის ასული:

„მიკვირს, რომ სახლიდან წამოსვლისას წინააღმდეგობა არ

გაგიწიეს. ალბათ იციან, სად ან როგორ ხარ და ელოდებიან იმ დროს, როცა დამშვიდდები... აუცილებლად უნდა დაილაპარაკოთ და მან ყველაფერი უნდა აგიხსნას, მერე კი ერთად გადაწყვეტთ, როგორ უნდა მოიქცეთ. ისე, ამ ბოლო დროს თავი რომელიღაც სერიალის გმირი მგონია“.

ნათი-ნათი:

„მთელი ცხოვრება დაქალთან ხომ არ იქნები? გაარკვიე, რა მიზეზის გამო დაგიმალეს ეს ამბავი და შეეცადე, ოჯახის წევრებს გაუგო. პატიება უნდა შეგეძლოს“.

ჯნოპა:

„როცა შენი წერილი წავიკითხე, მეგონა, ბრაზილიური სერიალის სცენარს ვკითხულობდი... რეალობას თვალი გაუსწორე და ბიოლოგიურ მშობლებს დაელაპარაკე. მართალია, მოგატყუეს და ეს იოლი გადასატანი არაა, მაგრამ აჯობებს, ეს ყველაფერი დაივიწყო“.

დამავიე:

„ალბათ, ასე იმიტომ მოიქცა, რომ ხალხისთვის ყველაფერი დაემალა. საყვარელო, სახლში უნდა დაბრუნდე! ის მაინც შენი დედაა და ადრე თუ გვიან, მისთვის ყველაფრის პატიება მოგიწევს. უფალი გფარავდეს“.

გრუზინკა:

„დედაშენს რომ არ უყვარდე, გაგაშვილებდა. სახლში დაუბრუნდი და შეურიგდი!“

ლუნა:

„მესმის შენი და ვიცი, ახლა ძალიან ცუდად იქნები, მაგრამ მთელი ცხოვრება მეგობართან ხომ არ დარჩები? ჩემო კარგო, პატიება უნდა შეგეძლოს. მჯერა, ძალიან უყვარხარ და შენთვის ცუდი ნამდვილად არ უნდა. დედას გაუგე, დაელაპარაკე და ყველაფერი აპატიე. მერწმუნე, რომ არ ჰყვარებოდი, მის გვერდით კი არა, ღმერთმა იცის, ახლა სად იქნებოდი. უფალი გფარავდეს“.

ირმა 9:

„მიეცი საშუალება, სათქმელი ბოლომდე თქვას, დაე, ბოლომდე გატკინოს გული, მერე კი სავალი გზაც გამოჩნდება. ანანოს ღმერთმა მიუტევოს, ამდენი ხანი სიცრუეში რომ ცხოვრობდა. უფალი შეგეწიოთ“.

სევდიანი ძალი:

„ჩემო კარგო, გირჩევ, სახლში დაბრუნდე და ანანო დედად აღიარო. ის, რაც თავის დროზე გააკეთა, ადრე ოჯახის სირცხვილად და თავის მოჭრად მიიჩნეოდა (ახლა კი ყველაფერი შედარებით მარტივადაა) და ალბათ, ამიტომაც მალავდა ყველაფერს. ანანო მაშინ ბავშვი იყო და შეცდა. გირჩევ, შინ დაბრუნდე და ნამდვილი დედა გულში ჩაიკრა. იცოდე, არავინ არაფრისგან არაა დაზღვეული“.

საგუ:

„შენი მესმის, მაგრამ დედაშენიც მეცოდება. მის მდგომარეობაში უნდა შეხვიდე. მან შეცდომა დაუშვა და დარწმუნებული ვარ, ამას ნანობს კიდეც. სახლში დაბრუნდი!..“

პანკუშკა:

„14 წლის ბავშვისთვის შვილის აღზრდა მეტად რთული იქნებოდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მან ამქვეყნად მოგავლინა. იქონიე პატიების უნარი და როცა გულახდილად დაელაპარაკები, მიხვდები, რომ ანანო შენზე მეტად იტანჯება. მერწმუნე, სიმართლის თქმა გაუჭირდებოდა, შეეშინდებოდა, რომ ზურგს შეაქცევდი და სამწუხაროდ, მისი შიში გამართლდა კიდეც. სახლში დაბრუნდი და ოჯახის წევრებს ჩაეხუტე, ისინი ხომ სულმოუთქმელად გელიან“.

პანკუშკა:

„ვაუკაცი ადამიანი მოვიდოდა და სიმართლის გაგებას პირადად შენგან შეეცდებოდა, ჭორებს არ დაუჯერებდა. დამიჯერე, სადაც გულწრფელი სიყვარულია, იქ ჭორი უძლური ხდება. ადამიანმა შენში ეჭვი ერთხელ მაინც თუ შეიტანა, ცუდადაა საქმე. სიყვარული ნდობაზე, ურთიერთგაგებაზე, ერთგულებაზე უნდა იყოს დაფუძნებული“.

მარუსა:

„იცი, რას გეტყვი, გოგონი? თუ საკუთარ თავთან მართალი ხარ და ბოროტი ენები უსაფუძვლოდ ტლიკინებენ, ალბათ, ადამიანებს თქვენი სიყვარულის შურთ. არსებობს მეორე ვარიანტიც: იქნებ, შენი შეყვარებული დასაშორებლად მიზეზს ეძებდა? მაპატიე და შემინდე, როგორც დას და მეგობარს, მაგრამ ვიცი, რომ ბიჭებს ასეთი რამ ახასიათებთ (ნუ, ყველას არ ვგულისხმობ, რა თქმა უნდა). ჰოდა, იმას გეუბნებოდი, რომ იქნებ, შეეშვა, ჰა? თუ მას არ უნდიხარ და უმიზეზოდ გეშარება, მის გამო თავი რატომღა უნდა შეიწუხო?.. ამას რომ წაიკითხავ, ალბათ, იფიქრებ, — რა ვქნა, გულს ვერ ვუბრძანებო, მაგრამ დამიჯერე, თუ სურვილი გექნება, გულსაც უბრძანებ და სხვა რაღაცებსაც :)). აბა, შენ იცი!“

ლი ჰარვი ოსვალდი:

„მართლაც და, რატომ უნდა დაკარგო პირველი სიყვარული დაკომპლექსებული, ბოროტი ხალხის გამო? მათ ხომ სხვისი უბედურება ახარებთ. საკუთარ თავში ძალა ორივემ უნდა იპოვოთ და შერიგდეთ. წარმატებებს გისურვებთ!“

ირმა 9:

„გაარკვიე, რაში გადანაშაუ-

„ამბობს, ჩემთვის ორივე ერთი ხართო, არადა...“

უცნობი:

„გამარჯობა, მინდა, რჩევისთვის მოგმართოთ. მე და ჩემს ნაცნობს გვყავს საერთო მეგობარი. კარგი გოგოა, მაგრამ როცა არჩევანზე მიდგება საქმე, ის ყოველთვის მას ირჩევს, არადა ამბობს, — ჩემთვის ორივე ერთი ხართო (*მართალია, უცნობის მესიჯი ბუნდოვანია, მაგრამ იმედია, მისთვისაც შეძლებთ რჩევის მიცემას. — ავტ.*) როგორ მოვიქცე?“

„ვითომ და, ვმეგობრობდით, არადა, ერთმანეთი მოგვწონდა...“

შეყვარებული გოგო:

„ჰაი, ბავშვებო. მყავს შეყვარებული. თავიდან, 4 წლის განმავლობაში, ვითომ და, ვმეგობრობდით, არადა, ერთმანეთი მოგვწონდა. მან სიყვარული 1 წლის წინ ამიხსნა. ნუ, თავიდან, როგორც ხდება, ერთი-ორჯერ შევხვდით, მერე ვმესიჯობდით... მაგრამ ბოლო ორი კვირაა, არაფერი მოუწერია. რატომ? 15 წლის ვარ და ასეთი რამ ჩემ თავს არასდროს მომხდარა. რას ვგულისხმობ? — ჯერ არავის მოვბეზრებივარ. წინასწარ გიხდით მადლობას:))“.

P.S. მაშ ასე, თუ უცნობისა და შეყვარებული გოგოს წერილების წაკითხვის შემდეგ, რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

„თუ თქვენ შორის წრფელი სიყვარულია, ჭორაობა ვერაფერს დაგაკლებთ"

„გზის" №30-ში დაიბეჭდა 17 წლის დატანჯულის მესიჯი. ის გვწერდა, რომ შეყვარებულმა ბოროტ ენების გამო მიატოვა და ამიტომაც, ძალიან წუხს. არ უნდა, პირველი სიყვარული ჭორიკანებმა დააკარგვინონ.

„მგონია, რომ მობეზრდი და ახლა დასაშორებლად მიზეზს ეძებს"

ლებს და თუკი რაიმეში ცდები, ეცადე, გამოასწორო. დაიცავით და შეინარჩუნეთ ლამაზი გრძნობა!"

ლუნა:

„კარგი იქნებოდა, პირველად მას აეხსნა შენთვის სიყვარული, მაგრამ თუ გოგო დგამს ამ ნაბიჯს, არც ეგაა დანაშაული. ჭორიკანა ადამიანებს რა გამოლევს, მათ ლაპარაკის გარდა არაფერი იციან. შეიძლება, შენ შესახებ მართლა გაიგო რაღაც და ამიტომაც გშორდება ან უბრალოდ, ეს ყველაფერი მიზეზი იყო, დასაშორებლად. ცივად რატომ ექცევი? დაელაპარაკე და ყველაფერი გაარკვიე. თუ თქვენ შორის წრფელი და ძლიერი სიყვარულია, ჭორაობა ვერაფერს დაგაკლებთ".

გრუზინკა:

„იცი, რა, 100%-ით დარწმუნებული ვარ, რომ იმ ნაგავს არ უყვარხარ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უმიზეზოდ არ დაგშორდებოდა. ეგ არარაობა უნდა დაივიწყო!"

დამავიი:

„საკუთარ ცხოვრებას თვალი გადაავლე და გაიხსენე, იქნებ მართლა მალავ რაიმეს? ყველაფერს ბოროტ ენებს ნუ დააბრალებ. შენს „ლოვეს" არა მგონია, შენზე მეტად ჭორიკანების სჯეროდეს..."

ნათი-ნათი:

„თუ მას მართლა უყვარხარ, ჭორებს არ უნდა აჰყოლოდა. დაელაპარაკე და ის ადამიანები, ვინც თქვენ შორის ბოროტად ჩადგა, დაშორებით არ გაახაროთ. წარმატებებს გისურვებთ!"

სვანის ასული:

„ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა შეხვდე და პირისპირ დაელაპარაკო. აუცილებლად გაარკვიე, რაში გადანაშაულებს. თუ შენი არ სჯერა, ე.ი. დასაშორებლად საბაბს ეძებდა და შენც, მისი დავიწყება მოგიწევს".

ანოპკა:

„აუ, რა, სხვების ლაპარაკი უნდა „დაიკიდოთ". შენი შეყვარებული თუ ჭორებს უგდებს ყურს და უფრო მეტიც, მზადაა ამის გამო დაგშორდეს, მერწმუნე, მას არ უყვარხარ. მისნაირი ადამიანი ყოველთვის მოძებნის საბაბს, რათა გეჩხუბოს. საერთოდ, ჭორები უნდა „გავატაროთ", რადგანაც ის მეორე დღეს აღარავის ახსოვს. კარგად დაფიქრდი, ღირს კი „ლოვესთან" შერიგება?.."

სესი:

„დაელაპარაკე და თუ მართლა რაღაცის გამო დაგშორდა, ყველაფერს გეტყვის. სიმართლე აუცილებლად უნდა გაირკვეს! რა ვიცი, იქნებ, დასაშორებლად მიზეზს ეძებდა და ეს ყველაფერი გამოიგონა?.."

იკუზკეგი:

„მაპატიე, საყვარელო, მაგრამ არა მგონია, იმ ბიჭს უყვარდე. შენ მიმართ გულგრილი რომ არ ყოფილიყო, ბოროტ ენებს არ აჰყვებოდა, მოვიდოდა და ყველაფერს შენთან გაარკვევდა. ცხოვრება წინ გაქვს და ნამდვილი სიყვარულიც აუცილებლად გეწვევა. სიყვარული ბედნიერების და სიხარულის მომტანი უნდა იყოს, შენ კი, როგორც ვატყობ, იტანჯები. მგონი, აჯობებს, ის ბიჭი საბოლოოდ ამოიგდო გულიდან. დამერწმუნე, უღირსი კაცის სიყვარულს სჯობს, საერთოდ არავინ გიყვარდეს".

მისტერ:

„უნდა დაჯდეთ და ისე დაილაპარაკოთ, როგორც ზრდასრულ ადამიანებს შეეფერებათ. რაც მთავარია, ერთმანეთის აზრს პატივი ეცით და ძალიან მშვიდად, გაწონასწორებულად უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ენატლიკინებს, შურიანებს კი გასაქანი არ უნდა მისცეთ. „გბალელშჩიკობ".

ჩეხი-ბუტილი:

„თუ დამნაშავე არ ხარ, შეყვარებულს ასე ცივად რატომ ექცევი? თუ ისე ძალიან გიყვარს, როგორც ამბობ, პოზიციები უნდა დათმო და ყველაფერი აუხსნა, თორემ შესაძლოა, პირველი სიყვარული მართლა დაკარგო".

ვოკოლადა:

„ადამიანი რაღაცაში გადანაშაულებს და არ დაინტერესდი, რაში? როცა ჩამოვა, მოსთხოვე, ყველაფერი აგიხსნას. იქნებ, ვიღაც ცილს წამებს? თუ შენი არ სჯერა, მასთან ურთიერთობის გაწყვეტა ყველაზე ჭკვიანური საქციელი იქნება, რადგანაც ჩემი აზრით, ნებისმიერი ურთიერთობა, პირველ რიგში, ნდობას უნდა ეფუძნებოდეს. იმედია, ჩემს რჩევას გაითვალისწინებ".

M.G:

„რატომღაც მგონია, რომ მობეზრდი და ახლა დასაშორებლად მიზეზს ეძებს. თუ ასე არაა, უნდა გითხრას, მაინც, რა გაიგო შენ შესახებ? თქვენს დაშორებაში ჭორიკანები კი არა, თავადაა დამნაშავე. P.S. მე ახალი ვარ".

მწარე:

„პირველი შეყვარებული მეც ბოროტი ენების გამო დამშორდი (მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ვუყვარვარ). მან არაფერი მითხრა, ისე წავიდა ჩემი ცხოვრებიდან... ჰოდა, რადგან მან შენში ეჭვი შეიტანა, ე.ი. არ გენდობა, სათანადოდ არ უყვარხარ. გირჩევ, დაშორდე და ამას ნამდვილად არ ინანებ".

და-კე:

„ასაკს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი სიყვარულია, მაგრამ თუ შენზე გული აუცრუვდა, ეს ჭორის ბრალი არაა — უეჭველად, მის ცხოვრებაში სხვა გოგო გამოჩნდა. მასზე ფიქრი როგორმე, თავიდან უნდა ამოიგდო. მერწმუნე, ის შენი ღირსი არაა (ამას საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე გირჩევ)".

ესე მორეული ეხლოზელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №30

მარი ჯაფარიძე

მერაბი: წყალში რომ ვიხრჩობოდე, თუ გადამარჩენოოო? აბა რას ვიზამ, გოგო?

ანა: რა ვიცი, აბა.

მერაბი: გვარი მითხარი შენი.

ანა: .....ძე.

მერაბი: წერეთელზე ცხოვრობ და მამაშენს ავთანდილი ჰქვია?

ანა: არა. რა იყო, საინფორმაციო ბაზიდან ამოყარე მთელი ჩემი გვარი, უკვე? ვერ მომაგნებ...

მერაბი: რა არის ასეთი? შენს სურათს ვნახავდი...

ანა: :)))) ხომ გამოგიგზავნე სურათი? არ სჯერდები?

მერაბი: ჭავჭავაძეზე ცხოვრობ? გივი ჰქვია მამაშენს?

ანა: გივი არა... მარიო ჩიმარო.... ხომ გითხარი, ვერ მომაგნებ მეთქი?

მერაბი: კარგი, ავტომანქანის ნომერი მითხარი.

ანა: მაგარი ტიპი ხარ... რატომ მეძებ? მოვა დრო და მე თვითონ ჩაგიკაკლავ ყველაფერს... თუ სურათი გინდა, კიდევ გამოგიგზავნი, პრობლემა არაა... ისე, ამერიკის მოქალაქე ვარ და აქ ჩემზე ინფორმაცია არ იქნება, ტყუილად ეძებ. ჩემი მანქანის ნომერია — 555.

მერაბი: სერია?

ანა: კარგი, მერაბ...

მერაბი: მაინტერესებს, ფორმა ედიტში როგორი გოგო ხარ. თუ არ მომწერ შენს ნამდვილ მონაცემებს, ე.ი. მატყუებ და მე მატყუარები არ მომწონს.

ანა: არ გატყუებ... თუ გინდა, დაიჯერე, თუ გინდა — არა... სურათს კი გითხარი, კიდევ გამოგიგზავნი-მეთქი... თუ არ მენდობი, ურთიერთობის გაგრძელებასაც არ აქვს აზრი. ტყუილს რა აზრი აქვს, როცა შეგხვდები, სიმართლეს ვერ გაიგებ? მე არ გამოწმებ, მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია, თანაც — თავისუფლად. გენდობი და იმიტომ.... ახლა შენ გადაწყვიტე, რას იზამ...

მერაბი: ჰოდა, სანამ შეგხვდები, მანამ მაინტერესებდა, შენ კიდევ პატარა ბავშვივით მიმალავ რაღაცებს.

ანა: კარგი, წავედი, უნდა დავიძინო.

22 აპრილი, 01:06

მერაბი: რა არის, უძილობა გაქვს თუ ნერვოზი, აქამდე რომ აქ ხარ? თუ ახალ ბედს ეძებ?

ანა: ახალს? ძველი ვინღაა, რო? შენ დაგავიწყდა და მე არ დამვიწყნია, რომ შეგპირდი, როცა მორიგე იქნები, მეც შემოვალ და შეგიმსუბუქებ ღამისთევას-მეთქი.... თან საქმეს ვაკეთებ... ისე, ცნობისთვის, არც ნერვოზი მჭირს და არც უძილობა...

ანა: ეს რა წესი გაქვს? წახვალ და ნახვამდისაც არ ამბობ... მე ჩემს საქმეს მოვრჩი... აქ რომ ყოფილიყავი, დაგელაპარაკებოდი, მაგრამ ტყუილად ვერ ვიჯდები...

მერაბი: აააა, საქმესაც აკეთებ და თან მეც მატყუებ, ხომ? შენ არ გაქვს ნერვოზი, მაგრამ დიდი სურვილი გაქვს, მე გამიჩინოოოო?

ანა: რას გატყუებ, ან ნერვოზი რატომ უნდა გაგიჩნდეს?

მერაბი: აბა, შენი მონაცემი რატომ არ მომეცი, რომ მენახე აქ?

ანა: აუუუ... შენ კიდევ მაგაზე ლაპარაკობ? გინდა, ანეკდოტს მოგიყვები?

მერაბი: არა, არ მინდა. რაც გკითხე, იმაზე გამეცი პასუხი. ხომ იცი, მაინც არ გაგიტარებ.

ანა: აბა, მკითხე... შენ რა ჯიუტი ხააარრ-რრ.....

მერაბი: რა გკითხო? ხომ გკითხე. თუ დაგავიწყდა? იმდენ ადამიანს ესაუბრები, გერევი ხალხში. მე არ მერევი არავისში. დღეს შენც ოპერატიულში ხარ?

ანა: არ მერევი, არა... და არც ველაპარაკები ვინმეს... ნუ, მხოლოდ 1-2 ადამიანს და ეგ არ ითვლება... ჰო, ოპერატიულში ვარ, აბა როგორ? ყოველ მეოთხე დღეს ვმორიგეობ... ოღონდ, მე პოლიციის თანამშრომლებს ვამოწმებ და ერთი კარგად არ იმუშაონ?!.. შენც გეხება, სხვათა შორის...

მერაბი: შენ ჩემი მუშაობის შემფასებლად ჯერ ვერ დაგნიშნავ, სანამ არ გაივლი საკვალიფიკაციო გამოცდებს და ეგ გამოცდა შენ ძალიან კარგად იცი, რაცაა.

ანა: მოდი, მეგობრულად, ერთ რამეზე შევთანხმდეთ. ნებისმიერ კითხვაზე გაგცემ პასუხს, გარდა იმისა — რა არის ჩემი ოფიციალური სამსახური და ინფორმაცია, რომელიც ჩემზე

კარტოთეკის მონაცემებს მოგცემს... რატომ ჟინიანობ ასე?.

მერაბი: უბრალოდ, მაინტერესებს, მეთამაშები თუ მართლა გულახდილად მესაუბრები. თან მაინტერესებს, ის სურათი, რომელიც გამომიგზავნე, შენი იყო თუ არა. ამის შემდეგ გავაგრძელოთ საუბრები. რაც შეეხება შენს პიროვნებას, ჩემს გარდა არავის ეცოდინება, ვინ ხარ. გჯერა ჩემი? მე ხომ ჩემი მონაცემები მოგეცი. სხვათა შორის, შენზე ნაკლები თანამდებობა სულაც არ მაქვს და არც ისეთი წარუმატებელი ვარ, შენ რომ გგონივარ. შენ რაც გაიარე, მე გავლილი მაქვს, კარგა ხანია.

ანა: გასაგებია... არ მენდობი... არცაა საჭირო. ჩემი პასუხია: მე არ გეთამაშები და არც არაფერს გატყუებ. სურათი, რომელიც გამოგიგზავნე, ჩემია და სხვა სურათების გამოგზავნაც შემიძლია... მაღიზიანებს ასეთი უნდობლობა, რადგან შენი მოტყუება არც მიცდია. ამდენი სიმართლე კი არავისთვის მითქვამს... ასე რომ, მე ჩემს აზრზე ვრჩები და ვიძინებ... დილით საიტს გავხსნი და თუ შენი მესიჯი დამხვდება, მივხვდები, რომ ურთიერთობა უნდა გავაგრძელო. თუ არადა...

მერაბი: რა, თუ არა? რას მეჯიუტები? შენ თუ გინდა ურთიერთობა, მაშინ უნდა მითხრა შენი სახელი, გვარი, მამის სახელი და მე შევადარებ იმ სურათს, რომელიც გამომიგზავნე. და თუ მეჩეკისტები, ვერ მომიგებ. ისე, სურვილი მაქვს, შენთან გავაგრძელო ურთიერთობა, თუ ჩემს ულტიმატუმებს შეასრულებ. მანამდე ვაცხადებ უვადო შიმშილობას!

მერაბი: ძილი ნებისა. ისე, არ ველოდი, მეგობრებზე წინ ძილს თუ დააყენებდი. კარგად!

23 აპრილი, 10:44

ანა: შიმშილობის პირველი დღე.... მე ისევ ჩემს აზრზე ვარ და ველოდები შენგან იმის თქმას, რომ ეს თემა დახურულია... პირველი ჯიუტი თხა (ანუ მე) ელის მეორე ჯიუტი თხისგან (ანუ შენგან) კაპიტულაციას... :))))

ჰო და კიდევ ერთი:

— სახელი?!

— გვარი?!

— მამის სახელი?

— ალიბი გაქვთ?

— უნდა შევადარო თქვენი მონაცემები...

ნუ გავიწყდება, რომ მე დამნაშავე და კრიმინალი კი არა, ქალი ვარ, რომელიც შენს მოხიბვლას ცდილობს და თავადაც ცდილობს, შენით მოიხიბლოს...

მერაბი: ჰო, კარგი, ვაღიარებ, რომ მომხიბლე, მაგრამ მაინც ველი შენს მონაცემებს!

24 აპრილი, 09:23

ანა: როგორ მიდის შიმშილობა?

მერაბი: ვა, უკვე აქ ხარ? საქმეები მაგრად მიდის. გუშინ თბილისიდან სტუმრები მყავდა, ვიქეიფეთ. დღეს თანამშრომლის ქორწილში მივდივარ. გამიშვებ?

ანა: ვაა... მოხვედი, ჩემო მკვლელო და ვნებათაღელვავ? ნუ, თუ ღალატის სუნი არ მომივა იმ ქორწილიდან, კი, გაგიშვებ...

მერაბი: გმადლობთ, გმადლობთ. გუშინ ერთი ჩემი ახლობელი მოვნათლეთ. ერთი ქრისტიანი მოევლინა საქართველოს, კიდევ. შენ რას შვრები, კიდევ ჟინიანობ?

ანა: ეგ ხომ ჩემი პროფესიაა, მერაბ, რა დაგემართა? მე ვარ ჟინიანობის დარგში მეცნიერებათა დოქტორი... სადაცაა, პროფესორობასაც მომცემენ...

მერაბი: გასაგებია. შენი პროფესია არ მაინტერესებს. მე რაც მაინტერესებს, შენ იცი ძალიან კარგად. მაგაზე როცა გამცემ პასუხს, მაშინ სხვა მერაბი გავხდები!

ანა: მე სხვა მერაბი არ მინდა... ასეთი ჯიუტი მერაბი მირჩევნია... ბრაზიანი... მოსარჯულებელი... რომ იღრინება და ცოტა ხანში კრუტუნს რომ დაიწყებს.... მურრრრრ.... მურრრრრ.... კატასავით თბილი და ალერსიანი რომ გახდება... ასე მირჩევნია...

მერაბი: აუ, შენ ჩემზე მეტად აფრენ, მგონი. რა ბედი მაქვს?! ყველა ჩემნაირი ჭკუის და აზროვნების რომ მხვდება? ცოტა უკეთესი არ შეიძლება, რომ მარგუნოს ღმერთმა?

ანა: ვერ გავიგე?!.. იმედია, ეს შეურაცხყოფად არ უნდა მივიღო და მხოლოდ ხუმრობა იყო... ასეა?

მერაბი: რა თქმა უნდა, სიხარულოოო. ახლა მივდივარ... ქორწილში წასასვლელად უნდა მოვემზადო და საღამოს შეგეხმიანები. ხომ არ მოიწყენ? ხომ ხედავ, ყველა ნაბიჯს გითანხმებ.

ანა: შევიფერებ და დაგიფასებ მაგას... ცულლუტო.... გკოცნი, ცხვირის წვერზე... ბევრი არ დალიო და არ დამითვრე... :)))

მერაბი: მეც გკოცნი. ახლა მოვირბინე სამსახურში. რაღაც დამრჩა. მე კი გკოცნი ცხვირის ქვემოთ! საღამოს შეგეხმიანები, საყვარელო.

ანა: კარგი, სიხარულო... აბა, ვნახავ, მთვრალი როგორი ხარ.

25 აპრილი. 11:05

მერაბი: დილა მშვიდობისა, საქართველოს მბრძანებელო.

ანა: დილა მშვიდობის, ჩემო ვნებათაღელვავ და უძილო ღამევ...

მერაბი: რატომ, უძილო ღამევ? ხომ არ დაიჭერი, უიარაღოდ?

ანა: კაი, ჰო, ვიხუმრე, ნუ შეგეშინდა... მართლა ვიხუმრე.

მერაბი: რატომ, არ გაქვს ჩემი იმედი? უშენოდ ნაბიჯსაც არ ვდგამ, ყველაფერს გითანხმებ, შენ კი ელემენტალურ რაღაცებსაც არ მეუბნები და არც ითვალისწინებ, ჩემს თხოვნებს. რაც შეეხება იმედს, გქონდეს, ჩემი იმედი.

ანა: კარგი, იმედი მექნება... დღეს დავლევ მაგ იმედის სადღეგრძელოს და შენსასაც...

მერაბი: დღეს რა ხდება, ქეიფობ?

ანა: ჰო, ვაპირებ, თუ არ გადავიფიქრე... მიშვებ, ხომ? :)))

მერაბი: გააჩნია, ვისთან ერთად მიდიხარ და ქეიფის მიზეზი რა არის.

ანა: ოოო... ნამდვილი, ღირსეული პასუხი იყო... ძალიან მომეწონა... მე ხომ უკვე წლებია, არავის არაფერს ვეკითხები... კაცი არაა ჩემი პატრონი და მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, ხუმრობ, რაღაცნაირად, თბილად ჩამეღვარა

გულში... გკოცნი მხურვალედ... ჩემი მეგობრის დაბადების დღეა.

მერაბი: მაშინ, თუ ასეა, გიშვებ, მაგრამ შედეგებს მოვიკითხავ. მე ეჭვი არ მეპარება შენში.

ანა: ჰო... თუ დავლიე, არაა გამორიცხული, რომ დაგირეკო... :))) თუმცა, არა მგონია.

მერაბი: დღეს ქორწილის მეორე დღეა და იქ მივდივართ, 2 საათზე.

ანა: კი, მაგრამ შენ სამსახური არ გაქვს? ჰაااა???

მერაბი: დღეს ვისვენებ.

ანა: როგორც გინდა, ისე ხარ, მოკლედ.... დათვერი გუშინ?

მერაბი: ისე, ლაითად. გათიშვამდე არ ვსვამ. ზომიერებას არაფერი ჯობია. თან, ხომ იცი, როგორი სამსახური მაქვს, რა დროს დავჭირდები, არ ვიცი. იმიტომ არ ვსვამ ბოლომდე.

26 აპრილი, 11:34

ანა: დილა მშვიდობის.

მერაბი: ვა, მოხვედი? „პახმელიაზე" ხომ არ ხარ?

ანა: არااა... არ დამილევია... შენ?

მერაბი: მე ცოტა დავლიე. 6-ზე სახლში ვიყავი. დავიძინე და ამ დილით ყელი მტკივა. დღეს კიდევ ოპერატიულ ჯგუფში ვარ. რა გაათენებს? ახლა ხაჭაპურის საჭმელად მივდივართ. წამოხვალ?

ანა: კი... ჭამა-სმის მეტს არაფერს აკეთებ, მოკლედ. იმედია, დაბრუნდები.

მერაბი: არა, დღეს არ ვსვამთ. ერთი კვირა „სუხოი ზაკონი" გვაქვს. ამ თვეში ბევრი მოგვიწია. შენ მე ლოთი ხომ არ გგონივარ? უბრალოდ, აღდგომა იყო, ქორწილები... სტუმრები მყავდა თბილისიდან და ეგ იყო. ახლა უნდა წავიდე, საქმეზე გავდივარ.

ანა: წადი... დღეს ჩემი ხარ... უნდა ჩამოგიყვანო ამაღამ თბილისში... :)))

მერაბი: დღეს ოღონდ არა... სხვა დროს იყოს. წავედი, ცოტა ხანში მოვალ!

მერაბი: მოვედი, მოვედი. აქ ვარ. შენ რას შვრებოდი ჩემი არყოფნის დროს, აბა, მომახსენე!

ანა: კაცებს ვაბამდი... :))) და შენ გადარებდი, მაგრამ ჯერჯერობით ლიდერობ!

მერაბი: შენ ჭკუით იყავი და სხვა კაცები დაივიწყე. მე ვერ ვქაჩავ, სხვებს რომ ეძებ? მაშინ მეც დავიწყებ სხვა ქალების შებმას. გაგისწორდებაა?

ანა: ჩემზე უკეთესს ვერ იპოვი... და თანაც, ვითომ არავის ელაპარაკები, არა? კაცები დაივიწყეო, რომ მეუბნები, შენც შედიხარ ამ კაცებში? ჰაااა? არაა... შენ ვერ დაგივიწყებ...

მერაბი: მე პირადად არავის ვწერ და თუ მწერენ, პასუხს ვცემ, ხანდახან. გააჩნია, ვინ იქნება. გარეგნულად უშნოები არ მომწონს.

ანა: გენაცვალეეე... მე უშნო არ ვარ... მოგეწონები, აუცილებლად.... გალავოი ოტვეჩაიუ...

მერაბი: რატომ ვერ დამივიწყებ? შეიძლება თაღლითი ვარ. არ ხდება ეგრე? მაშინ ჩემი თხოვნები აასრულე... მიდი, გაბედე აბა, ვნახოთ, რა ვაუკაცი მყავხარ.

ანა: ვაუკაცობაზე თავს არ ვდებ. თაღლითის თვალები არ გაქვს... არ ჰგავხარ, თუ შენი სურათია... მაგრამ ეგ ხომ ხუმრობა იყო... :(((ცივი წყალი გადამასხი?

მერაბი: აუ, პროსტა ახლა გამისწორე და ჩემი თხოვნა შემისრულე და რაც გინდა, ყველაფერს შეგისრულებ, კაცობას გეფიცები. გჯერა? მაგას რატომ მეუბნები? რა ხუმრობა იყო, ვერ გავიგე.

ანა: მერაბ, მაგაზე ხომ შევთანხმდით? თავიდან იწყებ? კარგი, რااა.... როცა მნახავ (თუ გამოვა, რა თქმა უნდა), მაშინ დაწვრილებით გაიგებ ყველაფერს...

მერაბი: მანამდე ხომ უნდა მოვემზადო? ხომ უნდა მქონდეს შენზე რეალური ინფორმაცია? ვის ვესიყვარულები, არ უნდა ვიცოდე? შენ ჩემზე ყველაფერი იცი და დაწყნარებული ხარ, მე კიდევ ვერ გხედავ და აფორიაქებული ვარ. საუბარში კარგი ჩანხარ და არ მინდა, გატეხილში დავრჩე, გაიგე? ამიტომ მინდა შენი დასტური. გთხოვ, رااااا?!

ანა: არ დარჩები... დამიჯერე... ინტუიციას მიენდე... კაცი ხარ და წესით, ქალის ნათქვამით უნდა ხვდებოდე, გატყუებს თუ არა... პროფესიაც ისეთი გაქვს, რომ წესით არ უნდა მოტყუვდე... არც მოსატყუებელი მაქვს რამე.... ხელი რომ არ მიგიწვდებოდეს მაგ ინფორმაციაზე, მაშინ რას იზამდი? მწყინს, რომ არ მენდობი და ჯიუტობ... რატომ არ უნდა მენდო?

მერაბი: გენდობი, მაგრამ ჩემი თვალებით მინდა, დავრწმუნდე. ასეთი პროფესია რომ მაქვს, ასეთი იმიტომ ვარ, თორემ ამდენს კი არ გესაუბრებოდი, დაგიჯერებდი და „ვსიო". შენ ასეთი კაცები მოგწონს? შენ ისე მესაუბრები, თითქოს ასეთ სიტუაციაში ბევრჯერ ყოფილხარ და პროფესიონალი ხარ. მე კი ერთი სული მაქვს, როდის გნახავ. შენთვის ალბათ სულერთიااა?

ანა: არა, ასეთი კაცები არ მომწონს.... მე ისეთი კაცები მომწონს, ხანდახან მაგიდაზე ხელის დაბრახუნებაც რომ შეუძლიათ... მერე რა, რომ ქალი ვარ? (ახლა, შემოლაწუნებას არ ვგულისხმობ), საკუთარი თავის ფასი რომ იცის და ღირსებას რომ არ კარგავს.... დღისით ქალის მბრძანებელი რომაა და ღამით — მისი მონა-მორჩილი... აი, ასეთი კაცები მომწონს... მაგრამ მე უნდა გამიჩნდეს მის წინაშე მორჩილების სურვილი... თუ ასე არ მოხდა, სასაცილოდაც არ მეყოფა, მისი მუშტების ბრახუნი და ლაყბობა... ასეთ სიტუაციაში არ ვყოფილვარ... ასე არ დავინტერესებულვარ. შენ მომწონხარ, გულწრფელად გეუბნები, იმიტომ, რომ იმ თვისებების უმეტესობას ვხედავ, რაც მომწონს...

მერაბი: ჯერ ერთი, შენი ტელეფონის ნომერი მითხარი... მეორე: ჩემგან გულნატკენი არავინ დარჩენილა, ჯერჯერობით.

ანა: „მეორე" ვერ გავიგე. ვერ მივხვდი, რა მითხარი.

მერაბი: „მეორე" საწოლია. ახლა გაიგე თუ ჩამოგივარდე მანდ და მთელი სისასტიკით დაგსაჯო, შენი რომ გაგაქვს?

ანა: ნომერს გეტყვი, მაგრამ მაგით ვერაფერს გაიგებ... მკითხე რა გინდა და გეტყვი... ნომერი სხვა სამსახურზეა გაფორმებული...

მერაბი: ისე, დარეკვა რომ დამჭირდეს, მაგ ნომერზე იქნები? რომ მომინდეს საუბარი შენთან, ეგ მობილური შენ გექნება?

ანა: კი, მე მექნება, აბა ვის?

მერაბი: რატომ მეუბნებოდი, შეიძლება ამ საღამოს თბილისში ჩამოგიყვანოო? კი, მაგრამ ამას როგორ აპირებ, მე არ მეკითხები?

ანა: კი, გეკითხები... შენი სურვილით წამოხვალ... დაიწვები ჩემი ცეცხლით და გამოქუსლავ...

მერაბი: რატომ ხარ ასეთი დაჯერებული? შეიძლება შენ ჩამომასწრო, ა?

ანა: არც ეგაა გამორიცხული... აკი გითხარი, ჩემი მერანით მოვადგები ქუთაისის მისადგომებს-მეთქი... და დაჯერებული სულაც არ ვარ... ისე გითხარი... ალბათ ქვეშეცნეული სურვილი იყო... დარწმუნებული ვარ, რომ ვერ და არც ჩამოხვალ... და ვერც მე მოვახერხებ შეხვედრას ახლა... და არცაა საჭირო, ჯერ... თუმცა, იმაში კი ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ცეცხლით დაგწვავ და დაგნაცრავ... :)))

მერაბი: მე მხოლოდ ერთი რამ მაკავებს და ეს შენ ძალიან კარგად იცი. შენ რომ ჩემი თხოვნა შეგესრულებინა, შენგან განსხვავებით მე მართლა მოვახტებოდი ჩემს „შავ ცხენს“ და ჩამოგიფრინდებოდი.

ანა: არა, ასეთი მსხვერპლის გაღება არაა საჭირო, ამ ეტაპზე. მაგის დროც მოვა... არ ვიცი, რატომ ხდება ასე, მაგრამ ცოტა მეშინია შენი... იარაღიანი კაცის არ შემშინებია და შენი მეშინია... რომ გელაპარაკები, ვღელავ... განვიცდი.... ისიც ვიცი, ამას ასე გახსნილად რომ არ უნდა გეუბნებოდე... სიყვარულს არ გიხსნი... ჯადო გამიკეთე? ვიცი, შენ ფიქრობ, იქნებ არ ღირდეს ჩემ გამო ამხელა გზის გამოვლა... არა უშავს... :)))) ჯობია, ასე იფიქრო...

მერაბი: აბა, რა გეგონა? ჯერ სად ხარ? სანამ არ გავიგებ, არ გიხილავ და არ ჩაგეხუტები, ასე იქნები... იჩქარე, გაიხსენი, საყვარელო!

ანა: ჩვენს ძველ მესიჯებს ხშირად ვავლებ თვალს და ვერ ვხვდები, სად ან როდის დავინახე შენში ისეთი ადამიანი, რომელმაც მიძინებული გრძნობები გააღვიძა... და შიში დამიტოვა...

მერაბი: გაგაღვიძე?

ანა: კი... კი არ გამაღვიძე, ამაფეთქე...

მერაბი: აგაფეთქე და ალყა დაგარტყიიი. ისე, არ გინდა, ახლა აქ იყო? წაგიყვანდი სადმე... მაგალითად, სარფში. ზღვისპირას მარტონი ვიქნებოდით... მარტო ზღვის ხმა ისმის... ჩვენ კი ერთმანეთთან ჩახუტებული...

ანა: ცოცხალი არ გადარჩები, შე საწყალო...

მერაბი: შენ აქედან რა აგიხსნა? ხომ იცი, შედეგებს ყოველ კვარტალში ითვლიან. დარწმუნებული ვარ, ჩემს გარდა არავის ეკონტაქტები და რო გავიგო, ასე არაა, სამუდამოდ გეტყვი, კარგად იყავი-მეთქი. გასაგებია? ახლა ნუ მგრუზავ, მხიარულ და სასიამოვნო თემებზე გადავიდეთ. ჩვენზე ვისაუბროთ, სიხარულოოო... ისე, ჩამოსვლა უნდა გაბედო, ჩემი აზრით.

ანა: ვნახოთ... საქმე მაქეთ მიდის, როგორც ვატყობ... თუმცა, წინასწარ რამის დაგეგმვა არ მიყვარს, მერე არ გამოდის... სპონტანურად ჯობია... მე თანახმა ვარ, ახლაც შენს მკლავზე მედოს თავი...

მერაბი: ჰო, როგორც შენ გაგიხარდება. მეც არ მიყვარს, ქალი ყველა დეტალზე რო მომდევს. თუ ღმერთის ნებაა, მოხდება ის, რაც უნდა მოხდეს. „პახოდუ“ შევხედავთ... ჯერ არ შევხვედრივართ და ფანტაზიებში წავედით.

ანა: არაფერზე გამოგეკიდები, ნუ შიშობ... არც ახლა და თუ შევხვდით, არც იმის მერე...

მერაბი: მარტო მე გაინტერესებ და „ვსიოო“?

ანა: ახლა ასეა... კი... და ასე იქნება, თუ შენ არ გააცივებ სიტუაციას... თუ ვიგრძენი, რომ ზედმეტი ვარ სადმე, იქიდან მივდივარ... ახლა ვგრძნობ, რომ გაინტერესებ და ეგეც მოქმედებს... როცა იცი, კაცს უნდიხარ, შენზე ფიქრობს (დღედაღამ ფიქრს არ ვგულისხმობ), ეს ბევრს ნიშნავს, როცა ის კაცი შენც მოგწონს... ბუნებრივია, შენ მაინტერესებ...

მერაბი: ახლა ნუ მათამამებ, ცოტა მომტისკე. ახლა ხომ გაირკვა ყველაფერი, ახლა მაინც მითხარი, ჩემს თავს გაფიცებ!

ანა: არ გათამამებ... გატისკვას კი არ მოგაკლებ, ნუ გეშინია... არც ასე იოლი ხელში ჩასაგდები ვარ... შეიძლება ერთი პატარა შეცდომა შენი მხრიდან და მორჩება ჩემი ინტერესი... მაგალითად, ერთმა მითხრა, რომ თურმე ცოლი ისე უყვარს, ჭკუა ეკეტება... რა თქმა უნდა, ცოლი უნდა უყვარდეს და ასეც უნდა იყოს, მაგრამ ეს მე არ უნდა მითხრას... მე ის უნდა მითხრას, მე ვუყვარვარ თუ არა... ოჯახი რატომ უნდა ახსენოს ჩემთან? ცოლზე ცუდს რომ იტყვის, იმ კაცსაც მაგრად დავცინებ და ახლოსაც არ გავიკარებ... ეს ისე გითხარი, მაგალითად... შენზე არ მიიღო.

მერაბი: შენ ჩემსავით ფიქრობ. გაოცებული ვარ, ასეთი რომ ხარ. ისე, მაგის თქმა ჩემთან არ დაგჭირდება. ჩემი თავი დაგაფიცე და შენ პასუხი არ გამეცი, იმაზე რაც გკითხე.

ანა: მაგაზე უკვე შევთანხმდით... ხომ ასეა? გინდა, ჩემი ფოტოები გადმოგიგზავნო მაილზე?

მერაბი: არა, სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების წელი და „ვსიო“, შენს თავს ვფიცავ, მეტი რაიმე თუ მოგთხოვო და შემდეგ რაღაცას გეტყვი.

მერაბი: რომ გადიხარ, არ უნდა მითხრა? რა საქციელია? რატომ მანერვიულებ?!



გაგრძელება
შემდეგ ნომერში

ფოტო, რომელმაც ნელნელა ღელვერგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:

8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ეი ასეთია:

„რომ შენ ვერ მიხვალ ზღვასთან, ზღვა მოხვალ შენთან“

დასაწყისი — „გზა“, №38-30

მარი ჯაფარიძე

მოწმე ქალი იყო, რომელიც მე აღმწერდა და ამბობდა, რომ ნიცა ბოლოს იმ დღეს ნახა, როცა დაიკარგა და თანაც — ჩემნაირი მამაკაცის გვერდით. თურმე იმ კაცს მანქანით მიუკითხია და შემდეგ ეზოდან ერთად გასულან.

თვალებში დამიბნელდა. ნათლად წარმოვიდგინე მამამისის გულში გაჩენილი ეჭვი და სისხლი სახეზე მომაწვა.

— ეს რას ნიშნავს? — ვკითხე ვალერის და ფურცლები ლამის ცხვირწინ ავუფრიალე.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ის ქალი შენზე ლაპარაკობს, — მის გამოხედვაში ეჭვი არ შემინიშნავს.

— თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით? — თვალი თამამად გავუსწორე.

— მე რომ ეჭვი შენზე მქონდეს, ამას არ წაგაკითხებდი, — ხელი ფურცლებისკენ გამოიშვირა, — მაგრამ ალბათ ამოცნობის პროცედურის ჩატარება მაინც დაგვჭირდება.

— მე მზად ვარ, — ვუთხარი მხნედ, მაგრამ გული მომეწურა.

კი, ბატონო, მე კი ვიცი, რომ არაფერი დამიშავებია, მაგრამ იმ ქალმა მე რომ დამადოს ხელი და თქვას, ბოლოს ჩემთან ერთად ნახა ნიცა, მერე რა უნდა ვქნა? უეჭველია, რომ დამაკავებენ, დამკითხავენ...

ეს კი არანაირად არ ჯდებოდა ჩემს გეგმებში.

ნიცა უნდა მომეძებნა და ამაში ხელს ვერავინ შემიშლიდა.

— ახლა წადი და ალბათ ხვალ დაგიბარებ, — დამნაშავესავით თავჩაქინდრულმა მითხრა.

— თქვენ გჯერათ, ჩემი?

რაღაცნაირად შემომხედა. მის მზერაში ვერაფერი ამოვიკითხე ისეთი, რაც იმედს მომცემდა ან გადამიწურავდა. არაფრისმთქმელი მზერა ჰქონდა.

— კი, მჯერა, — დააქნია თავი ბოლოს.

— ამისთვის ფიქრი დაგჭირდათ? ნიცა მიყვარს, — რაღაცნაირად, გავცხარდი.

— წადი, ახლა შენც დაღლილი ხარ და მეც, ხვალ ვილაპარაკოთ.

იქიდან წამოსულს დანა პირს არ მიხსნიდა. პირდაპირ ნიცას კორპუსისკენ ავიღე გეზი.

იმ მოწმის სახელი, გვარი და მისამართი, რომელიც დაკითხვის ოქმის თავფურცელზე ეწერა, კარგად დავიმახსოვრე. ამ ქალს შინ მივადექი და კარზე გაბედულად დავაკაკუნე.

კარი რომ გააღო და დამინახა, ისევ მოხურვა დააპირა, მაგრამ ამის საშუალება არ მივეცი. რომ არ შეშინებოდა, გავუღიმე.

— რამდენიმე შეკითხვა მაქვს, ქალბატონო, მიპასუხეთ ამ შეკითხვებზე და წავალ, დიდხანს არ შეგაწუხებთ, — მშვიდად და თბილად ვუთხარი.

— მობრძანდით, — მის სახეზე შიში გაოცებამ შეცვალა.

ოთახში შემიძღვა.

— მითხარით, როდესაც ჩვენებას აძლევდით, იქ ახალგაზრდა მამაკაცი აღწერეთ, რომელთან ერთადაც ნიცა ნახეთ იმ დღეს, როცა ის დაიკარგა. ასე იყო?

— დიახ.

— ის მამაკაცი წინათ თუ გინახავთ, ოდესმე? — გამომცდელად შევხედე.

— არა, — უარის ნიშნად თავი გააქნია.

— რა ფერის იყო მანქანა, რომელშიც ის მამაკაცი და ნიცა ჩასხდნენ?

— წითელი.

— ნომერიც ხომ არ გახსოვთ?

— არა, ნომერი არ დამიმახსოვრებია.

— თქვენი აღწერილობის მიხედვით ის მამაკაცი მე მგავს...

— მე ვთქვი, რომ ის მამაკაცი იყო მაღალი, ძალიან სიმპათიური, კავკასიური გარეგნობის, მოხდენილი, შავი თმით და ყავისფერი თვალებით. ასეთი კი უამრავი შეიძლება იყოს.

— ასე ახლოდან ნახეთ, რომ თვალების ფე-

რიც კი დაინახეთ?

— დიახ, ახლოდან ვნახე, ნიცას გამოველაპარაკე კიდეც. ის მამაკაცი ისეთი სიმპათიური იყო, რომ უმალ მიიქცია ყურადღება, — კეკლუცად გაიღიმა, როცა ამას ამბობდა.

— კარგი, დიდი მადლობა, — დავემშვიდობე და წამოვედი.

მართალია, ეს ქალი აშკარად არ მადებდა ხელს, მაგრამ ხვალ რას იზამდა? თანაც, საკმაოდ საყურადღებო მინიშნებები გააკეთა.

ვინ უნდა ყოფილიყო ის კაცი? ქართველია, ვინმე?

ტვინი ამიდუღდა ამაზე ფიქრით. თუმცა, კონკრეტულად ვერაფერზე ვფიქრობდი. თავში ათასი აზრი მიტრიალებდა და ვერ გამეგო, ფიქრის რომელ ძაფს გავყოლოდი...

მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. დედაჩემი თავზე მედგა და ისიც მთელი ღამე ოხრავდა.

მართალია, ეს ქალი აშკარად არ მადებდა ხელს, მაგრამ ხვალ რას იზამდა?

როგორც იქნა, გათენდა და მაშინვე ვალერისკენ გავეშურე. ერთმანეთს მისი სამსახურის კართან შევხვდით.

— ასე დილიაადრიან არ გელოდი, — მითხრა და წინ გამატარა.

— ახალი არის რამე? — სიტყვა ბანზე ავუგდე.

— არა, არაფერი, გარდა იმისა, რომ კიდევ ერთი მოწმე გამოჩნდა.

— ვინ?

— მისი მეგობარი გოგო.

— კი, მაგრამ თქვენ ხომ ყველასთან დარეკეთ და არავინ არაფერი იცოდა.

— ჰო, მაგრამ მაშინ ჰგონებია, რომ გამოჩნდებოდა ნიცა და რომ აღარ გამოჩნდა, გადაწყვიტა, რაც იცოდა, ეთქვა.

ამასობაში მის კაბინეტთან მივედით. მისაღებში უამრავი ხალხი ელოდა.

— რიგრიგობით შემოუშვი, — უთხრა მდივანს და თავით მანიშნა, რომ ოთახში შევყოლოდი.

ძლივს გაისტუმრა ხალხი და როგორც იქნა, როცა ნერვები უკვე დაწყვეტაზე მქონდა, მდივანმა შემოაღო კარი და თქვა, რომ აღარავინ დარჩა მისაღებში.

— ახლა ჩვენს საქმეს მივუბრუნდეთ. სად გავჩერდით? — მომმართა, როდესაც მდივანმა კარი გაიხურა.

— სად და ნიცას მეგობრის ნაამბობზე.

— ჰო, იმ გოგონამ თქვა, ნიცას ბოლო 1 თვის განმავლობაში ვიღაც ქართველი მამაკაცი ურეკავდა და ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ კიდეცო.

ბრაზმა, ეჭვმა და შიშმა ერთად დამრია ხელი.

— მერე? — კბილებში გამოვცერი.

— იმ დღესაც მას უნდა შეხვედროდა, პაემანი ჰქონდა დანიშნულიო, — თქვა. შენ ნიცას რომელიმე მეგობარს იცნობდი?

— არა, არც ერთს.

— ნატალია კი იმ კაცს იცნობდა. ახლა გოგონა აქ მოვა და ერთად შევხვდებით.

— კარგი, — თავი დავუქნიე.

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თავი სამარეში მეგონა. დრო ნელა გადიოდა და ჩემს ნერვებს მოთმინებას უზომავდა.

ასე გავიდა 2 საათი. ხმა არც ერთს არ ამოგვიღია, ვიდრე მდივანმა არ მოახსენა, რომ ახალგაზრდა გოგონა კითხულობდა ვალერის.

— შემოვიდეს, — ბრძანა.

კარში მაღალი, ქერა, ლამაზი გოგონა გამოჩნდა, რომელიც მოკრძალებით შემოვიდა და იქვე, კართან აიტუზა.

შევნიშნე, როგორ გამომცდელად შეხედა ვალერიმ ჯერ მას, მერე — მე.

„ე.ი. მაინც აქვს ჩემზე ეჭვი“, — გავიფიქრე და თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი.

— გაიცანი, ეს ნიცას მეგობარია, ნატალია, — მომმართა და წამოდგა.

გოგონას ხელი ჩამოვართვი.

— ეს ახალგაზრდა ყმაწვილიც ნიცას ახლობელია, — ახლა ჩემი თავი წარუდგინა მას.

გოგონამ გაიღიმა.

— იცნობ ამ კაცს? — მორიგი შეკითხვა დასვა ვალერიმ.

— არა, — თავი გააქნია ნატალიამ.

— ანუ ეს არ არის ის მამაკაცი, ვისაც ნიცა ბოლო 1 თვის განმავლობაში ხვდებოდა და ვისაც შენ იცნობდი?

— არა, ამ კაცს პირველად ვხედავ.

— კარგი, გასაგებია. დანარჩენს გამომძიებელი შეგეკითხება, — დაფიქრებით თქვა ვალერიმ.

— კი, მაგრამ ნუთუ მაინც ფიქრობთ, რომ შეიძლება, მე ვიყო ნიცას გაქრობაში დამნაშავე? — აღშფოთება ჩემი ხმის ტემბრსა და ტონსაც დაეტყო.

— ახლა მეორე მოწმე მოვა, უფრო სწორად, პირველი, — თითქოს ჩემი შეკითხვა არც გაუგონიაო, ისე განაგრძო დაწყებული საუბარი.

— თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ, — მტკიცედ ვთქვი.

— ეს ჩვეულებრივი პროცედურაა, რომელიც თქვენს ღირსებას ჩრდილს არ აყენებს. თქვენ ხომ იცით, რომ არაფერში არ ხართ დამნაშავე. მეც მინდა, ამაში დავრწმუნდე.

— თქვენ ამ სიტყვების შეგრცხვებათ, — მუქარა გავურიე ხმაში.

— მეც ეგ მინდა. მოხარული ვიქნები, თუ ასე იქნება. ხომ ხედავ, რომ ამოცნობის პროცედურას ოფიციალურად არ ვატარებ...

ცუდად მენიშნა მისი სიტყვები. თუმცა, აღარ გამოვეკიდე და დაველოდე, როდის მოვიდოდა მეორე მოწმე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

30.07.- 5.08.2009

მგზავნილები

მარი ჯაფარიძე

ახლობლისთვის მოწყობილი ოინი



გამარჯობა, ჩემო, უფრო სწორად, ჩემთვის ტკბილო და ისე კი ენამწარე მგზავნელებო (აქ ღიმილის გამომხატველი სმაილიკი მოუხდებოდა). როგორ ბრძანდებით (უფრო სწორად — ბრაზდებით)? მიუხედავად იმისა, რომ ამ კვირაში „მობილიზაციაში" აგრესიული მესიჯები ჭარბობდა, მაინც უნდა შეგაქოთ, რადგან უამრავი, მართლაც საინტერესო მესიჯი მივიღე, თემასთან დაკავშირებით. მათი რაოდენობა კი იმდენად დიდი იყო, რომ ყველა ვერ დავტიე, რაზეც გული მწყდება. თუმცა, ამაზე არ ინაღვლოთ. ვინაიდან თქვენ გამო „გულისტკივილები" დამჩემდა და თანაც, უკვე 7 წელია, „გზავნილების" გადამკიდე, დასასვენებლად ვერ წავსულვარ, გადავწყვიტე, ამ ზაფხულს დავისვენო (გაიხარეთ, ბათუმელო მგზავნელებო, თქვენი ქალაქის სტუმარი ვიქნები). ჰოდა, დასვენება რა დასვენება იქნება, თუ ისევ კომპიუტერს მივუჯექი და „გზავნილები" ვწერე? ამიტომ, თქვენს მესიჯებს შევინახავ და სწორედ მაშინ შემოგთავაზებთ, როცა კანონიერ, კუთვნილ, ნანატრ და ნაოცნებარ შვებულებაში ვიქნები... იმედია, ამის გამო არ გამიწყრებით... ახლა კი თქვენი მესიჯები.

ეროვნული-ქალური სემინარი და ფსევდოტიტე ანუ „აღარ, მეუბე, შენ"...

ცალი ტუფლი

„მარ, „კომპი“ არ მაქვს, „ტელით“ მეზარება წერა, მაგრამ ახლა ისეთი ამბავი გამახსენე, არ შემიძლია, არ მოგწერო. სულ მე ვაფუჭებ რაღაცას, მაგრამ ახლა რატომღაც ის გამახსენდა, რაც ძმაკაცმა მომიწყო: ახალი ტუფლი მეცვა და მაგრად მიჭერდა. ამიტომ გავიხადე და ალგებრის გაკვეთილზე ფეხებს ვასვენებდი. „მასწმა“ გამიძახა, რომელიც რატომღაც ვერ მიტანდა (რატომღაც რა, სისხლს ვუშრობდი). ავდექი, მაგრამ ფაფუ... სადღაა ჩემი ცალი ტუფლი? ვიდექი ყანჩასავით და ვისმენდი, როგორ კიოდა მასწავლებელი მთელი ხმით, ახლავე დაფასთან გამოდიო და იხოცებოდა მთელი კლასი სიცილით. მერე მსტყორცნა ჩემხელა ორიანი და ასკინკილით რომ მივირბინე დაფასთან, კი შეაწუხასავით ნამუსმა, მგონი. ვაი, რაც იმ ტუფლის ქუსლი თავში მოხვდა ჩემს ძმაკაცს?! რა დაავიწყებს ან იმას და ან მე? აუ, მარ, გენათალე, რა კარგი პერიოდი გამახსენე, იცი? სკოლა მენატრება. მარ, გმადლობ, რომ არსებობ. შოკოლადა“.

ტრუსის ამარა

„ერთ მშვენიერ დღეს მამაჩემი ნასვამი მისულა ჩვენს ნათესავებთან. ამ ნათესავის გოგონებს, ნანას, ნინოს და მათ მეზობელ მეგის უთხოვიათ, ტყეში წავიდეთო, რომელიც ზედ სახლის უკანაა გადაჭიმული. მამაჩემიც, რა თქმა უნდა, დათანხმდა და წავიდნენ ტყეში. სიღრმეში რომ შევიდნენ, მეგის უთქვამს, ახლა ტანსაცმელს თუ გაიხდი და ტრუსის ამარა გაირბენ, სუფრას ვიკისრებთო. ამ ნასვამ კაცს მეტი რა უნდოდა? სასწრაფო წესით გაიხადა ტანისამოსი და მოჰყვა აქეთ-იქით სირბილს. გოგონებმა კი დასტაცეს მის ტანსაცმელს ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, სახლისკენ მოკურცხლეეეს... ტრუსის ამარა დარჩენილი მამაჩემი კი უკან მოსდევს გამწარებული... ნუ, ახლა იმის აღწერას აღარ დავიწყებ, სახლთან მოსულებს მეზობლები რა სახეებით უყურებდნენ, ნახევრად ტიტველ კაცს. ლამის ვარდენასავით გიჟად მიიჩნიეს... სად გადარჩი, მამიიი?!.. Sweet-Girl“.

ვითომ გათხოვილი

„გამარჯობა, მარი, პირველად გწერთ და იმედია, არ მაწყენინებთ... „გზას“ რაც შეეხება, ძალიან დიდი ხანია, ვკითხულობ. ახლა, რაც შეეხება თემას: მე და ჩემი დაქალები ოინების მოწყობის დიდოსტატები ვართ. თან ხშირად ერთმანეთს ვუჩალიჩებთ. მე და ჩემი ორი მეგობარი, თათი და თაკო მათემატიკაზე ერთად დავდივართ. ერთხელ გვიან მოგვიწია გაკვეთილიდან გამოსვლამ. თათი მალე დაგვშორდა მე და თაკოს და სახლში წავიდა. ჩვენც გადავწყვიტეთ, რაღაც გვემაიმუნა. რამდენიმე საათის შემდეგ თაკომ დაურეკა და უთხრა, თითქოს სახლში არ მივსულვარ და ყველა მეძებდა. თან დაამატა, რომ ერთი ჩემი „პაკლო“, რომელიც სამოგზაუროდ იყო, ჩამოვიდა და ბოლოს მასთან ერთად მნახეს... ჰოდა, გაგიჟდა ჩვენი თათი. რა აღარ იფიქრა, სახლშიც ამოვიდა ჩემთან, მაგრამ ეგეც წინასწარ გავთვალეთ. ჩემთან სახლში არავინ იყო და მე მეზობელთან ვრჩებოდი. შეშინებულმა თათულიკამ ჩვენს მეგობარ ბიჭებსაც გააგებინა ჩემი ვითომ მოტაცების ამბავი. ამ ბიჭებს შორის ჩემი შეყვარებულიც იყო. გაგიჟდა ბიჭი, რა უნდა ექნა, ვერ გაიგო... უამრავი ხალხი ჩაერია საქმეში და ერთად მეძებდნენ. იმ საცოდავ ბიჭსაც მიადგნენ, მაგრამ რაც არ იცოდა, რას ეტყოდა? კარგად მიუეუეს ჩვენი ზუკა და წამოვიდნენ კიდევ უფრო შეშინებულები... თათიას გული იმდენჯერ წაუვიდა, ერთი ფლაკონი კაპლი შეისუნთქა, მობრუნების დროს. ჩემი სიყვარული ცალკე იჭრიდა ვენებს, რა აზრი აქვს ცხოვრებას თამოს გარეშეო... მოკლედ, იმ ღამეს არავის სძინებია, ჩემსა და თაკოს გარდა... მეორე დღეს კი გაბადრული სახით გამოვცხადდი მეგობრებთან. რეაქციები განსხვავებული იყო — თათი ტიროდა (სიხარულისგან), ცოცხალიაო. ჩემი სიყვარული უაზროდ მიხუტებდა და ღრიალებდა, კიდევ კარგი, არ დაგკარგეო... დანარჩენებიც იცრემლებოდნენ. აი, მაშინ კი შეგვაწუხა მე და თაკო ცოტა სინდისმა, მაგრამ ჩვენ მაინც ვერაფერი გამოგვასწორებს. P.S. ისე, ტყუილი მალე ამიხდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩემმა სიცოცხლემ მომიტაცა. თუმცა, აქაც ოინი მოვუწყვე და გამოვიპარე. არ მინდოდა გათხოვება და რა მექნა? გავაბრაზე ჩემი ბიჭი, მაგრამ არ ვნანობ, უკან რომ დავბრუნდი, რადგან წინ სტუდენტობა მელის და გათხოვებას მერეც მოვასწრებ და კიდევ, თათულიკა, მაპატიე, სულ რომ სისხლს გიშრობ“.

„შენ ვის უნდა მოუტყ“...

„წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, როცა შუადღის, თაკარა მზისგან ტვინათქვეფილს, ენერგიის აღსადგენად ჩაგეძინება და ამ დროს დაუპატიჟებელი სტუმარი კი არა და, სტუმრები შენს კარზე ბრახუნით მოიტანენ იერიშს, თანაც, როცა თვალების ფშვნეტითა და ჩაბურტყუნებული გინებით კარს აღებ, აღმოჩნდება, რომ ამ სამი სტუმრიდან ერთი საშინლად უკიდებს ენას, მაგრამ მაინც შენი რელიგიური მრწამსის შესარყევად და შენი აზრების რეფორმაციისთვის მზადაა, თავი გაწიროს და გამოუძინებელი ნერვები და თავისი ცხვირ-პირი საფრთხის ქვეშ დააყენოს. ალბათ მიხვდით, რომ ეს უიღბლო მასპინძელი მე ვიყავი და დაუპატიჟებელი სტუმრები — იეღოვას მოწმეები. კართან ოციოდე წლის, თეთრებში გამოწყობილი, მოქერაო-კულულა და თვალებში სხივაელვარებული, გაცვეთილი ლარნაკივით ფერგახუნებული და „შეთხელებული“ ბიჭი იდგა, გულში ჩახუტებული, მაღალპოლიგრაფიული დონის ჟურნალებით. თან 2 გოგო ახლდა, რომელთაც ტრუსის ამარა დარჩენილი, შიშველი სხეულის დანახვაზე (ვინ გაცალა, ბატონო, ჩაცმა?), იეღოვური თვალები უხერხულად დახარეს (მერე იტყვიან, სირცხვილი არ აქვთო). მოშორებით, საბირჟაო სკამზე უბნის გოგონები ისხდნენ და ჩემს დანახვაზე ისე ახითხითდნენ, ცხადი იყო, ეს შარა-შარა მოხეტიალე, სხვათა სულთა კონფისკატორები მათ მომიგზავნეს. გაშიფრულ სცენარისტებს მუშტი დავუქნიე და იეღოვას მოწმეების თუ ეშმაკის მოციქულების (საკითხავი აი ეს არის) შეფს დამცინავი მუქარითა და თითის მკერდში ტაკებით მივმართე: აბა, რა გნებავს, ჯიგარო, მოლეკულურ ბიოლოგიაზე და კვანტური ფიზიკის საფუძვლებზე უნდა მესაუბრო თუ მე გესაუბრო თქვენი ტვინნაღრძობი რასელის ბიოგრაფიის თქვენთვის უცნობ დეტალებზე-მეთქი? სალექციოდ გამზადებულ ბიჭს ტვინში მეტყველების და ემოციების ცენტრებმა

ერთმანეთი გადაკვეთეს და საცოდავად, რაღაც „აბრაკადაბრა“ იბლუყუნა: — მეე... არაა, ისაააა, შენ, უჰ, თქვენ, یییییی

ვებდი ხოლმე. აჰა, ეს 50 ლარიც შენ, საჩუქრად და შევრიგდეთ, თუ კიდენა ზედმეტი საათები მოგიწევს მუშაობა, აგინაზღაურებ, ჯოო! (ხომ ხედავთ, კახეთში ჯო ბაიდენი რა პატივში გვყავს, ერთმანეთს სულ „ჯოოებით“ მივმართავთ). უბანი სიცილით ერთმანეთს აწყდებოდა. ამ კაცს ჩემი სუპერდედიკო ჩემი ცოლი ეგონა. ეეჰ, მართლები ყოფილან ძველები, — „კაცი ბერდებოდა და ჭკუა უკანალში მისდიოდაო“, რომ ამბობდნენ. არადა, მართლა მაგრად გაუკვირდა, რომ ეს შორტებსა და ზიზილ-პიპილა ზედატანში გამოწყობილი ქალი (60 წლის კაცისთვის კი — გოგო!) დედაჩემი იყო. ჰოოდა, რას ვამბობდი? ისევ ვმუშაობ, თუმცა ის გულისმომაკვდინებელი სიმღერები უკვე დავივიწყე და როგორც ხედავთ, „გზავნილებისთვის“ და თქვენთვის სიყვარულის ასახსნელადაც ისევ გამოვნახე დრო. ფუი, ეშმაკს! თვალი არ მეცეს, თორემ დედაჩემს შელოცვების სწავლაც მოუწევს. გაუჭირდება თუუ?! მონა-ღვთისა, „გზისა“ და „პრარაბისა“, ენიგმა. P.S. ისე, თუ ისევ დავიკარგე, „გზაში“ ასეთ ეპიტაფიას ნუ დამამადლით: „და გზა უვალი, შენგან ნაგები, ენიგმავ ჩვენო, მაინც დარჩება“. ბოლოს და ბოლოს მგზავნელი ვარ და გზას ვაგებ, ტოო, თორემ „უგზოობა“ ჩვენს მტერს! ენიგმა“.

ტყუილი „აბაროტი“

„ოინი კი არა, ოინბაზობის მთელი კასკადი მაქვს მოსაყოლი. ჰოდა, სმენა იყოს და გაგონება! ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენი დედაქალაქის ქუჩებს მერიის ახლანდელი სიამაყე, ყვითელი „სანდრა-ბუსები“ არ ამშვენებდა და ე.წ. „მარშრუტკებს“ დიდი „პარადი“ ჰქონდა მოწყობილი, რკინიგზის სადგურიდან ვაკისკენ ერთი სამარშრუტო ნომერი დადიოდა. უამრავ რიგით თუ დიპლომიან მძღოლს შორის იყვნენ მავნებლობით გამორჩეული და გულუბრყვილობით დაჩაგრულებიც. ერთ-ერთ ასეთ ასაკოვან კაცს ბიჭები ხშირად აწვალებდნენ. ხან რას უჩალიჩებდნენ და ხან — რას. ასე მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩვეულებისამებრ, მისი „აბაროტის“ დრო მოვიდა, ბიჭებმა ტრაფარეტის წინ ჩუმად სხვა ტრაფარეტი ჩაუდეს, წარწერით — ყვარელი. დაიძრა ჩვენი „მსხვერპლი“, მაგრამ რად გინდა? ისე გაიარა ვაკის რაიონი, ერთი ღვთისნიერი მგზავრი არ გამოჩენილა, მისთვის ხელი რომ დაექნია. არადა, წესით ამ დროს ისეთი გადატენილი უნდა ყოფილიყო „მარშრუტკა“, რომ სუნთქვაც კი შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად, არც ერთი მგზავრი არ ახარებდა მძღოლის გულს. მხოლოდ შეხედავდნენ საქარე მინაზე მიმაგრებულ წარწერას და ცივად არიდებდნენ თვალს. გაგიუდა კაცი, იფიქრა, ვინ შემომხედა დღეს ცუდ თვალზე, ვინ დამთარსა, მე იმის ასე და ისეო. ამ ფიქრებში იყო გართული, მგზავრმა რომ გააჩერა. ავიდა გახარებული და გაბრწყინებული სახით „მარშრუტკაში“ და კომფორტულად მოთავსდა. მე შენ გეტყვი და ადგილი არ იყო თუ რა?! — მეგონა, აქეთ არ დადიოდით, ძალიან კი გამახარა თქვენმა დანახვამ, ჯო, — გულწრფელად თქვა კახელმა მგზავრმა. მძღოლმა თავი დაუქნია და ისევ თავის უცნაურ „აბაროტს“ ჩაუფიქრდა. ასე ერთი კაცის ამარა ჩავიდა სადგურამდე და როცა გაჩერებაზე მივიდა, მგზავრს გამოხედა. ის კი იჯდა მშვიდად და გაზეთს კითხულობდა. — მოვედით, ბატონო, შეგიძლიათ ჩაბრძანდეთ. მგზავრმა მიმოიხედა გარშემო და გაკვირვებულმა იკითხა: — ყვარელში ვართ, უკვე? ყვარელის გაგონება და მძღოლის წონასწორობიდან გამოსვლა ერთი იყო. გამოეკიდა კაცს. მერე კი ტრაფარეტს დახედა და მიხვდა, რატომ მოუწია იმ „აბაროტზე“ „გაკატავება“. გავიდა დრო და ეს საწყალი მძღოლი ისევ ამოიღეს მიზანში. ამჯერად, არც მეტი, არც ნაკლები, სრულიად შიშველი ფოტომოდელი ლამაზმანის ფოტო ჩაუდეს. დაიძრა ისევ „მარშრუტკა“. ჩაიარა პირველ თავშეყრილ მგზავრთა ჯგუფთან. გააჩერა ქალმა, აღშფოთებული სახით გააღო „მარშრუტკის“ კარი, უკაცრავად და ერთი გემრიელად მიაფურთხა ჩვენს მძღოლს და მიაძახა, შე ტუტუცო და გაფუჭებულო კაცოო და მიუჯახუნა კარი. იგივე ქმედება რამდენჯერმე განმეორდა. შეხედავდნენ ტრაფარეტზე და იწყევლებოდნენ, ილანძღებოდნენ, იფურთხებოდნენ და იგინებოდნენ მგზავრები, შე გათახსირებულო, უზრდელო, უსინდისო კაცოო, ესმოდა გაოცებულ მძღოლს, სრულიად დაუმსახურებლად. ბოლოს, როგორც იქნა, დაბრუნდა წარუმატებელი და შეიძლება ითქვას, „ტრაგიკული აბაროტიდან“ და როცა ტრაფარეტის წინ აფარებული, „სირცხვილდაკარგული“ ლამაზმანი იხილა, კინაღამ ინფარქტმა დაარტყა. ასეთ დღეში ჩააგდეს საწყალი კაცი და მატერიალურ ზარალთან ერთად, ნერვების დაწყვეტამდე მიიყვანეს. თუმცა, ახლა ყველა ღიმილით იხსენებს ამ ამბებს. იკუშკები“.

ნათლია

„თემამ წლების წინანდელი ამბავი გამახსენა: ერთხელ, ბედობა დღეს, „სოფლის ნათლიამ“ გადაწყვიტა სუფრის გადაფენა გზაზე კი არა, არამედ, ეზოში, ხეების ძირში. წინაალმდეგობა ამ ხეებივით აღიმართა ტრადიციების მოყვარულ წინაპართა მხრიდან: ბედობააო, ვისი ბედი დაგვებედებაო, ვისი ფეხი შემოაბოტებსო და ა.შ. ჰოდა, ჩემმა ძამიამ განუცხადა მეზობლებს, ვქეიფობთ, ოღონდ თქვენი ფეხი არ ვნახო ჩემს ეზოშიო. ერთი ალაგეზე შემოშლიგინდა ცხენით, მეორემ კიბე გადმოაყუდა და ისე გადმოალაჯა, მესამემ ველოსიპედი და ცხვირ-პირი ერთად დაიმტვრია, მეოთხე კი ხოხვით გადმოძვრა პარტიზანივით და რაც მთავარია, იღლიებში ამოჩრილ არყის ბოთლებს ძალიან გაუფრთხილდნენ. თინეიჯერი შინაბერა“.

ფრანგულ-ქალური ხუმრობა

„სწორედ დღეს ვესაუბრე დაქალს პარიზში და მისთვის მოწყობილი ოინი გამახსენდა. ის საოცრად მორცხვი და ჩუმი გოგოა, მე კი — ეშმაკის ფეხი. ერთხელ, ბიბლიოთეკაში წიგნებისა და დისკების დასაბრუნებლად მივედით. მაშინ მარიმ ფრანგული კარგად არ იცოდა და გახუმრება გადავწყვიტე. ბიბლიოთეკარს ფრანგულად გავესაუბრე, მარის კი ვუთარგმნე, რომ დისკებს ზემოთ იბარებდნენ და ადმინისტრაციის სართულზე მივუთითე, მე სამკითხველოში შევაფარე თავი. ცოტა ხანში განგაში ატყდა და რას ვხედავ? ჩემი მარიკოსთვის დაცვას ხელები გადაუგრეხია და კიბეზე სასტიკი კრიმინალივით მოარბენინებს. მეც მათკენ გავქანდი და მთელი ჩემი ფრანგულ-ქალური შარმის გამოყენება დამჭირდა დაცვის გულის მოსალბობად. მას მერე ის ბიჭები საშვს აღარ მიმოწმებენ და თბილი ღიმილით მიღებენ კარს. მარიკუს, პარიზს რომ ვეწვევი, ეიფელიდან მოგიხდი ბოდიშს. პარიჟანკა“.

მამა-შვილი

„ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც ჩემმა მეგობარმა მიამბო. ჩვენს უბანში ერთი ქალი ცხოვრობდა, რომელიც ქმარს რქებს ადგამდა და სახლში მისი არყოფნის დროს საყვარლებს მასპინძლობდა. ერთხელ ამ ქალს ჩემი მეგობარი ესტუმრა სახლში. დიდი ამბით შეიპატიჟა, მობრძანდი, ჩემი ქმარი შინ არ არისო. ჩემი მეგობარი მასთან შამპანურებითა და უამრავი ტკბილეულით ხელდამშვენებული მივიდა. ქალმა ყავა შესთავაზა, მერე დასხდნენ და ლაპარაკი გააბეს. არ გასულა დიდი ხანი და კარზე ზარის ხმა გაისმა. ქალმა ჩემი მეგობარი უკანა გასასვლელიდან გაისტუმრა, სუფრაც აალაგა, რომ არაფერი ეეჭვა ქმარს. გააღო კარი და ცოტა დამშვიდდა, რადგან იქ მორიგი თაყვანისმცემელი დახვდა. შემოიპატიჟა ისიც. ჩემი მეგობარი თურმე ფანჯრიდან ადევნებდა თვალს ამ ყველაფერს. რაღა უნდა ექნა? ქალი აახიეს. თან — ვინ? ადგა და შინ წავიდა, გულდაწყვეტილი. ღამით მამამისმა სახლში მისვლა დააგვიანა. დილით კი ეკითხება: — მამი, წუხელ სად იყავი, ასე გვიან რომ მოხვედიო? კაცებმა ვსვით და ცოტა შემაგვიანდაო. ჩემს მეგობარს გაეცინა და უთხრა, მე კი დაგინახე, კარგ და გემრიელ ყავას როგორ მიირთმევდიო. კაცს გაუკვირდა, მაგრამ მერე ჩემმა მეგობარმა ყველაფერი მოუყვა და ერთად ბევრი იცინეს. იცოდე, დედაშენთან არაფერი წამოგცდეს, თორემ კარგი დღე არც ერთს არ დაგვადგებაო, გააფრთხილა მამამ. კნოპკა“.

ფსევდოცოტნე

„მოკლედ, გავგიჟდი ქალი და ამ მაღალი ტექნოლოგიებისა და დაბალი მორალის (ზედსართავები ნაღდად არ შემშლია) XXI საუკუნეში, იდეალური მამაკაცის მოდაგასულ სტერეოტიპზე შევაჩერე არჩევანი. ოპტიმიზმი არ მტოვებდა, რომ ჩვენს დროში და ჩემს პროვინციულ ქალაქშიც აღმოჩნდებოდა ვინმე ასეთი. ვისზე ვსაუბრობ? რა თქმა უნდა, შუასაუკუნეების ქართულ ფენომენზე, ცოტნე დადიანზე. არც სხვათა ღვაწლს ვაკნინებ, მაგრამ ცოტნე?! „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილისგან განსხვავებით ის რეალური გმირია, რომელმაც მხოლოდ ქართველური გულითადობით და მეგობრებისადმი ნებაყოფლობითი თავგანწირვით, თვით მონღოლებიც კი მოხიბლა (ჰმ, მონღოლიც რომ რუსზე მაღლა იდგება?!). ჩემი აზრების მოსმენისას ოჯახის წევრები და მეგობრები უიმედოდ იჩეჩავდნენ მხრებს, — დარჩენილხარ გასათხოვარიო, მეუბნებოდნენ. პაპაჩემი ქალაქგარეთ ცხოვრობს მარტო და მასთან ხშირად დავდივარ. რამდენიმე წელია, პაპის მეზობელთან დასასვენებლად ერთი მცხეთელი ბიჭი ჩამოდის. ამდენი ხანია მიცნობს, მაგრამ მაინცდამაინც წელს გადაირია — შენაო, ჩემი ცხოვრების ფეიერვერკი ხარო, ჩემის ღრმა სიყვარულით, შენი გამონათების იმედი მაქვსო და მოკლედ, „დავდნი ღორიი ეონივითაო“, მაგრამ ისეთი ბრგე იყო და სუფთად გაპარსული, რომ გაპუტულ და უფერულ ლომს ჰგავდა და არა — ჩემს ნაოცნებარ ცოტნეს. ავდექი და ჩვენებური მეხი, ქოქოლა და დარდუბალა მივაყარე და ოქროს ზოდივით დავემალე, მაგრამ ტეხილმა გრძნობამ ბაბუაჩემის მოციმციმე არითმიასავით შეაწუხა და ჩემი მეგობრების გადაბირება დაიწყო (ვაი, ცოტნე, მაშ ამ „აგიტატორში“ გაგცვლიდა ელექტრა?). გავიდა 2 დღე. დილით ბაბუაჩემმა სიცილით გამაღვიძა, ეზოში ჩამო, ჩემო იადონო, რა სანახავი გაჩვენოო. ბუზღუნით ჩავედი ეზოში და რას ვხედავ? ზის მხოლოდ შორტში გამოწყობილი ეს „უხეირო ლომი“ ბალახში (სანქციის გარეშე, ბოსტნიდან გადმოპარულა), სუფთად გაპარსულ მთელ ტანზე თაფლი წაუსვამს და თავზემოთ მოზუზუნე ფუტკრებს დამანჭული „როჟით“ უქნევს ხელებს. სიცილი ამიტყდა. — აბა, რა ვქნა, შენთან საკომუნიკაციოდ სხვა ენა ვერ გამოვნახე, თურმე ცოტნე დადიანზე ეცემიო... გაიყიდნენ შენი მეგობრები ლუდზე და „სნიკერსზე“ და იმას კიდევ, ჩემზე მეტი კი არაფერი უქნიაო. ჩრდილში დავჯექი და თავიდან ბოლომდე მოვუყევი ჩემი ცოტნეს ისტორია. ჰოდა, გაუტყდა გული ბიჭს, მასე ვერ გავქაჩავ, თავი ცოცხალი მინდა, რომ ცოლ-შვილში გავიხარო, ცივილიზაციის ინტერესებისთვის მაინც მიწყალობე გული, რომ შენისთანა მაღალი ზნეობის შვილებით გავანებივროთ სამყაროო, მაგრამ ვერ მივართვი. ერთი კია, მეგობრებისა და „ცოტნეს“ სინქრონულმა ოინმა, ჩემი იდეალების პროფილაქტიკა მოახდინა. დაობლდა ჩემი მიზანი, რომ ცოტნეს ვიპოვი. გოგოებოო, კიდევ ვინ ეძებს ცოტნე დადიანს? მთლად მას ვერა, მაგრამ მის უიღბლო იმიტატორს გამოგიგზავნით. ისეთი თაფლიანი ბიჭიაა... შეკვეთებს „გზის“ საშუალებით მივიღებ. გაიხარეთ, თქვენა. მე კი ისევ გასათხოვარი ვარ, თვალი დაუდგეს გასაშლელ კოკორსაა... P.S. მარიი, მომენატრეთ შენ და შენი სამგზავნელო. გაკოცეთ, სადაც გამიხარდება. პროვოკაციებს არ ვიყოთ! ელექტრა“.

დაზარალებული პატრული

„ოო, მე და დეიდაშვილმა ერთ ვინცხას ოინი მოვუწყვეეეთ... ნუ, ლამის ვიმსხვერპლეთ, რა... ყველაფერი კი ასე დაიწყო: ერთ „ვაიმშვენიერ“ დღეს, მე და გიო მოწყენილები ვისხედით და გადავწყვიტეთ, ზურასთვის რამე ოინი მოგვეწყო, სანამ გარეთ იყო გასული. ცოტა ფიქრის შემდეგ აი, რა მოვიფიქრეთ: კარის მაღლა წყლით სავსე ვედრო დავამაგრეთ, ზედ თოკი მოვაბით და დავიჭირეთ. ზურა რომ შემოვიდოდა, ამ თოკს გამოვწევდით და წყალი გადმოიქცეოდა. ყველაფერი მოვაწყვეთ და უცებ, იღება კარი. ჩვენც მთელი ძალით მოვქაჩეთ. ალბათ ძალიან მოგვივიდა და გაწყდა თოკი. საუბედუროდ, ვედრო ჩამოვარდა და პირდაპირ შემომსვლელის თავისკენ აიღო გეზი. დაშვებაც მშვიდად მოხდა და შემომსვლელიც მშვიდად გაიშხლართა იატაკზე. ყველაზე მეტად კი განა იმის შეგვეშინდა, რომ ამას თავში ვედრო მოხვდა და ცუდად იყო, არაა... იმის შეგვეშინდა, რომ დაზარალებული ზურა კი არა, ჩემი პატრული მეზობელი, ალეკო აღმოჩნდა. კაცი, რომელიც აფრთხობდა მთელ შიდა ქართლს. სანამ ის კაცი გონზე მოვიდოდა, ჩვენ თავს ვუშველეთ. მერე კი რომ მოგვიკითხეს, „ალერსიანი გრეტასი“ არ იყოს, ვყვიროდით, გასული ვართ, გასულიიიი! დამავოი“.

შარვალგამოხეული

„ერთხელ ჩემი ნათესავი ჩემს მეზობელს გეხუმრა. ერთ საღამოს ჩუმად პატარა გველი ჩაუსვა ჯიბეში ისე, რომ არავის შეემჩნია. იკას ძალიან უყვარს ჯიბეებში ხელების ჩაწყობა და ასე სიარული. ჰოდა, მეორე დილით სამსახურში რომ მიდიოდა, რატომღაც თავისი საყვარელი

ჩვევა დაავიწყდა და ხელების ქნევით გაუყვა გზას. სამარშრუტო ტაქსიში რომ ავიდა, ჩაიყო ჯიბეში ხელი და... შეაკანკალა. რომ მორთო ბღავილიიიი... ჯიბიდან გველი გადმოაგდო. იკა კი არა და, ხალხი ერთმანეთს ახტებოდა, მძღოლიანად. ნუ, ამ ამბავმა ასე ჩაიარა და ახალი წელიც მოახლოვდა. იკა მიხვდა, ვინ მოექცა ასე მწარეთ და ახალი წლის ღამეს, 2 პატარა „ასაფეთქებელი" ჩაუდო მოღალატეს. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ასაფეთქებლები აფეთქდა და საწყალ ოთოს სულ გამოეხა შარვალი. მარტო შარვალს ვინ ჩიოდა, ფეხიც მიებუგა, ცოტა. ახია მაგაზე. ლა-ლოლა".

მწარე ტკბილეული

„ახლობლისთვის მოწყობილი ოინი? ეგ ჩემი ჰობია. ამჯერად, ეგ ახლობელი ჩემი საყვარელი ბებო და პაპაა. ყოველთვის ნახავთ მათ გარდერობში შოკოლადს, ნამცხვარს და მრავალ ტკბილეულობას. გადავწყვიტე, შური მეძია იმის გამო, რომ ამ ტკბილეულობას ჩემთვის ვერ იმეტებენ. ერთ მშვენიერ დღეს, გამოვალაგე ეს ყველაფერი და წავუსვი ინდური წიწაკა (უმწარესი წიწაკაა). ისევ შევფუთე და გარდერობს დავუბრუნე. ვაიმეეე, ნეტავ გენახათ, რა დღეში იყვნენ. ასე რომ, ჩემო ძვირფასებო, ვისაც ასეთი ბებო და პაპა გეგულებათ, არ დაიშუროთ მათთვის წიწაკა, ინგლისური მარილი და „სპიჩკის" ღერებიც კი (ნამცხვარს უხდება). პირველად ვამესიჯებ და მინდა, მგზავნელები გავიცნო. პეპი".

„ანტიკვარი"

„გენაცვალეთ, მგზავნელებო, კარგები ხართ ყველანი. ნუ, ამბავი გავიგეეე... პირი დამრჩა ღია: ე.ი. სოფელში ერთი „ანტიკვარი" ბიჭი ცხოვრობს. ერთხელაც, ამ „ანტიკვარმა" ცოლის მოყვანა გადაწყვიტა. დატრიალდნენ მაჭანკლები და დადგა ნანატრი ქორწილი. გაიშალა სუფრა, იქეიფეს, მოილხინეს და მაყრების წასვლის დრო რომ დადგა, პატარძალმა „თმა გაიშალა", სახლში ვბრუნდები, აღარ მინდა გათხოვებაო. ბევრი ეხვეწნენ, ღამე „ყარაულებიც" დაუნიშნეს, მაგრამ მაინც გაიპარა. ასეთი ოინი მოუწყო პატარძალმა სიძეს. აქეიფა მაყრები და მაინც დაბრუნდა სახლში. მის კაპასა".

ქელეხის ყავა

„რამდენიმე წლის წინ ბებია დამეღუპა სოფელში. დასაფლავების მერე, მოგეხსენებათ, ხალხს სუფრასთან იწვევენ. ერთ ჩემს უბნელ ბიჭს (თუმცა რაღა ბიჭი, 40 წლამდეა უკვე) ძალიან უყვარს ყავა. ჰოოოოდა, ერთხელ რომ მოითხოვა, პატიოსნად მოვუდუღე და მივართვი. მერე კიდევ მეორედ, მესამედ, მაგრამ მეათედაც რომ მთხოვა, ყავა მომიდუღე, თან ნელ-თბილი წამომიღე, წინამ პირი დამწვაო, აი, მაშინ კი მივხვდი, რომ თუ რამეს არ მოვიფიქრებდი, ან იმას დაარტყამდა გული კოფეინის ზედმეტი დოზისგან, ან მე მივყვებოდი ბებიაჩემს საფლავში, აქეთ-იქით სირბილისა და გადაღლილობისგან. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ღვინო და არაყი შევურიე, სოდა, ყავა და შაქარი ვუქენი გემოვნებით და ბედნიერი სახით მივუცუნცულე. თან ვუქე და ვუდიდე — ისეთია, მკვდარს გააცოცხლებს-მეთქი. მართლა მიკვირს, ან ის როგორ გადარჩა და ან მე როგორ გადავურჩი ცოცხალი. კი ვუმტკიცე, ნელ-თბილი რომ იყო, იმიტომ იჯექი საპირფარეშოში მთელი დღე-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა? სკლეროზა".

„გაპასტულები"

„წელს კალათბურთიდან „ზბორებზე" ვიყავით ქობულეთში. გუნდში გოგონები და ბიჭები ვართ და ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. ჩვენსა და ბიჭების ოთახს, იმ სახლში, სადაც ვცხოვრობდით, ხის კედელი ჰყოფდა და შესაბამისად, კარგად გვესმოდა მათი საუბარი. გოგონებმა მოვილაპარაკეთ, ბიჭები „გაგვეპასტა" და ასეთი გეგმა შევიმუშავეთ (ვიცოდით, რომ ისინიც აპირებდნენ ჩვენს „გაპასტვას"): გავამზადეთ შამპუნი, კბილის პასტა და ფანჯრის რაფაზე დავასხით (თუ გადმოსვლას დააპირებდნენ, ხელები აუსრიალდებოდათ). დაველოდეთ დაღამებას. ღამის 3 საათზე დავიძარით ბიჭების ოთახისკენ. ის იყო, კიბეზე უნდა ჩავსულიყავით, რომ ბიჭებს შევეჩეხეთ (თურმე ისინი ჩვენთან მოდიოდნენ). იქ ამბავი ატყდაა.... მასწავლებელს გაეღვიძა და ჩვენ ყველაფერი ბიჭებს გადავაბრალეთ. საწყალი „ხაზეიკა" აკლებული გვყავდა. :) კიდევ ერთი: სადაც ჩვენ ვვარჯიშობდით, ზუსტად იმ დროს მოდიოდნენ ფეხბურთელებიც. ერთს გრძელი თმა ჰქონდა და მას ვეპრანჭებოდი. ისიც მამჩნევდა. მგონი, თბილისელია. თუ ეს მესიჯი წაიკითხო, გამომეხმაურე. ნინო, ქუთაისიდან".

ლობიოისტი

„რაც სოფელში გადავედი საცხოვრებლად, საბანაოდ წყლის გაცხელება მიწევს. ამიტომ ყოველ დილით უზარმაზარი ქვაბებით წყალი მიდგას ხოლმე „ფეჩზე". ერთი პერიოდი, დავდგამდი წყალს, გადმოდგამდა პაპაჩემი და ლობიოს ხარშვას იწყებდა (რამ შეაყვარა ასე ლობიო, აზრზე არ ვარ). იწყებოდა ჩემი ჩხუბი და წივილ-კივილი, მაგრამ ყოველდღე მაინც ხარშავდა მაგ „იდიოტობა კერძს" და წყალს ვინ იცის, როდისღა ვაცხელებდი. ერთხელაც, თავში მზაკვრული იდეა მომივიდა. დავისხი ლობიო, 1-2 კოვზი გაჭირვებით შევჭამე და ყველას დასანახავად, თეფშში წიწაკა ჩავიყარე. ყველა რომ წავიდა, ავდექი, „სენადე" (კუჭის ასაშლელი, ყავისფერი აბებია) დავფხვენი და 20 აბი, დაფქულ წიწაკასთან ერთად, მთელ ქვაბ ლობიოში ჩავყარე. პაპაჩემს დღე დაადგაა?! მტერს არ ვუსურვებ! მოწვა ოინის ავტორის ვინაობა, მაგრამ მყარი ალიბი მქონდა. მე მარტო ჩემს თეფშში ჩავყარე წიწაკა-მეთქი. დასრულდა ჩემს ოჯახში ლობიოს ერა. Ashley Pcd".

მეგონას თხა

„ფლამინგოს გზავნილმა მეგრელებზე მეც ამიშალა „პრიკოლების" მოძიების საღერღელი. ჰოოდა, მეც ბაბუს არქივებში ჩავიჭყიტე. მაშინ, როცა შავი შაშვი გალობდა და ჩემს სოფელთან ახლოს, სანამ ჩინელები თავიანთი მოსვლით დაგვაფასებდნენ, ერთი დიიდი ტყე ყოფილა, სადაც მეგონა ლემონჯავას პატარა ქოხი ჰქონია აშენებული. შეშის მოსაჭრელად მოსულ კაცს, თან თავისი თხა მოუყვანია და მეგონასთვის დაუტოვებია. ნამეტანი ჯიუტი თხა კი ყოფილა. ჰოდა, მოსწყენია მეგონას ამ თხის კუნტრუში, მოუზიდია მაღალი აკაციის ტოტი და ზედ მიუბამს. (ტოპმოდელივით გამხდარი თხის წონამ ვერ დააკავა მოღუნული ტოტი და ლაწაან... ისევ წელში გამართულა ხე. ასთე დარჩა პატრონისა და მეგონასგან მივიწყებული თხა ჰაერში გამოკიდებული და მხოლოდ 1 კვირის თავზე შეუმჩნევია ლეშის სუნით შეწუხებულ მეგოს. ლიმონა".

საბედოს მსხვერპლი

„იას უკვე ნატვრად აქვს გადაქცეული გათხოვება. ერთ დღეს, მეგობრებს მოუხმო და თავისი გასაჭირის შესახებ უამბო. მათაც დაამშვიდეს. ერთ-ერთმა ეშმაკური ღიმილით გაუღიმა და მეგობარს დახმარების ხელი გაუწოდა. რასაც გეტყვი, იმას თუ შეასრულებ, შენი საბედოს სახელს იტყვი და მას მალე იპოვი კიდეცო. დივანზე ჩამოსხდნენ და მოლოდინად გადაქცეულები და ყურდაცქვეტილები უცდიდნენ ირმას ალაპარაკებას. ირმამ დიდი მონდომებით დაიწყო საქმის შესრულება. იას არაყი დაალევინა. ამის შემდეგ, ღიმილნარევი სახით უთხრა: ახლა მაგიდაზე ადი და მანამ იტრიალე, სანამ შენი საბედოს სახელი არ წამოგცდებაო. ზლაზვნით ავიდა მაგიდაზე ია და პირველივე დატრიალებისას იგრძნო, როგორ დატრიალდა მის ირგვლივ ყველაფერი. მეგობრები ირონიულად ეკითხებოდნენ, თავს ხომ კარგად გრძნობო. ია ბრაზისგან წითლდებოდა, კარგად როგორ უნდა ვიყოო, მაგრამ იმის მოლოდინში, რომ საბედოს იპოვიდა, ტრიალი არ შეუწყვეტია. ბოლოს, ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ დაუნდობლად დაენარცხა მიწას. დაფეთებულმა მეგობრებმა იმდენი ულაწუნეს სახეში, ისედაც სასმლისგან აღაჟღაჟებული, სულ დააწითლეს. გონს რომ მოვიდა, ყველა დაფეთებული თვალებით ათვალიერებდა, „მომაკვდავ“ მეგობარს. იას მათ მიერ მოწყობილი ოინი აღარ ახსოვდა და ყურადღებისთვის ყველას გულუხვად გაუღიმა. ირმას მოთმინებამ უღალატა და პატიოსნად აღიარა ტყუილი. იას ღიმილი ტუჩებზე შეეყინა. სიბრაზემ შეცვალა მის სახეზე ღიმილი და ის იყო, საყვედურის თქმა დააპირა, რომ სწრაფად გაეცალნენ მეგობრები. ლუნა“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ჩემი ძმაკაცი წავიდა „ლოვესთან“ იტალიაში. ჰოდა

რომელი, რომელიც დეიდა ქეთინო აღმოჩნდა

წერილები, რომელსაც ახლა გაგაცნობთ, ჩემი პირადი არქივიდანაა. უბრალოდ, მინდა, წაიკითხოთ და საჭირო დასკვნებიც გამოიტანოთ.

მარი ხაფარიძე

დეიდა ქეთინო

გამარჯობა, შვილო მარი. მე შენი სტატიების მუდმივი მკითხველი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ მაგ ასაკიდან დიდი ხანია, გამოვედი. აგერ, უკვე 52 წლის ქალი ვარ. მაინც დიდ სიამოვნებას მგვრის შენი გამოქვეყნებული წერილები. ამ წერილს ზესტაფონიდან გწერ. არცთუ დიდად ცნობილი ნათელმხილველი ვარ, დეიდა ქეთინო. ხელის შეხებით ვმკურნალობ ძალიან ბევრ სნეულებას, ასევე უცდომელი დიაგნოზის დასმა შემიძლია. ახლომახლო რაიონებში ყველა მიცნობს და პატივს მცემს, როგორც საუკეთესო ნათელმხილველს, რომელსაც არასოდეს არავისთვის არ მოუთხოვია არავითარი საფასური. ეს ნიჭი ღვთისგან მაქვს ბოძებული და არასოდეს შემოსავლის წყაროდ არ გავიხდი.

რაც შეეხება იმას, თუ რამ გადამაწყვეტინა ამ წერილის მოწერა ასე შორიდან:

ძალიან ბევრი ვიფიქრე, მომეწერა თუ არა და გადავწყვიტე, რომ უფლება არ მაქვს, უფლის ნებას წინ აღვუდგე. ამიტომ თანმიმდევრობით მოგიყვები ყველაფერს.

საღამო იყო. მარტო ვიჯექი და სანთლის შუქზე შენს სტატიას ვკითხულობდი. სულ მარტო ვცხოვრობ, ქმარ-შვილი უბედური შემთხვევით დამეღუპა. კითხვას ვამთავრებდი, როცა ვიგრძენი, რომ შენ შესახებ ინფორმაციამ იწყო შემოსვლა ჩემში და ასეთი შინაარსის ხილვა მქონდა: თითქოს გხედავდი, ბედნიერება როგორ მოდიოდა შენკენ. თეთრებში ჩაცმული, მაღალი, სუსტი, შავგვრემანი, სიმპათიური, ახალგაზრდა მამაკაცი უცნაური ხერხით ცდილობდა შენთან მოახლოებას, ძალიან უჩვეულოდ იქცეოდა, მაგრამ მის თვალებში ისეთი დიდი სიყვარული და მონატრება ირეკლებოდა, ისეთი დადებითი ენერგია მოჩანდა, კაცი იფიქრებდა, თვალებით ჩაყლაპვას უპირებსო. მარი, შვილო, ძალიან დიდი ბედნიერება მოგდგომია კარს და გაუფრთხილდი, უარი არ თქვა. მართალია, ბევრი რამ უცნაურად მოგეჩვენება, ბევრჯერ გაბრაზდები, გაურკვევლობაშიც დარჩები, იქნება პატარ-პატარა განშორებები, წყენა, ცრემლები, მაგრამ ბოლოს, იცოდე, ბედნიერება დაისადგურებს თქვენ შორის და უღრუბლო ცხოვრება გელის წინ. საბოლოო ბედნიერებამდე ცხოვრება ბევრ გამოცდას მოგიწყობს, მაგრამ შენ ყველას წარმატებით დაძლევ. ყურადღება მიაქციე რიცხვს — 22. ეს რიცხვი გადამწყვეტ როლს ითამაშებს შენს ცხოვრებაში და ბედნიერებაში. მთავარია, შენ გამოიჩინო სულგრძელობა და იყო მოთმინებით აღსავსე. უფალი არასოდეს მიგატოვებს, შვილო, იცოდე. სულ ეს არის, რაც მინდოდა მეთქვა და მერჩია შენთვის. იმედი მაქვს, გაითვალისწინებ ჩემს რჩევას. ვალდებულად ჩავთვალე თავი, მომეწერა შენთვის ეს წერილი. კარგად იყავი, ღმერთი იყოს შენი მფარველი. გისურვებ ბედნიერ მომავალს.

ზესტაფონის რაიონი, სოფ. საზანო.

პატ. დეიდა ქეთინო.

15 მარტი

მოკლედ, 20 მარტს, საზანოდან მიღებულმა ამ წერილმა რედაქციაში დიდი მხიარულება გამოიწვია (ხმამაღლა წავიკითხე) და ყველა ამ თემაზე ხალისობდა. ყოველდღე მეკითხებოდნენ, გამოჩნდა თუ არა, თეთრებში გამოწყობილი „ჩემი ბედნიერება“. მივხვდი, რომ ამ ბარათს აუცილებლად მოყვებოდა გაგრძელება და ინტერესით ველოდი. 22 მარტს, სამსახურში მისულს, დაცვამ ბარათი დამახვედრა („ყურადღება მიაქციე რიცხვს — 22“), სადაც ვინმე მამუკა სიყვარულს მიხსნიდა დ თან ისეთი სიტყვებით, რომ ნებისმიერ ქალს მოცელავდა და მუხლს მოჰკვეთდა. პირველ ბარათს სატელეფონო ზარები მოჰყვა, რომელსაც ხშირად უგულებელვყოფდი, შემდეგ კი მეორე ბარათი მივიღე...

გამარჯობა ჩემს საყვარელ და უძვირფასეს ადამიანს!

მარი, როგორ ხარ, ჩემო სიცოცხლევ? ხომ ხარ კარგად? სიცოცხლით სავსე და მხიარული! ასე ლამაზად გამყოფოს ყოველთვის ბუნების ძალამ!

უპირველესად, ერთი რამ მინდა, გთხოვო: ყოველთვის კი ნუ გამოიყენებ პროფესიულ ნიჭს. მე ვინმე შენი მორიგი რესპონდენტი ხომ არ ვარ, რომ ვრეკავ და მეკაიფები? რომ იცოდე, მე ჩემი ყველა დანაპირები ძალიან კარგად მახსოვს და თუ ცოტა არარეალურად გეჩვენება (შეუძლებელი არაფერია), მიხვდი, რომ გულით მსურს, შენთვის ამ ყველაფრის ასრულება. შენ ჩემი ოცნება ხარ, განსაკუთრებული და შესაბამისად, განსაკუთრებულად ვოცნებობ შენზე. შეიძლება, შენ რასაც გეუბნები, ბევრი რამ გადაჭარბებულად გეჩვენება და ავანტიურისტი გგონივარ, მაგრამ როცა გამიცნობ, მიხვდები, სინამდვილეში რა პიროვნებაც ვარ და როცა გრძნობაზე გელაპარაკები, ჩემი გული ჭეშმარიტად სპეტაკი სიყვარულით არის მოცული.

ვიცი, ვხვდები, რა ძნელია შენთვის ამის დაჯერება იქიდან გამომდინარე, რომ აქტიურად არ ვმოქმედებ და შენს გულში ჩახუტებას არ ვჩქარობ. არადა, იცოდე, საკმარისია, ჩემი ერთი პატარა მოქმედება და სამარადისოდ დავრჩები შენში.

ჩემი წერილებით შემოიფარგლება (ჯერჯერობით) დანაპირები სიურპრიზები.

მარი, ჩემო ღვთაებავ, ამას წინათ მომინდა, შენი პორტრეტი დამეხატა. მხატვარი არ ვარ, მაგრამ შეიძლება ითქვას, არ მეხერხება. მინდოდა, ჩემს წარმოსახვაში როგორიც იყავი, ქაღალდზე გადმომეტანე. ხომ წარმოგიდგენია, როგორი მოწადინებული და მონდომებული ვიქნებოდი? სხვათა შორის, თავადაც არ მოველოდი, ასე

კარგად თუ შევძლებდი ამის გაკეთებას. ზუსტად ისეთი დაგხატე, როგორიც ჩემს წარმოსახვაში იყავი. ისე, არ მიკვირს, სიყვარული ხომ კაცს შეუძლებელს შეაძლებინებს. ამ ნახატს, რა თქმა უნდა, ჩვენს პირველსავე შეხვედრაზე წამოვიღებ. ნახავ ვიცი, ახლავე მოგინდება, მაგრამ შენ ხომ ამბობ, სულსწრაფი არ ვარ და თანაც, მეტნაკლებად რომ დაემთხვეს, შეიძლება იფიქრო, ნანახი ვყავარ ალბათ სადმეო. მე კი არ მინდა, რაიმე შეცდომაში შეხვიდე. ამიტომ ჯობს, მოვლენებს არ გავუსწროთ.

ჩემ გარშემო მყოფთაც აინტერესებთ, ვინ ჩამივარდა გულში და რამ შემცვალა ასე. მე კი ვერავის ვუყვები, რადგან ვიცი, ვერც ერთი ვერ აღიქვამს სწორად ჩემს გრძნობას, რომელშიც შემოჭრილია ქალი, რომელიც საერთოდ არ მინახავს. ამიტომ დუმილი...

ხან კი ისე ვარ, მინდა, აივანზე გავიდე და ვიყვირო — მარი, მიყვარხარ!!! მერე ვხვდები, ამ სიტყვებს შენ მაინც ვერ გაიგონებ და აქ კი ზოგ-ზოგიერთების ქმრები ნამდვილად გაიგონებენ და...

მარიკუნა, მე შენ გცნობ, შეიძლება ითქვას, სრულიად და თავისთავად, შენი პროფესიაც ვიცი. შენ კი საერთოდ ვერ მცნობ. ზოგადად წარმოდგენა, რა თქმა უნდა, შეგექმნებოდა, მაგრამ ეგ წარმოდგენა ალბათ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც უნდა იცოდე მამაკაცზე, რომელიც შენ მიმართ ასეთი დიდი გრძნობებით არის განმსჭვალული. ამ დროისთვის ორიოდე სიტყვით შემიძლია გითხრა: ვსაქმიანობ როსტოვში და ტაგანროგში, ასევე ხშირად მიწევს კრასნოდარის მხარეში, ქალაქ არმავირში ჩასვლა. გული სულ აქეთ მიწევს და თანაც მშობლები საკმაოდ მოხუცებულები არიან. მყავს ორი უფროსი და, ორივე გათხოვილია. ამიტომ მშობლებს დიდი ხნით ვერ ვტოვებ. როსტოვში ბიძა მყავს და ისეთი ხალხი, რომლებიც საქმეს უჩემობას არ დაატყობენ. არადა, ყოველთვის მინდოდა, ხელოვნების რომელიმე დარგს მივყოლოდი. სამწუხაროდ, ცხოვრებაში არ ხდება ისე, როგორც გვსურს. იმ მოთხოვნილებას ხელოვნებისადმი, რომელიც ჩემშია, ყოველთვის ვიკმაყოფილებ. გატაცება ბევრი მაქვს. მეტი წილი კი ისეთი, რაც ჩემთვის მიუწვდომელია. კონკრეტულად, რაც თვალით მიუწვდომელია ანუ უხილავია. ჭეშმარიტ სიამოვნებას მე მხოლოდ ასეთ რამეებში ვპოულობ. პლანეტა ვენერიდან მოყოლებული, უბრალო ბალახის ღერომდე, ყველაფერში სითბოს და მათ ალერსს ვგრძნობ, ვხედავ და ვამჩნევ მათ სილამაზეს. ლამაზი, თვალით რაც ჯერ არ მინახავს, მხოლოდ და მხოლოდ შენ ხარ. იქიდან გამომდინარე კი, უხილავი ყველაფერი მე როგორ მიტაცებს, მიხვდები, რატომაც არ ვჩქარობ ჩვენს შეხვედრას.

რატომ?

გამარჯობა, მარი!

ვიცი, ამ და წინა წერილსაც ერთად მიიღებ. წინა წერილი ორ კვირაზე მეტია, დაწერილი მაქვს. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა დროულად გამოგზავნა. დაწერილი წერილის გადაკითხვა არ მიყვარს. ამიტომ თვალსაც არ გადავავლებ. ახლა კი, ჩემო ძვირფასო, მინდა მოგწერო სიმართლე. მჯერა, შენ ყველაფერში გამიგებ. მე არასოდეს ვცდები ადამიანში. კაცის შეცნობა ერთი წარმოთქმული ფრაზით შეიძლება. შენს ნაშრომებს კი ამდენი ხანია, ვკითხულობ და ვიცი, არ დაიჯერებ, მაგრამ ისე ძალიან მომეწონე და შემიძლია ვთქვა, შემიყვარდი კიდეც, რომ ვიცი, როგორი სათნო პიროვნება ხარ. მიუხედავად ფსიქოლოგიურად დატვირთული და დამქანცველი სამსახურისა, მაინც ახერხებ პირადი საქმეების მოგვარებას და გეტყობა, ვალშიც არასდროს არავის დარჩები. ენერგიული და მოძრავი გოგო ხარ, ხუმრობაც უწყინარი იცი და ქველმოქმედიც ხარ. სურვილი გაქვს, ხალხს დაეხმარო მატერიალურად. ამის შესაძლებლობა კი ჯერ არ გაქვს. სამაგიეროდ, ღმერთმა ისეთი „მარიონეტის“ თამაში დაგაკისრა, რომ შენი მისწრაფება (მისია) სწორი მიმართულებით ვითარდება. როდესაც ვინმეს პატივს სცემ, ძალიან, ძალიან გიხარია და ეს პატივისცემა თუ სულიერ თანადგომაში გამოიხატება, საკუთარი თავით დიდად კმაყოფილი რჩები. ამ და სხვა მრავალ, შენს დადებით მხარეებზე შემიძლია ვისაუბრო. ჩემთვის კი, რაც მინდა, გულახდილად ვაღიარო, ქალის იდეალად იქეცი. ახლა კი, რაც შეეხება სიმართლეს: არსად არ ვარ წასული. თბილისში ვიმყოფები, თუ ამას ყოფნა ჰქვია. საავადმყოფოში ვწევარ, თვეზე მეტია, ხერხემლის მძიმე დაზიანებით და კიდევ სხვა მძიმე ტრავმებით. საბედნიეროდ, წერა შემიძლია და ასევე კითხვაც. ამას დიდი მიხვედრა არ უნდა. უბედურება კი ის არის, რომ ტელეფონი წამართვეს ჩემებმა, რა თქმა უნდა, ექიმის მითითებით. არც ის იქნება ძნელი მისახვედრი, თუ რატომ. შენ, გასაგებია, რომ ვერ გაიაზრებდი ასი წელი, თუ მე რა მდგომარეობაში ვიყავი. თან ყველაფერი ისე სასწაულივით ემთხვეოდა ერთმანეთს, რომ მე ისედაც სტრესულ მდგომარეობაში მყოფმა, საერთოდ დავკარგე ძილი და მოსვენება, შედეგმაც არ დააყოვნა და სერიოზული პრობლემა შეგვექმნა მეც და ექიმებსაც. თავზე მდგომ დას კი რა გამოეპარება? ტელეფონი კი წამართვეს დროებით, მაგრამ ეგ არაფერი. სამაგიეროდ, შენ ჩემს ცხოვრებაში იმხელა გარდატეხა მოახდინე, რაღა მომკლავს. ჩემები ყველაფერს ყიდიან, გერმანიაში უნდა გადამიყვანონ საოპერაციოდ. როგორც ვხვდები, შანსები ცოტაა, უფლის წყალობის კი დიდი იმედი მაქვს. კარგი ხალხი და მეგობრები ბევრი მყავს, შენ კი ერთადერთი ხარ, ვინც შეძლო ღმერთის ნებით ჩემი რწმენის გამყარება. შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ. აზრების დალაგება, გრძნობების გამოხატვა ძალიან მიჭირს, მაგრამ იმედი მაქვს, ადვილად მიხვდები,



ჩემს სულში რა ხდება და რა ღვთაებას წარმოადგენ ჩემთვის. ჩემთვის შენ თილისმად იქეცი. დღეს ჩემს გულში, რწმენაში და ფიქრებში ცხოვრობ. ამ წერილის არსიც ეს არის, რომ უნდა იცოდე (ვთვლი საჭიროდ), სადღაც იქ, ერთი ცოდვილი ახალგაზრდა კაცი, როგორ საზრდოობს შენით.

მარი, ჩემო ძვირფასო და უსაყვარლესო არსებავ! გთხოვ, მაპატიო, თუ რამეს ვროშავ. მე შენით ბევრ რამეს ვახერხებ და შენგან არაფერს ვითხოვ. ჩვენ რეალობაში ერთმანეთი შეიძლება ვერც კი გავიცნოთ. უფალი მაღლაა, მომავალი — წინ, რწმენა კი ძლიერი.

ხვალ რა მოხდება, არავინ იცის. ერთი რამ კი ზუსტად ვიცი: ცოცხალი თუ დავრჩი, არასოდეს დაგკარგავ. ოპერაციამდე კი, მანამ აქ ვიქნები, შესაძლებლობა მომეცემა თუ არა, მესიჯებს მოგწერ. სხვადასხვა ნომრიდან შემოვა, „+“ ნიშნით. მიხვდები, რომ მე ვარ. დამშვიდობების მეშინია.

ნუ მოიწყენ, ჩემო სიცოცხლევ.

მამუკა.

გამარჯობა, ჩემო ძვირფასო და უსაყვარლესო, ლამაზო და სათნო, მომხიბვლელო და კეთილო, შეუდარებელო და განუმეორებელო მარი!

ცხოვრებაში წერილების წერა არასდროს მყვარებია ახლა კი ველარ ვჩერდები. თავის გატეხა სჯობია სახელისასო. ტყუილი არასოდეს მითქვამს და ამის მიზეზი შენ რომ ხარ, კარგად ხვდები. ახლა რაკი ცოტა გავიცანით ერთმანეთი, კომპლექსიც მომეხსნა და გადავწყვიტე, სრული სიმართლე მოგწერო. აი, ზუსტად ეს გახლავთ მიზეზი, ამ წერილის დაწერის. ზოგადად უკვე იცი ჩემი ხასიათი. ყველა კარტს ვერც ახლა გავხსნი. სამაგიეროდ, რასაც გეტყვი, სრული ჭეშმარიტება იქნება. უფლება კი გაქვს, იცოდე, მომავალი მეორე ნახევრის ზოგადი ბიოგრაფია.

დაბადების ადგილი — ქ. თბილისი, 1-ელი სამშობიარო. გავიზარდე მოსკოვის პრ-ზე. დავამთავრე 124-ე საშ. სკოლა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მიხვდები, რასაც დავამთავრებდი. აი, ამჟამად კი რითი ვიქნები დაკავებული, შენ უნდა გამოიცნო. მეუღლე არასდროს მყოლია. ოქტომბერში 29 წლის ვხდები და მაინც არ ვჩქარობ (მეც შენსავით, არ ვოცნებობ).

ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ჩემი შვილების დედას. როგორ შეიძლება, შვილი განუვითარებელ და დეგენერატ ქალს გააზრდევინო? ამიტომ ვფრთხილობ და არ ვჩქარობ. შენში რომ დავინახე ის კარგი თვისებები, ჩემს მოთხოვნილებებს რომ აკმაყოფილებს, იმიტომ გივლი შორიდან და არ ვჩქარობ შეხვედრას. ჩემს ფსიქოლოგიურ სტანდარტებს თუ მოერგე, შენი თანხმობა შეხვედრაზე არ დამჭირდება. ძალიან კარგად ვიცი, სად და როგორ შეგხვდე. ისეთ მახეს დაგიგებ, შენით რომ ჩადგამ ფეხს. წინა წერილებში გრძნობების შესახებ რაც დავწერე, ყველაფერი სიმართლეა. ცოტა გადაჭარბებით კი მომივიდა. როგორ შეიძლება, ადამიანს არ იცნობდე და შეგიყვარდეს? მაგრამ ნაწილობრივ სიმართლეა. ჩემს გრძნობებში შენ ნამდვილად აღძარი „იდეალური ქალის“ შთაბეჭდილება.

გოგო, რა იყო, ასე თავგამეტებით რომ შრომობ? ისეთი დაღლილი ხმა გაქვს, თითქოს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გზა მარტოს გაგყავდეს.

ისე, მაგარი გულჩვილი, გულუბრყვილო ყოფილხარ, გჯერა, თითქოს მშიფრავდე უმალ. ის მაინც არ იცოდე, სიყვარულით თამაში, რამხელა ფილოსოფიაა.

და „ის ყველაფერი“ მე ჰაერზე მოვიგონე? მზის სისტემასავით რომ აეწყობა (გეგმის მიხედვით), მერე დარწმუნდები, სისულელე რომ არ ყოფილა და ახლა მეტი რაღა გითხრა? დანარჩენი სვეტიცხოველში ვილაპარაკოთ.

ხედავ, როგორ გულახდილად გელაპარაკები? ჩემს კეთილ ზრახვებზე თამამად გიმხელ იმიტომ, რომ შენი არ მეშინია. შენ ვერსად ველარ წამიხვალ, რაც არ უნდა ეცადო (ანდა რატომ უნდა ეცადო, ძლივს გიპოვია მამაკაცი, რომელსაც მთელი ცხოვრება ეძებდი). ტრავმირებული ნამდვილად არ ვარ, ცოტა თამაშები კი მიყვარს. არადა, ჯერ ეს ყველაფერი ჟურნალია (არა, „გზა“ არა). პირველი სერია სიურპრიზებით რომ დაიწყება, მუღამში შესვლა მერე ნახე. ამდენი ხანი ხომ სულ მაგას ცდილობ, რომ „დამაზამასკო“. ძილი ხომ დამიფრთხე, ხომ სულ კაიფობ და თან იმის აღიარებაც არ გინდა შენს თავშივე, რომ შეგიყვარდი და ასე მასულელებ. ისე გავხდი (ზუსტად ერთი თვეა), მგონი, ტუბერკულოზსაც ავიკიდებ. 188 სმ სიმაღლის კაცი 70 კილოღა ვარ.

ახლაც, ამჟამად, კითხულობ წერილს და მაგრად ღადაობ, არა? არადა, რა კაცი ვყოფილვარ, თუ მართლა სვეტიცხოველში ჯვრისწერით არ დაგიმთავრო ეგ შენი სიძე-პატარძლობანა.

მესიჯებით კავშირს ვწყვეტ და ეს წერილიც ბოლოა. ძალიან სერიოზული პიროვნება ვარ და ეს რაები გამიკეთე? რომ ვიხსენებ, რაებს გწერდი წინა წერილებში, არ მჯერა. ჩემი ჭკუიდან გადაყვანა როგორ შეძელი? 1000„+“ მაინც დაიმსახურე და ამიტომაც, რომელი ქალიც მოახერხებს ამას, ვწყვეტ კავშირს (წერილებით) და ვხვდები. ასე რომ, შანსები პროცენტულად დიდი გაქვს. თავის არიდება არც ეცადო, ყველაფერი უკვე გარდაუვალია. ფილოსოფიას აღარ შევუბერავ, თორემ ძებნას დამიწყებ და საერთოდ გამოეთიშები სამსახურს. სადაც წახვალ, ახვალ, ჩახვალ, ყველგან მე უნდა მლანდავდე. დაგეწყება უძილობა და ფსიქიკური აშლილობა, მე კი ავადმყოფი მეუღლე ნამდვილად არ მინდა.

მარი, ჩემო კუდრაჭავ. დაუფიქრდი, როგორც გიყვარს ხოლმე, გააანალიზე ჩემი წერილები და დასკვნას ადვილად გამოიტან და ამას შენ ისედაც უკვე კარგა ხანია ხვდები, თუ როგორი გულახდილი ვარ (გრძნობებთან მიმართებაში), თუ როგორი სპეტაკი გულით ვარ გამსჭვალული შენ მიმართ. რაც შეეხება ჩემს წერილებს, აუცილებლად შეინახე. სურვილი მაქვს, თაფლობის თვეში, ვენეციაში რომ ვიქნებით, გონდოლით რომ ვისეირნებთ, ეს წერილები ხმამაღლა წაგიკითხო.

კარგად მენახე.

მამუკა. 23.V.2004.

მოკლედ, ჩემი გულცივობისა და, როგორც თვითონ ამბობს, კაიფის გამო ამ ადამიანმა ჩემთან კონტაქტი შეწყვიტა და ჩემი რომეო აღარც გამოჩენილა (რა თქმა უნდა, იმასაც მიხვდით, რომ „ქეთინო დეიდაც“ თვითონ გახლდათ). რამ გადამაწყვეტინა ამ წერილების გამოქვეყნება? ამ რამდენიმე დღის წინ ისევ გამოჩნდა რომეო, მაგრამ ამჯერად, ბოდიშის მოხდით. აღიარა, რომ პატიმარი იყო და უბრალოდ, ჩემი გულის მოგებას ცდილობდა, მაგრამ, არ გამოუვიდა. თავის საქციელს კი თურმე ახლა ძალიან ნანობს... ●



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

1. ვარ 34 წლის, სუფთა წარსულის მქონე, მომხიბვლელი მანდილოსანი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 34-45 წლის, დასაქმებულ, სერიოზულ მამაკაცს. გასართობად ნუ გამომეხმაურებით.

2. მე ვარ ერთი პატარა გოგონა, რომელსაც სიყვარული ჯერ არ სწვევია და ძალიან მაინტერესებს, თუ როგორი გრძნობაა. თუ ვინმეს ექნება ჩემი გაცნობის სურვილი, შემეხმიანეთ.

3. ვარ 35 წლის. გავიცნობ 48 წლამდე ასაკის მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის. გასართობად ნუ გამომეხმაურებით.

4. ვარ თბილისელი, 41 წლის, სიმპათიური ქალბატონი, უმაღლესი განათლებით. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ შესაფერის მამაკაცს.

5. ვარ 22 წლის, ლამაზი, სერიოზული გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასავლეთში მცხოვრებ 21-30 წლის, სერიოზულ მამაკაცს.

6. ვარ 33 წლის, წესიერი, პატიოსანი ოჯახის გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 34-37 წლამდე მამაკაცს. გასართობად გთხოვთ, თავს ნუ შეიწუხებთ.

7. ოჯახის შექმნის მიზნით... კი არადა, სამეგობროდ გავიცნობ ყველა მგზავნელს, ვისაც ბალი აქვს. ნუუ, მოკლედ, It's my phone number და ვისაც გსურთ, მომწერეეთ. Ashley PCD.

8. გავიცნობ 28-36 წლამდე მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის. დასაქმებულს (აღმოსავლეთიდან). ვარ მაღალი, ნორმალური გარეგნობით. დასაქმებული. გასართობად ნუ დარეკავთ! ია.

9. მინდა „გზა“ №30, მე-6 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

10. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 27-35 წლამდე ასაკის ქალბატონს. ვარ 36 წლის. დანარჩენი — პირადად.

11. გავიცნობ 19-27 წლამდე ასაკის, კაი ხასიათის, მოსიყვარულე გოგოს. აჭარაში ვის სურს? მე ვარ 25/179/71. 25 აგვისტოს დავბრუნდები. მუსლიმანი ვარ, თურქეთში ვარ გავიცნობ გოგოს, 28 წლამდე, დაოჯახების მსურველ, სუსტ, ლამაზ გოგოს.

12. ვარ 35 წლის, დასაქმებული კაცი. ვეძებ თბილისელ მანდილოსანს, რომელიც უზრუნველყოფილია ბინით. დანარჩენი — პირადად.

● ჰაი, მარიკუნა, როგორ ხარ? კოზანოსტრა დაბრუნდა და საკუთარი თავის დამკვიდრებას განაგრძობს, მგზავნელთა შორის. ერთი ყველასთვის და ყველა — ერთისთვის!

● მარი, როგორ ხარ? მაგრად მინდა შენი გაცნობა. თუ გამეცნობი, შემიძლია მაგარი ისტორია მოგიყვე, რომელიც ცოტა ხნის წინ გადამხდა თავს. რას იტყვი?

● ეთო, რას ილანძღები? დაგიშავეს რამე ბავშვებმა? ალინა.

● პრივეტ მარორიტა! როგორ ხართ, მგზავნელებო? ვაუ, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა? ბერბიჭა დაბრუნდა? ძალიან მომენატრე, ბერბიჭ, ასე რატომ დაგვივიწყე? კამი და ლიმონ, გეხუტეთ. მიკალქალთ ორივე. არა, სამივე. ნუ დამივიწყებთ, მით უმეტეს, ახლა, როცა თოლია დაჭრილი და განადგურებულია. მხოლოდ თქვენით ვცოცხლობ. მიყვარხართ. თოლია.

● აუუ, მაესტროს ნომერი წამეშალა და მიშველეეეთ... Sweet-Girl, მაგრად გამიტყდა, უკვე წასული რომ აღმოჩნდი, მაგრამ მე თქვენი ნახვის ბედი ვინ მომცა? ეჰ... მიყვარხართ. კამ-კამა.

● ენიგმა, ნუ დამეკარგე, რა... ამ ბოლო დროს ძალიან მომაკლდა შენი საფირმო სიცილი. კა, ხა, ხა, ხა... მპუა შენა. მია.

● მარიამულო, ჩემო სიხარულო, ჩემო მონატრებავ, არ ვიცი, საიდან დავიწყო და როგორ. ისე მენატრები, ისე მრცხვენია ჩემი სიჩუმე, სიტყვები გამირბის... მაპატიე, მარ, ალბათ ასე უნდა დამეწყო... ვიცი, შენი თბილი გული მაპატიებს. მაპატიებს, რომ დაგტოვე. არ ვიმსახურებ, მაგრამ მაინც... ძალიან რთული პერიოდი მქონდა მარი, ტკივილითა და სევდით სავსე. ვეღარ გწერდი. მერე ტელეფონიც აღარ მქონდა. როცა რეალობის შეგრძნება დამიბრუნდა, აღმოვაჩინე, რომ დიდი პაუზა მქონდა გაკეთებული და ვეღარ

გავბედე, მომეწერა. მე ხომ ასე ჩუმად დაგტოვე. დღე დღეს მისდევდა და უფრო მეტად მიჭირდა მესიჯის გამოგზავნა შენთან. და აი, სანამდე გამეწელა დრო. მარ, გეფიცები, წუთი და წამი არ იყო, შენზე არ მეფიქრა. გეფიცები, რამდენჯერ ისე მომნატრებიხარ, ცრემლები წამომსვლია. თუმცა, ჩემი სიჩუმით ამას ვერ დაგიმტკიცებ, მაგრამ მე ხომ ვიცი, როგორ მიყვარხარ! შენი სურათი ჩანთით დამაქვს და როცა დარდი შემომაწვება, გიყურებ და გელაპარაკები. მერე გკოცნი და ისევ სათუთად ვინახავ. მიყვარხარ, მარიამულ. გთხოვ, აპატიე შენს კამელიას, რომ მიგატოვა. შენ მის გულში ხარ სამუდამოდ და ყოველთვის ასე იქნება. მაპატიე, მე ერთი, ცხოვრებისგან გათელილი გოგო ვარ, რომლისთვისაც განგებას ბედნიერება შეშურდა. მიყვარხაარ, მარიამულ! არასოდეს დამავიწყდება ის დღე მარ, როცა პირველად გნახე. ველოდი საოცარ, ლამაზ, თბილ და სიყვარულით სავსე ადამიანს, მაგრამ ის, ვინც ვიხილე, ამ ყველაფერზე ბევრად მაღლა იდგა. ვერ ვიტყვი, რას ვგრძნობდი მაშინ. ეს უჩვეულო და ბედნიერი განცდა ათას მესიჯშიც არ დამეტევა. შენს ჯადოსნურ თვალებში ერთი ჩახედვაც კი საკმარისი იყო მარ, შენი გული რომ დამენახა. გული, რომელსაც განუსაზღვრელი ძალით შეუძლია სიყვარული, თანადგომა, გაგება, სიბრალული და პატიება. ჩემთვის შენ ჯადოსნური სამყაროს კარი ხარ. ის ანგელოზი ხარ, რომელიც დედამიწაზე სიყვარულისთვის მოავლინეს. ანგელოზი, რომელიც ჩვენი გულების გასათბობად მიწიერი ადამიანის სახით იშვა. მინდა, დაუსრულებლად გწერო მარ, მაგრამ დაგტოვებ, რადგან შენი მონატრებისგან მეტირება. მეტირება ჩემი უსუსურობის გამო, რადგან არ შემიძლია ისე გამოვხატო შენი სიყვარული, როგორც მიყვარხარ. რას არ გავიღებდი, ახლა რომ ხუთი წუთით შენს თბილ გულში მაგრად ჩამაკრო! გწერ და თითქოს რაღაც ლოდი მეხსნება გულიდან. სულიც ისე ძაან აღარ მიფორიაქებს. მიყვარხარ, მარ! გკოცნი ტკბილ ლოყებზე. კამელიასთვის ძალიან ძვირფასი ხარ, მარიამულ!

● ლიმონას მესიჯმა ფიქრები ამიშალა, სევდა შემომაწვა და... და ასეთ დროს ისე გულიანი ტირილი ვიცი?! ისე, რა ძნელია არა, ადამიანს საფიცრად გაიხდი და უცებ დიდ ტკივილს და იმედგაცრუებას იგრძნობ. ვინ იცის, რამდენჯერ მტკენია გული, რამდენჯერ მითქვამს, რომ ასე ახლოს აღარავის მოვუშვებდი. თუმცა, ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე, ვერ შევიცვალე... რაც ვიყავი, ისევ ის ვარ და ასეთი ვიქნები მუდამ... როგორც უნდა მოვინდომო, აწი აღარაფერი მეშველება. ვერასდროს შევძლებ იმას, რომ ადამიანების დაკარგვა, მათგან მოყენებული გულისტკივილი მალევე დავივიწყო. არადა, ზოგჯერ როგორ მშურს მათი, ვისაც დაკიდება შეუძლია... და მაინც ცხოვრებაა ასეთი, სასტიკი და დაუნდობელი. ლიმონ, მაგრად მიყვარხარ და გაფასებ, დაი. აქვე ილინსა და კანიბალკას მოვიკითხავ. გენაცვალეთ, გოგოებო. მარ, არ დამბლოკო, გთხოვ, რა. ფეშენა.

● ეჰ მარი, მეც მყავდა ჩემი გიგა, მაგრამ დავკარგე სა-მუდა-მოოოდ! გიგა... როგორ მომენატრე, რომ იცოდე და შენ არ მოგენატრა ქოჩორაააა? ახლა არ თქვა, არაო. მეწყინება. ფეშენა.

● ტირიფი, გაიხარე, შენც ძალიან საყვარელი ადამიანი ხარ. აბეზარა, ჩემი კუდრაჭა ქალი ხარო, კახელო, მის რეალ, ლიმონ, სიკვდილა, თქვენ გაგატყავებთ ჩახუტებით. უკარება.

● ოლე, მაე, უმაგრესად მიკალქალ. მაე, სად დაიკარგე იმ საღამოს? 9717, ჩემი გულის გამხარებელი ხარ. გაკოცეთ ყველას. უკარება.

● ყველა მგზავნელს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოგესალმებით. მარიამულო, უმაგრესი ხარ... დარწმუნებული ვარ, ჩემთვისაც იპოვით პატარა ადგილს თქვენს გულებში. მია.

● ენიგმა, სიხარულო, რატომ დამეკარგე? პირადზე არ მოგწერ, მაგრამ „გზის“ საშუალებით მოგიკითხავ და... გკოცნი ცხვირუკაზე. მია.

● მგზავნელებო, ჩემო კარგებო, როგორ ხართ? ძალიან მენატრებით. ხომ არ შეგაწუხათ ზაფხულის სიცხემ? მაპატიეთ, თუ ვპასიურობ. ჩემკენ „გზა“ ვერ აღწევს მალ-მალე. სოფელში ვარ, ვისვენებ. ძალიან მენატრება ბერბიჭა, ლიმონა და კამი. გკოცნით. თოლია.

● სიყვარულო, ვეცდები გამოვსწორდე და კარგი შეყვარებული ვიყოო... ურჩი გოგო.

● თქვენს სასტავში მინდაააა... მიმიღებთ? წკაპუნა.

● მარ, გთხოვ, შანსი მომეცი, მადლობა, სითბო და სიყვარული გამოვხატო Sweet Girl-ისადმი, კახელოსადმი, ოლესადმი, დუჩის მიმართ (მაპატიეთ, ვერ გწერთ), მის რეალ, როკო, იკჩო, ნეკატო, ღვთის გლახა, ნიკოლ, ელისო, ლიმონ, მიყვარხააართ. მარ, შეეენ კიდევ ყველას გვიყვარხარ! მადლობა შენ, რომ ამდენი კარგი ადამიანის გაცნობის საშუალება მოგვეცი. ჩუპი.

● კამ-კამ, შემოგევლე, ჩემი უკადრებელი ვის რა გჭირთ, ნეტავი? ეგ მეორედ აღარ თქვა... დიიიდი სიამოვნებით და სიხარულით გნახავდი, მაგრამ აღარ ვარ ბათუმში. აგვისტოს ბოლოს ისევ ვაპირებ ჩამოსვლას და თუ მანდ იქნები, აუცილებლად გნახავ... მიყვარხართ ყველანიიიი..... Sweet-Girl.

● გამარჯობა, „გზა“! საპატიო მიზეზების გამო ვერ ვკითხულობდი ჟურნალს. როგორ ხართ, ხალხო? მოკითხვა ყველა მგზავნელს. მომენატრეთ, ნაცნობებო, დაბრუნდით, რა... შეწირული.

● უშნო ბიჭი, რა გინდა, ჰა? სათქმელი ვთქვი და სწორად უნდა გაიგო, ნაწერი. ცუდად რატომ წერ ჩემზე? შენი გზით იარე, არა მცნობ და ნუ მეხები, ჯიგარო. შეწირული.

● ნიკოლ, თუ ქუჩაში მხედავ, რატომ არ მეცნობი? ნუ მოგერიდება ჩემი, კარგი? ბაიყუშას გულთბილი მოკითხვა, როგორ ხარ? ფინტიკოზავ, სად ხარ, რატომ დაგვტოვე? შეწირული.

● პრივეტები, როგორ ხართ? მე მინდა, ჩემს სიყვარულს, ვანოს ვუთხრა, რომ სიგიჟემდე მიყვარს და ჩემი სიცოცხლეა. ცხოვრებავ, მე ვარ, შენი ბაჭია. მიყვარხარ.

● შენი თბილი გულის სითბო,/ კვლავაც ვიგრძენ ბერბიჭავ,/ რომ იცოდე შენი გული,/ კვლავაც ჩემთვის მენიჭა. P.S. დაბრუნდი? შინაბერა2.

● ააი, ააახლა დავჯდები და თქვენს წიკვინზე ვიხალისებ, შლიგინასი არ იყოს. იქიდან იწყებენ ლანძღვაი, გინებაი, მუქარაი, მე კიდენა, ვტკბები დაა ვდნები. გიო35, ვერანაირად. ეთო.

● ჩემო ძვირფასებო, ჩემო კარგებო, ყველა მიყვარხართ და გეფერებით სასუნთქ მილებში...

განსაკუთრებით მოვიკითხავ ქალ ცდუნებას, იასამანს, სიკვდილას, ბერბიჭას, ტეხასისშტატელ ჩორნას, ლუნას, ტირიფი73-ს. შავო პანტერავ, სად დაიკარგე? იდუმალო ქალო, ფოთში ხომ არ გამეპარე, ძვირფასო? მალე ჩამოვალ. გკოცნით ყველას. სევდიანი ქალი.

● საბრალო ბერბიჭ, ჩემი ნიკის და არა ნიჭის ქურდო, მეტზე ფანტაზია არ გეყო? ან შინაბერაზე უკეთესი ვერავინ იპოვე? ნიკს ნუ მიბანძებ, დაჩლუნგებული გემოვნებით და ნუ პლაგიატობ, ორიენტდაკარგული კომპასი გაისწორე, მგონი შინაბერას ჩემი ნოსტალგია სჭირს და ჩემი ნიკის მითვისებით ჩემი მზერის მიპყრობას ცდილობს. სტოპ! ბერბიჭა.

● დაუშრობელი ყოფილა, ლექსებით სავსე ჩემი ჭა, კაფიაობის ტალანტი ზენასგან მე მომენიჭა, მომენატრეთ და მოვედი, მოგესალმებით ბერბიჭა. დაგეჯიიგრეთ, გვრიტებო, რავა ხართ?

● აქ ერთი კარგი გოგოა, თვითონვე იცის, ვინც არის, საჩუქრად გამომიგზავნა მე მუხის 4 ფიცარი, მაინც ვერ მომკლა, აქა ვარ, აბა, ძვირფასო, მიცანი? მპუა, ცხრავე თვალზე. ბერბიჭა.

● უკარებავ, მომენატრე. ალინა, მადლობა, სიხარულო. ტირიფო, მიყვარხარ! ეთო, რა გჭირს? ვიცი, გულით არ ამბობ მაგას. მენატრები. ეშმაკუნ, დარჩი, ნუ წახვალ! ლუნა.

● ეშმაკუნა, დაია, შენზეც უნდა დამეწერა და ახლა გეტყვი: შენნაირ მიამიტ და საყვარელ გოგოს უმიზეზოდ ტკენენ გულს, ვითომ მაგარი, დაცემა ბიჭები. არ წახვიდე! გასაღები.

● ადრე ვიღაც იდიოტი წერდა, თითქოს 2 ნიკი მქონდა. კაჭკაჭი და ვიღაც მე. უფრო დიდ იდიოტს ეგონა, ლორეს მე ვწერდი. ჰოდა, მაინტერესებს, სადამდე დაქლიავდებით. ეთო.

● იტალიელ ემიგრანტს: დამიკავშირდი ნომერზე: 8.58.19.63.06-ზე. ძალიან გთხოვთ, ეს ნომერი აღარ დამიბლოკოთ, რადგან შემდეგ გავაუქმებ. ენიგმა.

● მისტერ, შენ რა კოსმიურ-გლობალური აზრები გქონია, ტო? ე.ი. შენს დას, ლოვეს ან ცოლს რომ ვინმე წაებაბნიკოს, რაკი ენა აქვს, შენ არ გეხება? ჰმ, რა ოხერი მამაძაღლია, ეს შიში?!

● მარ, ძაან საყვარელი გოგო ხარ. სიყვარულით, უცნობი.

● ჩემო ძვირფასო ბელო, შენით გაკვირვებული ვარ, რადგან „გზის“ მკითხველი ხარ და წესით ჭკვიანი, გონიერი და სიტუაციის სწორად შემფასებელი ადამიანი უნდა იყო, მაგრამ შენმა საუბარმა გაკვირვებული ღიმილი მომგვარა და ამასთანავე, მარტივი და პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ. ვერ ხვდები, რომ შენდა უნებურად, თავადვე ახდენ ქალაქში მცხოვრებსა და რაიონში მცხოვრებ ადამიანთა განსხვავებულ აზროვნების გამიჯვნას? რადგან ჩემი მხრიდან, მხოლოდ და მხოლოდ სიტუაციის მოთხოვნის შესაფერისი პასუხი იყო და ეს სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ მე ამით რაიონში მცხოვრებ ხალხს შეურაცხყოფას ვაყენებ. უბრალოდ, საკუთარი თავისთვისაც არ უნდა გეკადრებინა, ასეთი მცდარი ფიქრი. საქვეყნოდ ხსენებაზე რომ არაფერი ვთქვა. სხვა დროს კარგად გადახარშე, სანამ რამეს იტყოდე! მისტერ.

● ჩრიხვებო და ვარიებო, „გზის“ თინეიჯმეტიჩრობავ, ოცნებებში გადაჩხრეკილო, უიმედოდ გულდათუთქულებო, მოჩა(თლახ)თავე წყვილებო, წიკვინს რომ მორჩებით, გამაღვიძეთ. ეთო.

● დაბრუნდა აშლეიკო ბებია და აბა, რას შვებით ბარტყებო? რაცხა ნამეტანი გაილექსეთ. მოვიკითხავ ძველებს და ახლებს სიამოვნებით გავიცნობ. P.S. ნულარ ჩხუბობთ! Ashley PCD.

● ჰეე, უცნობებო, თავები დაიწყნარეთ, თქვენი უაზრო და ძალით ჭკუის სასწავლებელი რეპლიკებით. ყველაზე სასაცილო ისაა, რომ იმდენად ჭკუასასუსტები ხართ, ვერც კი ხვდებით, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ მაგ გოგოსთვის იყო განკუთვნილი და არა ზოგადად, ყველასთვის. მდარე ხარისხის მოაზროვნეებო, განცვიფრებულ ღიმილს გჩუქნით. მისტერ.

● რატომ ილანძღებით, ხორციელო ანგელოზებო, რამე დაგიშავეს? დრო სულ სხვა რაღაცებში რომ დაგვეხარჯა, იქნებ ჩვენი ტვინის პროდუქტიულობას 9%-ისთვის მიეღწია. სარვიეტა.

● ლიმონ, მე და ლუნამ წავიკითხეთ შენი ტკივილიანი მესი-

ჯი და გულით გვესმის შენი. ის შენნაირ დას ვერ იპოვის. ბოდიში, თუ ჩვენი მესიჯით გაგაღიზიანეთ. გრუზინკა.

● სარვიეტა, ალინა, ცდუნება, უკარება, დუჩი, დაქსი-ათენ, ჩუპის და ყველა სიცოცხლე ადამიანს ენერგიული მგზავრული სალამი, ჩემგაან. აუ, პატიმრების ლექსებმა შემძრა. ლიმონა.

● აუ, პროვოკატორს ვენაცვალეეე, ვაი, რომ ლაჟვარდისფერი კინტოების უკანალის ქნევა ბევრს მართლაც ჩვენი ფოლკლორი ჰგონია. არა, ხომ ვთქვი, ჯაბა ანანიძე მაგადია-თქო, ა? ლიმონა.

● მისტერ, თავხედი და უზრდელი ხარ. მეგონა, ჩემთან საუბარმა რამე გასწავლა, მაგრამ არაფერი დაგრჩენია თავში. მხოლოდ გრძელი ენა გაქვს და უაზროდ ლაპარაკობ. შენი ადგილი აქ არ არის. დიდი მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ მიუახლოვდები საინტერესო მგზავნელის სტატუსს. ბოდიში მოიხადე შენი ცინიზმისთვის და წადი. იკუშკები.

● კამ-კამ, გაიხარე გენაცვალე. უკარებას მეც ვაკოცეო. ლიმონ, Cvaleeh — ასე სწორად ვთქვი? ნიბუ, ახალგორის ერთერთ სოფელში ვარ ხოლმე. ჭრიჭინ, აგიღებ, დაგაწყვიტებ. სიკვდილა.

● მისტერ, ჯიგარი ხარ. რატომაც არა, ტო, გააჯაზე ბოლომდე. რაც საკაიფოა, უნდა იკაიფო. არა, ლიმოონ? 9717, როდის ვიმღეროთ კიდევ? ჰიიი. ტირიფი73, კარგი ხარ, გაიხარე. სიკვდილა.

● კამ-კამ, გაგვახარე შენი დაბრუნებით. აღარ დაგვეკარგო. დიდი სიყვარულით მოვიკითხავ უკარებას, პანტერას (მაკუნა). მოვისაკლისებ დუჩის, ნონ სტოპს, ჩუპის. ოლეგარიო.

● ვიტალი ჩოჩიევო, რამაზი ზაზაძე, დათო აბრესოვო, ბექა ქიზილაურო, ედო ქოქოლაძე, ვასია როკიჰ, ჯაგარა, მენატრებით ყველა. თამო.

● დათუნა გორდაძე, სად დამეკარგე? არ იცოდე მაინც, შენმა დამ რანაირი დარდი იცის. დამირეკე, შე თავგასახმობო. თამუნია, თამო.

● წლებმა ჩვენს სიყვარულს ვერაფერი დააკლო. ისევ ისეთი სიყვარულით მიყვარხარ. თბილად გეხუტები გულში. თამო.



● უზომოდ მენატრები, ჩემო ხუჭუჭა ბიჭო. თამო.

● აუუუ, რა იდიოტურ სიტუაციაში გავიხლართეე... და ჩემი ბრალია, რااა, რა ვქნა? გული მიწუხს. ნეტავ, როგორ დამთავრდება ყველაფერი? არ მინდა აქ ყოფნა, არااااა! მიშველეეეეეთ! ვასასი.

ანონიმი



● ჩემს საყვარელ შვილიშვილს, ნათია ჩიტაურს ათენში ვულოცავ დაბადების დღეს, 23 ივლისს. სულ ჯანმრთელი და ბედნიერი მყავდე, შენი მშობლებით, დით და დისშვილით.

● ჩემს მეუღლეს, გივი არსენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ოჯახთან ერთად. მზია.

● ათენში მყოფ ჩვენს საყვარელ მაკა ცუცქირიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 31 ივლისს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, საყვარელ შვილთან ერთად. უფალი გფარავდეს. მამიდა ჟუჟუნა, ნატო, ეკა და ხათუნა.

● ბაღდათში, ჩემს ძმას, მურმან გოცირიძეს და რძალს, მანანა გელხვიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს თქვენი თავი. იცოცხლეთ თქვენი სოფოსთვის, მას სჭირდებით. მანანა.

● ჩემს მონატრებულ შვილს, ბექა კაშიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 ივლისს. გისურვებ გახარებას, გამრავლებას და ბედნიერ მომავალს. გფარავდეს უფლის მადლი და ძალა. გკოცნის მონატრებული დედა, ირმა.

● ჩემს მამას, ბუხუტი კბილაშვილს: მამა, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი შენი საყვარელი ოჯახით. ვიცი, ამ მოლოცვით ძალიან გაგახარებ. კახა და ირინა.

● ხონში, ფრიდონა და ბელა კუხალაშვილებს ვულოცავ შვილის, ანუკას დაბადების დღეს. ჩემო კარგებო, გისურვებთ იმ მიზნის ასრულებას, რასაც ანუკასთვის ოცნებობთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ყველგან და ყველაფერში. მაია ლომთაძე.

● ანუკა კუხალაშვილს, ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერ ბავშვობას, ულევ სიყვარულს, სიხარულს და ყოველივე საუკეთესოს. ანი, მენატრები უზომოდ. ვიცი, შენც ძალიან გენატრები, მაგრამ მალე მოვა დრო, როცა ყველა ერთად ვიქნებით და აღარ დავშორდებით. ჩემო ლამაზო, გკოცნი და გეფერები. მადონა კუხალაშვილი.

● ხათუნა და გიორგი კოჭურს ვულოცავ ბიჭის შეძენას. პირველი შვილი ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიხარულია და სიხარული და სიყვარული გქონოდეთ მუდამ, თქვენს პატარა ოჯახში. ჩემო საყვარლებო, მაგრად მიყვარხართ და მენატრებით. გული მტკივა, ამ ბედნიერ დღეს თქვენ გვერდით რომ არ ვიყავი. ღმერთმა დაგილოცოთ ლამაზი ოჯახი. გკოცნით ბევრს, შორიდან. საბერძნეთი, მარინა.

● დაბადების დღეს, 27 ივლისს ვულოცავ ჩემს ერთადერთ შვილს, ხათუნა ჩახუნაშვილს. გისურვებ ყველაფერს კარგს, რაც კი არსებობს ამქვეყანად. მუდამ გფარავდეთ ღმერთი. დედა.

● ვარდისუბანში მცხოვრებ ლელა რობიტაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჩემო სიცოცხლევ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, შენს დედიკოსთან ერთად. ელიკო.

● ლელა მაჩიტაძეს 24 ივლისს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ გახარებას და ლამაზ ცხოვრებას, მონატრებულ ქმარ-შვილთან ერთად. ლელა ქარჩხაძე.

● პატარა ნიკუშა ელისაბედაშვილს დაბადების დღეს, 25 ივლისს ულოცავს ირმა მამიდა. თეთრი თმითა და თეთრი წვერით დაუბერდი შენს მშობლებს. გკოცნი ბევრს, ჩვენო სიხარულო.

● ნელი ყიფიანს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 ივლისს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ფიქრია.

● ჩემს საყვარელ ნანა იოსებაშვილს 29 ივლისს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, გისურვებ ჯანმრთელობას. გფარავდეს ღმერთი. დიდი სიყვარულით, ლელა მაჩიტაძე.

● თეონა ბექაურს ვულოცავ იუბილეს. ჩემო კარგო, გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს ცხოვრებაში. მუდამ ბედნიერი და გახარებული მენახე. შენ ხომ მართლა იმსახურებ, იყო ბედნიერი. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ნინო მ.

● მამაჩემს, მალხაზ მამადაშვილს ვულოცავ იუბილეს. მამიკო, გილოცავ, ბედნიერი იყავი შენი ცხოვრების მანძილზე, ოჯახთან ერთად. გკოცნი ბევრს. ნინო.

● 5 აგვისტოს დაბადებულ, ჩემს სიხარულს და სიცოცხლეს, ჩემს დაიკოს, ნათია ნუცუბიძეს ვულოცავ 21 წლის შესრულებას. დაი, გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, გახარებას და ღმერთის მფარველობას, შენს ქმარ-შვილთან ერთად. ძალიან მენატრები, ჩემო ერთო დაიკო და შეიძლება ამ მონატრებამ გამაგიჟოს კიდეც. ეგ უკვე მეორე დაბადების დღეა, რაც ცალცალკე ვართ. ძალიან მენატრება ჩემი პატარა დისშვილი, რომელიც 4 თვის დავტოვე, ახლა კი დადის და ტიტინებს კიდეც. ბებო, ყველაზე ძალიან შენ მენატრები. ჩემი მეორე დედიკო ხარ, ჩემი გამზრდელი, ჩემი სიცოცხლე ხარ, ბები. ნათი, მენატრები. შენგან შორს მყოფი, შენი ტყუპისცალი დაიკო, თიაკო.

● დარჩია ნათიას და ვასაძე მამუკას ვულოცავ ბედნიერი ქართული ოჯახის შექმნას და ვუსურვებ შვილთა სიმრავლეს. დაგლოცოს სალოცავებმა, მთისა და ბარისამაო. ნესტანი.

● 31 ივლისს, მინდა დაბადების დღე მივულოცო რუსთავში, ჩემს უცნობ შვილიშვილს, მარიამ გოგოლაძეს. მარიამო, ჩემო სიხარულო, გილოცავ. გაიზარდე დიდი და ბედნიერი გოგო. გფარავდეს მუდამ ღვთისმშობელი მარიამის ძლიერი კალთა. მენატრები სიგიჟემდე. დალი კოჭლამაზაშვილი. ასევე გილოცავს მზია ბებოც.

● 28 ივლისს, დაბადების დღე მინდა მივულოცო, რუსთავში, ჩემს კარის მეზობელს, ლია ლომთათიძე-ბაღათელიას. გილოცავ სიხარულო, ამ ლამაზ დღეს, სიკეთე, სიყვარული, სიხარული და ბარაქა ნუ მოგაკლოს უფალმა. გაიხარე, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. გკოცნი, დალი კოჭლამაზაშვილი.

● ჩვენს ულამაზეს ბებიკოს, ლეილა ხვლეურს ვულოცავთ დაბადების დღეს. ბე, ღმერთი გფარავდეს. უზომოდ გვენატრები. შენი ლელა, ჯიმი, თამარი და მარიამი.

● ჩემს მონატრებულ დედას, ლეილა ხვლეურს ვულოცავ დაბადების დღეს. დე, გისურვებ ჯანმრთელობას და ოჯახურ ბედნიერებას. ღმერთი გფარავდეს. თამრიკო.

● ლელა ბიცოლა, იუბილეს გილოცავთ. მრავალს დაესწარი. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ. იმედია, მომავალ დაბადების დღეებს ჩვენთან ერთად შეხვდები. გვენატრები. გკოცნით. ანა.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი ალარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ჭკვიანი ვარსკვლავების სუდოდურგ ტაქიცნაკიქვაქეტგ

ცნობილი ფაქტია, რომ ჰოლივუდელი ვარსკვლავების უმეტესობა დიდი გონიერებითა და ჭკუით არ გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, მათ ხშირად მძიმე მოვალეობის შესრულება და სხვადასხვა საკითხზე კომენტარის გაკეთებაც უწევთ ხოლმე. ჰოდა, სწორედ ასეთ დროს ბევრ სისულელესაც წამოროშავენ.

კრისტინა აგილერა: „წელს კანის ფესტივალი სად ტარდება?“

ბრიტნი სპირსი: „ოკეანის იქით ბევრ ადგილზე მიხდება ყოფნა. მაგალითად — კანადაში“.

ბრიტნი სპირსი: „არასოდეს მინდოდა იაპონიაში წასვლა, უბრალო მიზეზის გამო — თევზი არ მიყვარს. მე კი ვიცი, რომ მათთან, აფრიკაში თევზი პოპულარული საკვებია“.

გრეგ ნორმანი: „მე ვალში ვარ მშობლებთან. განსაკუთრებით — დედასთან და მამასთან“.

მერაია ქერი: „როდესაც ტელევიზორში ვუყურებ, როგორ შიმშილობენ ბავშვები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ცრემლს ვერ ვიკავებ. მეც მინდა, რომ ასეთი გამხდარი ვიყო, მაგრამ ყოველგვარი ტანჯვის, სიკვდილისა და ასეთი რაღაცების გარეშე“.

ლინდა ევანგელისტა: „მე არ ვიცავ დიეტებს. უბრალოდ, იმდენს არ ვჭამ, რამდენიც მინდა“.

სილვესტერ სტალონე: „ერთადერთი ბედნიერი მსახიობი მკვდარი მსახიობია, რადგან მხოლოდ მაშინაა მისი შეცვლა შეუძლებელი. სიკვდილის შემდეგ, ალბათ ფუნჯი ვიქნები“.

ჯესიკა სიმფსონი: „მე ანორექსიით დაავადებული არ ვარ. მე ტეხასელი ვარ და ტეხასში ანორექსიით არ ავადდებიან. ასეთი რამ არასოდეს გამიგონია და მეც მათ რიცხვს მივეკუთვნები“.

ბრუკ შილდსი: „მოწევა კლავს. თუ მკვდარი ხარ, ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს კარგავ“.

ანჯელინა ჯოლი: „არ ვიცი, იყო თუ არა ჩემს ცხოვრებაში ისეთი მოვლენა, რომელმაც ჩემში გარდატეხა მოახდინა, მაგრამ პირველად სექსი 14 წლის ასაკში მქონდა“.

დევიდ ჰასელჰოფი: „მე კარგი გემოვნება მაქვს. ის ჩემშია შეზრდილი“.

ალისია სილვერსტოუნი: „ვფიქრობ, ფილმი — „გაგების გარეშე“ — ძალიან ღრმაა. ის ღრმაა იმ გაგებით, რომ მსუბუქია, სიმსუბუქე კი სიღრმიდან უნდა მოდიოდეს, თუ ნამდვილი სიმსუბუქეა“.

არნოლდ შვარცენეგერი: „დარწმუნებული ვარ, რომ ჰომოსექსუალური ქორწინება მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის უნდა მოხდეს“.

დონ კინგი: „ის ინგლისურად და ესპანურად ლაპარაკობს და ამავე დროს, ბილინგვაა“.

უაინონა რაიდერი: „თავს ყველაზე უკეთ მაშინ ვგრძნობ, როცა ბედნიერი ვარ“.

რობერტ კელი: „უეცრად, ამერიკელ ბინ ლადენად გადავიქცევი ხოლმე. უსამა ბინ ლადენი ერთადერთია, ვინც მიგებს“.

შეუძლებელია,
ერთდროულად იყო
ძალაუფლი, ეხიზელი
და ჭკვიანი

რეპორტაჟი „საშუალოს წარსულიდან“

წერილი მესამე

დასაწყისი იხ. „გზა“ №30

ქართული ფიესტა თურქეთში

ღამენათევებს მოგზაურობის მესამე დღეს, სისხამ დილით გაღვიძება არ გაგვჭირვებია. ბევრი რამ უნდა მოგვესწრო, ამასთან, ვალეს საბაჟოზე საღამოს 8 საათისთვის მისვლაც, თორემ დაიკეტებოდა და დილამდე იქ მოგვიწევდა ყურყუტი. ამიტომაც, სამხედროების ტემპი „ავკრიბეთ“ და 9 საათისთვის ჩვენს მასპინძლებთან ერთად, ართვინიდან 20 კილომეტრის მოშორებით, მთებში, კავკასიურ არენაზე ხარების ორთაბრძოლის სანახავად გავეშურეთ. სამწუხაროდ, ჩვენი სტუმრობის ინიციატორი, „ვაკიფ ბანკის“ სკოლის დირექტორი ჯევათ უნალი ართვინშივე გამოგვემშვიდობა, შემოდგომაზე ახალციხეში შეხვედრის იმედით, სააპრილოდ კი კვლავ თავისთან მიგვიწვია. სამაგიეროდ, არ მიგვატოვეს თურქეთის რესპუბლიკის 80 წლისთავის სახელობის სკოლის დირექტორმა ფატი იაზიციმ და მისმა პატარა ვაჟმა, რომელიც ჩვენს გიორგი თამარაშვილს ძალიან დაუმეგობრდა.

ირმა ხარშილაძე

მანქანებით „სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა“, ულამაზეს ადგილებში ვიარეთ (არემარე კვლავ ძალიან ქართული იყო). ჯგუფის ხელმძღვანელმა, ზაზა თამარაშვილმა აგვიხსნა, რომ ართვინის თავზე შეფენილ ტყეს თურქულად „კატრავანი“, ჩვენებურად კი „ფიჭვნარი“ ჰქვია... როგორც იქნა, დანიშნულების ადგილამდე მივაღწიეთ. გორაზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. გაირკვა, რომ ამ ორთაბრძოლის სანახავად იქ თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდანაც კი ჩადიან. იქაურობას არც წესრიგის დამცველნი აკლდნენ. მოვაჭრეებს გასაყიდად უამრავი ნივთი ამოეტანათ, მაგრამ სამწუხაროდ, ართვინის ან ხარების გამოსახულებით სუვენირს ვერსად წავაწყდით. სამაგიეროდ, საქართველოდან სამუშაოდ წასული, ლარებზე მოვაჭრე ქართველები ვიპოვეთ, რომლებიც ჩვეულებრივ თურქულ საქონელს შედარებით იაფად ყიდდნენ. მათ ჩვენი დანახვა ძალიან გაუხარდათ. იქვე ულამაზესი ფოტოგამოფენაც მოეწყოთ, რომელსაც მუსიკალურად, ქართული მომღერლის, ლეილას ფონოგრამები „აფორმებდა“. თვალი მოგვწყვიტა გრძელ ჯოხზე ლამაზად აცმულმა ვარდისფერი ბამბის ნაყინმა, ჰაერში კი შემწვარი ხორცისა და სიმინდის არომატი არცთუ სასიამოვნოდ ტრიალებდა... მოკლედ, თავი ლილოს ბაზრობაზე მეგონა, ვიდრე ღია ცის ქვეშ მოწყობილ კავკასიურ არენას არ მივადექით. კორიდა ეკრანზე მაინც ხომ გინახავთ? — ჰოდა, ეს არენაც სწორედ იმდაგვარი იყო, ოღონდ, მოცულობით ვერ უტოლდებოდა. ერთმა ახალგაზრდა კაცმა გაგვაჩერა და მოგვახარა: — ქართველები ხართ? მეც ქართველი ვარ, თბილისელი. ფესტივალზე აქაურებმა მომიწვიესო. ტრიბუნები ნელ-ნელა ივსებოდა, ყველას მზერა არენის ღია შემოსასვლელისკენ იყო მიპყრობილი... თურქებმა კარგი ადგილები შეგვირჩიეს და საერთოდაც, აჩრდილივით დაგვდევდნენ — თუ თვალს სურსათ-სანოვაგისკენ გავაპარებდით, მის მოსატანად მყისვე გარბოდნენ. დასაფენი ფარდაგები და ჭილის ქუდები „თვითნებურად“ შეგვიძინეს და მოგვართვეს — მზის დარტყმა არ მიიღოთო, თავად კი ერთგული პირადი მცველებივით დაგვიდგნენ. ცოტა არ იყოს, ვიუხერხულეთ და შიგადაშიგ ადგილების გაცვლას ვთავაზობდით, მაგრამ კატეგორიულ უარს ვიღებდით... ვიდრე ბრძოლა გახურდებოდა, ჩვენს ერთ-ერთ ბებიით ქართველ მასპინძელ-მასწავლებელს, ისმაილ ილმაზს ვთხოვე, თავისი დამტვრეული ქართულით ხარების ორთაბრძოლაზე ეამბნა. თავიდან იუარა, — არ გინდაო, მაგრამ მაინც დავიყოლიე. თურმე, ხარების ქართული ორთაბრძოლა, რომელიც ყოველწლიურად, ივნისის ბოლო კვირას იმართება და კავკასიური ფესტივალის კულმინაციაა, დილიდან ღამემდე გრძელდება. ორთაბრძოლისთვის ხარებს ართვინის მხარის სოფლის მცხოვრებნი მთელი წლის განმავლობაში წვრთნიან. არენაზე

ღოლისყანა და მეჩეთი

ხანძთის საკურთხეველი

დიდი ფეოდალის, გაბრიელ დაფანჩულის წყაროს მივადექით და უგემრიელეს და ალბათ, სასწაულთმოქმედ წყალს ულაბნოგამოვლილებიანით დავეწაფეთ

თავდაპირველად, მცირე ასაკისა და წონის „ფალავანი“ ხარები გამოჰყავთ. თითოეულს თავისი ნომერი აქვს და გამოსვლის წინ პატრონის სახელსა და გვარს აცხადებენ. მერე ნელ-ნელა იზრდება ასაკობრივი და წონითი კატეგორიები. ბრძოლა უსისხლოდ სრულდება — დამარცხებული ხარი მოედნიდან გარბის, უკან კი გაწბილებული პატრონი მიჰყვება და ერთი წლის განმავლობაში „ფალავანს“ ახალი შემართებითა და გულმოდგინებით მომდევნო ჩემპიონატისთვის ამზადებს. თურმე, ხარებზე საკმაოდ დიდ ფსონებს ჩამოდიან და დღის ბოლოს მოთამაშე გულშემატკივართა დაძაბულობა პიკს აღწევს... ამასობაში, არენაზე მოთელვა დასრულდა და ხარების ორთაბრძოლაც თურქულად შესრულებული „ჯინველოთი“ გაიხსნა. ორი საათის განმავლობაში ვადევნებდით თვალს სანახაობას, ფავორიტებიც შევარჩიეთ და მათ შეძახილებითაც ვამხნევებდით. საოცარი სანახაობა იყო, ორი ხარი როგორ ზვერავდა ერთმანეთს, მერე ირინდებოდა, კვლავ შორიახლოს უვლიდა ერთი მეორეს — გეგონებოდა, მისხალ-მისხალ ზომავსო და... უცებ ეძგერებოდა. ლამის სიცილით დავიხოცეთ, როდესაც მეტოქის წინ მდგომი ხარი ადგილს უეცრად მოსწყდა, პატრონ-მსაჯიანად ყველა სიქის გაცლამდე, წინ და უკან არბენინა, ბოლოს კი არენიდანაც გაიქცა — რა თქმა უნდა, მხდალი ხარის პატრონს წაგება ერგო წილად. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თურმე, ბრძოლაზე გამოუცხადებლობასაც წაგებად ჩაგითვლიან. მეორედ კიდევ ერთმა წყვილმა გვახარხარა: ორი მეტოქე გაჯორდა და ერთმანეთთან შებმა არ ისურვა. უკეთესს გეტყვით, — ისე ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს, რომ მათ ორიენტაციაშიც შეგვეპარა ეჭვი. არ ვიცი, ლაქუცმა რამდენ ხანს გასტანა, რადგანაც ჩვენ წამოვედით, ისინი კი კვლავ არენაზე დარჩნენ — ორგანიზატორებმა კი პარალელურად, სხვა წყვილები გამოიყვანეს, რომლებიც „ადამიანურად“ იბრძოდნენ. რამდენიმე გამარჯვებულ ხარს კისერზე დიდი გვირგვინი დაჰკიდეს და მათმა პატრონებმა ისინი ტრიბუნების წინ, აპლოდისმენტების ფონზე ჩამოატარეს. უცებ გვეგონა, მოგვესმა, მაგრამ კიდევ რომ გაიმეორეს, უკვე მესამედ დავიხოცეთ სიცილით — ერთ-ერთი გამარჯვებული ხარის პატრონს არ იკითხავთ, რა ერქვა? — ირმა. ხომ წარმოგიდგენია, რა ამაყად ვიჯექი ტრიბუნაზე!.. კიდევ კარგა ხანს დავტკბებოდით კავკასიურ არენაზე, მაგრამ დრო არ ითმენდა — ხანძთის უნახავად საქართველოში დაბრუნება არავის გვსურდა. ჩვენმა ახალშეძენილმა მეგობრებმა, რომ იტყვიან, ალაყაფის კარამდე გამოგვაცილეს, „გულე-გულე“-თი (თურქულად ასე ემშვიდობება დამრჩენი წამსვლელს) და ვიდრე ჩვენი „ფორდი“ თვალს მიეფარებოდა, ხელს გვიქნევდნენ... ართვინის გავლით ჭოროხის ხეობას გამოვუყევით. ჯერ დოლისყანაში ავიარეთ. მოგეხსენებათ, ქართველი ისტორიკოსები მეფე აშოტ კურაპალატის მკვლელობის ადგილს ვერ გვიზუსტებენ და ხალხში არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ მეფე აშოტი სწორედ დოლისყანის საკურთხეველს დააკლეს. აღმართი ავიარეთ თუ ავირბინეთ (დროს ვიგებდით) და ულამაზეს ტაძარს მივადექით. ტაძრის პირდაპირ აღმართული მეჩეთიდან მოლა კიოდა. უცებ, ჩვენი გიდის, მეგი ბერიძის მეუღლე — რამაზ მექოშვილი ტაძრისკენ აღშფოთებული გაიქცა: ეს გვერდი ახალი შენგრეულია, ცოტა ხნის წინ ასე არ იყო, მაგრამ ვის რა პასუხს მოვთხოვდით?! ტაძრის მეორე მხარეს იქაურ ბავშვებს, ალბათ, „მინუს ხუთის“ სათამაშოდ, კალათბურთის ფარის მსგავსი რკინის რგოლი დაემაგრებინათ — ვერც ამის გამო მოვთხოვდით პასუხს ვინმეს! პირიქით, ოღონდ სულ არ დაენგრიათ და, ჩვენს შესახვედრად გამოსულ იქაურ რელიგიის მასწავლებელს — ხოჯას და მის პატარა ვაჟს გულითადად შევღიმეთ. ვიცოდით, ჩვენს მასპინძელ ჯეკვათს, რომელმაც საგზალიც კი გამოგვატანა, ტელეფონით გაფრთხილებული ჰყავდა, რომ მისი სტუმრები ვიყავით და ჩაი უფასოდ უნდა მოერთმია. ჯერ ეკლესიაში შევედით, ნაგლეჯ-ნაგლეჯ შემორჩენილი ფრესკები დავათვალიერეთ, მერე ვილოცეთ და მეგის მონათხრობსაც მოვუსმინეთ:

— *„დოლი“ ხორბლის ჯიში გახლავთ. ის ამ ადგილებში იყო გავრცელებული და ამიტომაც, სოფელსაც და ტაძარსაც დოლისყანა დაერქვა. ტაძარი მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელობისაა — მათ გამოსახულებას გარეთა კედელზეც შეამჩნევდით. იქვეა გამოსახული ტაძრის აღმშენებელი მეფე სუმბათი. ქართული წარწერაც არის: „ქრისტე, ადიდე მეფე სუმბათი“. ბოლოს კლარჯეთში სწორედ ეს ტაძარი ააშენეს, შემდეგ კი მშენებლობა ტაოში გაგრძელდა. აქ XV საუკუნიდან მეჩეთი არსებობდა. მართალია, ფრესკები აქა-იქ შემორჩენილია, მაგრამ ცისფრად გადაღებილ კედლებსაც შეამჩნევდით — საერთოდ, მეჩეთებში ცისფერი დომინირებს. ჩვენი ქრისტიანული ტაძრები სასწაულებს უვლენდნენ აქაურ მცხოვრებლებს და ამიტომაც ეშინოდათ მათი დანგრევის. ჰოდა, რადგან მაინც ღვთის სახლები იყო, შიგ მეჩეთებს აწყობდნენ. 5 წელია, რაც აქედან გავიდნენ და გვერდით აშენებულ მეჩეთში ლოცულობენ. ყველა სოფელში გახსნილია საკვირაო სკოლები — მედრესეები. ჩვენ რომ ხოჯა შემოგვეგება, ის სასულიერო პირია და სკოლაში ყურანის კითხვას ასწავლის. ამ ბოლო დროს თურქები ქართულ ძეგლებს უფრთხილდებიან — მიხვდნენ, რომ ამით ბევრ ტურისტს მიიზიდავენ...*

კვლავ აჩქარებული ტემპით იქვე, ფანჩატურში წავიხემსეთ. ორ ნაბიჯში თუთის

უძველესი ვაზი ხანძთაში

ხეები შევნიშნეთ და დოლისყანის თუთასაც წავატანეთ ხელი... წინ საოცნებო ხანძთა გველოდა ან იქნებ, გვცდიდა, რადგან ვერაფრით აგიხსნით, ხანძთის გზაზე რატომ შეგვიგუბდა სული, რატომ განერვიულდა ჩვენი მძღოლი ოთარი (რა ვიცი, თითქოს ჩვენი „ფორდი“ ყოჩაღად მიდიოდა), რატომ დაიძაბა ზაზა, რატომ დაეწყოთ ნერვიული სიცილი ჩემს თანამგზავრებს, რატომ დამუნჯდა არტური. მანამდეც კი ვჩქარობდით, ბევრი სახიფათო აღმართიც ავიარეთ, კლდეზეც ვეკიდეთ... დაბლა მუხლუხოსავით მოჩანდა ულამაზესი ჭოროხის ხეობა. სიმაღლის არასდროს შემშინებია და ახლაც თამამად ჩავყურებდი ქარაფებს. ამ დროს პატარა გიორგიმ გვიმღერა, თემურ აბულაშვილის ლექსიც წაგვიკითხა, ხალისიანი ნინო რუხაძეც გაილექსა და მძღოლსაც დაძაბულობა გაუმძაფრდა. ზაზამ დუმილი მოითხოვა, ამას კი მოგუდული, ისტერიული სიცილი მოჰყვა... ვიფიქრე, ვითარებას განვმუხტავ-მეთქი, მობილურის კამერა ჩავრთე და ჯგუფის თითოეულ წევრს პატარა ლექსის წაკითხვა ვთხოვე — სიმღერა მეტისმეტი იქნებოდა, ლექსი კი მეგონა, მხნეობას შემატებდა ჩემს მეგობრებს... გია ჯანაშვილმა ომახიანად დაიწყო: „...ნუ წახვალ, ნუ მიატოვებ არალსა და უდეს, რუსთაველის სამშობლოს და ვაჟკაცების ბუდეს...“ მარიანა ბალასანიანი კი აქეთ-იქით ეხეთქებოდა და მაინც, თემატურად, თანაც — სხაპასხუპით აგრძელებდა: „ჰე, მამულო, სასურველო“... არიქა, მოსახვევებში ნელაო, — მიაძახა გიამ, მაგრამ მარიანამ ვაჟკაცურად ჩაამთავრა ერთი და მეუღლე არტურის ნაცვლად, მეორე ლექსიც წაგვიკითხა — რა თქმა უნდა, საქართველოზე. ქალბატონმა ციალა ბერიძემ გაბრწყინებული სახით განაგრძო: „ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს გიამბობს ჭადარი...“ ამ დროს კი გულგახეთქილ ზეინაბ სახვაძეს ვთხოვე, მდგომარეობის შესაბამისი თეორემა მაინც მითხარი-მეთქი და და-მა-ვიწყდაო, — ძლივს ამოთქვა დამარცვლით. მაკა ჯანაშვილი ორივე ხელით ჩაჰფრენოდა სკამის სახელურს და მწარედ იღიმოდა, მაია მექვაბიშვილი ერთ წერტილს მიშტერებოდა, რათა მზერა ქარაფისკენ არ ჩასცდენოდა, ნინო ბეგიშვილს „ლოცვანი“ ამოეღო ჩანთიდან და მხურვალედ ლოცულობდა, თინიკო კვიჟინაძე მემუარებს წერდა, ნანა მოდებაძემ კი გამომიცხადა, — თუკი რამ ვიცოდი, ყველაფერი დამავიწყდაო, ზაზა თამარაშვილმა შემომიბღვირა: თავი დამანებე, პოეზია არა, ჯანდაბაო! ეკა დალალიშვილმა დუმილის უფლება დაიტოვა, მანანა გოგოლაძემ გამოაცხადა, — პოეზია არ მიყვარსო... „ავანგარდის“ გადასაღებად ფეხზეც წამოვდექი და რამაზ მექოშვილმა დამტუქსა, — სკამზე დაჯექიო; მძღოლი, ბატონი ოთარი და გიდი — მეგი ბერიძე დუმდნენ, ჩემმა მამაცმა მეგობარმა მზევინარ მჟავანაძემ კი ომახიანად შემოსძახა გოგლა ლეონიძის პატარა ლექსი: „მთები... მთები... ბუმბერაზთა საშინელი მხედრობა. თუ ხარ მონა, აქ არავინ გენდობა! მონურ ღიმილს მე ვინ გადამაბრალებს? მე გაპობილ ნაპრალებს ყივჩაღურად ჩავყურებ...“ განმუხტვის ნაცვლად, ვითარება უფრო დაიძაბა, წვიმის წვეთებიც წამოვიდა, რაც ჩვენს მგზავრობას საფრთხეს უქმნიდა. ამიტომაც, ერთხმად გადავწყვიტეთ, მანქანიდან გადმოვსულიყავით და ფეხით გაგვეგრძელებინა გზა. ფეხით ასვლა გაცილებით იოლი აღმოჩნდა. სულ მალე დიდი ფეოდალის, გაბრიელ დაფანჩულის წყაროს მივადექით და უგემრიელეს და ალბათ, სასწაულთმოქმედ წყალს უდაბნოგამოვლილებივით დავეწაფეთ. ნაწილი დაწინაურდა, ნაწილი ჩამოგვრჩა, რამდენიმემ კი ერთად გავიარეთ „გაბრწყინებული საქართველოს ისტორიის“ ბილიკი, სადაც ჩვენი უცნობი წინაპრის ნასახლარზე დარგული უძველესი ვაზიც „შემოგვეგება“ და... ამ დროს წამოიმართა მწვანეში ჩაფლული ხანძთა. ქვაზე შევისვენეთ, ემოციისგან სული მოვითქვით და წარსულთან შესახვედრად სირბილით გავეშურეთ. ტაძრის ზემოთ, ხის სახლებიდან მოღიმარი თურქები გადმოგვყურებდნენ, შესასვლელთან კი თეთრი სამოსით სათანადოდ ეკიპირებული მეფუტკრე გადაგვიდგა, თურქულად რაღაც გვითხრა, მაგრამ როცა მის ნათქვამს ჩავწვდით, უკვე გვიანი იყო — ტაძრის წინ სკებიდან ფუტკრების ჯარი გამოენთო და ტაძარში ესკორტით შეგვიძღვა. ფრთხილად ვიქნევდით ხელ-ფეხს, რათა თურქი ფუტკრები არ გაგვეღიზიანებინა, მხოლოდ არტურმა „გვაჯობა“ აგრესიულობით და დაისაჯა კიდეც — საბრალო, მწარედ დაიკბინა, მაგრამ ვაჟკაცურად გაუძლო ტკივილს. მერე კი დაგვეხსნენ თავდამსხმელები და გაუბედურებულ, გუმბათჩამონგრეულ ტაძარში ლოცვის საშუალება მოგვცეს. უცებ, ნინიკომ საგალობელი — „წმინდაო ღმერთო“ წამოიწყო, ზაზაც მაშინვე აჰყვა, მეც შევაშველე ხმა და... ერთმანეთს არ ვუყურებდით, მაგრამ ვგრძნობდი, თითოეულს როგორ გვებზარებოდა და გვიწყდებოდა ხმა. ალბათ, არც ერთ ჩვენგანს არასდროს და არსად ასე არ გასძნელებია სიმღერა და იქნებ, არც ასეთი განცდით გვიმღერია ოდესმე...

თურმე, ხარებზე საკმაოდ დიდ ფსონებს ჩამოდიან



წინ საოცნებო ხანძთა გველოდა ან იქნებ, გვცდიდა, რადგან ვერაფრით აგიხსნით, ხანძთის გზაზე რატომ შეგვიგუბდა სული

ხანძთიდან დამუნჯებულები წამოვედით, ცალ-ცალკე დავუყევით ბილიკს, თუმცა მალევე მივხვდით, ერთმანეთს უნდა მივშველებოდით — ფხვიერ მიწაზე ფეხი გვისრიალებდა და შეიძლებოდა, ერთ თამამ ნაბიჯს ფრენა-ფრენით ჩავეყვანეთ ჭოროხამდე... სამშვიდობოს ერთბაშად ავმეტყველდით კი არა, ავჟღურტულდით. „ფორდიც“ ოპერატიულად დაიძრა საქართველოსკენ და აღტკინებულები ავღიღინდით, მოგვშივდა კიდეც, მოგვწყურდა კიდეც, სადღეგრძელოებიც ვთქვით, სამადლობელიც, ერთმანეთის საქებარი სიტყვებიც არ დავიშურეთ, ართვინში დარჩენილი მეგობრებიც გავიხსენეთ, მომავალ შეხვედრაზეც ვილაპარაკეთ და კრინტიც არ დაგვიძრავს უკვე გასხვისებული, გუმბათჩანგრეული ხანძთის ნახვით ყელში გაჩხერილ ბურთსა და ჩუმად გადაყლაპულ ცრემლებზე — მადლობა უფალს, რომ თუნდაც, ამის ნახვის შესაძლებლობა მოგვცა... ის, რაც ჩვენ განვიცადეთ, თითოეულმა ქართველმა ერთხელ მაინც უნდა განიცადოს...

ასე დასრულდა ჩვენი მოგზაურობა ისტორიულ კლარჯეთში. ვალეს საბაჟო მშვიდობიანად გამოვიარეთ, ახალციხეში მეექვსესკოლელ პედაგოგებსაც გამოვემშვიდობე და მშობლიურ თბილისს ბედნიერი დავუბრუნდი... მომავალი მოგზაურობის მოლოდინში.

დასასრული

ერთი ვინმე ეკეფლანიძვილი

ვაქა გიგაშვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №18-30

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

— კარგი! ერთი სიტყვით, შენ რატომღაც გჭირდება, რომ შათირიშვილები შენი ხელის შემყურეებად დარჩნენ, ჯერ ჯერობით მაინც... მარტო წიგნშია საქმე თუ კიდე რამეა?

— რაშიცაა, კარგად აგიხსენი! მორჩა და გათავდა! კიდევ რა გინდა?!

— რა მინდა და ისევ გაფრთხილებ! ჭკვიანად იყავი, მაგ კაცი არ გადაიმტერო!

— რაებს მეუბნები? რა გადამტერება, რის გადამტერება! — დაიწყო ნოდარმა და უცებ ისევ ბრაზმა გადაუარა სახეზე, ისევ ბოროტად აენთო თვალები, ხმაში მუქარა გაერია. — რომც გადავიმტერო, მერე ვითომ რა?

— ეეჰ! — თქვა გივიმ, სიგარეტს მოუკიდა და წყნარად გააგრძელა, — ხომ გახსოვს, ადრევე გთხოვე და გირჩიე, ჯერ მოიცადე, გადადე მაგ გამოკვლევის ამბავი, დამაცალე სასამართლოს ჩამთავრება-მეთქი? ყურიც არ გაიბერტყე, შენი გააკეთე... მერე ისიც ხომ გახსოვს, ვლაპარაკობდით: ხელმოსაჭიდი გინდაც არაფერი გამოჩნდეს, ჩვენი ფულითა და მარიფათით ხელმოსაჭიდსაც გავაკეთებთ და ფეხის შესადგმელსაც-თქო. ჰოდა, ახლა მაგ ხელმოსაჭიდ, ფეხის მოსაკიდებლის მოწყობაზე ვხლაფორთობ, ვხლართავ და ვკერავ... აბა, რა ვქნათ? წლობით ველოდოთ და ვეძებოთ დაკარგული საბუთები? ვაითუ, არც დაკარგულა და საერთოდაც არც ყოფილა? ჰოდა, ამ სიტუაციაში მოდის ეგ იორამი და მეუბნება: ნოდარმა მითხრა, სასამართლოსათვის მოძიებული მასალა გაქვთ და მაჩვენეთო. რა მეჩვენებინა? ეგ კაცი ისტორიკოსია, კვლევაში გამოცდილი სპეციალისტი, ჩათვალე, იგივე გამომძიებელია, გესმის? მასალის ჩვენება გადავუდე, მაგრამ თვითონვე შეიძლება ისეთი რამე მოჩხრიკოს, რომ ძალიან გაგვირთულოს აწყობილი საქმე. ამიტომ გთხოვდი, სასამართლოს ჩათავებამდე მაცალე-მეთქი.

— ვინა, კაცო, იორამი? ეგ არასოდეს ჩემ წინააღმდეგ არ წავა!

— რა იცი? ნუ დაიფიცებ! არსებობს ეგეთი რამე. — მეცნიერული თავმოყვარეობა და პრინციპი, ზოგჯერ ძნელი გადასალახავია. ეგეთ ტიპებს საკუთარი ძმისთვისაც უჭირთ მაგეებზე გადაბიჯება და... ამიტომ გითხარი, არ გადაიმტერო-მეთქი!

— რა გაახურე ამ გადამტერებით! რა აიჩემე?! — დაიღრიალა მოთმინებადაკარგულმა ნოდარმა და ტორი ისე დაჰკრა მაგიდას, რომ ლუდის ქილებმა იატაკის ფილებზე გაიღო წკრიალი.

— მე ჩემი გითხარი! — ხმის აუმაღლებლად თქვა გივიმ. — ვალდებული ვიყავი, სიგნალი მომეცა. ახლა შენ იცი!

ისხდნენ, ერთმანეთს უყურებდნენ და ექაჩებოდნენ სიგარეტებს.

— კიდევ რა გინდა? — წაიღრინა გაღიზიანებულმა ნოდარმა.

— სათქმელი მაქვს სწორედ მთავარი „რა მინდა“... — თქვა გივიმ, ადგა, დერეფანში გავიდა, კიბეს ახედა, მერე კარი შემოიკეტა.

— რა იყო? მოხდა, რამე? — იკითხა ნოდარმა.

— არ მინდა, ვინმემ ყური მოჰკრას შემთხვევით.

— რა არი? კაცი ხომ არ შემოგაკვდა? — გაიღრიჭა ნოდარი.

— მაგ დებილობით არ ვერთობი!

— დიდი ხანია? — გესლიანად წაიროხროხა ნოდარმა.

— დიდი ხანია! — ცივად, მკაფიოდ უპასუხა გივიმ.

— აბა, რა არი?

— რატომ არ მითხარი? — ხმადაბლა, მკაცრად იკითხა გივიმ.

— რა?! — ბრაზიანად იკითხა ნოდარმა.

— რა და რაც „რუსტამ-რიზეს“ საქმეებში გაჩითე, სარფის საბაჟოზე... რატომ არ მითხარი?

ნოდარს სახე შეეცვალა.

— სარფის საბაჟოზე? ჰო... ბოლომდე არ გამიჩითავს... რაღაცები მაკლია... ჯერ არ მინდოდა შენი ჩარევა...

— ვერაფრით აზრზე ვერ მოვსულვარ, საიდან გაჩითე... საიდან, ინფორმაცია? სახიფათო ინფორმაციაა...

— სახიფათო მაგათთვისაა! — აგდებულად, ბოროტი ღიმილით თქვა ნოდარმა, — ერთი-ორი ზახოდიც და ცუციკებივით გამოჭერილი მეყოლებიან. სანახევროდ ჩემზე ვამუშავებ!

— ვერ ამუშავებ! მე გირჩევ... გირჩევ კი არა, პირდაპირ მოვითხოვ, შეეშვი!

— ვისა, ბიჭო?! რამდენიმე კუანა პოლიციელს? იცი, რა ვარიანტში არიან? სხედან ჩუმად და იცი, რა მაყუთი ტრიალებს?

— ბიჭო, ნოდარ, შენი არ მიკვირს! რა მოგივიდა, ალღომ გიღალატა? შენ თვითონ ამბობ, რა მაყუთი ტრიალებს და... როგორ იფიქრე, რომ მაგხელა ამბავს რამდენიმე კუანა პოლიციელი ეყოფა პატრონად და კრიშად?

— ეგეც გაჩითული მაქვს!

— არა გაქვს გაჩითული! და კიდევ კარგი! ღმერთმა დაგიფაროს მაგის გაჩითვისაგან! აღარც ეცადო!

— რა, რამე იცი? — შეფიქრიანდა ნოდარი.

— არა, მაგრამ ვხვდები! ახლა ყოველი ახალი ნაბიჯი, კიდევ რაიმე სვოდკის აღებაც კი ძალიან აპასნია...

ნოდარი დაძაბული მისჩერებოდა. გადმოქაჩულ თვალებში ძლიერი შეშფოთება და უკვე შიშიც გამოჩნდა.

— რა, შენ ფიქრობ...

გივიმ გააწყვეტინა:

— მე არაფერსაც არ ვფიქრობ! ახლა შენ იფიქრე! კარგად მოხარშე! ფიქრამდე და მოხარშვამდე კი ეგრევე დაამუხრუჭე! თითი აღარ გაატოკო!

ზეინაბის „საამქროში“ სიპი ქვის მაგიდაზე კესო ცელოფანში გახვეულ სველ მატყლს აგორავებდა, თელავდა. ზეინაბი უკვე გამზადებულ სიფრიფანა თექის ნაჭრებს ამოწ-

მებდა, სინჯავდა, არჩევდა. რამდენიმე ბრაზიანად მოისროლა კუთხეში და გარეთ გამოვიდა. კესომ შეშფოთებით გამოხედა.

ეზოში ახალშემომატებული თანაშემწე, მღებავი ქალი მარო გარეთ ბალონიანად გამოტანილ გაზის ქურაზე დიდ ქვაბში საღებავში ჩაყრილ მატყლს ათუხთუხებდა, ჯოხით ურევდა. გასაშრობად იყო გაფენილი სხვადასხვაფრად შეღებილი მატყლის ფთილები.

ზეინაბმა ეზოში შემოსული იორამი დაინახა და მიეგება.

— იორამ, მოდი, ნახე, რა ფერებია!

იორამს მხარზე ქაღალდებიანი აბგა ეკიდა, გაფითრებული იყო და ცოტა ფეხიც ეშლებოდა. კაი ნასვამი ჩანდა.

— აი, რას ნიშნავს ბუნებრივი საღებავები! — ამბობდა ზეინაბი. — ნახე, რა ღრმა და დარბაისელი ფერებია.

იორამს მართლა მოეწონა, თავს უქნევდა თანხმობის ნიშნად.

— ამ მარომ ძალიან გაამართლა! თითქმის ყველა ფერის საღებავი იცის... დაწყებული ხახვის ნაფცქვენით, რისგან აღარა ხდის საღებავს! აი ეს ნაზი მოჩალისფრო-მოვარდისფრო ტონი ხახვის ნაფცქვენისაა, აზრზე ხარ? მაგრამ, აი ის... — და ზეინაბმა ხელი ბრაზიანად გაიქნია „საამქროსაკენ“, კესოს გულისხმობდა.

იორამს არაფერი უთქვამს, ოთახში შევიდა, სამუშაო მაგიდასთან მოეწყო, აბგიდან ქაღალდები და დიქტოფონი ამოალაგა, სათვალე გაიკეთა. მერე სიგარეტი გააბოლა და ერთხანს ასე იჯდა, ესმოდა ზეინაბის გაკაპასებული ხმა, კესოს რაღაცას უმტკიცებდა. იორამმა დიქტოფონი ჩართო, გაისმა ოთხმოცდაორი წლის ბებერი პეტრეს ხმა:

„...ჰოო, ყოჩი კაცი იყო... აბა, მე რა გითხრა, მაგ დროს სულ ხუთი წლისაც არ ვიყავი, მაგრამ მახსოვს, დიდ ვინმედ ითვლებოდა, გვეშინოდა... ლამის ეგა ჰყავდათ თავადად, თავადობის გადაგდების მერე“...

...ზეინაბი შემოვიდა, თან პლანშეტები, ტემპერის ტუბიკებიანი კოლოფი, ფუნჯები, წყლიანი ქილა და კიდევ რაღაც რულონები შემოიტანა. იორამმა დიქტოფონი გამორთო და თან მოტანილი ქაღალდების სინჯვას შეუდგა. ზეინაბმა თავისი ბარგი დაბალ მაგიდაზე დაახვავა, სავარძელში ჩაჯდა, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— ხომ არ გიშლი? — ხმაში აგრესიულობა ჰქონდა შერჩენილი.

— უუუმ! — რაღაც წაიზმუვლა იორამმა.

— აქ მირჩევნია, გესმის, შენ გვერდით, — პულტს ხელი დასტაცა, ტელევიზორი ჩართო, გადართო-გადმორთო, კუკერის კონცერტზე გააჩერა. მერე მაგიდაზე დაყრილი საგნები მიალაგ-მოალაგა, გაანაწილა, პლანშეტი წინ აიყუდა.

— როგორ მიდის შენი საქმე? — ჰკითხა იორამს.

— რა ვიცი, მგონი სულ სხვა რაღაც გამოდის... — როგორღაც აგდებულად თქვა იორამმა.

— რა სხვა რაღაც? — გაუკვირდა ზეინაბს.

— არ ვიცი! ისეა დახლართული, ჯერ ვერაფერი გავიგე. რომ გავარკვევ, გეტყვი.

— ისევ დათვერი?

— ეს ხალხი რომ ალაპარაკო, სუფრაზე უნდა ესაუბრო, ხომ იცი? ოფიციალურ დაკითხვას ხომ არ მოუწყობ?

— ისედაც მთელი დღე შენთვის წრუპავ. კიდე მაგათთან ჯამების ტრიალი, თან სამუშაოც... ვერ გაუძლებ...

— სამუშაო, თორემ... რა ტიტანური აზრის დაძაბვა მაგას სჭირდება?

— შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ...

— შენ რა, ჩხუბი მოგივიდა? — გააწყვეტინა იორამმა.

— არ გამოდის რა...

— რა არ გამოდის? ფერები კი ძალიან ლამაზია და...

— ფერები კარგია, კი... მაგრამ... ესკიზს გავაკეთებ, მომწონს... თექა დამზადდება და სულ სხვა რამე გამოდის, მურდალი რამე... ამ ქალმაც ვერაფრით აითვისა ახალი ტექნოლოგია, ვერაფერი გავაგებინე. ხანდახან ვფიქრობ, მიდგომა ხომ არ მეშლება? ისეთ ესკიზს ხომ არ ვაკეთებ, რომელიც ტექნიკურად ვერ შესრულდება? მუღამი ვერ ჩავავლე...

— დრო უნდა... მუშაობაში ხდება დაოსტატება, მუღამიც ეგაა. იმ ერისთავის ქალებს, ასე თუ ისე, მხატვრული განათლება აქვთ მიღებული, ჩვენები გამომუშავებული... უცებ ხომ ვერ გადაახტები? წყნარად იმუშავე, სად გეჩქარება? მუღამიც მოვა... — ნუგეშის ცემა სცადა იორამმა თავისი ჭკუით.

ზეინაბი გაწიწმატდა:

— რა შუაშია! მთავარი გემოვნებაა! ის ნიკოლაძის ტექნიკუმდამთავრებული გოიმები, რახან თაბაშირის თავების ხატვა ისწავლეს, მე მაჯობებენ გემოვნებაში? ეგენი მანანა ერისთავის ხელქვეითებად მუშაობენ, ისე რა გამოუვათ?! მანანა ნამდვილი მხატვარია და ოსტატი. მეც დამოუკიდებლად, ჩემი სახელით მინდა მუშაობა, გესმის? ჩემსას, საკუთარს უნდა მივაღწიო! ისე, რა წამადგებოდა ერთი-ორი კონსულტაცია მანანასთან!

— მერე, ეგ რა გახდა? წადი თბილისში, მოინახულე ეგ ერისთავის ქალი, — თქვა იორამმა.

ზეინაბმა არაფერი უპასუხა. უცებ ისევ წამოკრიბა თავისი სახატავი ხარახურა, იორამს მოუბრუნდა:

— წამო რა, ტერასაზე ვიმუშაოთ! წამოიღე ეგ შენი ქაღალდები.

— არა, აქ მირჩევნია. აქ გრილა და თან არც ისეთი მჭახე შუქია.

— ეეეჰ, იორამ! შენ მაინც კაბინეტის კაცი ხარ, სუფთა ჰაერს ვერ იტან. მინდოდა, შენ გვერდით მემუშავა, თან დაგლაპარაკებოდი...

— თუ ვილაპარაკეთ, მე როგორღა ვიმუშავებ?

— ჰო, კარგი, კარგი!

მანქანის ხმა და ჯიპ-ჩეროკის სიგნალი შემოიჭრა ოთახში. ზეინაბმა იქვე დაყარა ყველაფერი, დაიძახა, — ნოდარი ჩამოვიდაო, — და ისე გაქანდა, პატარა ბავშვები რომ გაქანდებიან ხოლმე, „მამიკო მოვიდას!“ ძახილით.

იორამმაც უჯრაში შეინახა დიქტოფონი და ქაღალდები და გავიდა.

ყაფლანიშვილის მანქანასთან მოგროვდნენ ეკლესიაზე მომუშავე ნაშინდრელებიც.

— ვაშაა! ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — დაიძახა ზეინაბმა და სხვებიც აჰყვნენ სიცილითა და ჟრიამულით.

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! ხალხო, გაგიმარჯოთ! — ყვიროდა ნოდარიც. გადაკოცნა ზეინაბი და იორამი. იკითხა:

— რა იყო? ხო არ მოგწყინდათ ამ ერთ კვირაში?

— მოგვწყინდა, აბა, რა! — უპასუხა ზეინაბმა. — ერთი კვირა კი არა, უკვე ათი დღეა, აქ ვართ... ჯოტო რა უყავი?

— ჯოტო წავკისში, აგარაკზე დავტოვე... — ნოდარმა მანქანის უკანა კარი გახსნა და დაიძახა: — აბა, ბიჭებო, გადმოალაგეთ! ქალებო, დატრიალდით! ამ საღამოს მაგრად უნდა ვიქეიფოთ!

დაიწყეს პარკებისა და კოლოფების გადმოლაგება... ერთმა გლეხმა ოცლიტრიანი კანისტრა რომ გადმოათრია, ნოდარს მიმართა:

— აბა, ეს რაღად გინდოდა, ნოდარ ბატონო! ღვინის მეტი რა გვაქვს!

— ეგ სხვა რამეა! კარდანახის წარაფია, ხუმრობა არ გეგონოს! — უთხრა ნოდარმა, მერე კესოს წამოღებული პარკი გაახსნევინა და ჩაახედა:

— კალმახია!

— ქაა, ამოტელა კალმახი? სად გაიზარდა ამოტელა?

— თევზსაშენში! ეგ სხვანაირი კალმახია,

„რადუჟნი“ ჰქვია, ესე იგი — ცისარტყელა... ეგენი ნიგვზის ფოთლებში უნდა შეიწვას, ღადარზე, რკინის ბადეზე დაწყობილი... აბა, თქვენ იცით! საზამთრო, ნესვები, ღვინო ჩააცივეთ! დავაი!

თვითონ თავისი ჩანთა დაითრია, იორამსა და ზეინაბთან ერთად ოთახში შევიდა...

— ერთი, თქვენს აბაზანაში წყალს გადავივლებ, თორე ძალიან გავიწებე... მერე მოვყვეთ ამბები, აქ რა ხდება, იქ რა ხდება...

საზაფხულო პიჯაკი პისტოლეტის ბუდიან-თასმიანად სავარძელში ჩააგდო...

— ვაი, ეს რა ჰქონია, ერთი, ამას უყურე! — შესძახა ზეინაბმა და კოლტის ტარს დაეჯაჯგურა. ნოდარმა ხელი უტაცა, იარაღიდან მჭიდი და ერთი ვაზნა გამოყარა და ისე მიაჩეჩა.

— მასროლინე, რა! ხომ მასროლინებ? — შეეხვეწა ზეინაბი.

— ვაჰ, ჩემი თავი შენ გენაცვალოს! წყალს გადავივლებ და...

ხის მორების გროვასთან ტირი მოაწყო ნოდარმა, დაალაგა სამიზნეები...

— მე და იორამი ამ ბოთლებს ვესვრით, შენთვის — ეს დიდი ბიდონი, — უთხრა ზეინაბს.

ოცი ნაბიჯი გადათვალა, იარაღი გადატენა და იქვე ჩამომჯდარ იორამს გაუწოდა.

— მოდი, იორამ! შენ დაიწყე!

იორამმა ხელი უგუნებოდ აუქნია.

— კაი, თუ ძმა ხარ! მუშტაიდში ტირში სროლის ასაკიდან კაი ხანია გამოვედი. რაში მჭირდება?!

— ღმერთმა ნუ დაგაჭირვოს, მაგრამ რა იცი?

მერე ზეინაბს აუხსნა მჭიდის ჩადგმა, საკეტის მოძრაობა, ვაზნის შეყვანა ლულაში, დამცველი, ჩახმახი, სასხლეტი. მერე აჩვენა, როგორ უჭირავს ორივე ხელით იარაღი, ორჯერ ისროლა და ორი პლასტიკატის ბოთლი გაგლიჯა და გადააფრინა. ზეინაბი აჭყივლდა აზარტისაგან, ხელად წაეპოტინა იარაღს. ნოდარმა ორივე ხელით დააჭერინა, გაუსწორა. ზეინაბმა ისროლა და იარაღმა ორივე ხელი ისე დააქნევინა, რომ ტყვია ცაში წავიდა თუ მიწაში, ვერ გაიგებდი.

— ვაი, ხელები კინაღამ მომაგლიჯა! — თქვა გულდაწყვეტილმა ზეინაბმა.

— ეს ძალიან მძიმეა შენთვის! — დანანებით თქვა ნოდარმა. — ერთი დამსკი ბრაუნინგი ჩემზე იყოს! უნდა გაჩუქო! მსუბუქია, ადვილი...

ზეინაბმა ჩვეული სიჯიუტითა და აზარტულობით დაიქადა:

— არა! მაინც უნდა მივეჩვიო! მაინც ვისწავლი, როო...

— მოდი ახლოს! — ნოდარმა ათ ნაბიჯზე დააყენა, ზეინაბმა ესროლა და ტყვიამ სადღაც მორებში დაარტყა. ნოდარს გაუხარდა:

— ვა-ჰა-ჰა-ჰა! უკვე ახლოა! მარტო მეტრნახევრით ააცილე!

— კიდე ახლოს მივალ! — ჟინიანად თქვა ზეინაბმა.

მივიდა ხუთ ნაბიჯზე, ესროლა ერთხელ, მეორედ... ისევ არაფერი... ნოდარი ამოუდგა გვერდში, ხელები შეაშველა, დაუჭირა.

— დაუმიზნე, მიდი!

ზეინაბი დააწვა სასხლეტს და ტყვიამ ბიდონი გათხლიშა. ნოდარი ისევ ახარხარდა.

— რა გინდა, ძმაო! ქალისათვის, პირველად... მაინც კარგი რეზულტატია! კაცებსაც უჭირთ... კაი ვარჯიში უნდა!

საღამომდე კიდევ ერთი-ორი საათი რჩებოდა. ყაფლანიშვილმა მანქანა ადგილზე დაატრიალა და იორამსა და ზეინაბს გასძახა:

— აბა, ჩასხედით! ხეობაზე ავიაროთ, ადგილებს გადავხედოთ! სანამ მოვბრუნდებით, ესენი სუფრასაც გააწყობენ.

ზეინაბი მხიარულად, ხალისიანად გამოქანდა, იორამი — წელათრეულად, ჩვეული განურჩეველი, უხალისო გამომეტყველებით.

ნაშინდრიდან ზევითკენ გავიდნენ. აქ აღარ იყო ახალდაგებული ასფალტი, საერთოდ აღარც იყო ასფალტი. ჩაუხვიეს მდინარისაკენ, მეჩხერ ჭალაში გადიოდნენ, გრუნტის ოკრობოკრო გზაზე, ტაატით...

ზეინაბი მოუსვენრად ცმუკავდა, წრიალებდა და ბოლოს განაცხადა:

— დღეს ეგეთი დღეა! ხომ ვისროლე! მინდა საჭესთანაც დავჯდე! ნოდარ, გეხვეწები!

— ვაჰ, შენ ოღონდ თქვი, და... — მხიარულად წამოიძახა ნოდარმა, მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და შემოუარა. ზეინაბი საჭესთან გადაჯდა, ნოდარი გვერდზე მიუჯდა.

— დაძვრა იცი? პედალები? სცეპლენია?

— კი! ერთი-ორჯერ ვმჯდარვარ... დაძვრა მასწავლეს, მაგრამ არ მიტარებია, — მერე აღგზნებულად ალაპარაკდა, — ბოლოს და ბოლოს, სირცხვილია! ჩემი ბევრი დაქალი საკუთარ მანქანას დააქროლებს! მე კიდე, რომ დამჭირდეს, შტერივით უნდა დავდგე! ისე უნდა ვისწავლო, რომ რამე იყოს, ვიტაქსაო კიდევაც! ჰა-ჰა-ჰა!

— შენ ისწავლე! ტარების ნებართვა ჩემზე იყოს! ერთ დღეში აგაღებინებ! — ხელად დაიმედა ნოდარმა.

ზეინაბმა დაქოქა. ეცადა, ფრთხილად აეშვა პედალი, მაგრამ მაინც გადაუხტა მანქანა. გაასწორა, დაძრა და ნელა წაიყვანა საჭეზე ჩაბღაუჭებულმა, ტუჩმოკუმულმა და თვალებდაჭყეტილმა. ზედ გადაფოფრილი ნოდარი ყოველ წამს მზად იყო საჭეს ბდღვნოდა შეცდომის გამოსაწორებლად, მაგრამ ჯერჯერობით წყნარად, თანაბრად მიდიოდნენ.

— ახლა გადართე! მეორეში! მანდ ახატია, ხომ ხედავ!

იორამი თავის ფლეგმა პოზაში იყო მიწოლილი, თან წამოღებული მათარიდან შიგადაშიგ პირს ისველებდა, აბოლებდა და აბოლებდა.

...მესამეზე რომ გადართეს, ზეინაბი გათამამდა და სვლას უმატა. ნოდარი ხშირ-ხშირად აფრთხილებდა:

— ნელა, ნელა! ორმოებია! დამუხრუჭებას ვერ მოასწრებ!

ზეინაბი ემორჩილებოდა ნოდარის „მოწოდებებს“, მაგრამ მეორე წუთში ისევ აწვებოდა გაზს და ერთხელაც მოზრდილი ორმოსაკენ რომ გააქანა, ნოდარმა უეცრად ზეინაბიანად მობღუჯა საჭე, მძლავრად და უხეშად, პედალებზედაც მოასწრო ფეხის შეყოფა და ბორბალი ორმოს ააცილა. ზეინაბი წამით გაოგნდა, გაკვირვებით ახედა ნოდარს, არაფერი თქვა და გააგრძელა მოძრაობა.

— კარგად უყურე გზას! წინ უყურე! ორმოს რო დაინახავ, შეანელე! აჩქარებით ვერ ისწავლი ტარებას...

მინდვრიდან გზისაკენ, ცერად, ჭენებით მოდიოდა ცხენოსანი. ზეინაბი ინტერესით მიაჩერდა, სვლა შეანელა და შედგა.

— რა კარგია! აი, კიდევ ერთი ჩემი ოცნება! ორი ავისრულე: სროლა და მანქანის ტარება, ოღონდ... — ნოდარისაკენ შებრუნდა და საქმიანი კილოთი ჩაეკითხა, — რამდენ დღეს რჩები აქ?

— სამი...

— ყოველდღე უნდა მავარჯიშო! და კიდე, აი, ცხენზე მინდა დაჯდომა...

— არც ეგაა ძნელი საქმე! ეს გოდერძია, ჩვენებური...

გაჩერებული მანქანის დანახვაზე ცხენოსანი გზაზე გადმოვიდა, მოეახლათ და რიხიანად იკითხა:

— რამეში ხო არ გამოგადგებით?

— დაგინახეთ, მოგესალმეთ! იორამს იცნობ, ეს კი იორამის მეუღლეა, ზეინაბი.. გამოდგომაზე კიდე... ხვალისათვის სამი ცხენი გამიხერხე საქირაოდ...

გოდერძიმ თავი დააკანტურა:

— იქნება!

— ისეთი ცხენები, ბიჭო, სირცხვილი არ იყოს შეჯდომა! კარგი უნაგირები შეარჩიე!

— იქნება, იქნება! — ისევ დააქნია თავი გოდერძიმ.

ზეინაბმა მანქანა დაძრა.

— ჰო! — დაუყვირა ნოდარმა უკვე ჩორთით მიმავალს. — ამ საღამოს გადმოდი! ეზოში გვაქვს სუფრა!

— მადლობელი, მადლობელი! გადმოვალ! — გამოსძახა გოდერძიმ.

...ერთ მოფართოებულ მონაკვეთზე შეაჩერებინა ნოდარმა მანქანა.

— აბა ახლა მოტრიალებაც ვისწავლოთ! საჭე სულ მარცხნივ, მარცხნივ აიღე! დაძარი! სტოპ! ახლა საჭე სულ მარჯვნივ, მარჯვნივ! ახლა უკანაში ჩააგდე! აი, უკანა! დაძარი! სტოპ! ისევ პირველში! გაასწორე და იარე! მალადეც! კარგად გამოგივიდა... წავედით სოფელში!

სოფლის მოედანზე შემოსულებმა ნაშინდრელი ქალიშვილების ჯგუფი დაინახეს.

ოთხნი იყვნენ, მათ შორის ერთი მაგდო იყო. ჩანთები ეკავათ, ტრანსპორტს ელოდებოდნენ. ნოდარმა მათთან გააჩერებინა, დაუძახა:

— გამარჯობათ, გოგოებო! საით გაგიწევიათ?

ერთი შავგვრემანი, წითელლოყება, საკმაოდ ეშხიანი გოგო თამამად გამოეპასუხა:

— გაგიმარჯოთ! გორში!

ნოდარი გადმოვიდა, ზეინაბს ანიშნა, გადაჯექიო.

— აბა, დავაი! ჩასკუპდით მანქანაში, მე ჩაგიყვანთ!

მეორე გოგო ჩაერია:

— არა, გმადლობთ! ჩვენი ინსტიტუტის „უაზიკს“ ველოდებით... მადლობა ღმერთს, ახლა გზა კარგია...

— ...და მადლობა ბატონ ნოდარს! — დაამატა წითელლოყებამ კეკლუცად.

— რად გინდათ „უაზიკი“? ხელად ჩაგაგრიალებთ! — თან თითქმის ერეკებოდა გოგოებს ჯიპისაკენ, თან ირიბ მზერას არ აშორებდა ჩუმად მდგომ მაგდოს. ზეინაბმა შენიშნა ეს ზედმეტი ყურადღება და ინტერესით შეათვალიერა მაგდო, მერე ისევ ნოდარს დააკვირდა. წითელლოყება უკვე მზად იყო ჯიპში შესასკუპებლად, რომ მაგდო შეტრიალდა, გვერდზე გადგა და კატეგორიულად განაცხადა:

— იმ „უაზიკმა“ ჩვენი გულისათვის წრე უნდა დაარტყას... შიგ ჩვენი სტუდენტები და პედაგოგებიც არიან და... უნდა დაველოდოთ!

ისე მკაცრად თქვა, რომ დანარჩენი გოგოებიც შეტრიალდნენ და მასთან დადგნენ. გაწბილებული ნოდარი საჭესთან შეხტა.

— კაი, კაი! — ისეთი გაღიზიანებითა და თითქოს დაქადებით თქვა ნოდარმა, რომ ზეინაბმა გაკვირვებით შეხედა. კიდევ უფრო გააკვირვა ნოდარის მზერაში გაჩენილმა გაბოროტებამ... „ვა! ასეთი რა ეწყინა ამ სოფლის გოგოების უარი?“ — გაიფიქრა ზეინაბმა, მერე გაახსენდა ქალების ნალაპარაკევი და თქვა:

— აი ეგ მაღალი გოგო, მაგდო, იმ გოდერძის საცოლე ყოფილა...

— აა? ჰო! ვიცი, ვიცი! — თითქოს სხვა ფიქრიდან გამოფხიზლდა ნოდარი.

ადრე დილით ტერასაზე სასაუზმოდ ისხდნენ ნოდარი, იორამი და ზეინაბი, როცა გოდერძიმ სამი შეკაზმული ცხენი მოიყვანა. ნოდარმა სუფრასთან მიიპატიჟა.

— მოდი, პახმელიაზე იქნები გამოსასვლელი.

— მე პახმელია არ ვიცი.

— მაშინ ისაუზმე.

— გმადლობთ, ნასაუზმები ვარ. ისე ჩამოვჯდები...

ნოდარმა პატარა ჭიქაში არაყი ჩამოასხა.

— ეს მაინც ატაკე! დილის მადლი დაილოცე!

გოდერძიმ პატიჟის გარეშე ჩამოართვა ჭიქა.

— დილის მადლი შეგვეწიოს! — თქვა და გადაკრა. ნოდარი მაშინვე საქმეზე გადავიდა, ხმადაბლა ლაპარაკობდა:

— ახლა გავაგრძელოთ... გუშინ, სუფრაზე ბოლომდე დაკონკრეტება აღარ დავიწყე. ერთი სიტყვით, რეისების გაცილებაზეა ლაპარაკი. სარფიდან ლარსამდე, ლარსიდან ზუგდიდამდე. ჩვენი ფირმის რეისებია, რეგულარული... ზოგჯერ სხვა ფირმაზეც ხდება დაცვის მიქირავება. გააჩნია სიტუაციას... მთავარია, გაცდენა არ ხდება, ბიჭები სულ ნა რასხვატ არიან. ერთი კვირა რეისში ხარ, ერთი კვირა — სახლში. თუ კაცს აწყობს, ის კვირაც შეუძლია რეისზე დარჩეს, მაგრამ შენ, ალბათ, აქაც გექნება სახლის საქმე, ბოლომდე ვერ მიატოვებ. გასამრჯელო მაღალია, როგორც გითხარი, ისე... შემოდგომამდე კაი თანხას დააგროვებ.

მერე ღიმილით შეეკითხა:

— გავიგე, შემოდგომაზე ქორწილს აპირებ?

— ჰო, ვაპირებ! — ღიმილის გარეშე თქვა გოდერძიმ.

— ჰოდა, კაკ რაზ, დროულად გამოვა. აფხაზეთში რომელ ნაწილში იყავი?

— მაგ დროს გაწვეული ვიყავი და იქიდანვე ყარყარაშვილის ბატალიონში ჩავირიცხე.

— თბილისში ზეგ მივდივარ და გაგიყოლებ, ჩაგაბარებ იმ ხალხს. თუ საქმე გაქვს, მერე შენ თვითონ ჩამოდი, ოღონდ ერთ კვირას არ გადააცილო...

— არა, ბარემ გამოგყვები...

წამოიშალნენ, ცხენებთან მივიდნენ. ნოდარმა უნაგირები დაათვალიერა, შეამოწმა მოსართავები, ერთ ცხენს მუცლის ღვედი დაუმოკლა... გოდერძის სახეზე წამოანათა, ეწყინა, რომ მისი შეკაზმული შესასწორებელი აღმოჩნდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ზეინაბი ყველა ცხენს სათითაოდ ეალერსა, მერე ერთი ლურჯა აირჩია, გავაზე რომ ოდნავ გასარჩევი კოპლები ასხდა.

— აი, ეს მინდა!

გოდერძიმ დინჯადა თქვა:

— ეგ ცოტა ფიცხია! აი ეს წაბლა, იორღაა, კარგი მატარებელი... ეს გირჩევნიათ!

— არა! მე ეს მინდა! იორღაზე იორამი შეჯდეს... — დაიჟინა ზეინაბმა.

ნოდარი ზეინაბს მიეხმარა შეჯდომაში. გოდერძიმ დააპირა იორამის დახმარება, რადგან ის პირველ აქნევაზე ვერ ავიდა, მაგრამ იორამმა იუკადრისა და ბოლო-ბოლო თვითონ მოერგო უნაგირს. ნოდარმა უზანგები დაუმოკლა და მოარგო ზეინაბს.

— ხომ არ გამოგყვეთ? — იკითხა გოდერძიმ.

— არა! ყველაფერი რიგზეა, — უთხრა ნოდარმა.

კავალკადა დაიძრა. ეზოდან შარაგზაზე გამოვიდნენ, სოფელი ჩაიარეს, ბალღეებისა და ძაღლების ინტერესი და ბატების აღშფოთება გამოიწვიეს. გადავიდნენ მინდვრებში, ნაბიჯით მიდიოდნენ, მისეირნობდნენ.

— ფეხი არასოდეს შეჩხირო უზანგში, — უხსნიდა ნოდარი ზეინაბს. უნაგირიდან გადახრილმა ტერფი გაუსწორა, აჩვენა, ფეხისგულის რა ნაწილით უნდა ეყრდნობოდეს უზანგს. ზეინაბი მოუთმენლად ცქმუტავდა, ცდილობდა ცხენის აჩქარებას. ნოდარმა არ დაანება:

— ჯერ ნუ გააჩქარებ! ჯერ ეს მოძრაობა ისწავლე! — და აჩვენა ფეხების ამორტიზატორული მუშაობა უზანგებზე. — უამისოდ ვერ გაძლებ გაჭენებულ ცხენზე.

ზეინაბი ბეჯითად იმეორებდა გაკვეთილს. იორამი ათიოდე მეტრით იყო ჩამორჩენილი და ზედაც არ უყურებდა მათ. პირში სიგარეტგაჩრილი, უნაგირის კეხზე ორივე ხელით დაყრდნობილი, სადღაც ჰორიზონტს იქით დაბოდიალებდა მზერით.

ზეინაბმა ივარჯიშა და ივარჯიშა უზანგებზე, მერე სულმა წასძლია და ოდნავ წაჰკრა ცხენს. ცხენი გაჩქარდა და ნელ ჩორთზე გადავიდა. მაშინვე აჰყვნენ სხვა ცხენებიც, ჩორთი გააჩქარეს და ნავარდზედაც გადავიდნენ. ისევე როგორც საჭესთან, პირმოკუმული, გაფითრებული ზეინაბი ცალი ხელით ინსტინქტურად აღვირს ქაჩავდა, ცალით ცხენის ქეჩოში იყო ჩაფრენილი, უზანგებზე წამოწეული. რბოლის სიხარულით ატანილს შიგადაშიგ შიში გაჰკენწლავდა, გულს უეცრად გადაუწურავდა და ფერს აკარგვინებდა, მაგრამ სიამოვნება დიდი იყო და შიში — წამიერი.

იორამს კი ჯლაყუნი გაუდიოდა უნაგირში. გვერდულად გაგრეხილი, კეხს ორივე ხელით ჩაფრენილი ცდილობდა შეემსუბუქებინა უნაგირში ძნეყვება, მაგრამ ტემპი იზრდებოდა და ეს სულ უფრო გაუსაძლისი ხდებოდა. სიგარეტი გადაუვარდა პირიდან, სახე მოეღრიჯა. კეხზე ხელის შეუშვებლად ექაჩებოდა აღვირს, მაგრამ გვერდზე თავმოგრეხილი ცხენი მაინც წინ გარბოდა, ჯიუტად ცდილობდა, წინ წასულებს არ ჩამორჩენოდა. იორამმა ველარ გაუძლო და სასოწარმეუულმა დაიყვირა:

— გგააჩ-ჩერეთ!

ნოდარმა მაშინვე გააჩერა და მოიხედა. ზეინაბმაც მაშინვე მოქაჩა აღვირს, მაგრამ მისმა ლურჯამ ურჩად გააგრძელა ერთი ოცი მეტრი, შემოტრიალდა და გაჩერდა, რახან ნოდარის ცხენი გაჩერებულიყო.

იორამის ცხენიც გაჩერდა. ნოდარი მაშინვე მასთან გაჩნდა. იორამმა ფეხი გადმოიღო და უხერხულად ჩამოიზლაზნა უნაგირიდან.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟურნალის სასაცილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცეთ თვალი

1. ფრანგი ზოოფსიქოლოგი დოდე ამტკიცებს, რომ პუდელის მეპატრონენი ძუნწები არიან, გერმანული ნაგაზის მფლობელებს არა აქვთ იუმორის გრძნობა, ტაქსების მეპატრონეები დიდსულოვანნი არიან, დოგის პატრონები — მამაცნი, ხოლო ვისაც ფოქსტერიერი ჰყავს, უბრალოდ, კარგი ადამიანია. როდესაც ფრანგ ზოოფსიქოლოგს გერმანული ნაგაზის მფლობელმა სასამართლოში უჩივლა, დოდემ მხოლოდ ერთი ფრაზა წარმოთქვა თავის დასაცავად. გაიხსენეთ ეს ფრაზა.

2. ლუის კეროლმა მის მიერ გამოცემულ ამოცანათა კრებულს თავდაპირველად, „უძილო ღამეებში შეთხზული ამოცანები“ უწოდა, მაგრამ მეორე გამოცემის სათაურში, სიტყვები „უძილო ღამეები“ „უძილო საათებით“ შეცვალა. რატომ?

3. როგორ ადამიანს ეძახიან ლაკარტანას?

4. რა არის ნაქურთენი?

5. როგორ ცხენს ეძახიან ქურანას?

6. სპარტელთა მეფე ლეონიდეს, თერმოპილეს ხეობაში სპარსელების წინააღმდეგ საბრძოლველად არც ერთი მეომარი არ წაუყვანია, რომელსაც არ ჰყავდა... ვინ?

7. დაასრულეთ ანატოლ ფრანსის სიტყვები: „ნურავის ათხოვებთ საკუთარ წიგნებს, რადგან შესაძლოა, სამუდამოდ დაკარგოთ ისინი. მე მხოლოდ ის წიგნებილა შემომრჩა, რომლებიც...“

8. რა წიგნს კითხულობდა მოსე ზამთარაძესთან ერთად, მურმან თორიას ლაზარეთში ყოფნისას დათა თუთაშხია?

9. რა არის ჯინჯილა?

10. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაღუპულ გერმანელ ოფიცრებს მიწაში ღრმად არ ასაფლავებდნენ. რატომ?

11. რითია ღირსშესანიშნავი ალექსანდრე დიუმას „შევალიე დე ზოლრუში“?

12. როგორ ადამიანს ეძახიან შატაბუტას?

ანეკდოტები

* * *

ორი ნიანგი ხვდება ერთმანეთს:
— როგორ არის ნადირობის საქმე?
— ახლახან ორი ზანგი შევჭამე. შენ?



— მე კი რუსი შევჭამე.
— იტყუები! აბა, ამოისუნთქე!

* * *

„ახალი რუსი“ ეუბნება მეგობარს:
— „მერსედესი“ გავაკეთებინე სპეციშეკვეთით. ძარა პლატინის აქვს, კარები — ბაჯაღლო ოქროსი, დისკები — ვერცხლის, საჭე ბრილიანტებით არის გაწყობილი.
— მერე, კმაყოფილი ხარ?
— არა, ძალიან ბევრ ბენზინს წვავს!

* * *

ორი ზვიგენი შეხვდა ერთმანეთს:
— წუხელ აკვალანგისტი შევჭამე და პირში რეზინის საშინელი გემო მაქვს, — ჩივის ერთი.
— სულელო, ჯერ უნდა გაგეფცქვნა!..

* * *

დედა-შვილი პლაჟზე წევს და მზეზე ირუჯება. ბავშვმა იქვე მდგარ ნავს მოჰკრა თვალი, ზედ აძვრა და ხტუნაობა დაიწყო. ამ დროს ნავის პატრონი დაადგა თავზე:
— ჩამოდი! — ეუბნება ბავშვს.
— იყოს, რას გიშლის, ეს ნავი მაინც ტყუილად გდია მანდ! — გამოესარჩლა ბავშვს დედა.
— მასე შენც ტყუილად წევხარ მანდ! მოდი, დაგახტები, თუ კარგია და ვიხტუნავებ დილამდე!

* * *

ქალი შესჩივის დაქალს:
— ახლა არავინ მყავს, მხოლოდ სურვილები მაქვს, ისიც — მატერიალური...

* * *

გურული კაცი ეკითხება შვილს:
— როგორ იქნება ქართულად „სტოლ“?
— მაგიდა, — პასუხობს შვილი.
— „სტულ“?
— სკამი.
— „სახარ“?
— აქ ვარ.

* * *

— ხანდახან მგონია, რომ მთელ მსოფლიოში ყველაზე საშინელი სამუშაო მე მაქვს, — წუწუნებს კბილის ჯაგრისი.
— ნამდვილად მეცოდები, — პასუხობს ტუალეტის ქაღალდი.

* * *

— ცოლს ეხმარები?
— როგორ არა?! როცა სახლს გვის, ფეხებს მაღლა ვწევ ხოლმე.

* * *

— ჩემი მეორე სიდედრი პირველზე შეგნებული აღმოჩნდა.
— მართლა?
— ჰო, პირველი გალაწუნებისთანავე მიხვდა ყველაფერს.

* * *

ორი სვანის დიალოგიდან:
— შენი ქვა რა არის ჰოროსკოპის მიხედვით?
— აგური!

* * *

— უნდა გაგაფრთხილოთ, რომ 40 წუთის შემდეგ ჩემი ქმარი დაბრუნდება.
— მერე, ჩვენ ხომ საძრახისს არაფერს ვაკეთებთ!
— სწორედ ეგაა საქმე, დრო კი მიდის!

* * *

სვანმა ქუჩაში ყავარჯნებით მიმავალი ინვალიდი დაინახა.
— ძმაო, სიარული გიჭირს?
— კი, ძალიან!
— მოიტა, მაგ ჯოხებს მე წამოგიღებ!

* * *

კახეთის სკოლაში:
— აბა, ბავშვებო, ვინ გინდათ გამოხვიდეთ, როცა გაიზრდებით? — ეკითხება მასწავლებელი.
მიტო: — მე აგრონომი.
კოლა: — მე იურისტი.
შორენა: — მე დედა გავხდები.
მიხო: — მე კი შორენას დავეხმარები დედად გახდომაში.

* * *

მიხო მაროსთან ერთად ფიგურულ სრიალს უყურებს.
— აუ, ეს ქალი მომცა ახლა „პრაიზვოლნი“ პროგრამაში! — ინატრა მიხომ.
— „აბეზატელნიში“ ხომ მაგარი ხარ! მომინდომა ახლა „პრაიზვოლნი“! — გაბრაზდა მარო.

* * *

სვანმა მანქანაში რადიომიმღები ჩართო:
— თქვენ უსმენთ „რადიო პალიტრას“, — აცხადებს დიქტორი.
— ვა, საიდან იციან?! — გაუკვირდა სვანს.

* * *

განცხადება: „იყიდება მარმარილოს დაფა სასაფლაოსთვის. გამოადგება ყველა მოქალაქეს, ვინც გვარად ივანოვია და 1961 წელს არის დაბადებული“.

* * *

— მიხო, შენი ცოლი გამოუშვი, ვენახში მივდივართ სამუშაოდ! — დაუძახა ბრიგადირმა.
— რაზე მიდიხართ? — ჰკითხა მიხომ.
— ქალები გადახრაზე, კაცები მიკვრაზე.
— დღეს მე მჭირდება, მეც გადახრაზე უნდა ვამუშაო.

* * *

— სიმამრო, როგორა ხარ? — ეკითხება მიხო.
— აბა, როგორ ვიქნები?! საჭმელი არაფერი იშოვება და პამიდვრის ჭამისგან უკან ჩითილი ამომივიდა.
— სარზე არ დაღონდე, მე მოგცემ! — ხითხითებს მიხო.

* * *

— ბიჭო, შენი ცოლი რაღაც ცუდად გამოიყურება.
— თავისი რწმენის გამო იტანჯება.
— როგორ?
— მტკიცედ სჯერა, რომ 36 ზომა ფეხსაცმელი კარგად აქვს.

* * *

გოგო:
— თავი დამანებე! ქორწილამდე არ შეიძლება!
ბიჭი:
— არა უშავს, ქორწილამდე მოგირჩება!

ეროვნული საფარჯიერო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. „ხომ გეუბნებოდით!..“.
2. თავისი უსაზღვრო გულკეთილობის გამო. მის მეგობრებს რომ არ ეფიქრათ, მწერალს უძილობა ტანჯავსო და არ შეწუხებულიყვნენ ამის გამო.
3. ხმელ, გამხდარ ადამიანს.
4. ასე ეძახიან ხის ქერქსა და მერქანს შორის არსებულ შრეს.
5. წაბლისფერს.
6. შვილი.
7. „...სხვებს გამოვართვი წასაკითხად“.
8. „ვეფხისტყაოსანს“.
9. ქერის პური.
10. ამოსათხრელად ადვილი რომ ყოფილიყო ცხედარი. იმედი ჰქონდათ, ომს მალე მოვიგებთ და დაღუპულებს სამშობლოში გადავასვენებთო.
11. მწერალმა იგი 66 საათში დაწერა. ნაძლევი ჰქონდა დადებული, — სამ დღეში დავწერო და დათქმულ ვადაზე ადრე დაასრულა.
12. ქერქეტს, ცეტსა და უთავბოლოდ მოლაპარაკეს.

ჩვენი ფოტო გალერეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

10 მიზეზი, რომლის გამოც მამაკაცები ტოვებენ ქალებს

1. თუკი ქალთან ურთიერთობა უინტერესო გახდა

მამაკაცი იდეალურს თუ არა, ისეთ ქალს მაინც ეძებს, ვისთან კონტაქტიც საინტერესო იქნება — საუბრისას თუ ფიზიკური სიახლოვისას. მართალია, ზედმეტად ჭკვიან ქალთან ურთიერთობა მას აფრთხობს — ანუ არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენს, მაგრამ არც მხოლოდ სერიალებისა და იაფფასიანი რომანების მოყვარული ქალი იზიდავს.

2. როცა ადგილი აქვს ხასიათების შეუთავსებლობას

თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ წყვილი რატომღაც წვრილმანებზე კამათობს, ვერ პოულობს კომპრომისებს, არანაირ დათმობაზე არ მიდის. ასეთ შემთხვევაში, ერთი გამოსავალი დაგრჩებათ — დაშორება.

დასკვნა: მამაკაცი ბუნებით ლიდერია, ამიტომაც სურს, რომ უმეტესწილად მას დაუთმოთ.

3. თუკი ქალი თავშეუკავებელია

არც ერთ მამაკაცს არ აქვს სურვილი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წითლდებოდეს თავისი პარტნიორის დაუფიქრებელი საქციელის გამო.

დასკვნა: ისწავლეთ საკუთარი თავის კონტროლი.

4. როცა ქალს საეჭვო წარსული აქვს

გაითვალისწინეთ, რომ პარტნიორების ხშირად ცვლას კარგი არაფერი მოაქვს. ნებისმიერ მამაკაცს აქვს სურვილი, იყოს ქალის ცხოვრებაში პირველი. ყოველ შემთხვევაში, 51-ე ადგილზე ყოფნა ნამდვილად არავის ხიბლავს!

დასკვნა: იფიქრეთ მომავალზე იმ წუთიდანვე, როგორც კი თქვენს ცხოვრებაში პირველი მამაკაცი გამოჩნდება და ნუ დაივიწყებთ, რომ ახალგაზრდობა მარადიული არ არის!

5. როცა ქალი მამაკაცში მხოლოდ ფსიქოთერაპევტს ხედავს

ბუნებრივია, მას უნდა მოუყვეთ თქვენს პრობლემებზე, საზრუნავზე, გაუზიაროთ თქვენი მოსაზრებები, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი ვარგა. წუწუნით თავს თუ მოაბეზრებთ, მალე თქვენზე მეტად გაღიზიანებული და პრობლემებით დახუნძლული პარტნიორი შეგრჩებათ ხელთ.

დასკვნა: ნუ დაივიწყებთ, რომ ამისთვის დაქალები არსებობენ!

6. როცა ქალი თავს აღარ უვლის

თუკი ის სიმპათიური ქალბატონი — რომელმაც დანახვისთანავე

ვაშლის ღვეზელი



ინგრედიენტები ცომისთვის:

კარაქი — 100 გ;
ხაჭო — 100 გ;
შაქარი — 100 გ;
ფქვილი — 200 გ;
გამაფხვიერებელი — 1 ჩ/კ;
ოდნავ მარილი.

მასალა შიგთავსისთვის:

ვაშლი — 600-700 გ (4-5 ცალი);
ლიმონის წვენი — 2-3 ს/კ;
შაქარი — 2 ს/კ;
ქიშმიში — 70-80 გ;
კონიაკი — 2 ს/კ.

არაჟნისა და კვერცხის საწებელი:

არაჟანი — 180-200 გ;
კვერცხი — 2 ცალი;
შაქარი — 1 ს/კ;
ვანილი — რაც დანის წვერზე მოთავსდება;
კარტოფილის ფქვილი — 2 ს/კ.

გამზადებული ნამცხვრის მოსართავად საჭიროა ქოქოსის ფხვნილი ან შაქრის პუდრა.

ცომის მომზადების წესი:

დარბილებული კარაქი, გამაფხვიერებელშერეული გაცრილი ფქვილი, შაქარი, ვანილი, მწიკვი მარილი ერთმანეთს შეურიეთ და მოზილეთ ცომი. შემდეგ გაახვიეთ ფოლგაში და შეინახეთ ნახევარი საათით მაცივარში.

ვაშლის შიგთავსის მომზადების წესი:

გარეცხეთ და გააშრეთ ქიშმიში, დაასხით 2 ს/კ კონიაკი. გარეცხეთ ვაშლი. თითოეული ვაშლი გაჭერით 4 ნაწილად, ამოაჭერით გული და მოასხით ლიმონის წვენი, რათა ვაშლი არ გამუქდეს. გადადეთ ვაშლის 6-7 მეოთხედი ნამცხვრის მოსართავად. თითოეულ მეოთხედს გაუკეთეთ რამდენიმე ჭრილი, მაგრამ ბოლომდე არ გაჭრათ. დარჩენილი ვაშლი პატარა კუბურებად დაჭერით, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით შაქარი და დაასხით ლიმონის წვენი (1-2 ს/კ). ქვაბს დაახურეთ თავსახური და დაბალ ცეცხლზე შუშეთ, ურიეთ მანამ, ვიდრე დარბილდება. გამოიღეთ მაცივრიდან ცომი, გააბრტყელეთ. მოათავსეთ ფორმაში — ისე, რომ მისი კიდეები და ფსკერი დაიფაროს. ფორმა 180-190°C-მდე გახურებულ ჰაერღუმელში შედგით და 10-12 წუთი აცხვეთ.

მოამზადეთ არაჟნისა და კვერცხის ნაზავი:

თასში მოათავსეთ არაჟანი, კვერცხი, შაქარი, ვანილი; დაუმატეთ კარტოფილის ფქვილი და ერთგვაროვანი მასის მიღებამდე ურიეთ. ცომიანი ფორმა გამოიღეთ ღუმლიდან, მთელ ზედაპირზე განალაგეთ ვაშლი და მოაყარეთ ქიშმიში.

გარშემო შემოუწყვეთ მოსართავად გამზადებული ვაშლის მეოთხედები.

ზემოდან მოასხით არაჟნისა და კვერცხის ნაზავი და აცხვეთ 200-გრადუსიან ტემპერატურაზე, 20-25 წუთის განმავლობაში. მომზადებულ ნამცხვარს ქოქოსი ან შაქრის პუდრა მოაყარეთ. ■

ასე მოხიბლა, მოუვლელ, თმაგაწეწილ, ფორმადაკარგულ დედაკაცად გადაიქცევა, ცხადია, მამაკაცი მისგან გაქცევას შეეცდება.

დასკვნა: არასოდეს მოადუნოთ ყურადღება საკუთარი გარეგნობის მიმართ, პირიქით — დღითი დღე უკეთესობისკენ უნდა ისწრაფოდეთ!

7. როცა ქალს მხოლოდ მამაკაცის ჯიბე აინტერესებს

მართალია, მამაკაცს სიამოვნებს ქალზე ზრუნვა, მაგრამ სამაგიეროსაც ითხოვს. და ეს სამაგიერო — სიყვარულია.

დასკვნა: თუ გსურთ, რომ მისგან საჩუქრები კვლავინდებურად მიიღოთ, დაანახვეთ, რომ ძველებურად გიყვართ.

8. როცა ქალი ქორწინებას ჩქარობს

აცალეთ მამაკაცს, ჩამოყალიბდეს და თავად გამოთქვას მოსაზრება, თუ როგორი ურთიერთობა სურს თქვენთან. ნუ გაუსწრებთ მოვლენებს, ამით მხოლოდ დააფრთხობთ მას.

9. თუკი მამაკაცმა ქალის ღალატის შესახებ შეიტყო

მამაკაცს შეუძლია გაპატიოთ თითქმის ყველაფერი, გარდა ღალატისა. თუ ეს მოხდა, ის აუცილებლად წავა თქვენი ცხოვრებიდან.

დასკვნა: უმჯობესია, მანამდე დაშორდეთ მას, ვიდრე სხვასთან გააბამდეთ ურთიერთობას. ამგვარად მოსალოდნელ სკანდალსაც აიცილებთ თავიდან.

10. როცა ქალს მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე მამაკაცს

თუკი ნებსით თუ უნებლიეთ, ამას გამუდმებით აყვედრით, ის დაკომპლექსდება და სავარაუდოა, თქვენგან წასვლის სურვილიც გაუჩნდეს.

დასკვნა: თუ თქვენ მასზე მაღალანაზღაურებადი სამსახური გაქვთ, ნურასოდეს გაუსვამთ ხაზს ამ გარემოებას; პირიქით — მის მიმართ იყავით თბილი, უშუალო, ლოიალური... ურთიერთობაში მთავარი ხომ ფინანსური მხარე არ არის. ■

ისწავლეთ სიხარულის განცდა

ალბათ გეყოლებათ ისეთი ნაცნობები, რომლებიც არასდროს იცინიან, იშვიათად იღიმებიან და ბედნიერები და მხიარულები თითქმის არასდროს არიან...

სამწუხაროდ, ასეთი ადამიანი არცთუ ცოტაა და, სპეციალისტების რწმუნებით, მათი რაოდენობა სულ უფრო იზრდება.

ანგედონია — სიხარულის ვერგანცდას ნიშნავს — ანუ როცა არ იცი, როგორ უნდა გიხაროდეს. დედამიწის მოსახლეობის 10%-ს არ შეუძლია ნამდვილი სიხარულის განცდა, რადგან ანგედონიით იტანჯება.

ბევრი საკუთარ თავს დაბადებიდან პესიმისტად აღიქვამს, ასეთ მდგომარეობას ეჩვევა და ვერც კი ამჩნევს, რომ მდგომარეობა დროთა განმავლობაში უარესდება.

არაკვალიფიცირებული სპეციალისტები ამ მდგომარეობას დეპრესიას მიაწერენ და „პაციენტს“ მკურნალობის კურსსაც კი უნიშნავენ. თუმცა, ანტიდეპრესანტებს დადებითი ეფექტი ვერ მოაქვს. გაცნობიერება იმისა, თუ რა არის სინამდვილეში თქვენი პრობლემა და მასთან გამკლავებისთვის მზაობა, სერიოზული, წინ გადადგმული ნაბიჯია. ჩვენ მიერ ცხოვრების აღქმა ჩვენსავე ემოციებით განისაზღვრება და პირდაპირ კავშირშია იმასთან — რამდენად მოვრიგდებით საკუთარ თავთან, გარშემო მყოფებთან და სამყაროსთან.

ზოგიერთი საკუთარ თავზე იღებს არა მარტო თავის, არამედ სხვის საზრუნავსაც; და თუ ამ მოვალეობას ვერ უმკლავდება, წარუმატებლობაში საკუთარ თავს ადანაშაულებს. მუდმივი მცდელობა, ყველაფერი ზედმიწევნით კარგად გააკეთოთ და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა (რომელიც მაშინ ჩნდება, როცა რაღაც „საუკეთესოდ“ არ გამოგდით) ემოციურ ფონს ადაბლებს.

ანგედონიასთან ბრძოლის საუკეთესო წამალი — სიხარულის ჰორმონის ბუნებრივი გამოყოფის სტიმულაციაა. ეს ერთ-ერთი ხერხია ეძებოთ სიხარულის მიზეზი ყველგან, ყველაფერში, ყველაზე უმნიშვნელო მოვლენებში, შთაბეჭდილებებსა და შეხვედრებში.

როგორ უნდა გააკეთოთ ეს რეალურად?

✓ სცადეთ, დილიდანვე მზერა ფანჯრის მიღმა მოთამაშე მზის სხივებს, აფეთქებულ კვირტებს ან მოფარფატე ფიფქებს მიაპყროთ. გარეთ გამოსულმა ქარის გამოქროლებას, ბავშვების ჟრიამულს მიუგდეთ ყური...

✓ ძალიან კარგია იმ ადგილებში გავლა, სადაც გაიზარდეთ. თუკი რამე მიზეზის გამო სამახსოვრო ადგილები აღარ არსებობს ან თქვენგან შორსაა, ნათელი და მხიარული ეპიზოდები გაიხსენეთ, იქ დატოვებულ საუკეთესო, ბედნიერ წლებში იმოგზაურეთ. მეხსიერებაში ქექვა არაერთ ამბავს მოგაგონებთ და სიამოვნებასაც მოგანიჭებთ.

✓ ნუ ეცდებით, ყველაფრის ერთად და უცებ გაკეთებას. ნურც შვილებს დასტრიალებთ ქორივით თავს, დაუტოვეთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლება.

✓ ისწავლეთ „არას“ თქმა იმ კოლეგებისთვის, რომლებიც ყველაზე ხშირად სარგებლობენ თქვენი პროფესიონალიზმით: თქვენ ხომ თითქმის ყველაფერს სხვის ნაცვლად და თანაც — უნაკლოდ აკეთებთ.

✓ და კიდევ: ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენი მეუღლე ზრდასრული ადამიანია და მშვენივრად შეუძლია არა მარტო — საკუთარ თავზე, არამედ თქვენზეც და ოჯახზეც ზრუნვა. თქვენ კი აუცილებლად უნდა დაგრჩეთ დრო საკუთარი თავის მოსავლელად, სილამაზის სალონში თუ კონცერტზე წასასვლელად; ბოლოს და ბოლოს — მეგობრებთან ერთად გასასეირნებლად მაინც...

ძვირფასო ქალებო, შეიყვარეთ საკუთარი თავი და თქვენთვის სამყაროც გაფერადდება... ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲘ“

გამოცემის დასახელება	1 ვგზ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИЙ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

ᲐᲖᲠᲔᲛᲘᲡᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

E-mail:elva@kvirispalitra.com

ნითელი ფეხსაცმელი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №23-30

ნია ამჯერადაც იგვიანებდა. გიგი ვერ მალავდა მოუთმენლობას, თვალები წარამარა შემოსასვლელისკენ გაურბოდა გოგონას მოლოდინში, თან უინტერესო ლაპარაკს აგრძელებდა რესტორნის დარბაზში თავშეყრილ სტუმრებთან. როგორ უნდოდა, მასთან ერთად გამოცხადებულიყო ამ საღამოზე, მაგრამ ნიამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მოგვიანებით მოვალ, ადრე გათავისუფლებას ვერ ვახერხებო.

მოთმინების ფიალა აევსო. მალულად დახედა საათს. რა მოხდებოდა, იმ სკოლის თათბირს რომ არ დასწრებოდა? ხომ შეეძლო, მისი გულისთვის გაეცდინა?

კიდევ ერთხელ გაიარ-გამოიარა, დაძაბულობა რომ მოეხსნა. ნია არ ჩანდა. ბოლოს გადაწყვიტა, შეჰგუებოდა აზრს, რომ გოგონამ მოსვლა გადაიფიქრა და ის იყო, ბარისკენ აიღო გეზი, რომ უცებ შეამჩნია... მისი პატარა თვალისმომჭრელად გამოიყურებოდა...

თაკომ დაურეკა გუშინ, ძალიან ლამაზი კაბა შევარჩიეთო... გიგის ეჭვიც არ შეჰპარვია ამაში, მაგრამ... ასეთი სანახაობის მომსწრე თუ გახდებოდა, არ ელოდა.

კართან მდგარ სახეშეფაკლულ ნიას ოფიციანტი მიუახლოვდა და დარბაზისკენ გაუძღვა. მას შავი აბრეშუმის კაბა ეცვა, ტანზე მჭიდროდ მომდგარი, წელს ქვემოთ კი გაშვებული. სამკუთხა ფორმის ჭრილიდან ულამაზესი თეთრი მკერდი მოუჩანდა. ფეხზე კი... ფეხზე კვლავ წითელი ფეხსაცმელი ეცვა, გიგის ნაჩუქარი წითელი ფეხსაცმელი. ახვლედიანმა ირგვლივ მიმოიხედა და შეამჩნია, რომ მარტო ის არ მოინუსხა გოგონას სილამაზით.

ნია არავის უყურებდა, ბალერინასავით ყელმოღერებულს პირდაპირ მისკენ აეღო გეზი. არ ახსოვს გიგის, ბოლოს როდის ჰქონდა ასეთი მძაფრი რეაქცია ლამაზი ქალის დანახვაზე. მათთან ყოველი მორიგი შეხვედრის შემდეგ, კმაყოფილი გადატრიალდებოდა ხოლმე საწოლში და ტკბილად იძინებდა. ახლა კი...

მეექვსე ღამეა, თვალზე რული არ ეკარება, შამფურზე წამოცმული გოჭივით ტრიალებს ლოგინში... იმიტომ, რომ ნიაზე ფიქრობს... გამუდმებით, ყოველ წუთს, ყოველ წამს... ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ქალმა, რომელთანაც მხოლოდ ორი ღამე გაათენა, ბანგი გაურია სასმელში და მოაჯადოვა.

მორჩა, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულია! დღესვე წაიყვანს თავისთან და დაიტოვებს. არანაირი არგუმენტი, არ მოუსმენს, უარს არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს მისგან. მას სჭირდება ეს გოგო.

— მაპატიე, რომ შემაგვიანდა, — ზღვისფერი თვალები მიანათა ნიამ გიგის, — ძალიან გაიწელა თათბირი, უფრო ადრე გამოსვლა ვერ მოვახერხე. ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით რეორგანიზაცია ხდება და... სანამ შვებულებაში გაგვიშვებენ, ყველაფერი უნდა მოვაგვაროთ.

გიგი გაულიმებლად, დაჟინებული მზერით მისჩერებოდა, თითქოს არც უსმენდა. ნუთუ ბრაზობს, რომ დააგვიანა? აღელდა. აბა, რა ექნა, ვინ გამოუშვებდა? ხომ არ იტყოდა, საღამოზე ვარ მიწვეულიო? მეტიც არ უნდათ სკოლაში, მაშინვე ჭორები აგორდება... ნია ლაპარაკობდა, მაგრამ გიგის მისი სიტყვები არ ესმოდა. იგი თვალებით ჭამდა გოგონას.

— რაც მთავარია, მოხვედი, დანარჩენი არ მაინტერესებს, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია, — გაღიმების გარეშე ჩაილაპარაკა მამაკაცმა, ქალს მხრებზე ხელი მოხვია და მეორე დარბაზისკენ გაუძღვა, სადაც სტუმრებისთვის სუფრა იყო გაშლილი.

ისინი ერთმანეთის გვერდით დასხდნენ. ნიას არ გამოჰპარვია, როგორი შურით აყოლებდნენ მას თვალს ქალები... ალბათ იმიტომ, რომ გიგის გვერდით იჯდა. მამაკაცი თავისი გარეგნობით და მანერებით აშკარად გამოირჩეოდა სხვებისგან. ამან გოგონა კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ვერასდროს მიუახლოვდებოდა ახვლედიანს იმ მანძილზე, რომ მის გარშემო მყოფი ყველა ქალი დაეჩრდილა.

ნია ისე ღელავდა, ვერც კი შეამჩნია, როგორ აუკანკალდა ხელი, რომელშიც წითელი ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა. ის იყო, გოგონას სასმელი უნდა მოესვა, რომ მოულოდნელად მკვეთრი მოძრაობა გამოუვიდა და ღვინო ახალ კაბაზე გადაესხა. ნირწამხდარი შეეცადა, სველი ლაქა ხელსაწმენდით გაეწმინდა. ამ დროს გიგი შეუმჩნევლად ხელით შეეხო თეძოზე. ნია ისე შეხტა, თითქოს ცხელი უთო დაადესო. სიამოვნების ტალღამ შხუილით დაუარა ძარღვებში.

— ცოტა ხნით უნდა გავიდე, — თქვა და დამსწრეთა მზერით შეცბუნებულმა, თვალები დახარა.

გიგიც წამოდგა.

— გვაპატიეთ, — ხმამაღლა წარმოთქვა მამაკაცმა ისე, რომ კონკრეტულად არავისთვის შეუხედავს, — ჩემს თანამგზავრს დახმარება სჭირდება.

— არა, არა, რა საჭიროა... — გაწითლდა ნია.

— საჭირო კი არა, აუცილებელია, — ჩაესმა გოგონას გიგის ჩურჩული.

ჩქარი ნაბიჯებით გაიარეს დარბაზი...

— აქ შევიდეთ, — თქვა მამაკაცმა და ყვავილებით მორთულ პატარა, კოხტა ოთახში შეუძღვა, — შეგიძლია მშვიდად მოწესრიგდე.

— შენ არ უნდა გამოსულიყავი, თვითონ მივხედავდი ჩემს თავს, უხერხულია სტუმრებთან, ჩემი გულისთვის არ ღირს... — გოგონამ წინადადების დამთავრება ვერ მოასწრო, ისე სწრაფად ააფარა მამაკაცმა პირზე ხელი, მეორე წელზე მოხვია და მოწყურებულად დააკვდა ტუჩებზე.

ნიას წინააღმდეგობა არ გაუწევია, სიამოვნებით დაჰყვა მამაკაცის ნებას. ძლიერ მკლავებში მომწყვდეული ნამდვილ თოჯინას ჰგავდა — უსულოს და უმეტყველოს, მორჩილს და უნებისყოფოს, რომელსაც პროტესტის გამოხატვა არ შეეძლო.

— თავბრუდამხვევად გამოიყურები, პატარავ, გასაგიჟებლად, — თავისთვის ბურტყუნებდა მამაკაცი და მის მოშიშვლებულ ყელს ტუჩებს ვერ აცილებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორივენი უსიტყვოდ განერიდნენ ერთმანეთს, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. აფორაჯებული ნია თავის მოწესრიგებას შეუდგა. გიგი თვალს ვერ სწყვეტდა ამ მაცდუნებელ სილამაზეს. ველარ ითმენდა, ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა საღამო და განმარტოვდებოდა მასთან.

გიგი თავს ველარ აკონტროლებდა. არც ის ესმოდა, რაზე ელაპარაკებოდნენ სუფრასთან მსხდომნი და ვერც იმას იხ-

სენებდა, რა პასუხს სცემდა მათ მიერ დასმულ კითხვებზე. ამწუთას არაფერი ახსოვდა ნიას გარდა და არც სურდა, რამე გახსენებოდა.

აზრი, რომელიც დღეს დილით გაუჩნდა, უფრო და უფრო მოსწონდა. ახლა სწორედ ის დრო იყო, თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოეყვანა. გადაწყვეტილება საბოლოო იყო და მის შეცვლას არ აპირებდა.

— მინდა, აქედან ჩემთან წავიდეთ. რაღაცაზე უნდა მოვილაპარაკოთ.

ნიამ შუბლი შეჭმუხნა და გრძელი, თხელი თითებით მკერდი შეისწორა, ზედმეტად რომ ამობურცოდა კაბის ჭრილიდან.

— რაზე უნდა მოვილაპარაკოთ?

— აქ შესაფერისი არც დროა და არც ადგილი, — მის ხმაში შებოჭილობა იგრძნობოდა.

რამდენიმე წუთიც და გიგის ისე დაუმშვიდდა სახე, თითქოს არც შეხებიაო ქალს, კვლავ გულგრილი და შეუვალი გაუხდა გამომეტყველება. როგორ ახერხებს ამას? მისი შემხედვარე, ნია გაოცებას ვერ მალავდა. რა დიდი სიამოვნებით გააკეთებდა ახლა მაპროვოცირებელ სვლას, ოღონდ კი ახვლედიანის თვალებში ის ცეცხლოვანი ნაპერწკლები გაეჩინა, ვნების მოძალებისგან რამდენიმე წუთის წინ ბუშტუკებივით რომ სკდებოდა.

— მაგრამ ბანკეტი ხომ გვიანობამდე გაგრძელდება, ხვალ დილით კი ადრე უნდა ავდგე, სამუშაო მაქვს.

— რა სამუშაო გაქვს? ხვალ ხომ აღარ გიწევს სკოლაში წასვლა?

— სკოლაში არა, მაგრამ... — ნიამ მზერა აარიდა.

— მაგრამ რა, კიდევ სადმე მუშაობ?

— ჰო, პატარა მაღაზია მაქვს გახსნილი, — ყურები გაუხურდა გოგონას.

— მაღაზია? რისი? — ეს ახალი ამბავი იყო გიგისთვის.

— მეორადი ტანსაცმლის... ბევრი არაფერია...

— ვა! შენ აღარ ხუმრობ! ბიზენსი წამოგიწყია თურმე... დიდი ხანია? — მამაკაცმა ღიმილი ვერ შეიკავა.

— არც ისე...

— ფართობი დაქირავებული გაქვს? რამდენს იხდი თვეში?

— ორას დოლარს.

— ორას დოლარს? ჰმ... გინდა, კარგი რჩევა მოგცე? დაანებე მაგ მაღაზიას თავი, ჩააბარე პატრონს და შეეშვი წვალებას. შენ მე არაფერს გაგიჭირვებ, პატარავ, გპირდები.

— არა, დიდი მადლობა, არ მინდა, ვინმეზე დამოკიდებული ვიყო, — ჯიუტად გადააქნია თავი ნიამ, — როცა შენით შოულობ, მაშინ აქვს გემო ფულს. აჯობებს, შინ წავიდე.

გიგი გაოგნდა. ხედავ? ეს პატარა ჯადოქარი კვლავ უარით ისტუმრებს. ასეთი წინააღმდეგობა არასდროს შეხვედრია სუსტი სქესისგან ცხოვრებაში. არადა, ხომ გრძნობს, ნიასაც როგორ უნდა მასთან, როგორ დნება მის მკლავებში, რატომ იფასებს თავს? უნდა, გააღიზიანოს? გამოიწვიოს, რათა უფრო ძლიერად მოიმწყვდიოს მახეში? თუ ასეა, სულაც არ სჭირდება ქალს ამისთვის ძალისხმევა, გიგი ისედაც გაბმულია მის ხაფანგში. არა, რადაც უნდა დაუჯდეს, ამაღამ თავისთან უნდა წაიყვანოს, უკვე მოთმინების ფიალა აევსო.

— რომ გთხოვო, ხვალ მაღაზია არ გააღო-მეთქი?

— იცი, რა-ა? მარტო ეს არ არის საქმე. დილაადრიან აუზზეც უნდა წავიდე... რამდენიმე დღე უკვე გავაცდინე, რომ არ მივიდე, აბონემენტი გამიუქმდება.

— აუზზე? რა პრობლემაა?! სახლში ისეთი აუზი მაქვს... საცურაო კოსტიუმიც მომეძებნება შენისთანა სტუმრისთვის. ასე რომ, ჩემთან იცურავე, რამდენიც გაგიხარდება, — თქვა გიგიმ და მის პასუხს არც დალოდებია, ისე გავიდა.

ერთი ამას დამიხედეთ, რა თავდაჯერებულია! ნიამ კოპები შეკრა. ამას რა ჰგონია, მის დაკრულზე ყოველთვის იცეკვებს? სულაც არა!

— მე არ მინდა შენს აუზში ვიცურაო, გიგი! მე შინ მინდა დაბრუნება და ხვალ დილით „ლაგუნა-ვერეზე“ წასვლა.

მისმა მოულოდნელმა რეპლიკამ მამაკაცი ადგილზე გააქვავა. მძიმედ შემოტრიალდა და თვალებში ჩააშტერდა გოგონას.

— ისე გაქვს გამჯდარი შენი ცხოვრების რიტმი, რომ თუნდაც ჩემი გულისთვის მსხვერპლს არ გაიღებ? — ცივად წარმოთქვა და წარბები უკმაყოფილოდ აზიდა.

— შეიძლება შენთვის ეს ყველაფერი სისულელეა, მაგრამ არა ჩემთვის. მაგალითად, შენ გადადებდი ჩემი გულისთვის მნიშვნელოვან შეხვედრას?

ეს უკვე გამოწვევას ნიშნავდა... იმის მაგივრად, რომ მის სიტყვებს მამაკაცი გაეღიზიანებინა, ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე.

— ნუთუ ასე ცოტა დამამტკიცებელი საბუთი გაქვს იმისთვის, თუ როგორ მსიამოვნებს შენთან ყოფნა? შენი მოფერება და ჩახუტება? ამაღამ მეც შემიძლია დავბრუნდე შინ და წავიმუშაო. კვირას ხუთი დღით ჟენევაში მივფრინავ, რათა რამდენიმე კონტრაქტი გავაფორმო, ამაზე ძალიან ბევრი ადამიანის მომავალია დამოკიდებული. მოლაპარაკებები ხანგრძლივი და რთული იქნება, ასე რომ, წინასწარ შემზადება ნამდვილად არ მაწყენდა. ეს მნიშვნელოვანია ჩემთვის, მაგრამ მაინც შენთან ვამჯობინე ამ დროის გატარება. კიდევ რა უნდა გავაკეთო, რომ ჩემი გულწრფელობა დაგიმტკიცო?

ნიამ თვალები დახუჭა. ამის მერე განა შეიძლება უარი უთხრას? მისი სიამაყე და თავმოყვარეობა მოულოდნელად უკვალოდ გაქრა. თვითონაც გრძნობდა, როგორ უთრთოდა სხეული მისი სიახლოვისგან და რაც უფრო ხშირად ხვდებოდა გიგის, მით უფრო უძლიერდებოდა მის გვერდით ყოფნის სურვილი. რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ეს ყველაფერი? ადრე იქნება თუ გვიან, გაუნელდება მასთან ყოფნის სურვილი და მერე? რა დარჩება ნიას? მხოლოდ მისი ნაყიდი ნივთები და ღამის მოგონებები?

გოგონამ ხმამაღლა ამოიოხრა.

— თუ ასეა, წამოვალ, გიგი, მაგრამ გამოსაცვლელი ტანსაცმელი არ მაქვს. შეიძლება ჯერ ჩემთან შევიაროთ?

— რა თქმა უნდა.

მან კვლავ ცივად და უცხოსავით შეხედა. ნიამ ინანა, ასე რომ გაჯიუტდა. ბოლოს მაინც ხომ მოუწია დათანხმებამ?

— ჰო, მართლა... გიგი... სულ დამავიწყდა. — წამოიძახა უცებ.

— რა იყო?

— დიდი მადლობა ასეთი დიდებული კაბისთვის. მაპატიე, ისეთი აღელვებული ვიყავი...

— მიხარია, რომ მოგწონს, ძალიან მიხარია.

სიტყვა არ დასცდენიათ, უხმოდ დაუბრუნდნენ სუფრას. ორივე კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. გიგის ისევ შემოეხვივნენ სუფრის წევრები, როგორც საპატიო სტუ-

მარს. სწორედ ამიტომ არ უყვარდა ნიას ხმაურიანი წვეულებები. სხვისი ყურადღება მუდამ თრგუნავდა და უხერხულობის დაძლევა უჭირდა.

თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა მანქანაში აღმოჩნდა. ჯერ თავისთან შეიარეს ტანსაცმლის წამოსაღებად, მერე კი გიგის სახლისკენ გაემართნენ. გოგონას დაღლილობისგან ფეხები ეკეცებოდა. როგორც კი სასტუმრო ოთახში შევიდა, ფეხზე სასწრაფოდ გაიხადა, დივანში დაჯდა და ყურთბალიში ხელებში ისე მოიმწყვდია, თითქოს მასზე დაყრდნობა სურსო.

— დალევ რამეს? — გიგი ბარს მიუახლოვდა.

— არა, გმადლობ. ისე დავიღალე, ახლა ერთი წვეთიც რომ დავლიო, საწოლამდე ჩემი მიტანა მოგიწევს, ისე გავითიშები.

გიგი გაღიმებული მოტრიალდა.

— შეგიძლია არაფერი დალიო, მაგრამ იდეა ძალიან მომეწონა.

ნიამ კიდევ უფრო მჭიდროდ მიიხუტა ყურთბალიში. ისე იყო დაძაბული, რომ ზურგში ჩხვლეტაც კი იგრძნო. შეეცადა, ოდნავ მოდუნებულიყო.

— რომელი იდეა? — ვითომ ვერ მიხვდა, რა იგულისხმა მამაკაცმა.

სანამ უპასუხებდა, გიგიმ ღრმად ჩაფიქრებული სახით მარტინი ჩამოისხა ჭიქაში. ნიას თითქოს ჭიანჭველებმა დაურბინეს ტანში.

— ჩემს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ძალიან ბევრი მოვალეობა აკისრია, პატარავ. სიმდიდრე პასუხისმგებლობაა. რასაც უნდა ფიქრობდნენ ზოგიერთები, მე არ შემიძლია, გულზე ხელები დავიკრიფო და თითების გატკაცუნებით გავცე ბრძანებები. საკითხთა უმრავლესობაზე თავად მიწევს გადაწყვეტილების მიღება. მე ვცდილობ, სრულყოფილებას ყველაფერში მივაღწიო. ჯერ ვიტან შუალედურ მდგომარეობას. ის, რასაც ადამიანი აკეთებს, კარგად უნდა გააკეთოს, თუ არა და, საერთოდ არ უნდა მოჰკიდოს ხელი. მეთანხმები?

თავის პროფესიაში ნიაც სწორედ ამას ცდილობდა — საუკეთესო ყოფილიყო, ამიტომ თანხმობის ნიშნად, თავის დაქნევის მეტი არაფერი დარჩენოდა.

— არც ისე დიდი ხანია, იმ დასკვნამდე მივედი, რომ არ არის აუცილებელი, მარტოობაში გავატარო სიცოცხლე. უფრო სასიამოვნო იქნებოდა, გვერდით მყოლოდა ადამიანი, რომელიც ცხოვრებას გამილამაზებდა. და აი, შენზე გავიფიქრე, პატარავ.

— ჩემზე? — მოულოდნელად ნიას ყელი გაუშრა. საით უმიზნებს?

— ჰო, შენზე.

გიგიმ ჭიქა ჟურნალების მაგიდაზე შემოდგა და მისკენ შეტრიალდა, თან დაკვირვებულ მზერას არ აშორებდა.

— დავიღალე ხანმოკლე, არაფრის მომცემი ურთიერთობებით. მინდა, რომ ჩემთან გადმოხვიდე საცხოვრებლად... და ჩემი მუდმივი და ერთადერთი საყვარელი გახდე.

თავზარდაცემული გოგონა უაზრო თვალებით მიაჩერდა. მსგავსი რამ თავში აზრად არასდროს მოუვიდოდა. რა, გიგის ჰგონია, რომ იგი ამაზე დათანხმდება?

— შენ გსურს, ჩემი პატრონობა და შენახვა იკისრო? ასე გადაწყვიტე?

— რა არის იმაში ცუდი, თუკი შენზე ზრუნვას საკუთარ თავზე ავიღებ?

— სულაც არ მინდა, ჩემზე ზრუნავდნენ. მე მაქვს ბინა, მაქვს სამსახური... რატომ უნდა ვთქვა მათზე უარი? ან შენთან რა უნდა ვაკეთო? თოჯინასავით მთელი დღე უსაქმოდ ვიჯდე და ველოდო, როდის გათავისუფლდები, რომ მერე ლოგინში მოგემსახურო?

რა აუტანელია ეს გოგო! გიგის გაცოფებისგან სისხლი საფეთქლებთან მოაწვა. ეს ქალი მის თავმოყვარეობას პირველი დღიდანვე აყენებდა დარტყმას. როგორ უბედავს ამდენს?

— ხვდები მაინც, შანსს გაძლევ? ამას ნებისმიერი ქალი სიხარულით დათანხმდებოდა. კარგად დაფიქრდი, პატარავ. არაფერს გაგიჭირვებ ცხოვრებაში. ყველგან ერთად ვივლით, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. შენ მსოფლიოს მოივლი, ფუფუნებასა და განცხრომაში იცხოვრებ. რას ხედავ ამაში მიუღებელს და უმსგავსოს? ასეთი საშინელება რა დაინახე ჩემს შემოთავაზებაში?

ნია სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. მისი სათაყვანებელი მამაკაცი ვერაფერს მიხვდა. მას ჰგონია, რომ ფულით ყველაფრის ყიდვა შეუძლია, რასაც მოისურვებს. მაგრამ ის მაინც არ შესთავაზა, რაც ასე სწყუროდა ნიას გულს.

უცებ, უარესი აზრი მოუვიდა თავში. არა, ეს კაცი დასცინის. ალბათ უნდა, რომ გამოცადოს, დათანხმდება თუ არა ნია მის წინადადებას, მერე კი გადაიხარხარებს და ეტყვის, გაგეხუმრეო.

— ეს რა, ხუმრობაა, გიგი? — ხმა შეეცვალა ფერწასულს.

— არა, პატარავ, არავითარი ხუმრობა ეს არ არის. ყველაფერი ფხიზლად ავწონე და სრულიად სერიოზულად ჩამოვაყალიბე ჩემი სურვილი.

— მაგრამ ასე ხომ არ შეიძლება! — გოგონა წამოხტა, მამაკაცს წინ აესვეტა და ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა.

— რატომ? რა არის აქ შეუძლებელი? — ყოველგვარი ემოციის გარეშე შეჰყურებდა ახვლედიანი.

ეს უფრო აშინებდა ნიას.

— შენ არ შეგიძლია ამაზე სერიოზულად ილაპარაკო. ჩვენ შორის უზარმაზარი უფსკრულია, გიგი. და საერთოდ, რაში გჭირდები? დღეს მთელი საღამოს განმავლობაში ეკლებზე ვიჯექი, ისე უხერხულად ვგრძნობდი თავს, ისე უცხოდ. ჯერ ვიტან, როცა ასეთ ხმაურიან წვეულებებზე ვხვდები, რადგან ისე მათვალიერებენ, თითქოს გასაყიდი ნივთი ვიყო. ვერასდროს ვიტანდი, როცა ყურადღების ცენტრში ვექცეოდი, ახლა მით უმეტეს!

— მერე რა, არც მე ვეძებ სხვის ყურადღებას.

— ჰო, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ის თავად გპოულობს შენ. ფხიზელი გონებით შეხედე ყველაფერს. მე შენ საერთოდ არ გიხდები. არ ვარ შენი შესაფერისი, ერთი სოფლელი, გამოუსვლელი გოგო ვარ. შენ ბევრად უკეთესის შერჩევა შეგიძლია...

ნია ალბათ მის შემოთავაზებაზე წამითაც არ იტყოდა უარს, ოდნავი სიყვარული მაინც რომ ეგრძნო მის ხმაში. მაგრამ მშვენივრად ხედავდა, რომ გიგის მის მიმართ მსგავსი გრძნობის ნატამალიც კი არ გააჩნდა. ყველაფერი, რაც მათ შორის ხდება, მხოლოდ სექსუალური გატაცებაა, ხორციელი ლტოლვა და სხვა არაფერი. არც ერთს არ შესწევს ძალა, გაუმკლავდეს ამ ლტოლვას. მაგრამ ეს ხომ არ არის საკმარისი შემდეგი ურთიერთობისთვის? გარდა ამისა, ნიას სულაც არ სურდა, დამშვიდობებოდა თავისუფლებას. დამოუკიდებლობა უფრო მეტ თავდაჯერებულობას მატებდა, ვიდრე მამაკაცთან სიახლოვე.

— მე არ ვეძებ „ბევრად უკეთესს“. მე შენ მჭირდები, ნია. დაფიქრდი. არც მუშაობა დაგჭირდება და არც რამეზე წუხილი მოგიწევს, ყველაფერი გექნება, ყველაფერი, რასაც მოისურვებ. და ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე ჩემთან იქნები. ერთადერთი, რასაც შენგან ვითხოვ, როცა დამჭირდები ჩემ გვერდით ყოფნაა. ნუთუ ეს ასე აუტანელია შენთვის?

რაღაც მომენტში ნიას თითქოს შეეცოდა კიდეც გიგი. ის მართლა დარწმუნებული იყო, რომ ფულით ყველაფრის ყიდვა შეეძლო. ნუთუ თავში არასდროს მოსვლია აზრად, რომ ქალს შეიძლებოდა უბრალოდ, შეჰყვარებოდა იგი? თავად ის და არა მისი საფულე?

მას სურს, ნია მის გვერდით იყოს. მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი სექსი არ დააკლდეს და კიდევ იმიტომ, რომ თავის გავლენიან ნაცნობებთან მისი სილამაზით თავი მოიწონოს. სამაგიეროდ, ემოციური სიახლოვე არაფერში სჭირდება.

ნია კვლავ დივანზე ჩამოჯდა და ყურთბალიში ისევ მკერდზე მიიხუტა პატარა ბავშვივით.

— წესით, აღფრთოვანებული უნდა ვიყო შენი წინადადებით, გიგი, მაგრამ არანაირი სურვილი არ მაქვს, ვიღაცის საყვარელი მერქვას. და არც სამსახურის მიტოვებას ვაპირებ. იგი მე იმაზე ნაკლებად არ მიყვარს, როგორც შენ გიყვარს შენი საქმე. ამიტომაც მას არაფერში გავცვლი.

გიგი გახევებული იდგა ერთ ადგილას და არ იძვროდა. აქამდე ვერც კი წარმოედგინა, თუ ნიასნაირი ქალები არსებობდნენ დედამიწის ზურგზე.

— კარგი... მაშინ იმაზე რას იტყვი, რომ თან იმუშაო და თან ჩემთან იცხოვრო? მოვიფიქროთ, უკეთ როგორ შეიძლება ამის გაკეთება. ამ შემთხვევაში დამთანხმდებოდი?

გოგონას გული შეეკუმშა. სადღაც, სულის სიღრმეში სურვილი წვავდა, ნამდვილი სიყვარული ეპოვა, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ არ გაუმართლა და დამარცხდა. ის აფასებდა დამოუკიდებლობას და მხოლოდ იმ შემთხვევაში დათმობდა მას, თუკი ჭეშმარიტი, მგზნებარე სიყვარულით დაავჯილდოებდა განგება. მაგრამ საქმე ის არის, რომ გიგი ვერასდროს შეიყვარებს მას. ის ყველაფერს მიიღებს მისგან, მაგრამ სიყვარულს — არასდროს.

— ჯობია, დავწვეთ, — ამოიოხრა ნიამ და გიგის ხელზე შეეხო.

მართალია, მასთან გადმოსვლაზე თანახმა არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნიას არ სურს მასთან ლოგინში.

გიგი გაბრუებული იდგა, მონუსხული მისჩერებოდა გოგონას. არც ერთ ქალს არ შემოუხედავს მისთვის ასე თბილად და ასე წამებში არ დაუნთია მასში ვნების ცეცხლის.

— ნია, შენ კარგად იცი, რომ როცა შენთან ვარ, სხვა რამეზე ფიქრი სრულებით არ შემიძლია. არსებობ მხოლოდ შენ და ერთი სული მაქვს, როდის ჩაგეხუტები, მაგრამ... ჯერ პასუხს ველი შენგან. მითხარი, ბოლოს და ბოლოს, თანახმა ხარ, ჩემთან იცხოვრო?

ნიას თვალები ცრემლით აევსო, მაგრამ ახლა მისი დამალვა აღარ უცდია. უმწეოდ აიჩეჩა მხრები, მწარედ ამოიკვნესა და თქვა.

— მაპატიე, გიგი, მაგრამ... ჩემი პასუხია... არა.

მამაკაცმა უხერხულად ჩაახველა. მერე, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვაო, უცებ შეირხა, თავი უკან გადააქნია და ნაძალადევად გაიღიმა.

— წამოდი, საძინებელს გაჩვენებ. უკვე გვიანია, დაისვენე, ხომ ხედავ, თვალები გელულება. დილით კი, როგორც შეგპირდი, აუზზე ჩაგიყვან, — ყინულივით ცივი იყო მისი ხმა.

აჰა, ესე იგი, მას აღარ სურს ნიასთან ერთად დაწოლა. ის მისთვის აუტანელი გახდა. წარმოუდგენია, როგორ ეზიზღება ამწუთას მამაკაცს იგი.

— გიგი, ძალიან გთხოვ, არ გინდა... ნუ მომექცევი ასე...

მიუხედავად დიდი ტკივილისა, ნიამ გაღიმება სცადა. უშნოდ დაემანჭა ტუჩები. არადა, როგორ უნდოდა, მოჰფერებოდა, ჩახუტებოდა მის ფართო მკერდს, ეგრძნო მისი დაკუნთული მკლავების ძალა...

— ჰმ... — სიმწრის ღიმილმა გადაურბინა მამაკაცს სახეზე. — ჩემთან სექსი გინდა, მაგრამ ჩემი საყვარლობა არ გინდა, არა?

ახვლედიანმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, რადგან მიხვდა, რომ უკვე უჭირდა თავის შეკავება. ერთი წამითაც რომ დაეყოვნებინა, ქალი მის მკლავებში ჩაესვენებოდა, მაგრამ სიამაყე და მრისხანება აიძულებდა, დაემალა თავისი გრძნობები.

ნია ყურადღებით ადევნებდა თვალს მის ყოველ მოძრაობას. გიგი თუ დათმობს, დარწმუნებულია, რომ უფრო ბობოქარი და ვნებით სავსე ღამე ექნებათ, ვიდრე აქამდე...

მაგრამ ის დათმობას არ აპირებდა. და არ აპირებდა მანამ, სანამ თავისას არ მიღწევდა.

— წამოდი, ნია, დაწექი. თუ დაძინებას ვერ შეძლებ, იქნებ კიდევ ერთხელ იფიქრო ჩემს შემოთავაზებაზე. იქნებ ხვალ დილით ჩვენი დაწყვილების პერსპექტივა უფრო მიმზიდველი მოგეჩვენოს.

სხვა დროს ასეთ სიტყვებზე ნია აუცილებლად გასცემდა მამაკაცს საკადრის პასუხს, მაგრამ ამჯერად ხმის ამოღება ვერ შეძლო. იმდენად სასოწარკვეთილი იყო, ლამის გონება დაკარგა.

— გიგი, მე...

— დღეს მეტს აღარ ვილაპარაკებთ ამ თემაზე. სააბაზანო იქ არის, საძინებელი კი აქ... ღამე მშვიდობისა, პატარავ.

მამაკაცის ტონი ისეთი შეუვალი იყო, ნია იძულებული გახდა, არაფერი ეთქვა და მითითებული ოთახისკენ თავჩაქინდრული გაემართა...

...სააბაზანოში შესვლა არც უცდია, ახლა წყლის გადავლების სურვილი არ ჰქონდა. თავი ისე ასტკივდა, თითქოს ჩაქუჩს ურახუნებდნენ კეფაში. ემოციებისგან დაცლილმა კაბა ნელ-ნელა გაიხადა და ცრემლმორეული თხელი საბნის ქვეშ შეცურდა...

მთელი ღამე თეთრად გაათენა, ან კი რა დააძინებდა! არა, მაინც ვერ იფიქრებს სერიოზულად გიგის წინადადებაზე. მერე რა, რომ მასთან ყოფნა უხარია? მერე რა, რომ გადასარევად ეწყობიან ლოგინში ერთმანეთს? ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტვირთად დააწვეს და მის ხარჯზე იცხოვროს. ასე ურჩევნია, კვირაში ერთხელ შეხვდეს და ლამაზი ღამე აჩუქოს ხოლმე. თანაც, რას იტყვიან მისი მედიდური მეგობრები? ტუჩს აიბზუებენ, ეს გომბიო გოგო საიდან გამოჩხრიკა, თავისი წრის ვერავინ იპოვაო?

ყველაფერს თავი რომ დაანებოს, რას იტყვიან მისი თანამშრომლები? სკოლაში თავი მოეჭრება, მდიდარი კაცის საყვარელი გახდაო. მთელი უბანი მასზე ალაპარაკდება — მეზობლები, კოლეგები, მოსწავლეები, ნათესავები, დაქალები... სად გამოყოს თავი? ნუთუ გიგისთვის ეს ძნელი გასაგებია? ნუთუ ამდენს ვერ ხვდება? დაივჯეროს, ყველა მდიდარი ერთნაირია? მხოლოდ თავის პრესტიჟზე ფიქრობენ, თავიანთ კარგად ყოფნაზე და წამითაც არ დაფიქრდებიან იმაზე, ასეთი მოთხოვნებით რა შავ დღეში აგდებენ გარშემო მყოფ უბრალო ადამიანებს.

ნია დარწმუნებულია, რომ მამაკაცი გულით სთავაზობს მასთან ცხოვრებას, მაგრამ ნუთუ არ შეუძლია, ერთი წამით დაფიქრდეს და გააანალიზოს, ამით რამხელა დარტყმას აყენებს ნიას პრესტიჟს? ის ხომ, პირველ რიგში, მასწავლებელია... რატომ უნდა წამოაძახოს ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცამ, ამორალური ქალი ხარო? არა, არა, ნია ამას არაფრით დაუშვებს! მართალია, მისი წინადადება ძალზე მაცდუნებელია და მართლაც არც ერთი ქალი არ იტყოდა ამაზე უარს, მაგრამ ნიას მოუწევს. მოკვდება და არ დათანხმდება, იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეუძლია. მისთვის წესიერი ქალის სახელი უფრო ძვირფასია, ვიდრე უზრუნველად პრობლემების გარეშე ცხოვრება.

მაგრამ ამ უარით ყველაფერი ხომ არ გააფუჭა? ვაითუ, ხვალ დილით გამოუცხადოს მამაკაცმა, მშვიდობით, ნია, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდაო?! მერე? რა უნდა ქნას მერე, როგორ მოიქცეს? ამით ხომ იმ ძაფსაც გაწყვეტს, რაც მათ ახლა აკავშირებთ?

რატომ იქცევა ასე?

ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა. თან, იმედს იტოვებდა, რომ გიგი მის გარეშე ვერ გაძლებდა. ყოველ წუთს ელოდა, როდის გაიღებოდა კარი და სურვილგამძაფრებული მამაკაცი როდის შეუწვებოდა ლოგინში...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ექვთიმეთინოსანი ექიმები

კარგად ცხოვრების აღსანიშნავად ყველას გვითქვამს — „მეფურად ცხოვრობს“. ეს ფრაზა, დღევანდელი გაგებით, პირველ რიგში, უზრუნველობასა და ფუფუნებაზე მიგვანიშნებს, მაგრამ სინამდვილეში, ჩვენს მეფეებს არასოდეს უცხოვრიათ „მეფურად“. ისინი მეფურად ცხოვრობდნენ ამაღლებული, მართლმადიდებლური და ღირსეული გაგებით. ერთადერთი მეფე ქალიც კი, რომელიც ოქროს ხანაში მეფობდა და რომელიც ხელისგულზე უნდა ეტარებინა მთელ საქართველოს, ღამეებს მონასტერში ათენებდა, ქვაზე ეძინა და სამშობლოს მსახურებდა თავმდაბლად — როგორც რიგითი ქართველი. ყოველგვარი ფუფუნება ზედმეტი და უსარგებლო იყო, მთავარი საქმე გახლდათ... ამიტომაც, საქართველოს სამეფო დინასტიის წიაღში იშვა 7 წმინდანი, 9 კათოლიკოს-პატრიარქი, უამრავი მეცნიერი, მათ შორის, 26 სამეცნიერო დარგის ფუძემდებელი და ფუნდამენტური შრომის ავტორი.

ლელა ჯიყაშვილი

მსოფლიოს მასშტაბით ვერავინ დაასახელებს სამეფო გვარს, რომელსაც შეექმნას ამდენი ფილოსოფიური, ლიტერატურული და სამეცნიერო ნაწარმოები; კულტურისა და მეცნიერების ამდენი დარგისთვის დაედოს ღვაწლი და ეკეთებინოს საქმე, რომელიც პრინციპში არ იყო მეფისთვის სავალდებულო საქმიანობა. ბაგრატიონის დარი სამეფო დინასტია ამ თვალსაზრისით მართლა არ არსებობს. ამიტომაც ვახტანგ პარკაძეს გაუჩნდა იდეა, რომ შექმნილიყო წიგნი ბაგრატიონთა სამეცნიერო კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მაგრამ რაკი იდეის ავტორი გარდაიცვალა, ჩანაფიქრს ხორცი შეასხეს რაფიელ ჩიქოვანმა — სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტმა, რამაზ შენგელიამ — ამავე საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, ისტორიკოსმა სოსო ბიჭიკაშვილმა და ავტორებმა, რომლებმაც სხვადასხვა დარგში შეისწავლეს სამეფო ოჯახის ღვაწლი. წიგნი შეზღუდული რაოდენობით გამოვიდა, ამიტომ ფართო საზოგადოებისათვის მაინც უცნობია ბევრი ფაქტი (კარგი იქნება, თუ სპონსორი გამოჩნდება და ეს უნიკალური წიგნი კიდევ ერთხელ დაიბეჭდება)... მაგალითად, ბევრმა არ იცის, რომ ჩვენი მეფეები ნიჭიერი ექიმებიც იყვნენ და ბევრი მათგანი თვითონ უვლიდა ავადმყოფებს. მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში მხოლოდ ერთი არსებობს — ჩინეთს ჰყავდა ექიმი იმპერატორები...

ჩვენი მეფე-მკურნალების შესახებ ვესაუბრეთ ბატონ **რამაზ შენგელიას,** სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, სამეცნიერო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს.

— ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრებს ფუნდამენტური შრომები აქვთ მედიცინაში. ყველასათვის ცნობილი წიგნით „იადიგარ-დაუდით“ დავიწყოთ. დავით IX 9 წელი მეფობდა, გამუსლიმანებული იყო. მისი ძმა, სვიმონ მეფე სრული დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, ის კი ხან ირანთან იყო მიკედლებული, ხან თურქეთთან. როგორც მეფე, არ იყო დადებითი, მაგრამ მისი „იადიგარ დაუდი“ უნიკალური წიგნია. ამას ვერავინ აუვლის გვერდს. ეს ქართული ტრადიციული მედიცინაა, რომელიც ეყრდნობა კაცობრიობის გამოცდილებას. ეს არის ცოდნა, რომელიც მოდის თაობიდან თაობამდე და ამიტომაც ნაშრომის ფასი იზრდება დროსთან ერთად...

— დღეს რა ფასეულობას წარმოადგენს ეს ნაშრომი? შეიძლება იქ მოყვანილი რეცეპტების გამოყენება?

— იადიგარში რაც არის მოცემული, მისი გამოყენება, ალბათ ძნელია და შეუძლებელიც... მაგრამ ეს შესასწავლია. ყველაფერი უნდა გაანალიზდეს, მრავალი წელი ვიბრძვით, რომ მოხდეს შეფასება, რაც ამ ძველ კარაბადინებშია თავმოყრილი. სანამ ყველა მცენარეს, წამალს, მალამოს ძვირად ღირებულ კვლევებს ჩავუტარებთ, მანამ შეგვიძლია გამოვიყენოთ კომპიუტერული პროგრამა... ეს პროგრამა შევქმენი ორიენტირებისთვის. შეგვაქვს ბუნებრივი კომპონენტი გარკვეული დაავადების გრაფაში. კომპიუტერი ითვლის ამ კომპონენტის რეიტინგს დაავადების მიმართ, რამდენად ლოგიკურია, რამდენად გამოიყენება სხვა მედიცინებში და მაღალი მაჩვენებლის შემთხვევაში იზრდება მისდამი ნდობაც. თუ გადაწერდნენ და დღემდე მოაღწია, ესე იგი, შველოდათ ის წამლები. მისი გამოყენებისა და შესწავლის საკითხი სახელმწიფო დონემდე უნდა გაიზარდოს. დღეს მთელი მსოფლიო მოტრიალებულია ამისკენ. ყველაზე ძვირია ჩინური, ინდური, ტიბეტური პრეპარატები...

— ვინ იყო დავით IX, მხოლოდ რეცეპტების შემკრები თუ მკურნალი?

— ის ირანში გაიზარდა. იქ შეისწავლა მდიდარი ირანული კულტურა, მათ შორის მედიცინა. საერთოდ, ამ დარგისადმი ინტერესი ყოველთვის ჰქონდათ ჩვენს მეფეებს. მსოფლიოში ცნობილია მხოლოდ ჩინეთის ექიმი იმპერატორები და მკურნალი ბაგრატიონები... ძალიან შორეულ წარსულში გადავინაცვლოთ... მედეაც კი სამეფო ოჯახის წევრი იყო, — მეფე აიეტის ქალიშვილი. სამედიცინო სიბრძნეს ატარებდა მისი მამიდაც... ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებელი დილით მიდიოდა სასნეულოში, მოიკითხავდა ავადმყოფებს, თავისი ხელით უვლიდა. მას მედიცინა რომ არ სცოდნოდა, ავადმყოფთან არ მივიდოდა, ექიმს მოუხმობდა და დაავალებდა. უბრალოდ, დავითმა იცოდა, რომ თავად უკეთ გააკეთებდა ამ საქმეს.

სამედიცინო ცოდნა ჰქონდა თამარს. დღესაც მთაში მას აქიმ დედოფალს უწოდებენ, ლექსებია მასზე დაწერილი. იმ პერიოდში ვარძიაში დიდი აფთიაქი არსებობდა, ვანისქვაბის მონასტერში — სასნეულო.

ვახტანგ VI-მ დიდი წვლილი შეიტანა ქართული მედიცინის განვითარებაში. „უსწორო კარაბადინი“ მისი ბრძანებითა და ხელმძღვანელობით გადაწერეს. შემდეგ დაამუშავა „სეფეთა დარბაზმა“ — სწავლულმა კომისიამ. ვახტანგი ძალიან წუხდა ერთი ფურცლის დაკარგვის გამო, ჩიოდა, ვერსად ვიპოვეთო.... მისივე ღვაწლით შემორჩა უძვირფასესი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“.

თეიმურაზ ბატონიშვილმა ბიოლოგიური ხასიათის ლექსიკონი შექმნა, სადაც შესულია ბევრი სამკურნალო მცენარე. მასაც ჰქონდა განათლება სამედიცინო სფეროში.

მნიშვნელოვანი ღვაწლი აქვთ დავით და იოანე ბატონიშვილებს. ერთი ვოლტერიანელი, ფიზიკოსი და ათეისტური განწყობილების კაცი იყო. მან პირველმა შემოიტანა ევროპ-

ული მედიცინა, რეცეპტები ჩაიწერა. ის ავტორია ნაშრომისა ოპტიკის დარგში. მისი ძმა იოანე სულ სხვანაირი იყო — ღვთისმოსავი, განსხვავებული შეხედულებების. ისტორიული მასალებით დადგენილია, რომ ის სწავლული ექიმი იყო. „სიყრმიდანვე ესურვა სწავლა საექიმოთა ხელოვნებათა. სნეულთა თვითვე ვმკურნალობდი, ვინაიდან ვისწავლე მკურნალობა სხვადასხვა სწავლებისთანა“. მან „კალმასობაში“ უამრავი სამედიცინო პრობლემა წამოჭრა. ერთიც უნდა აღინიშნოს — უდიდესი ჰუმანისტი იყო. მას უნდოდა უკანონო ბავშვებისა და მათი დედებისათვის თავშესაფარი შეექმნა მაშინ, როცა ევროპაში კოცონზე შეიძლებოდა დაეწვათ შეცდენილი, მათი მხარდამჭერებიც კი შერისხულები იყვნენ.

საქართველოში დიდი კულტურა არსებობდა. ჯერ კიდევ V ს-ის მოღვაწის — პეტრე იბერის დედა ბაკურდუხტი ფიქრობდა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. მან შექმნა სასნეულოები საბაჟოებსა და გზაჯვარედინებზე მაშინ, როცა ევროპაში საერო საავადმყოფო 4 საუკუნის შემდეგ ჩნდება. საქართველოში კი 400 წლით ადრე იყო და იმდენად საზრიანად შექმნილი, რომ ფაქტობრივად, კარანტინიც კეთდებოდა. ეს

ვახტანგ VI

საოცრად მაღალი დონეა სამედიცინო აზროვნებაში. ათონის ქართველთა მონასტერში 3 სხვადასხვა პროფილის საავადმყოფო გაიხსნა ერთდროულად X საუკუნეში.

საერთოდ, ყველასათვის ცნობილია, აღმოსავლეთი გაცილებით წინ იყო. აღმოსავლეთში რომ ოპერაციები კეთდებოდა მუცლის ღრუზე, ევროპაში დალაქები „ქირურგობდნენ“. თირკმელზე აკეთებდა ფანასკერტელი ოპერაციებს.

— დაბოლოს, თუ არის ცნობილი სამედიცინო სკოლა საქართველოში, სად იღებდნენ ასეთ განათლებას ჩვენი მეფეები?

— მათ, ცხადია, ოსტატები წვრთნიდნენ, რომელთაც თავის მხრივ, განათლება შეიძლებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც მიეღოთ და საქართველოშიც. ისტორიული ზუსტი ცნობა მხოლოდ ერთი გვაქვს: ერეკლეს კარზე მედიცინაში 22 წელი იყო შეგირდობა, 9-10 წლის ბავშვი მიჰყავდათ და ექიმად ზრდიდნენ. 22 წლის მერე ის დამოუკიდებელი ექიმი ხდებოდა და თავისი შეგირდები ჰყავდა.

P.S. ქართველი მეფეები მოკრძალებულად ცხოვრობდნენ, დიდ ტაძრებს აშენებინებდნენ და სასახლეები, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ, მონასტრებში ათენ-აღამებდნენ, ლოცულობდნენ, სტრატეგოსები იყვნენ, იცოდნენ გეოგრაფია, გეოლოგია — სად, როდის, რა სამხედრო ოპერაცია იქნებოდა გამართლებული... ფლობდნენ სიტყვიერების მადლს, საომრადაც კი წასულან უნაგირის ქვეშ ამოდებული წიგნით... და როცა ცოტათი მაინც ეძლეოდათ ამოსუნთქვის საშუალება — კურნავდნენ, რადგან მსახურება — ეს ყველაზე დიდი მეფობაა. ■

საფიქრო კროსვორდი

შენიშვნა: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

გ. რა ერქვა დათა თუთაშხიას შვილს; **ა**. დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან მყოფი ამა თუ იმ დარგის სპეციალისტ-კონსულტანტი; **ე**. რა ეროვნების იყო ჩარლი ჩაპლინი; **რ**. აშშ-ის პრეზიდენტი, რომელმაც საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია უწოდა; **თ**. დაწესებულება, რომელიც სპექტაკლის დადგმას ახორციელებს; **ე**. რა ერქვა მიზანა ბრეგვაძის ვაჟს მხატვრულ ფილმში „შერეკილები“; **თ**. პატარა ცხოველი, რომელსაც თითქოსდა თქმულების მიხედვით უთხრეს, ქვეყნის აღსასრული მოვიდაო და მან კი თვალები დაითხარა, მაინც აღარ გათენდებაო; **დ**. საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის; **ა**. ჩვილი ბავშვის სარწეველა საწოლი; **დ**. ზურიკელა ვაშალომიძე — მერი, სოსოიე მამალაძე — ხატია, თემურ ბარამიძე — ლია, ბაჩანა რამიშვილი — მარიამი, ავთანდილ ჯაყელი — ?; **ა**. მთა, სადაც გაჩერდა ნოეს კიდობანი; **ი**. მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; **ს*.** ინგლისელი მწერალი, „გულივერის მოგზაურობის“ ავტორი; **ვ*.** ქალის პირბადე; **ე*.** ერთი სახელმწიფოს უმაღლესი რანგის მუდმივი წარმომადგენელი სხვა სახელმწიფოში; **ნ*.** ბიბლიური პერსონაჟი; **ე*.** ვინ არის ბელზებელი; **თ*.** ირანის დედაქალაქი; **გ*.** ნაკაშიძე, დევდარიანი, გულოიანი, სალარიძე, გოგოლაძე, გამცემლიძე, ჭეიშვილი, მებურიშვილი, მოშიაშვილი. ვინ აკლია; **ზ*.** კარის ქვეშ გადასასვლელზე გადებული დირე; **ა*.** პარადი; **ს*.** რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **თ*.** მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც ბემეს თქმით, ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს, სასწორს თავზე გადაამტვრევდნენ; **ა*.** შოთა, ილია, ..., ვაჟა და გალაკტიონი. ჩასვით გამოტოვებული სახელი; **ნ*.** ბუდისტების სამოთხე; **ე*.** ექიმის თანაშემწე; **რ*.** კრონოსის ცოლი და ზევსის დედა ბერძნულ მითოლოგიაში; **თ*.** ვალიკო მიზანდარის მშობლიური ქალაქი; **ა*.** „დათა თუთაშხიას“ ამ პერსონაჟს რომანში ტოფანა ჰქვია, რა ჰქვია მას ფილმში; **დ*.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში;

„გზის“ №29-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჩ. ჩობანი; **ვ*.** ვოევოდა; **ე*.** ეშვი; **ნ*.** ნარცისი; **ი*.** ილიადა; **ჟ*.** ჟუსაკი; **უ*.** უემბლი; **რ*.** რუსთავი; **ნ*.** ნიუ; **ა*.** აბრაზია; **ლ*.** ლივრეა; **ი*.** იკებანა; **ს*.** სალიერი; **ა*.** ათინათი; **უ*.** უნკასი (ფეხმარდი ირემი); **კ*.** კიევი; **ე*.** ექთანი; **თ*.** თხილი; **ე*.** ეკლერი; **ს*.** სოსელო; **ო*.** ოსვალდი; **ა*.** ამერიკა; **რ*.** რურუა; **ჩ*.** ჩინეთი; **ე*.** ეტალონი; **ვ*.** ვახუშტი; **ა*.** ალაფი; **ნ*.** ნევადა; **ი*.** იოსები; **ა*.** აბორტი;

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
ბევრის მსურველი კეთილს ვერ ნახავსო

დასავლეთის კინოინდუსტრიის ზარალმა 6 მილიარდ დოლარს გადააჭარბა

გასულ წელს მოუხელთებელმა ვიდეოპირატებმა დასავლეთის კინოინდუსტრია საგრძნობლად დააზარალეს. საერთო ზარალი 6,1 მლრდ დოლარადაა შეფასებული. ამის შესახებ პრესას ამერიკის კინოფილმების ასოციაციის ხელმძღვანელმა დან გლიკმანმა განუცხადა, რომელიც ირწმუნება, რომ პირატული ვიდეობაზრის გასანადგურებლად კინოინდუსტრია ძალებს არ დაზოგავს! ამ მიზნით მასობრივი პროპაგანდის გარდა მაღალტექნოლოგიურ დამცველ პროგრამებსაც გამოიყენებენ, რომელთა ლიცენზიის ასლის გადაღებისგან დაცვა იქნება შესაძლებელი. ■

მეგან ფოქსი ჯეიმს ბონდის მეგობარი გოგონას როლზე უარს ამბობს

პლანეტის ერთ-ერთმა ყველაზე სასურველმა ქალმა მეგან ფოქსმა ჯეიმს ბონდის მორიგი მეგობარი გოგონას როლის შესრულებაზე უარი განაცხადა. ფილმის პროდიუსერებმა მსახიობს ის როლი შესთავაზეს, რომელზეც ნებისმიერი ქალი ოცნებობს, მაგრამ 23 წლის მეგანს მიაჩნია, რომ ბონდის გოგონას როლი მის სამსახიობო კარიერას ახალს ვერაფერს შესძენს. ზოგიერთი ცნობის თანახმად, მეგანი რომელიმე ფილმში სიამოვნებით განასახიერებდა უარყოფით პერსონაჟს, თუ ის მთავარი როლი იქნებოდა, მაგრამ ჯეიმს ბონდის მეგობარი გოგონას როლის შესრულება არ სურს. მსახიობმა ეს წინადადება განიხილა, მაგრამ „ბონდიანის“ მორიგ ფილმში არ ითამაშებს, რადგან იგი სხვა პროექტებითაა დაკავებული. იგივე წყარო იუწყება, რომ შესაძლოა, მეგანმა ეს წინადადება რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ განიხილოს. ■

სერიალის LOST რეკვიზიტი აუქციონზე გაიყიდება

სერიალის LOST შემქმნელები ფილმში გამოყენებული რეკვიზიტის ერთი ნაწილის Comic-con 2009-ზე გაყიდვას აპირებენ. გასაყიდად გამოტანილ ნივთებს შორის იქნება ბენ ლაინუსის ყალბი პასპორტი ან პერსონაჟთა საერთო ფოტოსურათი, კეიტის პატარა თვითმფრინავი, ლოკის სანადირო დანა, ჰიორლის მომგებიანი ლატარიის ბილეთი, მისტერ ეკოს ჯოხი და ჩარლის გიტარაც კი. სერიალის თაყვანისმცემლები ამ „ძვირფასეულობის“ შეძენას მხოლოდ 2010 წელს ფინალის გადაღების შემდეგ შეძლებენ. ასე რომ, მათ ჯერ კიდევ საკმარისი დრო აქვთ იმისათვის, რომ სანუკვარი ნივთების შესაძენად საკმარისი ფული დააგროვონ. ■

კიფერ საზერლენდს დიზაინერზე თავდასხმისთვის არ გაასამართლებენ

CNN იუწყება, რომ ჰოლივუდის ცნობილ მსახიობ კიფერ საზერლენდს დიზაინერ ჯეკ მაკქოლოუზე თავდასხმის ბრალდება მოეხსნა, რომელიც მას ნიუ-იორკის ერთ-ერთ ღამის კლუბში მომხდარი ინციდენტის შემდეგ წაუყენეს. მანჰეტენის საოლქო პროკურორის ოფისმა ბრალდების მოხსნის გადაწყვეტილება გამოძიების შედეგებისა და მოწმეთა ჩვენებების გაცნობის შემდეგ მიიღო. მაკქოლოუ ირწმუნებოდა, რომ საზერლენდმა მასზე „დაუსაბუთებელი, აგრესიული თავდასხმა“ განახორციელა და თავით დარტყმა მიაყენა.

გაზეთ The Daily News-ის მონაცემებით, კიფერ საზერლენდი ბრუკ შილდსს ესაუბრებოდა, როდესაც გვერდით მიმავალმა მაკქოლოუმ მოდელს ფეხზე ფეხი დაადგა. დიზაინერის მოუქნელობით გაღიზიანებულმა საზერლენდმა მას შენიშვნა მისცა, მაგრამ მაკქოლოუმ ბრუკ შილდსს არ მოუბოდიშა, რის გამოც კიფერისგან დარტყმა მიიღო. ინციდენტიდან რამდენიმე კვირის შემდეგ საზერლენდისა და დაზარალებულის ადვოკატები ერთობლივი განცხადებით გამოვიდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ მსახიობმა მაკქოლოუს ბოდიში ოფიციალურად მოუხადა. აღსანიშნავია, რომ „ოქროს გლობუსისა“ და „ემის“ პრემიების ლაურეატი მსახიობი პოლიციის ყურადღების ცენტრში ადრეც არაერთხელ მოექცა. პირველად იგი არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო დააკავეს, მეორე ეპიზოდის გამო კი — 48-დღიანი პატიმრობა და 5-წლიანი გამოსაცდელი ვადა მიუსაჯეს. ■

სემ რეიმი Warcraft-ის მოტივებზე ფილმის გადაღებას აპირებს

კომპანია Blizzard-ის, კინოსტუდია Legendary Pictures-სა და კინოკომპანიის Warner Bros. წარმომადგენელთა ერთობლივი განცხადება იუწყება, რომ „ჰორორის“ ჟანრის კლასიკური ფილმის „ავისმომასწავებელი მიცვალებულები“ და „ადამიანი-ობობას“ შემქმნელი სემ რეიმი თამაშების სერიის Warcraft მოტივებზე ფილმს გადაიღებს.

„Warcraft ძალზე კარგად ეწერება გასართობი ფილმების შექმნის კონცეფციაში, რომლითაც ამაყობს ჩვენი კომპანია. პარტნიორ სტუდია Legendary-სთან ერთად უკვე წარმოუდგენელ წარმატებას მივაღწიეთ და პროექტში სემთან თანამშრომლობა დიდ პატივად მიგვაჩნია. ამ ფილმს მთელ მსოფლიოში მილიონობით თაყვანისმცემელი უკვე სულმოუთქმელად ელის“, — განაცხადა კინოკომპანიის Warner Bros. Pictures პრეზიდენტმა ჯეფ რობინოვმა.

საგულისხმოა, რომ კომპანიებმა ეკრანიზაციის შესახებ განცხადება ჯერ კიდევ 2006 წელს გააკეთეს და ფილმის მიახლოებითი ბიუჯეტი — 100 მილიონი დოლარიც დაასახელეს, მაგრამ მაშინ რეჟისორობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად სტივენ სპილბერგი სახელდებოდა. სამწუხაროდ, 2006 წელს საქმე ხმამაღალ განცხადებებს ვერ გასცდა.

სერიის ყველაზე პოპულარული თამაში — World of Warcraft ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მრავალმომხმარებლიანი თამაშია, რომელსაც ფასიანი ხელმოწერა აქვს. მასში 11,5 მილიონი მომხმარებელია დარეგისტრირებული. 2008 წლის ნოემბერში თამაშის დამატება Wrath of the Lich King გამოვიდა.

2009 წლის აპრილში კომპანიამ lizzard Entertainment განახლება 3.1. გამოუშვა. ახალ პატჩში „ულდუარის საიდუმლოება“, რომლის მომზადებას რამდენიმე თვე დასჭირდა, მოთამაშეები ტიტანთა ამავე დასახელების ქალაქში იმოგზაურებენ.

■

მაკირას ახალი ალბომი მსმენელს ფინანსურ კრიზისს დაავიწყებს

კოლუმბიელი მომღერალი მაკირა აცხადებს, რომ მისი ახალი სტუდიური ალბომი, რომლის რელიზი 2009 წლის ოქტომბერშია დანიშნული, მელომანებს მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაძლევაში დაეხმარება. პოპვარსკვლავს მიაჩნია, რომ მისი რიტმული საცეკვაო ტრიუკები თაყვანისმცემლებს მოადუნებს და კარგ ხასიათზე დააყენებს: — „ეს ჩემი პირველი ელექტრონული ალბომია. მასზე მუშაობის დროს მინდოდა, ხალხს ამ მუსიკაზე ემხიარულა, პრობლემები, კრიზისი და საერთოდ ყველაფერი დავიწყებოდა და მუსიკა შეეგრძნო. ■

ჯორჯ მაიკლისა და ბეიონსის დუეტი

ბეიონსის მსოფლიო ტურნეს ფარგლებში ლონდონის Wembley Arena 02-ის სცენაზე გამართული კონცერტის დროს სცენაზე მოულოდნელად ჯორჯ მაიკლი გამოვიდა და აღფრთოვანებული პუბლიკის გასახარად ბეიონსს შეუერთდა. მუსიკალურმა წყვილმა ბეიონსის ერთ-ერთი ბოლო ჰიტი If were a Boy შეასრულა. მუსიკოსთა და მათ თაყვანისმცემელთა გასახარად ჩანაწერი You Tube-ზე უკვე გამოჩნდა. ■

ლეონარდო დი კაპრიო – იხტიანდრის პროდიუსერი

სტუდიის Warner Brothers ყურადღება DC Comics-ის პერსონაჟმა — აკვამენმა მიიპყრო. პოლ ნორისისა და მორტ უგიზენგერის მიერ 1941 წელს შექმნილ გმირს წყალში ცხოვრება შეუძლია და ზღვის ბინადართა ენაც ესმის. საბჭოთა მაყურებელს კარგად ახსოვს მსგავსი სუპერგმირი იხტიანდრი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გმირები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სტუდიას პროექტის პროდიუსერად ლეონარდო დი კაპრიოსა და მისი კომპანიის Appian Way მიწვევა სურს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პროექტზე მუშაობა, როგორც იქნა, დაიძრა. ამ წამოწყებით Warner Brothers სტუდია Marvel-ს უწევს კონკურენციას, რომელიც ბოლო ხანებში სუპერგმირების შესახებ გადაღებულ ფილმებს სინათლის სიჩქარით იღებს. ■

სტივენ ბოლდუინმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადა

ალეკ ბოლდუინის უმცროსმა ძმამ — ჰოლივუდის ცნობილმა მსახიობმა სტივენ ბოლდუინმა სასამართლის მიმართა და მისი გაკოტრებულად გამოცხადება ითხოვა. სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, ბოლდუინმა ნიუ-იორკიდან 50 კმ-ს მოშორებით მდებარე, 1,1 მლნ დოლარად შეფასებული უძრავი ქონების შესაძენად ორი იპოთეკური კრედიტი აიღო და ახლა მისმა დავალიანებამ 1,2 მილიონს გადააჭარბა. მსახიობს აგრეთვე სახელმწიფოსთვის გადასახდელი მილიონზე მეტი დაუგროვდა, ხოლო საკრედიტო ბარათის ვალმა 70.000 დოლარი შეადგინა. ბოლდუინის წარმომადგენლები გაკოტრების შესახებ გაკეთებული განცხადების კომენტირებაზე უარს აცხადებენ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ სტივენ ბოლდუინი თამაშობს ცნობილ ფილმებში: „საეჭვო პირები“, „ერთი მაგარი პოლიციელი“, „ოთხ ივლისს დაბადებული“ და სხვა. 2009 წლის ივნისში მსახიობმა შოუში, „მე — ვარსკვლავი... აქედან მომაშორეთ“ მონაწილეობაზე უარი განაცხადა, რადგან კოსტა-რიკაში გადაღებების დროს მოსკიტებმა დაკბინეს. ■

კომპოზიტორის პირველი წარმატება, „დიდი ჯარიმა“ და საქმის ზარმაცის შექმნის საიდუმლო

კომპოზიტორმა ნოდარ მამისაშვილმა კითხვაზე — როგორ შემოვიდა მუსიკა თქვენს ცხოვრებაში? მცირე პაუზის შემდეგ ღიმილით მიპასუხა: „ეს იმაზე ადრე მოხდა, ვიდრე დავიბადებოდი, ფეხმძიმე დედაჩემი ხალხურ სიმღერებსა და საგალობლებს უსმენდა. მამა კარგი შემსრულებელი იყო“. როგორც კი წამოიზარდა, მამას რეგიონებში ე.წ. „სოფლის ლხინზე“ დაჰყვებოდა, ძველქართულ ტრადიციებს და კულტურას ეცნობოდა. ნანახმა და განცდილმა მასზე გავლენა მოახდინა, 5-6 წლიდან კომპოზიტორობა დაიწყო, წარმატებამაც არ დააყოვნა, მაგრამ...

თამუნა კვინიკაძე

ნოდარ მამისაშვილი:

— 10 წლის ვიყავი, როცა საკავშირო ოლიმპიადაში მივიღე მონაწილეობა: კონკურსი გამოცხადდა ლერმონტოვის ლექსზე — ვინ უკეთეს მუსიკას დაწერდა. საქართველოში გამარჯვების შემდეგ, ჩემი მუსიკა მოსკოვში გაგზავნეს. ეს ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარი ეპიზოდი იყო. პასუხის მოლოდინში, მამის სოფელში ვისვენებდი. ერთ დღეს მამა ეზოში გაბრწყინებული სახით შემოვიდა და ამბავი მოიტანა, რომ საკავშირო ოლიმპიადის გამარჯვებული სწორედ მე გავხდი. მაშინ გამარჯვებულს მოსკოვში, გორკის ქუჩაზე ბინას ჩუქნიდნენ. რუსეთის დედაქალაქში მალე უნდა გავმგზავრებულიყავით... მეზობლები მოდიოდნენ და მილოცავდნენ, ჩემი წარმატება ყველას უხაროდა. ეზოში დიდი სუფრა გაშალეს, მაგრამ ქეიფს არ იწყებდნენ, ბიძაჩემს ელოდებოდნენ. ის კი არა და არ ჩანდა. დაბინდდა და როგორც იქნა, მოვიდა. ეზოში შემოსვლისთანავე მამაჩემისკენ გაემართა და დაღონებულმა უთხრა: ლეო, ომი დაიწყოო...

— 10 წლის ბავშვმა ამ სიტყვების მნიშვნელობა აღიქვით?

— რა თქმა უნდა, სრულად ვერ გავაცნობიერე. ყველანი დაიძაბნენ... მერე ომის დაწყების ამბავი რადიოთიც გვაცნობეს. იმ სიხარულიდან, რომელიც ჩემმა წარმატებამ მომიტანა, ნატამალიც აღარ დარჩა. ბიძაჩემი ფრონტზე მოხალისედ წავიდა და აღარც დაბრუნებულა. როცა იმ დღეებს ვიხსენებ, თავში ბოროტი აზრი მიტრიალებს ხოლმე: ომი რომ არ დაწყებულიყო, რუსეთში წავიდოდი და იმ ნაჩუქარ ბინაში ვიცხოვრებდი, ნიჭიერთა ათწლედში ვისწავლიდი. მაგრამ ყველაფერი ალბათ უფლის ნება იყო.

— შემდეგ თქვენი ცხოვრება როგორ წარიმართა?

— მამა ფრონტზე წაიყვანეს. მე და დედა იძულებულები გავხდით, საცხოვრებლად საგარეჯოში გადავსულიყავით. 2 წელი იქაურ სკოლაში ვსწავლობდი, თან კოლმეურნეობაში ვმუშაობდი. ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. იქ ცხოვრება ჩემთვის დიდი სკოლა აღმოჩნდა. სანამ საგარეჯოში წავიდოდით, დედა სხვაგვარად მზრდიდა: მეზობელი რომ დააცემინებდა, საწოლში მე მაწვენდნენ (*იცინის*). სოფელში კი ფიზიკურად შრომა დავიწყე, მდელოზე ფიჩხს ვაგროვებდი, მაწვიმდა, მაგრამ აღარ ვცივდებოდი. მართალია, ძალიან ვიღლებოდი, მაგრამ ღამე გემრიელად მეძინა.

— ალბათ მუსიკისთვის დრო აღარ გრჩებოდათ...

— ჩემმა პედაგოგმა ნინო ჩუბინაშვილმა ხელი ძალიან შემიწყო, 2 წლის მანძილზე მასთან გაკვეთილებზე დავდიოდი, თავი არ დამანებებინა. VIII კლასს რომ ვამთავრებდი, ორი კვირით ადრე ვთქვი, მუსიკალურ სასწავლებელში უნდა ჩავაბარო-მეთქი. დღეში 12 საათს ვუკრავდი. შრომამ შედეგი გამოიღო, ჯერ მუსიკალურ სასწავლებელში ჩავაბარე, შემდეგ — კონსერვატორიაში. ბავშვობიდან კიდევ ერთ საინტერესო ეპიზოდს გავიხსენებ, ეს ჩემს გამომგონებლობას ეხება: ბავშვობიდანვე უცნაურ კონსტრუქციებს ვაწყობდი, ჩემი ნიჭის დამფასებელი მაშინდელი მილიციონერი გახლდათ. ომი რომ დაიწყო, არ შეიძლებოდა, ღამით სახლიდან შუქი გარეთ გასულიყო. სარდაფში ერთი დაზიანებული ონკანი გვქონდა, საიდანაც წყალი წვეთავდა. ჩემი პატარა სათამაშო მანქანის ძრავათი, პატარა ელექტროსადგური შევქმენი. ნათურას ძირი მოვახერხე, შიგნით ბატარეის პატარა ნათურა ისე დავახრახნე, გეგონებოდათ, დიდი ნათურა ანათებსო. დენი სარდაფიდან მე-2 სართულზე ავიყვანე. იმ დღის შემდეგ ჩვენს სახლში სინათლე მუდამ იყო.

— მაშინ რამდენი წლის იყავით?

— 10 წლის. ერთ დღეს, როგორც ჩანს, ბებიამ ფანჯარაზე ფარდა კარგად ვერ ჩამოაფარა და გარეთ შუქმა გააღწია. სახლში მხოლოდ ჩვენ ვიყავით. ეს საქციელი კი ჰიტლერის აგენტობის ტოლფასი იყო, რადგან იმ სინათლით მტერს „ნიშანს აძლევდი“, რომ იქ დასახლებული პუნქტი იყო და დაგბომბავდა. უეცრად კარზე ძლიერი ბრახუნის ხმა გაისმა. ღარიბულად ვცხოვრობდით და ისეთი კარი გვქონდა, დაბრახუნებაზე თავისით გაიღო. ოთახში გოლიათური აღნაგობის მილიციელი შემოვიდა და შალიაპინის ხმით დაიღრიალა: — „რას ჰგავს თქვენი საქციელი?! ფანჯრიდან სინათლე გამოდის! ვინ არის აქ უფროსი?“ ბებია ტანმორჩილი ქალი იყო, შიშისგან უფრო დაპატარავდა. ბუნებრივია, მეც შემეშინდა. მილიციელმა, მისივე სიტყვებით რომ გითხრათ, „დიდი ჯარიმა“ გამოწერა. თან გაგვაფრთხილა, — იცოდეთ. ასეთი რამ მეორედ აღარ გააკეთოთო! — ფურცელი დაგვიტოვა და წასვლა დააპირა. სანამ გავიდოდა, როგორც ჩანს, გაიაზრა, სახ-



როცა უწმინდესს ჰკითხეს, — ამ ქვაბულს რა ამოავსებსო? — მან უპასუხა: „უფლის ნება“

ლში ლამპა არ უნთიათ და სინათლე საიდან აქვთო? მობრუნდა და როცა ანთებული ნათურა დაინახა, სულ გაგიჟდა: თქვენ ნამდვილად შპიონები ხართო!.. ბებია უთხრა, რომ ეს ჩემი გამოგონება იყო. — „რა გამოგონება?!“ — დაიყვირა და კიდევ ერთხელ ეჭვის თვალით შეგვათვალიერა. ბებიამ აუხსნა, რაც მქონდა გაკეთებული. — წამოდით, სარდაფში ჩავიდეთო, — ბრძანება გასცა მილიციელმა. გულისკანკალით გავუძეხი წინ და ჩემი „ელექტროსადგური“ ვუჩვენე. უეცრად ხელში ამიტაცა და მაკოცა... მერე ბებიას მიუბრუნდა: — ჯარიმის ქვითრები ინომრება. ვიცი, ამისთვის დამსჯიან, მაგრამ მაინცო... — უთხრა და ჯარიმის ფურცელი დახია. სანამ წავიდოდა, ბებია „დამოძღვრა“, — ამ ბავშვს გაუფრთხილდით, იცოდეთ, ამისგან დიდი კაცი დადგებაო.

— მილიციელის წინასწარმეტყველება ასრულდა. არაერთი მუსიკალური და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ხართ, თქვენს მიღწევებზე ლაპარაკი დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ მინდა, სამების ტაძრის ზარების შექმნის ამბავი მოგვიყვეთ. როგორც ვიცი, 9 ზარი გერმანიაში თქვენი „რეცეპტით“



ზარის ჩამოსხმა საკმაოდ ძვირი ფუფუნებაა, რადგან მას უმაღლესი ხარისხის სპილენძი სჭირდება

ჩამოისხა.

— დიახ, გერმანიაში თავად ვიმყოფებოდი, რომ ქართული ზარი ჩამომესხა. სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ზარის ჩამოსხმის ტექნოლოგიები შევისწავლე. გერმანიაში მინერალები წავიღე.

— რომელ მინერალებზეა ლაპარაკი?

— რომლებსაც ჩვენი წინაპრები ფოლადის შემადგენლობაში მარილივით ურევდნენ. მაგალითად, ქართული ხმალი და მისი წარმოების პროცესი უამრავ საიდუმლოს შეიცავს; ეს ცალკე საუბრის თემაა. მაგრამ გეტყვით, რომ მისი ფოლადის შემადგენლობაში აუცილებლად ურევდნენ მინერალს — ანთიმონიტს. ყველა მინერალი თავისებური თვისების მატარებელია. ანთიმონიტს „აგრესიული მხარეც“ აქვს. ჩვენმა წინაპრებმა ეს იცოდნენ, რადგანაც ხმალი მოსაფერებლად არავის უნდოდა.

— ქართული ზარის შემადგენლობაში რომელი მინერალი შედის?

— არსენოფილიტის, რეალგარის და აორიპიგმენტის მინერალთა „სამება“ შედის. სამივე დადებითი იმპულსების მატარებელია (მიმტევებლობის, მონანიების და ა.შ.). ზარის ჩამოსხმა საკმაოდ ძვირი ფუფუნებაა, რადგან მას უმაღლესი ხარისხის სპილენძი სჭირდება. როცა ზარის მონახაზი პირველად გავაკეთე, ბუნებრივია, მისი სიმაღლე, კედლების სისქე, ენის სიმძიმე განვსაზღვრე. მაგრამ არ ვიცოდი, როგორ იჟღერებდა. როცა ზარმა დარეკა, ყურებს არ დავუჯერე; მერე სპეციალური აპარატით შევამოწმე, ზარი ზუსტად კამერტონზე იჟღდა. იმწუთშივე კათოლიკოს-პატრიარქის სიტყვები გამახსენდა... როცა სამების ტაძრის მშენებლობას იწყებდნენ, იმ ადგილზე დიდი ქვაბული იყო; ზოგმა არასერიოზულ წამოწყებად მიიჩნია: როცა უწმინდესს ჰკითხეს, — ამ ქვაბულს რა ამოავსებსო? — მან უპასუხა: „უფლის ნება“. უფლის ნება იყო ზარების შემთხვევაც.

— სამების ზარებიდან ყველაზე დიდი რამდენს იწონის?

— საერთოდ, ზარი შეიძლება, 12 ტონამდე იწონიდეს. სამების ზარებიდან ყველაზე დიდი 8 ტონა და 25 კილოგრამია. ტაძარში ჩემი ტექნოლოგიით ჩამოსხმული 9 ზარი ჩამოიკიდა, რადგან სამგალობლო ჰარმონია 9 ბგერისგან შედგება.

— რამდენი ქართული საგალობელი არსებობს?

— ძალიან ბევრი. ზოგი 6 ათასს ითვლის, ზოგი — უფრო მეტს.

— თქვენი მუსიკა როგორ იქმნება?

— ერთხელ მქონდა ბედნიერება, მოსკოვში, სუფრაზე დმიტრი შოსტაკოვიჩთან და ჩემს პედაგოგ ანდრია ბალანჩივაძესთან ერთად მოვხვედრილიყავი; სამნი ვისხედით და არაყს შევექცეოდით, თან ვსაუბრობდით. მათ თავიანთი ახალგაზრდობა გაიხსენეს. — ანდრეი, გახსოვს, იმ ნაწარმოებზე რამდენი იწვალე, როგორიც გინდოდა, არ გამოგდიოდა? ჰკითხა დმიტრიმ. — შენ თუ გახსოვს, კომპოზიციის შექმნა რომ გინდოდა და არ გამოგივიდაო? უეცრად შოსტაკოვიჩი შეჩერდა და ბალანჩივაძეს უთხრა — დააკვირდი, ჩვენ სულ გვახსოვს ის, რაზეც ვწვალობდით და არ გამოგვდიოდა და არ გვახსოვს, რაც გამოგვდიოდაო... ამ ეპიზოდის გახსენებით

მგონი, თქვენს კითხვას ვუპასუხე.

— საინტერესო პასუხი მივიღე. ანდრია ბალანჩივაძე როგორი პედაგოგი იყო?

— ჩვენ შორის, შემოქმედებითი თვალსაზრისით, დიდი კონტრასტი იყო. მე სხვა რამ მაინტერესებდა, ის სხვა მუსიკას უსმენდა. როცა I კურსზე ვსწავლობდი, მითხრა: ნოდარ, იცოდე ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწილი წარმატებას მიაღწევს, ნაწილი — ვერა; ვიღაცას აღიარებენ, ვიღაცას კრიტიკის ქარცეცხლში მოაქცევენ; თუ ოდესმე ისე მოხდება, რომ ვინმესი შეგშურდა, მოცარტი დაუკარი და გაგივლისო. ეს სიტყვები დღემდე მახსოვს...

— და მოცარტსაც უკრავთ?

— არა. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, შოპენს ვუკრავ.

— როცა კარგ ხასიათზე ხართ, მაშინ?

— ეს საიდუმლოა. იმ მუსიკას ვუსმენ და ვუკრავ, რომელიც მეტად მიყვარს. ამას ჩემს სტუდენტებსაც ვუმალავ. არ მინდა, რომ მათზე გავლენა მოვახდინო. თქვენი ნებართვით, ჩემს პედაგოგთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. I კურსზე რომ ვიყავი, ჩემთან უცნობი მამაკაცი მოვიდა და მითხრა: ჩემი შვილი თქვენ უნდა ამეცადინოთო. გამიკვირდა: მე რატომ-მეთქი? — ანდრია ბალანჩივაძემ თქვენზე გვითხრა, ისეთი კარგი მოსწავლეა, ჩემზე კარგად ამეცადინებსო. ეს ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო, ამასთანავე — საპასუხისმგებლოც. მომდევნო კითხვამ — გაკვეთილი რა ეღირებაო? — სულ დამაბნია. — ჯერ დავალებას მივცემ, ვნახოთ, როგორ გააკეთებს, თანხაზე მოგვიანებით დაგელაპარაკებით-მეთქი. მამა-შვილი როგორც კი წავიდა, იმწუთასვე ანდრია ბალანჩივაძისკენ გავეშურე. დიახ, მე ვურჩიე, რომ შენთან მოსულიყვნენო, — მითხრა. — ბატონო ანდრია, თანხაზე დამიწყეს ლაპარაკი-მეთქი... — შეწუხებულმა ვუთხარი. — იცი, რას გეტყვი? თუ ნიჭიერია, წლები რომ გავა, მაესტრო გახდება, იმეგობრებთ, მაგრამ თქვენ შორის მუდამ ის ფული იქნება, რომელსაც მისგან აიღებ და ეს უხერხულიაო. — გეთანხმებით-მეთქი. — ჰოდა, თუ უნიჭო ახალგაზრდაა და ფულს გამოართმევ, ეს უკვე უსინდისობა იქნებაო. ხომ კარგი დარიგებაა?

— გეთანხმებით.

— მოგვიანებით ერთი აფხაზი მოსწავლე მყავდა. იმ ბიჭს მატერიალურად ძალიან უჭირდა. მეცადინეობის გარდა, როგორც შემეძლო, ვეხმარებოდი. კონსერვატორია რომ დაამთავრა, ჩემთან მოვიდა და მითხრა: — სანამ სასწავლებელს დავამთავრებდი, მერიდებოდა და ვერ გეუბნებოდით, ახლა მაინც მითხარით, პატივი როგორ გცეთო. — შენსავით გაჭირვებული რომ შეგხვდება, ცოდნა ისე მიეცი, ფული არ გამოართვა; იცოდე, ეს ჩემდამი ყველაზე დიდი პატივისცემა იქნება-მეთქი. მერე ეს ამბავი იმ ბიჭს ერთ-ერთი აფხაზი მწერლისთვის უამბნია. მას კი მოთხრობა დაუწერია. აი, ბალანჩივაძის რჩევამ ჩემში ასეთი განვითარება პოვა. ■

ეგე, ზღვა, მაგაური „ზაგარი“ და ჩაწოლილი „ცავეური“

როგორც ამბობენ, თბილისის ზღვა სავსეა ხალხით, მაგრამ „ზაგარზე“ შეყვარებულები არც სოლარიუმში გარუჯვაზე ამბობენ უარს, მერე კი ბევრი მათგანი „ცრუბლატაობას“ ეწევა ანუ ასეთები ამბობენ, — ზღვის სანაპიროზე ვიყავით, მხოლოდ 2 დღით და აი, ასეთი მაგარი ნამზეურის მიღებაც მოვასწარითო. არადა, ხელოვნური და ბუნებრივად გარუჯული სხეულის გარჩევა არცთუ ისე ძნელია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ყოველ სეზონზე იცვლის კანის ფერს. მე გარუჯვის მოყვარულ თინეიჯერებს დავუკავშირდი. ბევრი მათგანი აწუწუნდა იმის გამო, რომ წელს ამინდი მათ გარუჯვის საშუალებას არ აძლევს და ნახევრად გაშავებულებს ქუჩაში „მაგარზაგრიანი“ გოგონების ნამდვილად შურთ; ზოგი კი იმას ჩივის, რომ წელს ეკონომიკურმა კრიზისმა მათ ოჯახზე განსაკუთრებულად იმოქმედა და ამიტომაც, იძულებულნი არიან, მოძველებულ მეთოდებს მიმართონ და „ზაგარი“ ან კორპუსის სახურავზე, ან სულაც, აივანზე მიიღონ.

„რომ ვიცირო და ვიწუწუნო, ვინ რას მომცემს?“

ლიკა ქაჯაია

თიკო, *16 წლის:*

— ხომ ხედავ, წელს როგორი საზიზღარი ფერი მაქვს? ეს იმიტომ, რომ მამაჩემს ფული გამოელია და ქობულეთში ვერ გამიშვა. ძალიან მწყდება გული, როცა მაგრად „დაზაგრულ“ გოგონებს ვხედავ. თან, ქობულეთში შეყვარებულიც დიდის ამბით მელოდა, მაგრამ იმედები უნდა გავუცრუო.

— რატომ, ჯერ სეზონის დასრულებამდე კიდევ ბევრი დროა და იქნებ, დასასვენებლად წასვლა შენც მოახერხო?..

— დასასვენებლად მხოლოდ სოფელში თუ გამიშვებენ, ისიც იმიტომ, რომ გზის ფულის გარდა, იქ არაფერი დამჭირდება — ბებო და ბაბუ არაფერს მომაკლებენ, მაგრამ სოფელში რა მინდა? ერთი საცოდავი მდინარე აქვთ და იქაც ტანსაცმლით შედიან წყალში. მოკლედ, გარუჯვის არანაირი შანსი არ მექნება და თანაც, იქ ხომ შეყვარებულსაც ვერ ვნახავ.

— რაზე უფრო გწყდება გული — იმაზე, რომ შეყვარებულს ვერ ნახავ თუ იმიტომ, რომ „აჭარულად“ ვერ გაირუჯები?

— ქობულეთში წასვლა „ზაგარის“ გამო უფრო მინდოდა. აბა, შეყვარებულს სექტემბერშიც ვნახავ და მასთან დაკარგული დროის ანაზღაურებასაც შევძლებ... აი, მზე, ზღვა და ნამზეური კი მთელი წლის განმავლობაში დამაკლდება.

— ხომ შეიძლება, „ზაგარი“ ქალაქიდან გაუსვლელადაც მიიღო? ამბობენ, რომ თბილისის ზღვა სავსეა ხალხით...

— ჰო, ეგ მეც გავიგე, მაგრამ იქ არავის მივყავარ: დედას ეზარება, მამას ჩემთვის არასდროს სცალია, ძმამ — ვაი შენს პატრონს, იქ შენთან ერთად რა მინდაო?! ბიძაშვილ-მამიდაშვილები კი თბილისის ზღვას არ კადრულობენ და იქ წასვლას სახლში ჯდომა ან სოლარიუმში ხეტიალი ურჩევნიათ...

— მეგობრებთან ერთად რომ წახვიდე?

— მათთან ერთად არავინ მიშვებს, საშიშიაო.

— აბა, ქობულეთში ვინ უნდა გამოგყოლოდა?

— იქ დედაც სიამოვნებით მოდის ხოლმე და ჩემი სხვა ნათესავებიც. ქობულეთში წასვლა არავის ეზარება.

— სოლარიუმში რომ გაირუჯო?

— რა, მართლა ქაჯი კი არ ვარ. სოლარიუმის „ზაგარი“ არ მიყვარს — რაღაცნაირი, შავი ფერი დაგკრავს მერე, ზღვის „ზაგარი“ კი შოკოლადისფერ კანს მჩუქნის, რაც არა მარტო სხვებს მოსწონთ, არამედ თავადაც მსიამოვნებს.

— კანის ფერი ოდნავ შეცვლილი გაქვს. ეს რისი დამსახურებაა?

— ძალიან მოძველებული მეთოდის — მთელი დღეები „კრიშაზე“ ვაგდივარ, სადაც ცივი წყლით ხან გულს ვიგრილებ, ხან — სხეულს. ჰოდა, როგორც ხედავ, 2 კვირაში ძლივს შევიცვალე კანის ფერი. თან, ეს რა ცუდი ამინდებია: თუ არ წვიმს, ისეთი ქარი უბერავს, სახურავზე ყოფნა საშიში ხდება, მზე გამოვა და ისე დაგაჭერს სხივებს, რომ სიქას გაგაძრობს და მერე, არც „ზაგარი“ გინდა და აღარც ცხოვრება.

— ჰოდა, ზღვაზეც ხომ ასეთივე ცუდი ამინდია...

— ვინ გითხრა? ჩემო კარგო, ზღვას მზეც უხდება, მისი მცხუნვარე და მწველი სხივებიც არ გეჩვენება ასეთი დამწველ-დამდაგველი და ზოგჯერ, წვიმა და ქარიც კი გსიამოვნებს.

მათე, *18 წლის:*

— 2 კვირა ბათუმში ვიყავი, 1 კვირა — ქობულეთში და მაგარი დრო ვატარე. ისე, წელს ბათუმი მეტად დამეკასა, ადრე კი პირიქით იყო. ყველაზე მაგარი ისაა, რომ თითქმის ყველაფრის ფასი დაბლაა დაწეული და იმ თანხით, რაც აქედან წავიღე, მაგრად ვიგრიალე.

— ყველა იმას წუწუნებს, საკვები პროდუქტები გაძვირდაო...

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ბინის ქირა ძალიან იაფი იყო. მაგალითად, მე ოთახში 15 ლარს ვიხდიდი და რა ვიცი, გენაცვალე, მაგარ ბაითში ვიყავი, არც ცხელი წყალი მაკლდა და არც — ცივი; აჭარულ ხაჭაპურს ადრე 4 ლარად მივირთმევდი, ახლა კი სამ ლარადაც გეახლებოდით. აი, პროდუქტების რა მოგახსენო, სახლში კერძებს თავად არ ვამზადებდი და შესაბამისად, მათი ფასიც არ ვიცი, მაგრამ აშკარაა, რომ ბათუმში ცხოვრება გაიაფდა. წელს მაგარი ქალიც გავიცანი და უკვე შეყვარებული ვარ.

— თუ საიდუმლო არაა, ვინ გაიცანი?

— ის, ვისაც მთელი ცხოვრება ვეძებდი (ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული ნათქვამია, მაგრამ მეპატიება — იმერელი ვარ). მე და მაიკოს ერთმანეთი შეგვიყვარდა და მან უკვე თავისი ოჯახის წევრებიც გამაცნო. ჩვენ ქობულეთში ერთად წავედით.

— მისი მშობლები ასე იოლად გენდვნენ?

— ჰო, ისინი ბათუმში დარჩნენ, ჩვენ კი მეგობრებთან ერთად, ქობულეთში წამოვედით. ეს უბრალო საკურორტო რომანი არ გეგონოთ, მე და მაიკოს სერიოზული ურთიერთობა გვაქვს და თბილისშიც ყოველდღე ვნახულობთ ერთმანეთს.

— პირად ცხოვრებაში წარმატებას გისურვებ! მინდა აღვნიშნო, რომ ზღვაზე ნამყოფის არაფერი გეტყობა — ლამის ისევ თეთრი კანი გაქვს...

— მე ზღვაზე გასარუჯად არ დავდივარ. სიგრილეში ყოფნას და ზღვის ტალღებთან თამაშს არაფერი მირჩევნია. თანაც, აჭარაში თითქმის ყოველდღე წვიმდა, წვიმაში კი მოგეხსენებათ, „ზაგარს“ ვერ მიიღებ. ის კი არა, მგონი, შეყვარებულიც ნამზეურის გარეშე დავტოვე.

— რატომ?

— სულ ჩემთან იყო და პლაჟზე წამოსაკოტრიალებლად სად ეცალა?!. სხვათა შორის, როცა ქეთი მელუამ კონცერტი ჩაატარა, ქობულეთიდან ისევ ბათუმში ჩავედით. მართალია, მისი სიმღერები თითქოს სევდიანია (რა ვიცი, ასე ვფიქრობ, ტექსტის შინაარსის არაფერი გამეგებოდა და...), მაგრამ იმ დღეს მაინც ბევრი ვიხალისე. ჩვენი პრეზიდენტიც დავინახე და ხელი დავუქნიე. ალბათ, ვერ დამინახა, თორემ როგორ ამივლიდან გვერდს (*იცინის*)?..

სვეტა, *21 წლის:*

— წელს მაგარი „ზაგარი“ მივიღე. ასეთი ფერი კარგა ხანია, არ მქონია და ეს იცი, რისი დამსახურებაა? — როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ასეთი ნამზეური თბილისის ზღვაზე და კუს ტბაზე მივიღე.

— რატომ უნდა გამიკვირდეს?

— როგორც წესი, ამ ადგილებში მიღებული „ზაგარი“ კაპიკად არ ვარგოდა და ამიტომაც გავრბოდი ზღვისპირეთში.

— ზღვისპირეთში წასვლის სხვა მიზეზი არასდროს გქონია? იქ მხოლოდ გასარუჯად მიდიოდი?

— ნუ, არა მარტო ამიტომ, მაგრამ ძირითადად, იქიდან ისეთი გარუჯული ჩამოვდიოდი, რომ აღატაცებას ვერავინ ფარავდა. თანაც, ნამზეური ძალიან მიხდება. ის კი არა, ფერი მალე რომ არ გადამივიდეს, ზოგჯერ, სოლარიუმსაც ვაკითხავ.

— შენი აზრით, რით განსხვავდება თბილისის ზღვა შავი ზღვისგან? რატომ სჯობია მაგალითად, ბათუმური „ზაგარი“ თბილისურს?

— თბილისისა და შავი ზღვის შემადგენლობა განსხვავდება ერთმანეთისგან, თორემ მზე აქაც ისე აცხუნებს, როგორც ბათუმში ან ქობულეთში. მართლა გამიკვირდა, წელს ასეთი მაგარი „ზაგარი“ რომ მივიღე და სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ეს ზღვის დამსახურებაა თუ კუს ტბის.

— შესაძლოა, ორივესი ერთად.

— ჰო, ალბათ, „კომბინირებული ზაგარი“ მაქვს. სხვათა შორის, გარუჯვისას არც ზეთი გამომიყენებია და არც — იოდი, ისედაც კარგი ფერი მაქვს. ისე, ვინც „ზაგარს“ ცუდად იღებს, ვურჩევ, სტაფილო გახეხოს, გაწუროს და მისი რამდენიმე წვეთი გასარუჯ ზეთში შეურიოს. თუ ამ ნარევს გარუჯვამდე წაისვამთ, ძალიან მაგარ „ზაგარს“ მიიღებთ. თუმცა, ამ მეთოდს შავგვრემანებს არ ვურჩევ, რადგანაც ეს ნარევი მათ კანს გააყვითლებს.

— ზღვისპირეთში რატომ ვერ წახვედი?

— ჩემს მშობლებს ფარდების ბიზნესი აქვთ წამოწყებული. 5 წელია, ამით ვჭამთ პურს და არაფერი გვაკლია, მაგრამ წელს ხელი მოეცარათ — მათ ბიზნესს წყალი შეუდგა. ხალხს ფული აღარ აქვს და ძვირად ღირებულ ფარდებსაც არავინ ყიდულობს. ჩაუწვათ „ტავარი“ და ახლა ტირიან: კარტოფილის და პომიდვრის გამყიდველებს მეტი შემოსავალი აქვთ, ვიდრე ჩვენ და ფარდები ბოსტნეულში ხომ არ გავცვალოთო?.. ჰოდა, როცა სახლში ასეთი სიტუაციაა, უსინდისო უნდა იყო, დასასვენებლად წასვლა რომ მოითხოვო.

— სოფელიც არსად გაქვთ?

— ჩვენ — არა. ნათესავებთან შემიძლია წასვლა, მაგრამ ამის სურვილი არ მაქვს. მათ საკუთარი თავის რჩენა გასჭირვებიათ და მეც ვერ დავაწვები კისერზე. ასე რომ, მთელი ზაფხულის თბილისში გატარება მომიწევს.

— მიუხედავად ამისა, მაინც მშვენიერ განწყობილებაზე ხარ და არაფერი გეტყობა იმის, რომ გული ძალიან დაგწყდა...

— იცი, ზოგიერთი ჩემი მეგობარიც თბილისშია, აქაც არის გასართობი ადგილები. შეყვარებული მე არ მყავს, მისი თავი რომ მადარდებდეს, „ზაგარი“ კი, როგორც ხედავ, აქაც მივიღე. მოკლედ, ცხოვრება მართლაც, მშვენიერია და თუ მას ღიმილს შეაგებებ, ისიც არ დაგტოვებს გულდაწყვეტილს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს სახლში მატერიალური პრობლემებია, მე მაინც ბედნიერი ვარ. აბა, რომ ვიტირო და ვიწუწუნო, ვინ რას მომცემს? — არაფერს! ჰოდა, წუწუნს სიცილი არ სჯობია?!. ■

აზარტული თამაში, ოკეანული ღარები და „ოლტეხილი“ ფული

„მე ფული მოვიგე, კი არ მომიპარავს...“

აზარტული თამაშებით დაავადებული ბევრი ადამიანია ჩვენ ირგვლივ: ზოგი ტოტალიზატორის ფანია, ზოგი კაზინოში „დაძვრება“ ისე, რომ ოჯახის წევრებმა ამის შესახებ არაფერი იციან, ზოგი კი უბრალოდ, კომპიუტერულმა თამაშებმა გადარია და შეშალა ჭკუიდან. საინტერესოა, რას ფიქრობენ ყოველივე ამის შესახებ ფსიქოლოგები, სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს საკუთარმა აზარტულობამ და რა დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს თამაშით გატაცებას? ამ თემის მომზადებისგან 2 დღის წინ მოსულმა მესიჯმა მიბიძგა — 15 წლის პიერომ (როგორც მას მეგობრები ეძახიან) მომწერა, რომ მოიგო დიდი თანხა და არ იცის, ის ოჯახის წევრებს როგორ გამოუჩინოს. ამიტომაც, ის ჩვენი მკითხველებისგან რჩევას ითხოვდა: მირჩიეთ, რა ვქნა, მთელი თანხა ფსონად ხომ არ დავდო და გარანტირებულ წაგებაზე ხომ არ ვითამაშოო? რა თქმა უნდა, ამ მესიჯის წაკითხვის შემდეგ ვერ მოვისვენე და პიეროს დავუკავშირდი.

— დიახ, მე მართლაც, ბევრი ფული მოვიგე.

— ბევრი ფული რამდენია?

— ამას არ მნიშვნელობა აქვს? მე ფული მოვიგე, კი არ მომიპარავს.

— და მშობლებს ამას რომ ვერ დაუმტკიცებ, ამიტომაც არ ეუბნები არაფერს?

— იცით, ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად ბევრნაირი დოკუმენტი არსებობს. მაგალითად, ის ბილეთი, რომლის წყალობითაც ეს თანხა ვიშოვე. ასე რომ, თუ საჭირო იქნება, ამის დამტკიცება არ გამიჭირდება, მაგრამ ვიცი, მაინც მომხვდება. მით უმეტეს, რომ დედაჩემს ჩემი აღარ სჯერა და იმის საშულებასაც არ მომცემს, რაიმე დავუმტკიცო.

— რატომ აღარ გენდობა?

— ადრე ძმაკაცებს ავყევი და იმისთვის, რომ თავანი ჩაგვებარებინა, მაღაზია გავტეხეთ. ჰოდა, ხომ გაგიგონია, — სახელის გატეხას თავის

გატეხა სჯობიაო. ახლა იძულებული ვარ, ფული გადავმალო. არადა, ის ჩემს ოჯახს ნამდვილად არ აწყენს, საკმაოდ ხელმოკლედ ვცხოვრობთ.

— თუ ხელმოკლედ ცხოვრობთ, ფსონის დასადებად ფული საიდან მოგაქვს?

— ვმუშაობ და ხელფასიდან მცირეოდენ თანხას თამაშისთვის „ვტეხავ“.

— ფულს ისევ საკუთარ თავს „უტეხავ“?

— ასე გამოდის. მშობლებიც მაკონტროლებენ. იციან, ხელფასი რამდენიც მაქვს და ჩემს შემოსავალ-გასავალს საფუძვლიანად ითვლიან. ჰოდა, თუ რაიმეს ვინმე გადმომიგდებს, ეს კი არც ისე იშვიათად ხდება, მას „ვტეხავ“.

— 15 წლის ბიჭი სად მუშაობ?

— მანქანებს ვრეცხავ და ეს სულაც არ „მიტყდება“. აბა, სახლში რომ დავჯდე, ვინ რას მომიტანს? მუშაობაში სამარცხვინო არაფერია, ადამიანს არაფერი უნდა ეზარებოდეს.

— საკუთარი ოფლით ნაშოვნი ფულის გაფლანგვა არ გენანება?

— მე სულაც არ ვფიქრობ, რომ ფულს ვფლანგავ. შენ ალბათ, იმას გულისხმობ, რომ ნაწილი თანხით ვთამაშობ. ასე მე ფულს ფულს ვაკეთებინებ.

— არასდროს წაგიგია?

— როგორ არა, ხშირად ვაგებ კიდეც. მოგება და წაგება ძმები არიან და როცა სათამაშოდ შედიხარ, იღბალი თუ არ გაქვს, შესაძლოა, ლომი კურდღელმაც კი დაამარცხოს და შენმა ფავორიტმა ნადირთა მეფემ იმედები გაგიცრუს.

— არ მეტყვი, მაინც, რამდენი მოიგე?

— ერთმა ბილეთმა 500 ლარი მომაგებინა, მეორემ — 1.700. ჰოდა, 2.300 ლარი არაა ცოტა ფული.

— შენ მომწერე: მგონი, ამ თანხას საბოლოოდ, ისევ ფსონად დავდებო...

— აბა, სად წავიღო. რამე რომ ვიყიდო, ჩემები დაეჭვდებიან, საიდან მოიტანაო და დაიწყება გამოკითხვები, ხოლო ფული შინ რომ მივიტანო, კიდევ უარესი მოხდება.

— შენ ხომ შეგიძლია იმის დამტკიცება, რომ ეს თანხა არ მოგიპარავს...

— ჰო, მაგრამ მათთვის ქურდობა და აზარტული თამაშებით გამდიდრება თითქმის ერთი და იგივეა. მოკლედ, შავ დღეში ვარ, რა...

მარინა კაკულია, *ფსიქოლოგი:*

— ეს ბიჭი მართლაც, საოცრად აზარტული ჩანს და თუ ასე გააგრძელა, შეიძლება, კისერიც მოიტეხოს. ადამიანს შეუძლია მუშაობა და 15 წლის ასაკში ცდილობს, საკუთარი შემოსავალი ჰქონდეს. მუშაობს თავდაუზოგავად, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ საკუთარი აზარტულობა დაიკმაყოფილოს. ეს ამ ასაკის ბიჭისთვის არ არის ნორმალური საქციელი, რადგანაც მას სულ სხვა მოთხოვნილებები და მისწრაფებები უნდა ჰქონდეს.

— მაინც, რა მისწრაფებებსა და მოთხოვნილებებზეა ლაპარაკი?

— უნდა უჩნდებოდეს სურვილი, გოგონებთან ერთად გაერთოს, მეგობრებთან ერთად იქეიფოს... სწავლის გაგრძელება თუ არ უნდა, ეს მისი საქმეა, მაგრამ საკუთარ ფულს ამ ასაკშივე ქარს რომ ატანს, ეს ძალიან ცუდის მანიშნებელია და მისი მშობლების ადგილას, ცოტა ხნით მუშაობასაც ავუკრძალავდი.

— მაგრამ ხომ შეიძლება, ამ აკრძალვებმა იქამდეც მიგვიყვანოს, რომ ბავშვმა რაიმე მოიპაროს და თავისი აზარტულობა ამ გზით ნაშოვნი ფულით დაიკმაყოფილოს?

— ესეც ადვილი შესაძლებელია. გარდა მსუბუქი აკრძალვებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს კონტროლს, მაგრამ ფარულ კონტროლს და არა — აშკარას. თუ ბავშვმა იცის, მას აკონტროლებენ, უფრო ღიზიანდება და აუცილებლად მოახერხებს იმდენს, რომ მშობელი „გადაინწვას“, თავად კი მიზანს მიაღწიოს.

— მშობლის „გადაწვაში“ რას გულისხმობთ?

— იმას, რომ მას დაღლის, გაამწარებს და როცა დედა ან მამა ყურადღებას მოადუნებს, მაშინვე „გაძვრება“. საინტერესოა, ამ ბიჭს მეგობარი მართლა ჰყავს თუ არა?

პიერო:

— მეგობრები როგორ არ მყავს, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, ისინი სკოლაში დადიან და ამიტომაც, მათ მხოლოდ საღამოობით ვნახულობ. მას შემდეგ, რაც სკოლიდან გამოვედი, ჩვენი ურთიერთობა შეიცვალა. თითქოს, მათი აღარ მესმის.

— ისინი თუ არიან აზარტულები?

— ზოგი კი, ზოგი — არა. სხვათა შორის, პირველად ტოტალიზატორში ძმაკაცმა მიმიყვანა. ის ახლა აღარ თამაშობს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მშობლები ფულს აღარ აძლევენ, ყველანაირად ავიწროებენ და იძულებულია, მათ დაემორჩილოს, ჭკვიანი ბიჭის როლი ითამაშოს. დარწმუნებული ვარ, როგორც კი დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებს, უმალვე ტოტალიზატორში გაჩნდება.

მარინა:

— ეს ბიჭი მართალია — მისი მეგობარი შესაძლოა, ამ გართობით მეტად დაინტერესდეს და როცა საკუთარი შემოსავალი ექნება, ბოლო თეთრამდე აზარტულ თამაშებში დახარჯოს. მისი მშობელი უნდა შეეცადოს, ნეიტრალურად მოიქცეს, ანუ ფული მისცეს და თან — აკონტროლოს. როცა ის ბავშვი სხვანაირად გართობის გემოსაც გაიგებს, ალბათ, ტოტალიზატორისკენ გახედვაც არ მოუნდება... პიერო ზოგიერთ მეგობარს იმიტომ ვერ უგებს, რომ მან უკვე იგრძნო ფულის სუნი, ზოგიერთ მის ძმაკაცს კი ალბათ, ჯიბეში ხურდაც კი არ უჩხრიალებს... ამ ასაკში ბიჭებს და გოგონებს არ ესმით, როგორ უნდა იმუშაო, რატომ უნდა მიატოვო სწავლა და ა.შ. აი, სწავლის პარალელურად რომ ემუშავა, მეგობრებს ისევ გაუგებდა.

— იქნებ, ისიც გვითხრათ, როგორ უნდა მოიქცეს ამ კონკრეტულ სიტუაციაში? ურჩიეთ, სად წაიღოს მოგებული ფული.

— ყველაფერს სჯობია, მშობლებს სიმართლე უთხრას (თუ დედას ვერ გაუმხელს, მამას მაინც გაენდოს), სიმართლის დასამტკიცებლად მათ ტოტალიზატორში წაყოლა შესთავაზოს, მერე კი თანხაც გამოაჩინოს. კარგი იქნება, თუ მშობლები მის სიტყვებსა და საქციელს გაგებით მოეკიდებიან, მაგრამ ამის შემდეგ ისე უნდა მოიქცნენ, რომ ყველაფრის საქმის კურსში იყვნენ. საერთოდ, შვილებთან მშობლები ყოველთვის ვცოდავთ, ანუ როცა ისინი ცდილობენ, ჩვენთან მაქსიმალურად გახსნილები იყვნენ, ჩვენ მათ რაღაცებს ვუკრძალავთ და შედეგად, ბავშვებს უფროსებისთვის რაღაცის მოყოლის სურვილი ეკარგებათ, უჩნდებათ უნდობლობისა და ფარული შიშის გრძნობა. ამიტომაც, სურვილებს არა მარტო ფარულად იკმაყოფილებენ, არამედ ძალაუნებურად, გვეჯიბრებიან კიდეც — ჩვენს ჯიბრზე შესაძლოა, დაუშვებელი შეცდომაც კი დაუშვან.

■

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი“

დასაწყისი იხ. „გზა“, №27-30

1922 წლისთვის, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას მისი ბელადი — ვლადიმირ ლენინი გამოაკლდა, იოსებ სტალინი საბჭოთა ხელმძღვანელობაში, პოლიტიკურ უმცირესობაში იმყოფებოდა, ხოლო ბოლშევიკთა პარტიის გენერალური მდივნის პოსტი, რომელზეც ლენინილალი პაპასკირი სიცოცხლეშივე იყო არჩეული, არა პარტიის მეთაურისთვის, არამედ ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად იყო შემოღებული და ფაქტობრივად, სამდივნოსა და პოლიტბიუროს კანცელარიის უფროსს ნიშნავდა. როგორც წინა ნომერში აღვნიშნეთ, ერთ-ერთი გარემოება, რომელმაც სტალინის მომძლავრებასა და მის ხელში ძალაუფლების საბოლოოდ გადასვლას შეუწყო ხელი, — ლენინის გარდაცვალება გახდა. აი, რა გარემოებებმა შეუწყო ამას ხელი.

სტალინი და ტროცკი — ბრძოლა პირველობისთვის

ამ დროს მოსკოვში არ იმყოფებოდა ლევ ტროცკი. ის არც ლენინის დაკრძალვას ესწრებოდა: სოხუმში დასასვენებლად წასულმა, საჭიროდ არ მიიჩნია ამ დღისთვის დაბრუნება. ბელადთან დამშვიდობებისას დედაქალაქში რომ ყოფილიყო, სამგლოვიარო მიტინგზე უეჭველად, სწორედ მას ერგებოდა პირველი ვიოლინოს როლი, რადგან საუცხოო ორატორი გახლდათ და ასეთ შემთხვევაში, უთუოდ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ყველაზე.

ამგვარად, ეს ტროცკის სერიოზული ტაქტიკური შეცდომა იყო: ჯერ ერთი, ეს, ბევრს, როგორც ლენინისადმი უპატივცემულობა, ქედმაღლობა და საკუთარი პერსონის მნიშვნელობის მორიგი ხაზგასმა, ისე შეიძლებოდა გაეგო; მეორე — ამის შედეგად არა ტროცკი, არამედ სტალინი მოგვევლინა ბელადთან დამშვიდობების ცერემონიაზე პირველ ფიგურად, — არადა, მანამდე ტროცკი გაცილებით პოპულარული და ძალაუფლებით აღჭურვილი ლიდერი გახლდათ.

ერთ დღეში, ერთი გამოსვლით სტალინმა ტროცკის ინიციატივა ჩამოართვა... 1924 წლის 26 იანვარს, საბჭოების ყრილობის სამგლოვიარო სხდომაზე, ბოლშევიკური პარტიის სახელით, სტალინმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც, როგორც ლენინისადმი ფიცი, ისე შევიდა ისტორიაში. ამ გამოსვლის ტექსტი გაზეთ „პრავდის“ 30 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა და უმალ, თავისებური საპროგრამო პარტიული დოკუმენტის, ამასთანავე, სტალინის პირადი ფიცის მნიშვნელობა შეიძინა. ამ გამოსვლამდე სტალინს პარტიაში იცნობდნენ, როგორც ცეკას ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკს, ხოლო ფართო მასებში მისი საქმიანობა ნაკლებად ცნობილი გახლდათ. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო სხდომაზე წარმოთქმულმა სიტყვამ თითოეულ მოქალაქეზე — პარტიულზეც, უპარტიოზეც, მოყვარეზეც და, წარმოიდგინეთ, მტერზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ერთი ხელის მოსმით ქვეყანამ გაიცნო იოსებ სტალინი — შეიტყო მისი პოლიტიკური შეხედულებების, მიზნებისა და ზრახვების შესახებ. მისი ავტორიტეტი და პოპულარობა ერთბაშად, ერთიათად გაიზარდა. ლენინის მომხრეებმა მასში საკუთარი ლიდერი დაინახეს.

სტალინმა, როგორც უჭკვიანესმა სტრატეგმა, საკუთარი თავისა და პარტიისათვის ხელსაყრელი სიტუაცია სათანადოდ შეაფასა და კიდევ ერთი მომგებიანი სვლა გააკეთა: მისი ინიციატივით, ცეკას პლენუმზე მიიღეს მიმართვა — „პარტიისადმი, ყველა მშრომელისადმი!“ — სადაც ნათქვამი იყო: „მუშებო, პროლეტარული რევოლუციის მტკიცე მომხრეებო, შემოგვიერთდით რკპ(ბ)-ში! მოავლინეთ პარტიაში საუკეთესო, მოწინავე, პატიოსანი და გაბედული მებრძოლები!“

თუ მანამდე ბოლშევიკთა პარტიაში 735 ათასი წევრი ირიცხებოდა, ამ მოწოდების შედეგად, მხოლოდ 1924 წელს 240 ათასზე მეტი ადამიანი შევიდა. ეს ახალი შევსება უახლოეს მომავალში, ტროცკისტებთან და ოპორტუნისტებთან ბრძოლისას, სტალინის საიმედო დასაყრდენად იქცა.

საკუთარი სტრატეგიული გამარჯვების წყალობით, პარტიის X ყრილობაზე, რომელიც ამავე წლის მაისში გაიმართა, იოსებ სტალინი გაცილებით წელგამართულად გრძნობდა თავს და, დელეგატებს შორის მყოფი მომხრეების მხარდაჭერის შედეგად, დასახული გეგმების გატანაც მოახერხა. ოპოზიციონერებმა სცადეს, ჩირქი მოეცხოთ მისთვის, ყრილობის დელეგატების თვალში: მათ განაცხადეს, რომ სტალინი მალავდა ე.წ. „ლენინის ანდერძში“ მისი მიმართ გამოთქმულ არასახარბიელო დახასიათებას.

სტალინმა პოსტიდან გადადგომის განცხადება გააკეთა...

დელეგატები გაეცნენ „ანდერძს“, განიხილეს იგი, გენერალური მდივნის საქმიანობა დადებითად შეაფასეს და შედეგად, ყრილობამ მას პოსტზე დარჩენა, მუშაობის გაგრძელება და პარტიაში განხეთქილების დაძლევაც დაავალა. სტალინმა და მისმა მომხრეებმა ეს დავალება პირნათლად შეასრულეს.

1925 წლის დამლევისთვის, ომის შემდგომი ნგრევის შედეგების ლიკვიდაცია დასრულდა, 400-ზე მეტი მსხვილი საწარმო აღდგა, თითქმის ათეული ელექტროსადგური აშენდა, მრეწველობის მოცულობამ ომამდელ — 1913 წლის მაჩვენებელს მიაღწია. ასე რომ, თვალსაჩინო გახლდათ წარმატებები, რომელსაც განმტკიცება და მატება ესაჭიროებოდა.

სტრატეგიის ძალა

ვფიქრობ, საჭიროა, უფრო საფუძვლიანად შევეხოთ სტრატეგიის საკითხებს. ამისათვის დავაზუსტოთ, რა არის სტრატეგია.

ჟურნალ-გაზეთებში ხშირად წაგვიკითხავს ისეთი ავტორების მსჯელობები, რომლებსაც ამ საკითხებში არაფერი გაეგებათ. მაგალითად, ჩეჩნეთის ომის დროს შეგხვდებოდათ ასეთი კორესპონდენცია: „ჩვენმა ჯარმა ამა და ამ დაბასთან სტრატეგიული სიმაღლე (ან

ხიდი) დაიკავა...“ ამასთან, მსგავსი დილეტანტური შეფასებები, როგორც წესი, დიდი რიხითა და კატეგორიულობით გამოითქმის...

მოდი, ვნახოთ, როგორია ენციკლოპედიურ ლექსიკონში ჩამოყალიბებული ამ ცნების განსაზღვრება: „სამხედრო სტრატეგია, სამხედრო ხელოვნების უმაღლესი სფეროა... მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს პოლიტიკასთან და სამხედრო დოქტრინიდან გამომდინარეობს. პოლიტიკა სამხედრო სტრატეგიას სამხედრო ამოცანებს უსახავს, ხოლო სტარტეგია მათ გადაჭრას უზრუნველყოფს. სამხედრო სტრატეგია დაკავშირებულია ეკონომიკასთან და სახელმწიფოს ეკონომიკურ წყობაზე, მრეწველობის განვითარების დონეზე, დამოკიდებულია ხალხის მორალურ შესაძლებლობებზე...“

ძალზე მარტივად რომ ვთქვათ — მხედართმთავრის (ან სახელმწიფო მოღვაწის) ოსტატობა იმაში გამოიხატება, რომ სწორად განსაზღვროს სამხედრო მიზანი და მისი მიღწევის გზა, ხოლო სტრატეგიულად ამის დასაბუთება სწორედ ამ პიროვნების სტრატეგიული აზროვნების, წინდახედულების, განათლებისა და ნიჭიერების დონეზეა დამოკიდებული. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ სტრატეგიული აზროვნების უნარი ყველას როდი აქვს, პირიქით — ეს ერთეულთათვის ბოძებული წყალობაა...

ლენინის სიკვდილის შემდეგ, სტალინმა ააგო — ერთი მეცნიერის გამოთქმა რომ გამოვიყენოთ — „იდეალური კვარცხლბეკი“, რომლის სიმაღლიდანაც „შორეულ ჰორიზონტებს“ ხედავდა; აშკარაა, რომ ის სრულიად დამოუკიდებლად ქმნიდა დიდ სტრატეგიულ პროექტებს, როგორც თეორიულს, ასევე პრაქტიკულს.

სტალინის სტრატეგიული აზროვნება ჯერ კიდევ მშვიდობიანი აღმშენებლობის დროს გამომჟღავნდა. ამჯერად მხოლოდ ორ დიდ მიღწევას აღვნიშნავ: ინდუსტრიალიზაციას და კოლექტივიზაციას, ურომლისოდაც საბჭოთა კავშირი კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვაში უმწეო ქვეყნად დარჩებოდა და ჰიტლერის თავდასხმის შედეგად, დაიღუპებოდა. ხუთწლედების მეშვეობით განხორციელებული ინდუსტრიალიზაციის წყალობით, გაჩნდა სამხედრო მრეწველობისა და თანამედროვე შეიარაღების შექმნის საფუძველი. სტალინის ეს სტრატეგიული გათვლა მის უდიდეს წინდახედულებაზე მეტყველებს...

1925 წელს გამართულ პარტიის XIV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში გენმდივანი ოპოზიციის მიერ შემოთავაზებულ, სახალხო მეურნეობის განვითარების შესაძლო მიმართულებებს შეეხო. მან თქვა:

— არსებობს ორი გენერალური ხაზი: ერთნი ეყრდნობიან იმ აზრს, რომ რუსეთი კიდევ დიდხანს უნდა დარჩეს აგრარულ ქვეყნად, საზღვარგარეთ გაჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხოლო იქიდან მანქანა-დანადგარები შემოჰქონდეს. ამ გზით სიარული ფაქტობრივად, ჩვენი ინდუსტრიის გაჩერება-გაყინვას ნიშნავს. ეს ჩვენი არჩევანი არ გახლავთ. აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევა, ისეთ სახელმწიფოდ, რომელსაც თავად შეუძლია მანქანა-დანადგარების წარმოება — აი, ჩვენი მოქმედების ამოსავალი, ჩვენი გენერალური ხაზის საფუძველი...

ვფიქრობ, მისი სტრატეგიული წინდახედულება არც ეჭვს იწვევს და არც ზედმეტ კომენტარს საჭიროებს.

— ვისაც ამის არ სჯერა — მას არც სოციალისტური მშენებლობის სჯერა, — დასძინა გამოსვლისას სტალინმა.

მას კატეგორიულად შეეწინააღმდეგა კამენევი, რომლის გამოსვლაც 2 საათზე მეტხანს გრძელდებოდა. ლენინგრადის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელმა პარტიასა და ცეკას ბრალდებათა მთელი წყება წაუყენა, ბოლოს კი ოპოზიციის მთავარი ჩანაფიქრი გამოთქვა — ხელმძღვანელობის შეცვლის საჭიროება და პირველ რიგში, გენერალური მდივნის პოსტიდან სტალინის გადაყენება.

ადგილებიდან უკმაყოფილო შეძახილები გაისმა. კამენევმა უპასუხა:

— ბოლომდე უნდა ვთქვა სათქმელი! სწორედ იმის გამო, რომ არაერთხელ მითქვამს პირადად ამხანაგ სტალინისთვის; სწორედ იმიტომ, რომ მტკიცე ლენინელთა ჯგუფისთვისაც არაერთხელ მითქვამს, ახლა აქ, ყრილობაზე გავიმეორებ: საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რომ ამხანაგ სტალინს არ შესწევს უნარი, ბოლშევიკური შტაბის გამაერთიანებლად მოგვევლინოს...

დარბაზში ხმაური ატყდა. დელეგატები გაყვიროდნენ: „ტყუილია!“, „სისულელეა!“, „აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!..“, „მოიხსენით ნიღაბი?!“ კამენევს მხოლოდ ლენინგრადის დელეგაცია უკრავდა ტაშს, დანარჩენები — მთელი დარბაზი — ფეხზე ადგნენ და ამით სტალინისადმი მხარდაჭერა გამოხატეს.

დასკვნით სიტყვაში სტალინს თავის მართლება არც უცდია. მან თქვა:

— პირად გამოხდომებსა და მსგავს რაღაცებზე პასუხის გაცემას არ ვაპირებ, რადგან ვფიქრობ, ყრილობას საკმარისი მასალა აქვს იმის თაობაზე დასკვნის გამოსატანად, თუ რა უდევს საფუძვლად ამ გამოხდომებს... პარტია ერთიანობას მოითხოვს. ის ამ მიზანს მიაღწევს, კამენევსა და ზინოვიევთან ერთად — თუ ისინი ამას მოინდომებენ, ან მათ გარეშე — თუ არ მოინდომებენ (ისმის ტაში, შეძახილები დარბაზიდან: „სწორია!“, „მართალია!“)...

საბოლოოდ, სტალინი კვლავ აირჩიეს გენერალურ მდივნად. ცხოვრებაში პირველად, ის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდა და პარტიის უმაღლესი ორგანოს პირველ სხდომას გაუძღვა — მანამდე, ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, პოლიტბიუროს სხდომებს სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარე, კამენევი უძღვებოდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ქართული ეკლესია სულიერებით ათონის მთიდან საზრდოობდა

„გზის“ წინა ნომერში ლაპარაკი გვქონდა ათონის მთაზე არსებულ საეკლესიო ცენტრსა და სულიერ ცხოვრებაზე, რომელიც იქ საუკუნეების მანძილზე უწყვეტად მიმდინარეობდა. ამჯერად, ათონზე ქართველთა ყოფისა და მოღვაწეობის შესახებ მოგითხრობთ. გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე).

ზორენა მერკვილაძე

ათანასეს ლავრა

— ათონის მთაზე ქართველები ფაქტობრივად, იქაური სულიერი კერების დაარსებიდანვე მოღვაწეობენ, იმ დროიდან, რაც ათანასე დიდმა დიდი ლავრა დააარსა და მძლავრ სამონასტრო ცხოვრებას ჩაუყარა საფუძველი. ათანასე ათონელის და იოანე მთაწმინდელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ ისინი მეგობრობდნენ. როდესაც ათანასე ლავრას აარსებდა, იოანეს სთხოვა, მასთან ერთად ეღვაწა. იოანე მთაწმინდელის გარდა, ათანასე დიდის ლავრაში სხვა ქართველებიც მკვიდრობდნენ. მალე მათ შეუერთდა იოანე მთაწმინდელის ხორციელი ძმა — თორნიკე ერისთავი, რომელსაც ბერად აღკვეცის შემდეგ, თავისი ძმის მსგავსად, იოანე ეწოდა და მას იოანე-თორნიკეყოფილადაც იხსენიებენ. ქართველი მოღვაწეები თანდათან მომრავლდნენ. 976 წელს ბიზანტიის მცირეწლოვან იმპერატორებს — ბასილსა და კონსტანტინეს მცირე აზიის მმართველი, ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. აჯანყებულმა სარდალმა კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყა. სასოწარკვეთილმა დედოფალმა — თეოფანიამ ათონის მთაზე მოღვაწე იოანე-თორნიკეყოფილს მიმართა — საქართველოს მეფესთან მიშუამდგომლე, დამეხმაროსო. თავიდან სასტიკ უარზე იდგა ყოფილი მხედარმთავარი. გრძნობდა, რომ ხელში კვლავ მახვილის აღება მოუხდებოდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა, დაჰყვა ათანასესა და იოანეს დაჟინებულ ვედრებას და ქართველთა მეფეს მიმართა. 12 ათასი რჩეული ქართველი მეომარი მიაშველა ქართველთა გვირგვინოსანმა ბიზანტიას. არც შემცდარა იოანე-თორნიკეყოფილი, სარდლობა მართლაც, მას ერგო. გამოცდილმა მხედართმთავარმა ბარდა სკლიაროსის დამარცხება მოახერხა და ბიზანტიის საიმპერატორო ტახტი გადაარჩინა. ამის გამო მთელი ალაფი — სამხედრო ნადავლი, რაც წესით, მეფისა და მეომრების კუთვნილება იყო, იოანე-თორნიკეყოფილს გადასცეს. ამ საბოძვრით ქართველმა ათონელებმა, ქართველ მოღვაწეთა სამკვიდროდ ააშენეს დიდი ქართული ლავრა, რომელსაც „ივერი“, „ივერონ“ ანუ — ქართველთა ეწოდა.

იოანე-თორნიკეყოფილი

ათონის მთაზე დაბრუნებულ იოანეს თან ჩამოჰყვა „მრავალი ფიჩოსანნი და სახელოვანი მონაზონნი“ წმინდა მთაზე სამოღვაწეოდ... ივერონის მონასტრის გარდა, ათონის მთაზე ქართველებმა კიდევ ოთხი ქართული სავანე დააარსეს.

— რით იყო განპირობებული ქართველთა სიმრავლის სწრაფვა ათონის მთისკენ?

— სწორედ ათონის მთა წარმოადგენდა იმის მწვერვალს, რასაც ადამიანმა სულიერებაში, ბერმონაზვნურ ცხოვრებაში შეიძლება მიაღწიოს. იქ მოღვაწე ქართველებს ისეთ გამოცდილ და ღირსეულ მოძღვართა ხელქვეითად უხდებოდათ მოღვაწეობა, როგორებიც იყვნენ: იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელები, გიორგი მაშენებელი და სხვები. სწორედ ეს მამები იყვნენ ათონზე მისული ქართველი ახალმოსახლეების — მორჩილებისა და ბერების მასწავლებლები და თავისთავად, ბევრი ქართველი ისწრაფოდა ათონის მთისკენ. ეს უდიდესი ქართველი მამები არა მხოლოდ ათონზე მყოფი ქართველებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, ქართული ეკლესიისთვის უდიდეს ავტორიტეტს წარმოადგენდნენ. ექვთიმე ათონელს საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებმა მიმართეს და ზოგიერთ საეკლესიო საკითხში გარკვევა სთხოვეს. ამ ფაქტს ექვთიმეს მიერ საქართველოს მღვდელმთავრებისადმი მიწერილი ეპისტოლეები ადასტურებს. რაც შეეხება გიორგი მთაწმინდელს — მეფე ბაგრატ IV-ის თხოვნით, ათონის მთიდან სამშობლოში გაემგზავრა და 5 წლის მანძილზე ბევრი საეკლესიო საკითხი მოაგვარა. რა თქმა უნდა, ბევრი ქართველის სურვილი და მიზანი იყო, რომ ათონის მთაზე მოხვედრილიყო და ამ წარჩინებულ მამებთან ერთად ეღვაწა.

— რამდენიმე სიტყვით, უშუალოდ, ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი მამების მოღვაწეობის ნაყოფსაც შევეხოთ.

— მათი წყალობით, ქართულ ეკლესიაში სულიერი ცოდნის წყარო მოდიოდა. ჩვენამდე მოღწეული ძველი ნათარგმნი ლიტერატურის მესამედზე მეტი ათონის მთაზეა შესრულებული — ათონის მთარგმნელობითი სკოლიდან მომდინარეობს. ამ დრომდე იყო პალესტინის სავანეები, მაგრამ ძნელბედობის ჟამს მომხდარი მოვლენების გამო, იქაური ქართული ნაშრომები ნაკლებადაა შემორჩენილი. თანაც, ათონის მთაზე განხორციელდა რევიზია იმ დრომდე არსებული მთელი ნათარგმნი ლიტერატურისა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე არსებული ნაშრომები ცუდი ნათარგმნი იყო, მაგრამ დრო-ჟამის გამო ბევრი შეირყვნა, გადახედვასა და გასწორებას საჭიროებდა: ზოგიერთ ხელნაწერში გადამწერის შეცდომა

MK

გიორგი მთაწმინდელი

იყო, ზოგიც შეგნებულად, შეცდომით იყო დაწერილი. ამ ყველაფრის საბოლოო რევიზია ათონის მთის მთარგმნელობითმა სკოლამ იტვირთა — „სახარება“ თუ სხვა ძირითადი წიგნები, რომელსაც დღეს საქართველოს ეკლესია იყენებს, ათონის მთის სკოლიდანაა გამოსული.

— ვინ უწევდა მფარველობასა და მზრუნველობას ათონის მთაზე მოღვაწე ქართველებს და იქ არსებულ ქართულ სავანეებს?

— ცხადია, დახმარებას საქართველოდან იღებდნენ. როდესაც ჩვენი ქვეყანა სახელმწიფოებრივად ძლიერი იყო, ათონის მთაზე დიდძალი შეწირულობები მიდიოდა. რასაკვირველია, ძნელბედობის ჟამს დახმარება მცირდებოდა, თუმცა, არასოდეს შეწყვეტილა მანამ, ვიდრე საქართველომ სახელმწიფოებრიობა არ დაკარგა. ათონის მთაზე, სხვა წმინდა ადგილებისგან განსხვავებით, გაცილებით დიდხანს მოღვაწეობდნენ ქართველები — XX საუკუნის პირველ ნახევარშიც კი იყვნენ. ამ პერიოდში იქ მოღვაწე ბოლო ქართველი ბერი — იოანე (მაისურაძე) გახლდათ, რომელიც შემდგომ, ბერძნებმა შეავიწროეს და იძულებული გახდა, იქაურობა დაეტოვებინა. ის საქართველოში დაბრუნდა და ბეთანიის მონასტერში მოღვაწეობდა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ათონის მთაზე არსებული ქართული სავანეებიც დავკარგეთ.

— როგორც ცნობილია, ათონის მთაზე მოღვაწე ბერძნებსა და ქართველებს შორის ხშირად ხდებოდა უთანხმოება, ბერძნები ხშირად ავიწროებდნენ ქართველებს. რა იყო ამის მიზეზი?

— ათონის მთაზე უმთავრესად, ბერძნები და ქართველები მოღვაწეობდნენ. ბერძნები ყოველთვის იმ დროს ავიწროებდნენ ქართველებს, როდესაც ჩვენი სახელმწიფო დაკნინებული იყო და ათონზე არსებული ქართული სავანეებისა და ქართველი მოღვაწეების მძლავრი დახმარება ვეღარ ხერხდებოდა. როდესაც საქართველო სახელმწიფოებრივად ძლიერი იყო, ბერძნები პირიქით, ქართველების კეთილგანწყობილების მოპოვებას ცდილობდნენ, რათა გასაჭირის ჟამს ქართველებს ისინი დაეცვათ და დახმარებოდნენ.

— XIX საუკუნეში იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ბერძნებმა ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერები გამოაძევეს...

— XVI საუკუნეში ბიზანტია თურქებმა დაიპყრეს და ბიზანტიის იმპერია გაუქმდა. თურქები ათონის მთაზეც გაბატონდნენ, მაგრამ მათ იქ რაიმე განსაკუთრებულ დევნას არ მიჰყვეს ხელი. ამიტომაც, ქართველები ჩვეულებრივად განაგრძობდნენ მოღვაწეობას. XIX საუკუნეში საპირისპირო პროცესი განვითარდა — საბერძნეთმა თურქეთის ბატონობისგან თავი გაითავისუფლა. საბერძნეთის სახელმწიფო ცდილობდა, ბერძნული ეკლესიაც მოემძლავრებინა და ყველა ღონეს ხმარობდა საიმისოდ, რომ ათონის მთის მასობრივი „გაბერძნება“ მომხდარიყო. სწორედ ამის გამო, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი ბერების შევიწროება დაიწყო და ბევრმა ქართველმა მოღვაწემ დატოვა იქაურობა. ქართველ ბერებს ძალით არ აძევებდნენ, მაგრამ ისეთ პირობებს უქმნიდნენ, რომ თვითონვე აყრილიყვნენ იქიდან.

— ამჟამად, ქართველები ათონის მთაზე არ მოღვაწეობენ?

— რამდენიმე ქართველი სხვადასხვა ლავრაში მოღვაწეობს, მაგრამ ერთი ასეთი უცნურობა შეინიშნება — ივერონის მონასტერში არც ერთი ქართველი არ არის. ათონის მთაზე აქვთ ასეთი დაუწერელი განაწესი: ივერონის მონასტერში ქართველებს სამოღვაწეოდ არ იღებენ, რათა შემდგომ, ქართველებმა არ განაცხადონ პრეტენზია იმაზე, რაც საუკუნეების მანძილზე მათ კუთვნილებას წარმოადგენდა. სხვა მხრივ, ქართველ მოღვაწეებს არავითარი პრობლემა არ აქვთ. ■

ექვთიმე

იყიდეთ!
ივლისის ნომერი

თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

ლოჭი დაჭაღული ბოლები

და გასული საუკუნის არშემდგარი ტერაქტი

1960 წლის 14 დეკემბერს საქართველოს „კაგებემ“ ტერორიზმში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავა. შოთას, იგივე ოთარ მექვაბიშვილს, ალბერტ (ალეკო) მელაძეს და აბრამს, მეტსახელად აბრეკ ბათოშვილს, საბჭოთა კავშირის მეთაურზე, ნიკიტა ხრუშჩოვზე შეიარაღებული თავდასხმის ორგანიზებაში დასდეს ბრალი.

ემა ტუხიამვილი

ხრუშჩოვს თბილისში 1961 წლის მაისში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით ელოდნენ. საპატიო სტუმრის დასახვედრად, თბილისში დიდი სამზადისი გაჩაღდა. უშიშროების სამსახურს კარგად მოეხსენებოდა, რომ ხრუშჩოვი თავისი ანტიქართული გამოსვლების გამო, აქ ბევრს არ მოსდიოდა თვალში, ამიტომ აგენტურული ქსელი გაათმაგებული ძალით მუშაობდა და თბილისში უსაფრთხოების დაცვის უპრეცედენტო ზომები იყო მიღებული.

„კაგებემ“ არშემდგარ ტერორისტებს ხრუშჩოვის ვიზიტამდე რამდენიმე თვით ადრე მიაგნო. ჯერ დანაშაულის მზადებაში ეჭვმიტანილი 3 პირი დააკავეს, მოგვიანებით ამავე ჯგუფის კიდევ ერთ წევრს — სტუდენტ აკაკი მდინარაძეს მიაგნეს და ისიც დააპატიმრეს. საგამოძიებო მასალების მიხედვით, ეჭვმიტანილებს ანტისაბჭოთა მიზნები ამოძრავებდათ და, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეცვლის მიზნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცეკას პირველი მდივნის ფიზიკური ლიკვიდაცია ჰქონდათ განზრახული.

ძიებისას გაირკვა, რომ ტერორისტული დაჯგუფების შექმნის ინიციატორი, სპეციალობით ფეიქარი, დროებით უმუშევარი ოთარ მექვაბიშვილი იყო. 1960 წლის ივლისში ის სპეციალურად დანაშაულის მომზადების მიზნით, ციხეში გაცნობილ ალეკო მელაძეს დაუკავშირდა და თავისი ჩანაფიქრი გაანდო. მელაძემ მექვაბიშვილის განზრახვა მოიწონა და მის განხორციელებაში მონაწილეობას დაჰპირდა. თანამოაზრეებმა ტერაქტისთვის მზადება დაიწყეს. თავიდან გადაწყვიტეს, ჯგუფის წევრების რაოდენობა გაეზარდათ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ასეთი მასშტაბის ტერაქტის მოსაწყობად მათი ძალები საკმარისი არ იქნებოდა. მოილაპარაკეს, რომ თითოეულს 2-3 სანდო ადამიანი უნდა მოეძებნა, მაგრამ მალევე გეგმა შეცვალეს და დაჯგუფებაში მხოლოდ ერთი, მელაძის ძველი ნაცნობი, შრომა-გასწორების კოლონიაში გაცნობილი აბრეკ ბათოშვილი გააწევრეს. მოგვიანებით, დაჯგუფებაში კიდევ ერთი წევრის დამატების საჭიროება დადგა. ტერაქტის ორგანიზატორებს სჭირდებოდათ ადამიანი, რომელიც თვითნაკეთი ბომბის დამზადებას შეძლებდა. ამ მიზნით, მექვაბიშვილი თავის შორეულ ნათესავს, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტ აკაკი მდინარაძეს დაუკავშირდა, რომელსაც მსგავსი რაღაცები ხელეწიფებოდა და ბომბის კორპუსის დამზადება სთხოვა. როგორც მოგვიანებით, მდინარაძის ჩვენებებიდან გაირკვა, ასაფეთქებელი მოწყობილობა ღვინის დოქის ფსკერზე დაამონტაჟა. ამის შემდეგ დაჯგუფების წევრებმა დეტალურად შეიმუშავეს ხრუშჩოვზე თავდასხმის გეგმაც. ჩანაფიქრის თანახმად, ამ აქტს თბილი-



ოთარ მექვაბიშვილი



აკაკი მდინარაძე

აბრეკ ბათოშვილი



ალეკო მდინარაძე

სის ქუჩებში სტუმრის კორტეჟის გადაადგილებისას განახორციელებდნენ. დაჯგუფების წევრებიდან ერთ-ერთს, ჰაერში ტყვიის გასროლით, სამთავრობო დაცვის ყურადღება უნდა გადაეტანა; ამ დროს, სხვა მხრიდან, ხრუშჩოვის მანქანისკენ დანაღმულ დოქს ისროდნენ... ჯგუფის წევრებმა დანაშაულის ადგილიდან მიმალვის გეგმაც შეიმუშავეს. ასევე ჩაფიქრებული ჰქონდათ, ამის შემდეგ რადიოეთერში გასულიყვნენ და მომხდარის შესახებ მთელი საბჭოთა კავშირისთვის ეცნობებინათ.

თითქოს ყველაფერი აწონ-დაწონეს და დეტალებში გათვალეს, მაგრამ — ამაოდ: „კაგებესთვის“ მათი ჩანაფიქრი ცნობილი გახდა. ჩვენებებში დაჯგუფების ოთხივე წევრი ირწმუნებოდა, რომ მათ გარდა, ხრუშჩოვზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ არავინ არაფერი იცოდა და ვერაფრით გაეგოთ, ვინ იყო მათ შორის გამცემი...

სასამართლომ მათ სასტიკი განაჩენი გამოუტანა — ოთარ მექვაბიშვილს, როგორც ტერორისტული დაჯგუფების ორგანიზატორს, სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, ალეკო მელაძეს — 15 წლით, ხოლო აბრეკ ბათოშვილსა და აკაკი მდინარაძეს — 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საინტერესოა, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილ მდინარაძეს საბჭოთა წყობილებისადმი სიძულვილის პირადი საფუძველიც ჰქონდა: პატიმრის ჩვენებებიდან ირკვევა, რომ რეპრესიების დროს მას ჯერ მამა დაუპატიმრეს, რომელიც მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, შემდეგ კი — დედა; თავადაც იდევნებოდა, როგორც „ხალხის მტრის“ შვილი...

„მაღალ სტუმარს“ — როგორც მაშინ იტყოდნენ — თბილისში პომპეზურად დახვდნენ. ყველაფერმა მშვიდად და ექსცესების გარეშე ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით ერთ ეპიზოდს: ერთხელ, ქალაქის გარეუბანში, სახელმწიფოს მეთაურის კორტეჟს შუახნის ქალი გადაუდგა. როცა სამთავრობო ავტომობილები იძულებით გაჩერდნენ, ქალმა ხრუშჩოვთან მისვლა და წერილის გადაცემა ითხოვა, რისი ნებაც დართეს. როგორც შემდგომ გაირკვა, მამაცი ქალბატონი — სიკვდილმისჯილი ოთარ მექვაბიშვილის დედა იყო, რომელიც ხრუშჩოვისგან შვილის შეწყალებას ითხოვდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ ამბიდან ცოტა ხანში, მექვაბიშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა 15-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს. სასჯელი შეუმსუბუქეს დაჯგუფების სხვა წევრებსაც. ხელისუფლებიდან ხრუშჩოვის წასვლიდან მცირე ხნის შემდეგ კი ისინი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

„საყვარელი ადამიანის დაბრუნება თქვენს ხელშია — მთავარია, რწმენა!“

ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ადამიანი უჩივის ნევროზს, უბარაქობას, ოჯახურ პრობლემებს და ა.შ. ახალგაზრდები ოჯახის წევრებს ვერ უგებენ, რაც ჩხუბის მიზეზი ხდება და შემდეგ, ბავშვები სახლიდან გარბიან ან სულაც, თავის მოკვლაზე ფიქრობენ... როგორც ქალბატონი ლია ხუციშვილი ამბობს, ამ ყველაფრის მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენ 3 6-იანის ანუ ეშმაკის წლებში ვცხოვრობთ. ამ ქალბატონმა თავისი ნიჭის წყალობით და შელოცვებით არაერთი ადამიანი იხსნა მოსალოდნელი უბედურებისგან.

— ქალბატონო ლია, თქვენთან რჩევის საკითხავად პოლიტიკოსებიც მოდიან?

— არა მარტო ისინი, არამედ ბიზნესმენები, შოუბიზნესის წარმომადგენლებიც ხშირად მაკითხავენ. ძირითადად, პირადი პრობლემების მოსაგვარებლად, ზოგი კი უბარაქობას უჩივის და ასეთებს ლოცვების მეშვეობით ვეხმარები. ხშირად, ადამიანებს ჰგონიათ, რომ ძალიან ცუდად არიან, ყველაფრის ხალისი დაკარგული აქვთ, შიში და უძლურება ეუფლებათ და ამ ყველაფრის ფონზე, ნევროზი უყალიბდებათ. სამწუხაროდ, მათ ექიმები ვერაფერს შველიან. ასეთებს მერწმუნეთ, წამალზე მეტად ლოცვა უშველით.

— ვინ და რატომ აკეთებს ჯადოს?

— ბოროტი, სულით მეძავი ადამიანები. ასევე, არსებობენ მკითხავები, რომლებიც ფულის გამო ყველაფერზე მოაწერენ ხელს. ბევრს უთქვამს: ამა და ამ მკითხავმა რაღაც მომცა, სასაფლაოზე უნდა წავიღო და ასეთი რიტუალი შევასრულო. თქვენ რას მირჩევთო? ასეთებს მოვუწოდებ, მსგავსი რამ არავითარ შემთხვევაში არ გააკეთონ, თორემ ადრე თუ გვიან, ყველაფერი უკან დაუბრუნდებათ. ასევე, ძალიან ხშირად ინგრევა ოჯახები და ბიჭებს სხვისი ცოლები მოჰყავთ. როგორ შეიძლება, შენი შვილი მიატოვო და სხვისი შვილი ხელისგულზე ატარო? მაგრამ ასეთებს ეშმაკი ამოძრავებთ. ხალხო, მთავარია რწმენა, ლოცვების კითხვა და ამით ეშმაკი განიდევნება. მოკლედ, თუ თქვენ საყვარელი ადამიანი გაგეცქათ, მისი დაბრუნება თქვენს ხელშია — ამისთვის ვიღაცისთვის ზიანის მიყენება სულაც არაა საჭირო. არსებობს სპეციალური ლოცვები, რომლითაც გაქცეული ადამიანის მობრუნებაა შესაძლებელი.

— უკვე მოჯადოებულ ადამიანს როგორ შველით?

— მათ ვაძლევ თილისმას, რომელშიც სიზმარში ნასწავლი საიდუმლო ლოცვა წერია და ის პრობლემის მოგვარებაში ყველას ეხმარება...

— ამ ბოლო დროს ქვეყანაში ძალიან ბევრი უბედურება ხდება. თქვენი აზრით, ეს რისი ბრალია?

— ქვეყანა ცოდვებმა დაამძიმა, ამდენი სისხლის ღვრა, ამდენი ოჯახური ტრაგედია და ა.შ. არასდროს ყოფილა. ჰოდა, ყველაფრის სათავე სწორედ ესაა.

— პოლიტიკურ პროგნოზებსაც ხომ არ გააკეთებთ?

— მოგეხსენებათ, ხელისუფლების სათავეში საკაშვილის მოსვლა მე ვინინასწარმეტყველე და მერეც ვამბობდი, რომ ოპოზიცია მას თანამდებობიდან წასვლას ვერ აიძულებდა. ახლა კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ის არსად წავა მანამ, ვიდრე ამას თავადვე არ მოისურვებს. მიშა მშვილდოსანი და ძლიერი აურის მატარებელი გახლავთ. რასაც მიზნად დაისახავს, აუცილებლად გაკეთებს... ქვეყანაში ომი აღარ იქნება, მხოლოდ ბუნება შემოგვიტევს, მაგრამ ამას როგორმე გავუძლებთ.

— თქვენ ახსენებთ ეკლესიას, ლოცვებს და ამავდროულად, თილისმას...

— მე მორწმუნე ადამიანი ვარ და მოძღვარიც მყავს. მან ჩემი საქმიანობის შესახებ იცის და თავიდან მითხრა, რომ ამ საქმეს უნდა ჩამოვშორებოდი, მაგრამ როცა დაველაპარაკე, მითხრა: რა ვიცი, ყველაფერი უფლის ნებაა. მე ბოროტ საქმეებს არ ვაკეთებ, მხოლოდ ადამიანების დახმარებას ვცდილობ და ამაში ცუდს ვერფერს ვხედავ.

ტელ: 69-60-00; 8(93) 21-52-33 (ჩაწერა წინასწარ). R

რუბრიკის დასაწყისი გვ. 18

ბუშის ქალიშვილები სპეცაგენტებს „ნამდვილ კოშმარში" ამყოფებდნენ

ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურის შესახებ დაწერილ რონალდ კესლერის (რომელიც უპირატესად პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და მათი ოჯახების უსაფრთხოების უზრუნველყოფით იყო დაკავებული) ახალ წიგნში ნათქვამია, რომ ბუშის ქალიშვილები — ჯენა და ბარბრა სპეცაგენტებისთვის „ნამდვილ კოშმარს" წარმოადგენდნენ.

„ჯენა გამიზნულად ცდილობდა, დაცვას ხელიდან დასხლტომოდა, რისთვისაც მანქანით წითელ შუქზე გავლასაც არ ერიდებოდა. ზოგჯერ საკუთარ მანქანაში ისე ჩახტებოდა, რომ აგენტებს იმასაც კი არ ეუბნებოდა, თუ საით მიემართებოდა, — იხსენებს კესლერი. — 2005 წელს, ყველა წმინდანის დღის აღსანიშნავად გამართულ წვეულებაზე ჯენას მეუღლე — ჰენრი ჰეიჯერი ისე გამოთვრა, რომ დაცვა იძულებული გახდა, ის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტთან არსებულ ჰოსპიტალში გადაეყვანა". ექსპრეზიდენტის მეუღლის — ლორა ბუშის პრესმდივანმა რონალდ კესლერის ყველა ამ ბრალდებას „სრულიად აბსურდული" უწოდა.

ახლახან ჯენამ და ბარბრამ ბარაკ ობამას ქალიშვილებს — საშასა და მალიას ღია წერილით მიმართეს და „ჯადოსნურ" თეთრ სახლში ცხოვრებისთვის საჭირო რჩევები მისცეს. მათ თეთრი სახლის ახალბედა ბინადართ ამ სახლის სიცილით ავსება ურჩიეს. „4 წელი ძალიან სწრაფად გაირბენს, — აფრთხილებენ ბუშის ქალიშვილები თავიანთ „შემცვლელთ", — ამიტომაც, ყველაფერი ბოლომდე შეისრუტეთ და ყველაფრით დატკბით!"

ღია წერილში ჯენა და ბარბრა საშასა და მალიას იმის შესახებაც უყვებიან, თუ როგორ მხიარულად ატარებდნენ დროს თეთრ სახლში პოლიტიკოსებთან, ფილოსოფოსებთან და თვით სამეფო ოჯახების წარმომადგენლებთანაც კი. თუმცა ყალბი პირადობის მოწმობებით ალკოჰოლის ყიდვის თაობაზე რატომღაც, არაფერი თქვეს.

The Daily Mail

საბჭოთა ჯაშუშის უდიდესი შეცდომა

ახლახან ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა ჯაშუშ ენტონი ბლანტის მიერ 25 წლის წინ დაწერილმა მემუარებმა, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში გახლდათ ჩაკეტილი, როგორც იქნა, დღის სინათლე იხილა.

ბლანტი ჯაშუშობაში 1964 წელს გამოტყდა, მაგრამ მის ღალატსა და აღიარებას სახელმწიფო კიდევ 15 წელი უმალავდა საზოგადოებას. საიდუმლოს ფარდა მხოლოდ მას შემდეგ აეხადა, რაც 1979 წელს, მწერალმა ენდრიუ ბოილმა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ამერიკაში მოქმედი კანონის დახმარებით (მაშინ ამ კანონის ანალოგი ბრიტანეთში არ არსებობდა) გაარკვია, რომ ჯაშუშების ჯგუფში მეოთხე, „დაუსახელებელი ადამიანიც" შედიოდა. ამის შემდეგ ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერი — მარგარეტ ტეთჩერი იძულებული გახდა, განეცხადებინა, რომ ის მეოთხე სამეფო სამხატვრო კრებულის ზედამხედველი, სერ ენტონი ბლანტი იყო.

1931 წელს 24 წლის მასწავლებელმა, ენტონი ბლანტმა 20 წლის სტუდენტი — გაემ ბორჯესი გაიცნო, რომელმაც ის შპიონაჟის ბნელ სამყაროში ჩაითრია. ორივე ახალგაზრდა ჰომოსექსუალი იყო, მაგრამ ბლანტი მემუარებში ბორჯესთან სექსუალურ კავშირს ჯიუტად უარყოფს. პირველ ხანებში ბლანტს პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებდა, მაგრამ ფაშიზმის საშიშროების შემხედვარემ, ბორჯესისგან მაგალითი მაინც აიღო და ბრიტანეთის კომპარტიაში შესვლა გადაწყვიტა. მალე მეგობარმა იმაზეც დაითანხმა, რომ მისი თანამებრძოლი-მზვერავი გამხდარიყო. „მაშინ კემბრიჯში იმდენად ბობოქარი ატმოსფერო და ნებისმიერი ანტიფაშისტური საქმიანობისადმი იმდენად დიდი ლტოლვა იყო, რომ მე ჩემს ცხოვრებაში უდიდესი შეცდომა დავუშვი..." — წერს ბლანტი.

მართალია, ის თავის მემუარებში ადასტურებს ისტორიკოსების დიდი ხნის ეჭვს იმის თაობაზე, რომ ბორჯესი საბჭოთა კავშირში წამიერი აღტკინების გამო გაიქცა, მაგრამ სხვა მხრივ, მისი ნაამბობი ბევრ ცნობისმოყვარეს დასწყვეტს გულს, რადგანაც ავტორი არაფერს იტყობინება НКВД-სთან თავისი პირველი კონტაქტისა და საბჭოთა კურატორებთან დამაკავშირებელი არხების თაობაზე. ის არც იმის შესახებ წერს, თუ კონკრეტულად, რა სახის ინფორმაციას აწვდიდა თავის კურატორებს და ფართო საზოგადოებისთვის უამისოდაც კარგად ცნობილი ადამიანების გარდა, არავის ასახელებს. ბლანტი ყველანაირად ცდილობს, გააქარწყლოს ჭორები იმ გაუთავებელ სექსუალურ ორგიებსა და შეთქმულთა შეკრებებზეც, რომლებსაც ვითომდა, ლონდონში მდებარე იმ სახლში აწყობდნენ, სადაც ის ბორჯესთან ერთად ცხოვრობდა. მისი თქმით, მსგავსი რაღაცების საკეთებლად, სურვილის შემთხვევაშიც კი, ძალა არ ეყოფოდათ.

1945 წელს ბლანტმა საბჭოთა კავშირსა და მარქსიზმზე გული აიყარა. ამიტომაც, რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელება გადაწყვიტა. ის ნიკოლა პუსენის შემოქმედების კვლევის დარგში მთავარი ავტორიტეტი, Courtauld Institute of Art-ის დირექტორი, 1945 წლიდან სამეფო სამხატვრო კოლექციების მთავარი ზედამხედველი იყო, 1956 წელს კი რაინდადაც შერაცხეს.

1979 წელს ენტონი ბლანტი ჯაშუშობაში საჯაროდ ამხილეს და რაინდის წოდებაც ჩამოართვეს. ამის შემდეგ ბლანტის ცხოვრება დაღმა დაეშვა, მაგრამ მემუარებში ის მაინც, სასიამოვნოდ გაოცებული აღნიშნავს, რომ გამოაშკარავების შემდეგ 2-3 ასეული მხადამჭერი და მხოლოდ ექვსად ექვსი მტრული წერილი მიიღო.

Independent

აზერბაიჯანში სამასპარეზო პოსტიუმისთვის ციხეში სვამენ

ბაქოში 2 ბლოგერი — ადნან ჰაჯიზადე და ემინ მილი დააპატიმრეს, რომლებმაც ცოტა ხნის წინ ინტერნეტში მთავრობაზე სატირული რგოლი განათავსეს. რგოლში ვირის კოსტიუმში გამოწყობილი ადამიანი პრეკონფერენციას მართავდა და იმ მდიდრულ ცხოვრებაზეც მსჯელობდა, რომელიც უცხოელ ვირებს აზერბაიჯანში ელის. ეს იმ ადგილობრივი ჩინოვნიკების დაცინვა იყო, რომლებსაც ადგილობრივი პრესა საზღვარგარეთიდან წმინდა სისხლის ვირების შემოყვანაზე ასტრონომიული ხარჯების გაწევაში ადანაშაულებს.

ოფიციალური ვერსიით, ბლოგერები რესტორანში ჩხუბისთვის დააკავეს, თუმცა მათი მომხრეები შიშობენ, რომ ეს საქმე შესაძლოა, ონლაინური საინფორმაციო საშუალებების დევნის დასაწყისიც იყოს. დაპატიმრებულებს ბრალი ხულიგნობისთვის წაუყენეს, რაც 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

Macional Endowment for Democracy-ს წარმომადგენელმა — მირიამ ლანსკოიმ აზერბაიჯანელი ბლოგერების დაპატიმრებას „შოკის მომგვრელი მოვლენა" უწოდა. მისი აზრით, პირველ რიგში, ეს იმ შედარებით შეძლებული და განათლებული აზერბაიჯანელების ვიწრო წრეს დაარტყამს, რომლებიც ახალ ამბებს ინტერნეტიდან იგებენ. ორივე დაპატიმრებულმა განათლება დასავლეთში მიიღო. ადნან ჰაჯიზადეს მამა, ცნობილი ოპოზიციონერი ჰიქმეთი წარსულში რუსეთში აზერბაიჯანის ელჩი იყო.

The New York Times

„მიცუბიში“ ქალაქის ელ-მობილებს უშვებს

კომპანია „მიცუბიში“ უახლოეს მომავალში ელექტრომობილების — i-MiEV — ხაზის გაფართოებას გეგმავს. მანქანათა გამას ხელმისაწვდომი მოდიფიკაცია დაემატება, რომელიც ქალაქში მოკლე დისტანციებზე სამოძრაოდ იქნება განკუთვნილი. სტანდარტული Mitsubishi i-MiEV, რომლის იაპონიაში შეძენა მხოლოდ იჯარითაა შესაძლებელი, 63 ცხ.ძ. ელექტრომოტორით აღიჭურვება და სრულად დატენილი აკუმულატორებით დაახლოებით, 160 კმ-ს გაივლის. ტოპ-მოდიფიკაციაში მანქანის სვლის თადარიგი 200 კმ-მდეა, ხოლო ჩვეულებრივი დენის წყაროდან ბატარეების დატენას 7 საათი სჭირდება. გარდა ამისა, მოდელს ექნება ჰიბრიდული მოდიფიკაციაც, რომელსაც მიმდინარე წლის შემოდგომაზე, ტოკიოს მოტორშოუზე წარადგენენ, ხოლო უახლოეს 3 წელიწადში მას გასაყიდად გამოიტანენ. ■

„როლს-როისის“ სიახლე

ორიოდე დღის წინ, კომპანია „როლს-როისმა“ სედანის — host — გამაში უმცროსი მოდელის შესახებ ტექნიკური მაჩვენებლები გამოაქვეყნა. ავტომობილი 6,6-ლიტრიანი, 12-ცილინდრიანი ტურბოძრავათი აღიჭურვება და ZF-ის სიჩქარის 8-საფეხურიანი ავტომატური კოლოფით იმუშავებს, მოტორის სიმძლავრე კი 570 ცხ.ძ. იქნება. „როლს-როისის“ მონაცემებით, 100 კმ/სთ სიჩქარეს სედანი 4,9 წუთში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-მდე მიაღწევს. როგორც ადრე იუწყებოდნენ, მანქანას ელექტრომართვის მქონე ადაპტური ამორტიზატორები ექნება და მის მუშაობას კომპიუტერი გააკონტროლებს. აგრეთვე, ღილაკზე ხელის დაჭერით სალონში საგზაო ხედვა 2,5 სმ-ით გაუმჯობესებული იქნება. Rolls-Royce Ghost-ის დებიუტი ფრანკფურტის მოტორშოუზე, სექტემბერში შედგება. ■

ახალი კაბრიოლეტი „ფიატისგან“

კომპანია „ფიატი“ კაბრიოლეტის — 500-Abarth — ახალი მოდიფიკაციის შექმნას აპირებს. მანქანა სახურავის მოძრავ, რბილ ცენტრალურ ნაწილს შეინარჩუნებს, ხოლო მისი მეტალის ნაწილი ძარას სიმტკიცეს შეუწყობს ხელს. ამგვარად, ძარას გამაგრებისთვის დამატებითი ზომების მიღება საჭირო აღარ იქნება. ახალ Fiat 500-ს კლიენტებს ორ ვერსიად შესთავაზებენ, რომელთაგან ყველაზე მძლავრს Esseesse ეწოდება და ის 160 ცხ.ძ. სიმძლავრის, 1,4-ლიტრიანი T-Jet-ის ბენზინის მოტორით დაკომპლექტდება. უფრო ნაკლები სიმძლავრის მოდიფიკაცია ამავე ძრავას 135 ცხ.ძ. მქონე ვერსიით აღიჭურვება. მოსალოდნელია, რომ ევროპული დილერების სალონებში სიახლე მომავალ გაზაფხულამდე არ გამოჩნდეს. ჰეტჩბეკი Fiat 500 Abarth, რომელიც პირველად პარიზის მოტორშოუზე გასულ წელს წარადგინეს, ასევე, 135 და 160 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავებითაა ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია ისიც, რომ მანქანას ძლიერი სამუხრუჭე მექანიზმები და გაზრდილი ბორბლების დისკები ექნება. ■

„კალაშნიკოვი“ — ამერიკელი ავტოკლიენტებისთვის

ამერიკული ავტოდილერი — Max Motors, რომელიც მისურის შტატში მდებარეობს, ახალი და ნახმარი ავტომობილების მყიდველებს ავტომატ „კალაშნიკოვის“ (AK-47) ბაზაზე შექმნილ შაშხანას ჩუქნის. კომპანიის ხელმძღვანელთა აზრით, ამ შეთავაზებამ კლიენტები უნდა მიიზიდოს. აქცია აგრეთვე, ამერიკული მწარმოებლების პროდუქციის გასაღების ზრდასაც ითვალისწინებს. სალონში — Max Motors — მანქანების შეძენისას კლიენტებს საშუალება ეძლევათ, 450 დოლარად შეფასებული იარაღი ან ბენზინის 250-დოლარიანი ბარათი ამოირჩიონ. სიახლემ ამერიკელთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც ნაწილობრივ, იმით აიხსნება, რომ კრიმინალური სიტუაციის გაუარესების გამო, ხალხი იარაღის შეძენას ცდილობს. ავტოდილერის წარმომადგენელთა თქმით, თავდაცვის მიზნით, ყველა პატიოსან მოქალაქეს სახლში იარაღი უნდა ჰქონდეს. ■

1. სამხედრო საავადმყოფო
2. სპრახ-ისი საქცი-ელის ჩადე-ნის შეგნება
3. ლუდხანა ინგლისში
4. ერთი და იმავე გვარის მეფეები
5. სქელი და წებოვანი
6. საარტილე-რიო იარაღი
7. დიდი ვენახი
8. მაღალი ტემპერა-ტურა
9. სანიავებელი
10. სისხლის გამცემი
11. ბრაზილიელი მწერალი
12. თევზის წვნიანი
13. ოფიცრის წოდება
14. სურდო
15. მაღალი კოშკი
16. ბატკნის მოგების დრო
17. ვეფხვა კამეჩი
18. საფოსტო გზავნილი
19. ნადირობის ქალღმერთი რომ. მით.
20. ერთგვარი ერბოკვერცხი
21. მდინარე საქართველოში
22. ვერდის ოპერა
23. პარიზის აეროპორტი
24. „დათა თუთაშხიას“ ავტორი
25. რუსეთის საინფორმაციო საგერტო
26. განსაკუთრებული ნიჭი
27. ქვეყანა აფრიკაში
28. აღვირის ნაწილი
29. მუხის ნაყოფი
30. მოხარშული ზეთი
31. მუს. ნოტი
32. თაქთა-ქიშვილის ოპერა
33. ნორვეგიის დედაქალაქი
34. კლდეში ნაკვეთი ქალაქი
35. დიდი ჩაქუნი
36. ამერიკის შტატი
37. პატარა მტაცებელი ძუძუმწოვარი
38. კანონის გაუქმება

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. კარამბოლი; 2. რეპი; 3. ატომი; 4. მარიამი; 5. ქობულეთი; 6. ლალი; 7. იმპორტული; 8. ტუბა; 9. ტაიმი; 10. მირკანი; 11. ოსასუნა; 12. მაჰაგონი; 13. ნამუსი; 134. ირისი; 15. ანანასი; 16. რიფი; 17. კარგო; 18. ინგლისი; 19. მატადორი; 20. ბუ; 21. ანა; 22. კარკასი; 23. ყუა; 24. აბანო; 25. ბაასი; 26. ბოკალი; 27. ზლოტი; 28. ფაუნა; 29. ანგარი; 30. კრიზისი; 31. ჩაი; 32. კაბერნე; 33. ლამა; 34. შირმა; 35. ირანი; 36. ალ; 37. ოტია; 38. რაპირა; 39. დინარი; 40. იკებანა; 41. მე.

სურათებზე: კეიტ ჰადსონი; შონ ბინი.

ჰოროსკოპი

(30 ივლისი - 5 აგვისტო)

ვაზი:

თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გაფუჭება არ გსურთ, მეგობრებს პირად ცხოვრებაში ნუ ჩაახედებთ. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახსა და ახლობლებს. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

ჯუჯი:

წარმატება გელით ნებისმიერ სფეროში. განსაკუთრებით, მეცნიერებასა და სპორტში. საყვარელი ადამიანისთვის ქათინაურები არ დაიშუროთ. უქმე დღეები მოგზაურობას დაუთმეთ.

ტყუპი:

ამ პერიოდში შეგიძლიათ, ბინის რემონტი წამოიწყოთ ან ახალი ავეჯი შეიძინოთ. მოაგვარეთ უკვე დაწყებული საქმეები. დრო საყვარელი ადამიანისა და მეგობრებისთვისაც გამონახეთ.

ჯიგრისხიტი:

ოჯახის წევრებისა და საყვარელი ადამიანის მიმართ ყურადღებიანი და მომთმენი იყავით. სამსახურში სხვის გასაკეთებელ საქმეს ნუ შეასრულებთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

ლომი:

თუ გრძნობების მოთოკვას ვერ შეძლებთ, სამსახურებრივი რომანი გრანდიოზული კონფლიქტით დასრულდება. კვირის მეორე ნახევარში საზღვარგარეთიდან სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ.

ქალწული:

დასაქორწინებელ ქალწულებს ახალი ნაცნობობა და რომანტიკული შეხვედრები ელით. სამსახურში მოსალოდნელია დაწინაურება ან ხელფასის მომატება. უქმე დღეები ბუნებაში გაატარეთ.

სასწორი:

ახლა მოდუნებისა და განტვირთვის დრო ნამდვილად არაა. შედარებით დაძაბული პერიოდი გელით, რადგან სამსახურებრივი და საოჯახო საქმეები გექნებათ მოსაგვარებელი.

ბრიალი:

თუ მიზანი დაისახეთ, მის მისაღწევად უნდა იბრძოლოთ კიდეც. პროფესიულ სფეროში წარმატებას მიაღწევთ. მთავარია, ამბიციები მოთოკოთ. სულიერ სიმშვიდეს საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მოგიტანთ.

ბუბუალი:

ამ კვირაში თანამშრომლებს თქვენი რჩევა დასჭირდებათ და მათ დახმარებაზე უარს ნუ ეტყვით. დამატებითი სამუშაო მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. ერიდეთ მოგზაურობას.

თევზი ჩქარ:

საყვარელი ადამიანის ახირებას ყურადღებას ნუ მიაქცევთ და კონფლიქტურ სიტუაციებსაც ერიდეთ. გონივრულად გადაანაწილეთ შემოსავალი და თავი შეიკავეთ აზარტული თამაშებისგან.

ბეჩეული:

კარგი პერიოდია ქალაქგარეთ დასვენებისთვის, განმარტოებისა და მომავლის დასაგეგმად. სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩაყოფთ. შეეცადეთ, მოჭარბებული ემოცია მოთოკოთ.

ოვენი:

კოლეგებთან ურთიერთობისას დიპლომატია გამოიჩინეთ და ნებისმიერ წვრილმანზე ნუ იჩხუბებთ. თქვენს სასიყვარულო ურთიერთობას შესაძლოა, მესამე პირის გამოჩენამ საფრთხე შეუქმნას.

პატარები მენიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

4 წლის ირაკლი და 5 წლის მამუკა საპარიკმახეროში თმას იჭრიან.

პარიკმახერი მამუკას ეუბნება:

— თმა როგორ შეგჭრა?

— პოლბოქსი მინდა, — პასუხობს მამუკა.

— ირაკლი, შენ როგორ შეგჭრა?

ირაკლი დაფიქრდა და ეუბნება:

— მე პოლკარატე მინდა.

პოლიტიკური გადაცემების ყურებით გაბეზრებული 4 წლის მარიამ ხუჭუაშვილი დას ეხვეწება:

— ნინი, მულტფილმებს ვუყუროთ, რა, დავიღალე ამდენი დემოკრატიით.

3 წლის ანი ჭურღულიას დედამ შოკოლადი მისცა და გააფრთხილა:

— მამიკოს არ უთხრა, თორემ, გაგვიბრაზდება.

ანიმ მამას გასძახა:

— მამიკო, ჯერ არ შემოხვიდე, შოკოლადი უნდა შევჭამო!

ბებიამ საბა ჩხეიძე ხაჭაპურის საყიდლად წაიყვანა. ბავშვმა გამყიდველს 50 თეთრი გაუწოდა. გამყიდველმა უთხრა, — დღეიდან 70 თეთრი ღირსო. საბამ იფიქრა, უხაჭაპუროდ ვრჩებიო და ბებიას მიუბრუნდა:

— ბებია, გეხვეწები, უთხარი, გუშინდელი ხაჭაპური მაინც მოგვცეს.

დედა ქეთის ეუბნება:

— რა კარგია, ბაღში რომ დადიხარ და ერთობი, მე კიდევ, სახლში ვზივარ. ნეტავ, მეც ბაღში დავდიოდე...

— მერე, რაღას იზრდებოდი?! ყოფილიყავი პატარა და შენც ივლიდი ბაღში, — უპასუხა ქეთიმ.

ნატო ბებომ ეზოში, ბავშვებთან ერთად მოთამაშე ნინო გააფრთხილა:

— ბებიკო, სამ დაძახებაზე სახლში იყავი.

რა თქმა უნდა, ნინომ პირობა დაარღვია. შინ მისულს ბებომ უსაყვედურა:

— უკვე მეხუთედ დაგიძახე. რატომ ადრე არ ამოხვედი?

— შენ ჩქარ-ჩქარა მეძახდი, — თავი იმართლა ბავშვმა.

პატარა ნიკუშამ მზის სათვალე გაიკეთა და მამას ეუბნება:

— მამიკო, იცი, აქედან ზანგად ჩანხარ.

ჯერ ერთი ლამაზი საღამო — 30 წელს გადაცილებული, წარმატებული ლამაზმანებისთვის

პირველი, რაც მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრ „მუზაში“ შესვლისთანავე იგრძნობოდა, ერთმანეთში არეული სხვადასხვა ფირმის, ძვირფასი სუნამოების სურნელი იყო, რაც მოვლილი ქალბატონების თავშეყრას ყოველთვის თან ახლავს... სამოდელო სააგენტო „ლიკა ყაზბეგმა“ უკვე მეორედ, 30 წელს გადაცილებული წარმატებული ქალბატონები ფართო საზოგადოებას მოდელის ამპლუაში წარმოადგინა. დარბაზში შეკრებილი ჟურნალისტები, მსახიობები და სხვა ცნობილი ადამიანები მოუთმენლად ელოდნენ საღამოს გახსნას.

ლალი პაპასკირი

სანამ წითელ ხალიჩაზე საგანგებოდ გამოწყობილი ქალბატონები გამოჩნდებოდნენ, დამსწრეთა წინაშე პატარა მოდელები გამოვიდნენ, რასაც გერმანიაში მოღვაწე ქართველი ბალერინას, თათა ჯაშიაშვილის ორიგინალური ნომერი მოჰყვა. ამასობაში სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და სოციალური სტატუსის წარმატებული ქალბატონები, საკუთარი შარმისა თუ ნიჭის წარმოსაჩენად ემზადებოდნენ...

პირველი, თამამი ნაბიჯებით წითელ ხალიჩაზე, კომედიური ტელესერიალის — „შუა ქალაქში“ — მსახიობმა მარიამ ჯოლოგუამ გაიარა. მას ბიზნესმენი თიკო წილოსანი, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ხელმძღვანელი ბაია ცანავა მიჰყვნენ. სტუმრების მოხიბვლას ცდილობდნენ აგრეთვე: ჯაზის მომღერალი მაია ბარათაშვილი, მსახიობები — მაკა შალიკაშვილი, კირა ანდრონიკაშვილი და სხვები... ლამაზმანები ღელავდნენ, რაც სახეზეც ეტყობოდათ. რამდენიმემ „აღიარა“, რომ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელიც დისკომფორტს უქმნიდა... ლამაზ სანახაობას, სხვა სტუმრებთან ერთად, მსახიობი გივი სიხარულიძეც თვალებგაბრწყინებული შესცქეროდა...

გივი სიხარულიძე:

— ძალიან დაბნეული და მოხიბლული ვარ. პირველ რიგში, ქართველი კაცი ვარ და ყველაფერში სილამაზეს ვეძებ... დროა, ქართველმა ქალმა გააცნობიეროს — 50 წელსაც რომ გადააბიჯოს, მაინც ქალია და უნდა ცდილობდეს, ლამაზად გამოიყურებოდეს. შეიძლება, ძვირფასი სამოსის ჩაცმისა და სილამაზის სალონებში სიარულის საშუალება არ ჰქონდეს, მაგრამ რაც აქვს, ის უნდა მოიხდინოს. ქალი საერთოდ, მშვენიერების განსახიერებაა და ყველა უნდა ცდილობდეს, თავისებური შარმით, მშვენიერების ნიმუში შექმნას.

ბაია ცანავა:

— წარმატებული და საქმიანი ქალი ნებისმიერ საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდება და აუცილებელია, ყურადღება საკუთარ გარეგნობასაც მიაქციოს... ძალიან ვღელავდი, მინდოდა, საზოგადოების წინაშე საკუთარი თავი სხვანაირად წარმომეჩინა. მგონი, ჩვენს მონდომებას უშედეგოდ არ ჩაუვლია და მაყურებელი კმაყოფილი დარჩა... ასეთი პროექტები არის სტიმული იმისთვის, რომ ნებისმიერი ასაკის ქალმა საკუთარ თავს მეტი დრო დაუთმოს.

მაკა შალიკაშვილი:

— ძალიან ვღელავდი. მართალია, მსახიობი ვარ და სითამამე არ მაკლია, მაგრამ ეს ჩემთვის, ახალი და უჩვეულო ამპლუა იყო... თანაც, ყოველთვის სპორტული სამოსით დავდივარ და მაღალ ქუსლებზე „შეხტომა“ გამიჭირდა. მე მგონი, მაინც საინტერესო და ლამაზი სანახაობა იყო, ჩემს სტილსა და ჩაცმულობაზე ლიკა ყაზბეგმა იზრუნა და დიდი მადლობა მინდა, მას ვუთხრა.

ლალი მოროზკინა:

— ასეთი პროექტები 30 წელს გადაცილებული ქალებისთვის დიდი სტიმულია. 30 წელს გადაცილებული ქართველი ქალები თავის მოვლისთვის ვეღარ იცლიან; ეს შინაგანი კულტურის პრობლემაა და მძიმე სოციალური ფონი აქ არაფერ შუაშია. არ არის აუცილებელი, ძვირად ღირებულ სილამაზის სალონებში იაროს ქალმა; თუ სიგარეტსა და ალკოჰოლს გადაჰყვება, ბუნების მიერ მინიჭებულ გარეგნობასაც დაკარგავს...

იაპონური სენსაციის სუდოკუ

„გზის“ №30-ში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	4	9	5	1	2	6	3	8
1	3	6	8	7	9	5	2	4
8	2	5	3	4	6	1	7	9
9	5	1	7	8	4	3	6	2
4	6	2	9	5	3	8	1	7
3	8	7	2	6	1	9	4	5
2	1	8	6	9	7	4	5	3
6	9	3	4	2	5	7	8	1
5	7	4	1	3	8	2	9	6

5	9	8	1	3	6	2	4	7
7	3	4	8	2	9	5	1	6
2	6	1	4	5	7	9	3	8
1	8	2	5	6	4	7	9	3
6	4	3	9	7	2	8	5	1
9	5	7	3	8	1	4	6	2
4	1	6	2	9	8	3	7	5
8	7	5	6	4	3	1	2	9
3	2	9	7	1	5	6	8	4

4	3	9	1	2	8	6	7	5
1	6	5	3	4	7	9	8	2
7	8	2	5	6	9	3	1	4
6	1	8	2	9	3	5	4	7
2	5	4	7	1	6	8	9	3
3	9	7	4	8	5	2	6	1
8	2	1	6	3	4	7	5	9
5	4	6	9	7	2	1	3	8
9	7	3	8	5	1	4	2	6

* მარტივი

		8	9					7
	5			7				3
				5			9	
		2	4			7		
		7		9	3	2		
		6			5	9		
	4			1				
1				6			5	
6					8	3		

** საშუალო

		2		3			4	
5				1			7	
			6				9	
		5			4	6		
		9		7		1		
		8	5		2	4		
	2				8			
	3			5				8
	5			2		7		

*** რთული

	8				1	5		
		9	7	6		4		
	1				9			8
		7		5		6		
		4			7	8		
3			6				1	
		5		4	3	2		
		1	9				5	

ფოტოკუჩიოზები

NAFNAF

MEDIA მედიასტატიკის კლინიკათა ჯგუფი

ოსკარი

DELFOS

Sandora

WELEDA
ველედა

„მის თინეიჯერი"

PUMA

Nicca De Luxe

ზაფხულის სეზონი

ტურისტული კომპანია „ჩემოდანი"

მის: ლასელიძის 53
ტელ: 72 01 10

კონკურსი მის თინეიჯერი უკვე დაიწყო!

იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს, იხილეთ ფოტოები ჟურნალ „ოსკარში", SMS ველში აკრიფეთ სასურველი კონკურსანტის კოდი და გააგზავნეთ ნომერზე: 8888.

კონკურსანტთა შეფასება ასევე შეგიძლიათ ინტერნეტპორტალზე:

WWW.AMBEBI.GE

„მის თინეიჯერის" ზაფხულის სეზონის გამარჯვებულს ტურისტული კომპანია „ჩემოდანისაგან" გადაეცემა:

ორკაციანი საგზური ეგვიპტეში, შარმელშეიხში, 5 ვარსკვლავიან სასტუმროში

ბრილიანტის სამკაული საიუველირო მაღაზია „დელფოსისგან"

კონტრაქტი საგოლფო საავენტურისთან, სასაჩუქრე გარანტი საგოლფინგო და ესთეტიკურ ცენტრ „ვედისაგან" და სამახსოვრო საჩუქრები კონკურსის სპონსორებისაგან

+ 20 ნომინაცია

დაეგზავნე შენს რჩეულს მაზლს ზაფხულის სეზონის მაგარაჯაბელი!

SMS

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იკითხე ჟურნალი „ოსკარი".